

# ჯემალ ფოცხვერია

## ჩემი ცხოვრების აღმართი



ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

**ჯემალ ფოსხვარია**

ჩემი  
სხობრების  
ბღმბრთი



თბილისი  
2012

**რედაქტორი  
ნინო ღიკანოიძე**

**მხატვარი  
ბერლია არაბული**

**ოპერატორი  
თამარ ჩიხლაძე**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თენგიზ რობიტაშვილი**

**ISBN 978-9941-0-4179-2**

**© ჯემალ ფოცხვერია, 2012**

## თბილისური აღმართი

ბევრი გვახსოვს თბილისის სურათები — უბნების, ეზოების, აღმართ-დაღმართების, ქუჩების, განსაკუთრებით მაინც რუსთაველის გამზირის.

სურათები — ფერწერული, დოკუმენტური, ლაზათიანი, კოლორი-ტული.

პერსონაჟები — ფოტოგრაფიულად გადმოხატულნი თუ მხატვ-რულად განზოგადებულნი.

კიდევ ბევრი, ბევრი სურათი დაიხატება.

ამოუნურავია ის მადანი, რომელსაც თბილისური ეგზოტიკა თუ თავისებურება უფრო კი მადლი ქმნის და უშურველად გვთავაზობს არამარტო საკუთარი მიწით, არამედ საკუთარი ზეცით, საკუთარი მზით, მთვართა და ვარსკვლავებით.

სხვაა თბილისში მთვარეო, — გალაკტიონს როდის აუცდენია მიზ-ნისათვის სიტყვა, მაინცდამაინც ახლა რომ აეცდინა.

საუკეთესო კალმები დამაშვრალან თბილისის ქება-აღწერაში.

საუკეთესო ტალანტები ჩახარჯულან მის უჩვეულო, განუმეორე-ბელ თავისებურებათა შეცნობაში.

და თუ ჯეშალ ფოცხვერია მაინც იდებდა თავს ზოგიერთ სურათთა აღდგენასა და შემონახვას, მხოლოდ იმიტომ არა, ადრენასული შვილის ანდერძივით თხოვნა აღესრულებინა. შვილს სწორედ ამიტომაც ეთხოვა მისთვის იმ ეზოს, იმ უბნისა თუ ქალაქის მთავარი გამზირის აღწერა, ენაწყლიანად რომ უყვებოდა გარდასულ ამბებს და ისეთ რეალიებსა თუ დეტალებს აცოცხლებდა, რაც უიმისოდ ან შეუმჩნეველი რჩებოდა, ანდა შესაფერისად ჯერ არ ჩაბეჭდილიყო საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

იმას, რეჟისორობაზე შეყვარებულს, იმ დროისა და იმ სურათთა გარდასახვა ენადა კინონაზე, მამისაგან ასე რომ აღბეჭდოდა გულ-სა და გონებაში და ახლა, ქალაქზე გადატანილს, მისთვის კიდევ უფრო ძალუმაღ უნდა ებიძვა სიუჟეტთა და ხასიათთა ამოსაკრებად და კოლაჟებად ასხმული ვრცელი ტილოს გადასაჭიმად.

მოგონებათა ეს ფურცლები, ავტორის სიყმანვილის გაუხუნარი ნუთები, შვილის თავისებურ ძეგლად წარმოდგება, რაკილა იმ ანდერ-ძივით თხოვნის აღსრულება; თანაც, არა ყვავილის თაიგულად მისა-

ტანი ვაჟის საფლავზე, არამედ ცოცხალი, მრავალმხრივ საგულისხმოდ თხზულება, ვინ იცის სხვა კინორეჟისორებსაც ძალიან რომ წაადგეთ იმ დროის აღსადგენად.

სულ სხვა ცხოვრების გზა აერჩია ჯემალ ფოცხვერიას; სხვა გარემოში მიეგდო ბედს, ვიდრე ბუნებრივი არჩევანისას ამჯობინებდა, მაგრამ მწერლურ უნარს, რომელიც მის არსებაში თვლემდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა ეპოვნა გამოსავალი და ქცეულიყო მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის ნიგნად „შავი სათვალე ეკეთა“, საიდუმლო სამსახურის ყოფას რომ გამოამზეურებდა და მის კულუარებშიც ჩაგვახედებდა, თანაც იმისთანა ცნობებით მოგვამარაგებდა, არაერთი ისტორიული ეპიზოდისა თუ პიროვნების ბიოგრაფიის ცალკეულ გარემოებათა, შტრიხთა, დეტალებს დასაზუსტებლად საკმაოდ მნიშვნელოვანი რომ არის, ზოგჯერ — ფასდაუდებელიც.

ის მაინც სხვა ყაიდის თხზულებაა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც უმთავრესად პირად განცდებსა და შთაბეჭდილებებზეა აგებული. მემუარული ნაკადი იქ არც არის და არც შეიძლება ყოფილიყო პოეტური სუნთქვით აღვსილი, იმით, რაც ასე მკაფიოდ აჩვენია „ჩემი ცხოვრების აღმართს“, ზუსტი, ლაკონიური შტრიხებით ისეთი კოლორიტული ადამიანები და ამბები რომ ხდება ხელშესახები, ძალდაუტანებლად რომ ზოგადდება და ერთი ეზოს მაგალითზე მთელი ქალაქის ყოფას გადაწვდება, XX საუკუნის შუა ხანის თბილისს კოლაჟურად წარმოგვიჩინს და მინიატურებსაც ვპოვებთ მის ფურცლებზე და ნოველათა გამონაკრთომებსაც.

ეს ყოველივე კი მარჯვედ იკვრის ერთიანი კომპოზიციური ქარგით, რომლის ქსოვილშიც ბუნებრივად შემოდის დღევანდელი რეალობაც, როგორც თავისებური კონტრასტი ყმანვილობისდროინდელი სურათებისა, რომელსაც ხატად ადგას დედისა და ბებუის სახეები, ტანჯვაგამოვლილნი და ჯერაც სვეგამწარებულნი დამთრგუნველი რეალობით კვლავაც სიკეთისათვის რომ განანყობენ გარშემოცოფთ, არამარტო საკუთარი ოჯახის წევრებს.

და როდესაც ჩაათავებთ ექსპრესიულ თხრობას და ნაცნობ თუ უცნობ რეალებს მთლიანობაში გაიაზრებთ, ერთი მხრივ დაგენანებათ, რომ მოგონებათა სურათები ასე მალე მოთავდა, მეორე მხრივ კი დაბეჯითებით ირწმუნებთ, რომ ეს ნიგნი უსათუოდ უნდა დანერილიყო — სწორედ ამ თვალთ, ამ გულით, ამ ხსოვნით.

თბილისის ერთი აღმართის ყოფა — ავტორის ცხოვრების აღმართიდან წარმოსახული.

**როსტომ ჩხეიძე**

## წინასიტყვა

ჩემი სიცოცხლის შემოდგომა თუ ზამთარიც დადგა, 70-ს გადავაბიჯე. ცოტაც არ მიცხოვრია. თანაც, ღვთის წყალობით, ჯანმრთელობაც შემრჩა. თუმცა რაა სიცოცხლე, შვილო, შენ რომ არ ხარ ჩემ გვერდით. მტერსაც კი არ ვუსურვებ, რასაც განვიცდი. ვერაფრით ვერ შევეგუე ამ პირად ტრაგედიას. შენი ასე უდროოდ წასვლა საკუთარ დანაშაულად მიმაჩნია. იქნებ გულისხმიერება ვერ გინილადე სათანადოდ, მშობლის პასუხისმგებლობა დაგაკელი — უფრო ყურადღებიანი უნდა ვყოფილიყავი შენი მგრძნობიარე და ფაქიზი სულიერი არსებობის წინაშე.

„დრო ყველაფერს კურნავსო“, ამბობენ. ამ ექვსი წლის განმავლობაში დავრწმუნდი, ჩემდა საუბედუროდ, ასე არ ყოფილა.

შვილო, რაც დრო გადის, მით უფრო მაკლიხარ, გამძაფრდა ჩემში სიმარტოვის გრძნობა. თითქოსდა მარტონიც არა ვართ მე და დედა-შენი, შენი უმცროსი ძმა, კახა, ჩვენთანაა, მისი ცოლ-შვილი. შვილიშვილები ხომ საკუთარ თავზე მეტად გვიყვარს, მაგრამ ერთ სიყვარულს მეორე ვერ შეენაცვლება. ეს შეუძლებელია. დრომ მხოლოდ იმას შეგვაგუა, რომ სხვებთან აღარ გამოვხატავთ, აღარ ვავლენთ ტკივილებსა და განცდებს. ყველას თავისი პრობლემა აქვს. შვილო, ამიტომ ჩვენს გაუნელებელ გულისტკივილს ვერავის მოვახვევთ.

...და უკვე ჩემს სულში ხარ, ჩემს გონებაში, ჩემს ფიქრსა და აზროვნებაში. ხშირად გესაუბრები, სულ დაგეძებ, სულ ვითვლი, გადავფურცლავ ჩემი სიცოცხლის ყოველ დღეს, ყოველ ფურცელში, კატასტროფის მიზეზის ახსნას ვცდილობ...

ვცდილობ და ვერ ვპოულობ.

თავიდან რომ დამენყო ცხოვრება და მეფიქრა ისე, როგორც დღეს ვაანალიზებ, პრაგმატულად, ალბათ დაბადებიდანვე მოხუცად უნდა გავჩენილიყავი. ბევრი რამ მივანდე ცხოვრების დინებას, და ამნაირმა თვითდინებამ მე და შენ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

ამ წიგნით, შვილო, საბოლოო თხოვნას გისრულებ. აკი გინდოდა, დამენერა მოთხრობა თუ ნოველები ჩემი ბავშვობის შესახებ, ჩვენი

თბილისური ეზო გამეცოცხლებინა. გიყვარდა ჩემეული ამბების მოსმენა და ხშირადაც გიყვებოდი. ხან სახალისოდ... უფრო იმიტომაც, ცხოვრებისეული გამოცდილება შენთვის გამეზიარებინა. ერთი და იმავე ამბის გამეორება თუ მიხდებოდა, სიტყვით არ მაგრძნობინებდი: გამიღიმებდი ხოლმე თბილად, მშვიდად და კეთილად და მაინც ყურს მიგდებდი. ამით მიიოლებდი კომპლექსებს, ჩემი მძიმე ბავშვობიდან გამოყოლილს.

თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველთვის ჩემთან იყვნენ, ხშირად მესიზმრებოდნენ ამ მოგონებების გმირები. გარდასულ დღეებს ჩემი სიყრმის მეგობრები მხოლოდ იუმორით, მსუბუქად იხსენებენ. განსაკუთრებულად და არაჩვეულებრივად არაფერს აღიქვამენ. თავისებურად, რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავია. მე ეს ვერ მოვახერხე, გაზვიადებული, გადაჭარბებული ემოციები ვერ გავიფერმკრთალე.

როცა კალამს ხელს ჰკიდებს ადამიანი, ალბათ უნდა ჩაეძიოს საკუთარ თავს: რისთვის? ვისთვის? ვინ დაინტერესდება მისი მონათხრობით?

...მთლად სანუგეშო პასუხს ვერ ვპოულობ, რადგან ჩვენი ეზოს უფროსი თაობა გარდაცვლილია, ეზოს ახლანდელ მობინადრეთაგან უმეტესობა აზერბაიჯანელია და არა მგონია, საინტერესო იყოს მათთვის ქართულად დანერილი მოგონებები. ჩემს ძმასთან ერთად სულ 4-5 ბავშვობის მეგობარი შემომრჩა, რომლებმაც შეიძლება წაიკითხონ ეს წიგნი, მაგრამ მთავარი, რისთვისაც დავწერე, ალბათ ისაა, რომ ჩემი სულიერი, ემოციური თუ პირადული განცდები ფურცელზე გადამეჭანა. ის, რაც მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში თან მსდევდა, მოსვენებას არ მაძლევდა, რალაცნაირად უნდა დამეზინებინა. გათავისუფლება მინდოდა ამ ტვირთისაგან და, რაც მთავარია, შენი უკანასკნელი თხოვნაც შევასრულე, ჩემო გია.

მასხოვს, ალბათ ჩემი სიმშვიდისათვის, ისიც მითხარი: „დაწერე, მამა, ყოველივე და ჩემს კინოსცენარებში გამოვიყენებო. 40-60-იანი წლების თბილისური ცხოვრების ისტორია მინდა გავაცოცხლოო“.

დანარჩენი მკითხველმა განსაზღვროს. ღმერთმა ინებოს, როცა წლები გავა, ვინმე ღვთისნიერმა მოინადინოს და, როგორც სანდო მასალა, თეატრში ან კინოში გამოიყენოს. ისიც შესაძლებელია ჩემმა შვილისშვილებმა ნიკოლოზმა, დიმიტრიმ ან ანა-მარიამ წაიკითხონ პაპის მოგონებები, როცა გაიზრდებიან...

ვინ იცის ეს, ვინ იცის?

## დედის მოლოდინი!

მოხუცებულობამდე გამოჰყვა და ჩემს მეხსიერებას სათუთად შემორჩა გრძნობა ბავშვობისა, რომელსაც დედის სამსახურიდან დაბრუნების მოლოდინი ერქვა. რითაც არ უნდა ვყოფილიყავი დაკავებული, ჩემს თანატოლებთან გართობით თუ ბებიის „ლექციებით“, ან მასთან ბანქოსა და ჭადრაკის თამაშით, არასოდეს გამომეპარებოდა დრო, ჩემთვის მეტად ძვირფასი... სალამოს, დაბინდებისას მოვკალათდებოდი ჩვენი ეზოს ჭიშკართან, სულ რაღაც 5-10 მეტრში, თუჯის წყლის კოლექტორის სახურავზე და გაფაციცებით, მთელი ყურადღებით ვიშინებოდი ქვემოთ, აღმართის დასაწყისისაკენ, საიდანაც დედა უნდა გამოჩენილიყო, სამსახურიდან რომ ბრუნდებოდა. ეს ჩვევა ადრეული ბავშვობიდანვე გამომეყვა, არც მახსოვს, როდის მოვიშალე, ალბათ პირველი სიყმაწვილის „ყლორტებთან“ ერთად გადავეჩვიე. არ ვიცი ვინმეს თუ აქვს განცდილი მსგავსი რამ, ერთს კი მოგახსენებთ, ეს მოლოდინი ჩემთვის რიტუალივით დიდ ემოციურ და სულიერ დატვირთვას მოითხოვდა. მაცოცხლებელი წყარო იყო. ვერ ამიხსნია ეს ფენომენი — უმთავრესი მაინც ის გახლდათ, რომ დედა სულ მენატრებოდა; მეცოდებოდა, სამსახურის შემდეგ, დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა შინ.

ჩამოვჯდებოდი თუჯის კოლექტორის სახურავზე, მუსლიმით ფეხმორთხმული გავყურებდი აღმართის გარდა, რა თქმა უნდა, იმ სივრცეს ცისას, ჩემ წინ რომ იშლებოდა. დაახლოებით, ავლაბარს ზედ დამყურე ცა გახლდათ, თითქმის „ისნის“ მეტროსადგურის შემოგარენით. ასე მგონია ნამდვილად არსებობს ვიზუალური ჩვენებები თუ მოჩვენებანი. ალბათ, ისინი მაშინ ჩნდებიან, როდესაც ემოციებით, წარმოსახვით ხარ სავსე. მითუმეტეს ბავშვი, მოუწყენრად დიდი ხნის განმავლობაში შეჰყურებს ცას. რატომ გიყვებით ამას? მხოლოდ ერთი მიზნით, რომ რაღაცით მაინც „გავამართლო“ ჩემი ხილვები, ფანტაზიები. ხედვა ზეცისკენ, თითქმის რამდენიმე საათი რომ შევყურებდი (ყოველ შემთხვევაში საკმაოდ დიდხანს), რა დამამახსოვრდა? გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ — არა, ეს უკვე თქვენს განწყობაზე დამოკიდებული. მაგრამ მაინც მგონია, მკითხველო, რომელიმე თქვენგანს მსგავსი ხილვები ცაზე შეგიმჩნევიათ. თვალს არ ვუჯერებდი, მაგრამ ცხადად ვხედავდი ხოლმე დიდებულ სახეთა გა-

ლერეას, მშვიდად მომზირალ წვეროსან მოხუცთა სახეებს, რომლებიც სრულებითაც არ მაშინებდნენ, პირიქით, თბილი და წყნარი გამომეტყველებით მიაშინებდნენ გულს, რაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, ეს გამოსახულებანი თანამედროვე სამოსით შემოსილი არ იყვნენ. ეცვათ ჩემთვის მაშინ ძალიან განსაცვიფრებლად, მოგვიანებით რომ მიინახავს ჩვენი ნელთაღრიცხვის დასაწყისის ამსახველ კინოფილმებში. და თქვენ წარმოიდგინეთ, ნანახს იძენდა კი არ გავუკვირვებოვარ, უფრო ჩემი ბავშვობის ხილვათა თანხვედრას ვინმე უცხო რეჟისორის წარმოსახვასთან. არცთუ ისე იშვიათად ვხედავდი სრულიად უცხო ქალაქებს და ქუჩებს, ჩემთვის მაშინ წარმოუდგენელი გიგანტური მალლივი შენობებით და ასეთი განცდებით ფიქრებში ჩაძირული ველოდი დედას...

ეს წამიერი თუ წუთიერი ბედნიერებაც დგებოდა, აღმართის თავში გამოიკვეთებოდა ჩემთვის საყვარელი სილუეტი — მაღალი გამხდარი ქალი. შორიდან ვარჩევდი მის სახესაც, ვგრძნობდი როგორ უჭირდა აღმართზე ამოვლა. რაც თავი მახსოვს, სულ წელი სტკიოდა და მუდამ ითმენდა წუხილს. ამ ჩვენი აღმართის ამოვლა მისთვის თითქმის წამება იყო, მაგრამ აუცილებელი წამება, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან შინ ბრუნდებოდა, შვილებთან, ვინც ყველაზე მეტად ვუყვარდით და, ალბათ, რისთვისაც ცხოვრობდა და სიცოცხლის აზრს ხედავდა ამ ქვეყანაზე. აი, მისი წამებით ამოსვლა ჩემი ბავშვური ბედნიერების მწვერვალი იყო...

სულ რალაც წამებში გამოვფხიზლდებოდი, ჩემ მიერ შექმნილი ზეციური თუ ამქვეყნიური ხილვები უჩინარდებოდა და სირბილით დავემვებოდი დაღმართში. რაც შეიძლება ჩქარა, უსწრაფესად მივგებებოდი დედას და რაც მთავარია, შემემსუბუქებინა მისთვის ტვირთი. ორივე ხელი, როგორც წესი, დაკავებული ჰქონდა სანოვაგის ბადით — ჩვენთვის, შვილებისთვის ამოჰქონდა საზრდო. ვინ მოთვლის, ამ სიჩქარესა და სირბილში, რამდენჯერ გამომიკრავს ფეხი ქვისათვის, ზღართანაც მომიდენია და მუხლებიც ბევრჯერ გადავიტყავე, მაგრამ ტკივილის შეგრძნება წუთიერი თუ წამიერი იყო, მაინც სულმოუთქმელად ჩაგრბოდი, რათა რაც შეიძლება ჩქარა აღმოვჩენილიყავი დედის გვერდით.

მართლაც ნათქვამია, და არაერთხელ დამარწმუნა განვლილმა ცხოვრებამ, ერთი დედ-მამის შვილები, ხასიათით თითქოსდა უნდა ჰგავდნენ, მაგრამ, როგორც წესი, ასე არ ხდება... როგორ, ჩემს ძმას, ანზორს ნაკლებად უყვარდა დედა თუ რა? მაგრამ არასოდეს არ მოფიქრებია ჩემს მღელვარე მოლოდინში ჩამზიარებოდა. წყნარად, აუფორი-აქებლად ელოდა დედას თავის „საქმეებში“ გართული. ვერც იმას დავი-

ჩემებ, რომ დედა მიწონებდა „ემოციურ ინიციატივას“ ან რაღაც დიდ სიამოვნებას გამოხატავდა ჩემი სულმოუთქმელობით, პირიქით, სულ ეწინოდა, ამ თავქუდმოგლეჯილ სირბილში რაიმე არ დაიშავო.

არასოდეს დამავინწყებდა, გაზაფხულის თბილი საღამოების თუ ზაფხულის მცხუნვარე მზის ჩასვლის შემდეგ, გრილ სიომონაბერ აივანზე გაგვიყვანდა დედა, სადაც ხის პატარა სავარძელი გვედო, გამოიტანდა თავის საყვარელ გიტარას, ჩვენ ფერხთით ჩავუცუცქდებოდით და ვუსმენდით ტკბილ სიმღერას და გიტარის ჰანგებს. დედას ძალიან თბილი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. ალბათ მეორე ან მესამე ხმა. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ჩემს მეუღლეს, ლიანას ნკრი-ალა, ჟღერადი პირველი ხმა ჰქონდა (მანამ ემღერებოდა, სანამ გია არ დაგველუბა), და მათი ხმის ტემბრების შედარებით ვვარაუდობ.

დამერწმუნეთ, ძნელია და შეუძლებელიც დაივინყო დედის ნამღერი, მისი ყოველთვის სევდიანი ხმა... ჩემი ბავშვობის თბილ მოგონებებში ჩაკინძული დედის სიმღერა, მისი გიტარის სევდიანი გაჟღერება. მიკვირს, როგორი შინაგანი ძალით, ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომ მიუხედავად იმ დიდი გაჭირვებისა, სიცივისა თუ შიმშილის მძვინვარე წლებისა, მაინც ახერხებდა ემღერა ჩვენთვის და ავეყოლიებინეთ. ალბათ, ამ სიმღერაში კლავდა თავის სევდას, თავის მარტოობას. არადა, დედა მაშინ სრულებით ახალგაზრდა ქალი — 30-35 წლისა გახლდათ; რომ დაქვრივდა, ორმოცისაც არ იყო. ქმართან იცხოვრა სულ რაღაც 16-17 წელი. იქიდან მამამ თითქმის 7-8 წელი ჯარსა და შემდეგ ომში გაატარა.

ზემოთაც ვთქვი, რომ დედაჩემი შვილებთან მეტად მკაცრი და შეუვალი იყო. არ უყვარდა მოფერება, ალერსი სხვათა დასანახავად. ხანდახან „ავადმყოფობაც“ მენატრებოდა, რათა დედის ალერსი და სითბო მრგებოდა. უკვე თითქმის 30 წელზე მეტია, რაც ცოცხალი არ არის. ეჭვი არ მეპარებოდა და არც მეპარება, რომ ის ჩვენი სიცოცხლისათვის თავს გასწირავდა. ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ დედას შეუძლია ასეთი თავგანწირვა. რამდენჯერ უთქვამთ მეზობლებს, მის მეგობრებს: — თქვენ არ იცით, დედას როგორ უყვარხართო, რომ ჩაგეძინებათ მხოლოდ მაშინ გკოცნითო.

ასეთი ნათქვამი დიდად არ მახარებდა. რატომღაც ისეთი ვიყავი და ისეთი დავრჩი, პროფესიის მიუხედავად, გრძნობების დაფარვა არ მიყვარს, თანაც ახლობლებთან განსაკუთრებით გამოვხატავ სიყვარულს და სითბოს. სანამ ცოცხალი ვარ, მინდა ვუყვარდე მათ, ვინც მიყვარს და დამიდასტურონ სიყვარული, რასაც ვიმსახურებ, რა თქმა უნდა, თუკი ვიმსახურებ. ოთარაანთ ქვრივის მკაცრი, გამოუხატავი, ჩუმი და ფარული სიყვარული კრძალვას იწვევს, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა. რამ-

დენჯერ მითხოვია, რამდენჯერ მინატრია თბილად ჩახუტება დედასთან, მის ფეხებთან წოლა, რომ მოვფერებოდი, შეიძლება დამეკოცნა კიდეც, მაგრამ, დამიჯერეთ, დედაჩემის მკაცრი ხასიათის გამო ამას ვერასოდეს გავბედავდი. ერთადერთი ქალი, ერთადერთი ახლობელი, რომელმაც დედის სითბო და ალერსი არ მომაკლო, გვერდით დამიყენა თანატოლივით, ამიხსნა და განმიმარტა ცხოვრებისეული სირთულეები — იყო ბებია მართა, მართა ჩიქოვანი — წყნარი, მშვიდი, მაგრამ ამაყი, დარბაისელი, განონასწორებული ქალბატონი. ვინ იცის, რად უჯდებოდა მას სხვათათვის გადამდები სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება. რას ითმენდა და უძლებდა ოდესღაც ფუფუნებაში, სალონურ, მდიდრულ გარემოცვაში აღზრდილი. ყოველდღიურად უყურებდა მისი შვილი, ესოდენ გაჭირვებაში, როგორ უძღვებოდა ცხოვრებას. გულს უკლავდა შვილიშვილები — ნახევრად შიშველნი, ნახევრად მშვირნი. უფროსი ქალიშვილის ოჯახი გაუნადგურა რეპრესიებმა. ისინი უფრო მეტად სავალალო მდგომარეობაში იყვნენ და, მიუხედავად ყოველივესი, ფარ-ხმალი არ დაუყრია, სასონარკვეთილებას არ მისცემია, როგორც შეეძლო ზრუნავდა ყველა ჩვენგანზე.

ერთხელ უკვე მოგახსენეთ, რომ მთელი თავისი შინაგანი წუხილის, მთელი თავისი უბედურების შემსუბუქება ჩემში ჰპოვა, ოთხი შვილიშვილიდან ყველაზე უმცროსში. სითბო და სიცოცხლის სიყვარული, არსებობის სიყვარული ჩამინერგა. ახლა, რა თქმა უნდა, ვკილა ვ ჩემს თავს, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ბავშვურად ვეჭვიანობდი ბებიაზე, როცა იშვიათად, მაგრამ მაინც სანყლად ამოიხვნეშებდა. „მე მაშინ უნდა მოვმკვდარიყავი, როცა ვალოდია მომიკვდაო“. ერთადერთი ვაჟი 1925 წელს, 25 წლისა, ბათუმში უცნაურ, დაუდგენელ ვითარებაში დაეღუპა. და მე ვეჭვიანობდი ჩემს გარდაცვლილ ბიძაზე, რადგან ბებო მისთვის სიკვდილს ნატრობდა, თანაც, როდესაც მე ვყავდი გვერდით, როგორ უნდა წარმოემდგინა, რომ ჩემზე მეტად შეიძლებოდა ვინმე ჰყვარებოდა.

ღმერთი მაპატიებს, ალბათ, ამ ბავშვურ მიამიტობას, ისე, როგორც სხვა უამრავ ცოდვას, რომლებიც დამიგროვდა ძნელი ცხოვრების გზაზე.

ღმერთმა ინებოს, რომ მე და ლია მოვესწროთ ჩვენი შვილიშვილების — ნიკოლოზის, დიმიტრის, ანა-მარიას — ასეთ „ეჭვიანობას“. ღმერთმა ინებოს, რომ ისინი ამოგვიდგენენ მხარში, ჩვენი დიდი ტრაგედიის, მოუშუშებელი ტკივილის გამო.

მაგრამ რა მრჩება თვითდარწმუნების მიღმა? ერთი ხომ ვიცი მე და ლიამ, ვერავინ, ვერავინ ვერ შეგვიცვლის ჩვენს გიას, უფალმა ღმერთმა ასე დაადგინა ამ მიწიერ ცხოვრებაში, ყველას თავისი წილი სიყვარული დაუნერგა. ერთის დანაკლისს მეორე ვერასდროს შეცვლის!!!

## შპილს...

ჩემო გია, ისევ და ისევ შენ მოგმართავ, რამეთუ თითქმის არავითარი დიალოგის დაწყება არ შემიძლია, თუ შენთან აზრობრივად არ ვიმყოფები... მხოლოდ შენთან ვირტუალური საუბარი მაძლევს ამის ძალას. აი უკვე ჩქარა, სულ რამდენიმე თვეში, ექვსი წელი გავა, რაც ერთად აღარ ვართ. მძიმე, ძალიან მძიმე ყოფილა განშორება, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, შენ ჩვენთვის, სანყალი დედაშენისა და ჩემთვის, მხოლოდ შვილი კი არა, უმცროსი მეგობარიც იყავი, ჩვენი ოჯახის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ყოველთვის ჩვენ გვერდით მდგომი, შენი უმცროსი ძმის საყრდენი და მტკიცე კედელი, როცა საჭირო იყო — მისი ძიძაც, მისი მზრუნველიც.

ნამდვილად ძნელია ყველა იმ დეტალის თუ ეპიზოდის გახსენება. ჯერ კიდევ ყმანვილმა ზრდასრულის პასუხისმგებლობა იტვირთე. საუბედუროდ, ორივე შენმა ბებია — არიადნამ (დედაჩემმა) და ფაცუცამ (ლიას დედამ) — შენს ხელში დალია სული, შენს მკლავებში ჩასვენებულემა. არა, შვილო, ასეთი შვილიშვილიც არ მინახავს და არ შემხვედრია ცხოვრებაში. ახლა, როცა საკმაო დრო გავიდა, როცა შემიძლია, საუბედუროდ, საბედისწერო დასკვნის გამოტანა — ისევ და ისევ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზრი მკლავს და არ მაძლევს მოსვენებას... შვილო, კიდევ და კიდევ გიმეორებ, შენი ცხოვრების წესით, შენი არსით და აზროვნებით ამქვეყნიური ადამიანი არ იყავი... შენ გულს, როგორც შემდეგ გაირკვა, ბავშვობიდანვე სნეულს, ყველას გულისტკივილის გაზიარება ენადა. ყველასთვის გინდოდა შეგემსუბუქებიანა დარდი და სევდა... სუფთა და ფაქიზი გულით გიყვარდა ადამიანი. შვილო, რა არ მიფიქრია, ჩემი გონებრივი შესაძლებლობების ზედმინვნით დაძაბვით შევეცადე შენი სნეული გულის დაავადების მიზეზებისათვის მიმეგნო, სულ თავს ვიდანაშაულებ, რომ ვერ გაგიფრთხილდი.

არ შემიძლია, ეს რომ დავფარო...

რა სუსტი ყოფილხარ, შვილო, სიყვარულში. შენი რომანიდან, მოთხრობებიდან, ლექსებიდან კარგად ჩანს, ადამიანის ფსიქოლოგიაში ერკვეოდი და არ ცდებოდი. რეალური ყოფის პირისპირ რად აღ-

მოჩნდი ასეთი სუსტი, შენი, ალბათ, პირველი და უკანასკნელი სიყვარულის წინაშე. რა საჭირო იყო რამდენიმე ათასკილომეტრიან სიშორეზე, ცივ ალბიონზე, ასეთ უბედურ სიყვარულს გადაყროდი... საქართველოს მცირე მასშტაბიც ხომ ეყოფოდა ამისთვის ადამიანს...

დიახ, როგორც შენს მამას, პირად შეურაცხყოფად მიმაჩნდა, როცა გავიგე თუ რარიგ მზაკვრულ-ვერაგული ტკივილი მოგაყენა იმ დედა-კაცმა... მასთან ურთიერთობაში თურმე მთლად დაუცველი იყავი, შენს გულწრფელ გრძნობას ის ანგარებიანი ადამიანი, ჩვენდა საუბედუროდ, თვალთმაქცურად პასუხობდა, პირადი ამბიციებისა და პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იყენებდა. შენი გულისტკივილის გამძაფრების გარკვეულ მიზეზად მისი ვერაგული საქციელი იქცა.

არ ვიცი, შვილო, როგორ ლოცულობს ის ადამიანი, როგორ დააბიჯებს, მაგრამ რა გინდა, ამ ცოდვილ ქვეყანაზე მისნაირთაც გააქვთ ლელო. მახსოვს როგორ მიყვებოდი იმ დიაცის შვილზე, საკუთარივით გიყვარდა, გენატრებოდა კიდევ. მისმა დედამ კი ყველაფერი ტალახში ამოსვარა. ერთ-ერთ ლექსში მიმართე კიდევ: „არ იმრუშოო“. ნუთუ, შვილო, ამის პატიებაც შეგეძლო?!

შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ რამდენჯერ მინდოდა ჩემი ოჯახის დამაქცველ ამ ადამიანთან შეხვედრა, რათა თვალებში ჩამეხედა მისთვის, პასუხი მეპოვა იმ მტანჯველი კითხვებისთვის, მოსვენებას რომ არ მაძლევს, მაგრამ ვერ გავბედე, შვილო... ჩემი თავის მეშინია, ჩემი ემოციების მოთოკვისა... ვაითუ შეუფერებლად მოვიქცე. შენ ისე წახვედი, იმ ადამიანის სიყვარული თან წაიყოლე... და ალბათ, მე არა მაქვს უფლება — თუკი ადრე არ ვერეოდი თქვენს საქმეში, დაგვიანებული გადაწყვეტილება მივიღო, ანდა რას მომიტანს, შვილო, ეს შეხვედრა. ისიც ვიცი, გვერიდებოდი, გათხოვილი და შვილიანი ქალის სიყვარული გაემჟღავნებინა ჩვენთვის. მე და სანყალი დედაშენი შიშინი მოლოდინით შევყურებდით მოვლენათა მიმდინარეობას, ვერ შეგვწინააღმდეგეთ. გარკვეულწილად მგონია, ჩვენმა პასიურობამ დაგვლუპა...

ერთხელაც ვთქვი და ვიმეორებ: ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმეს ვუსურვო შვილის დაღუპვა. მშობლები შვილის სიკვდილს არ უნდა მოესწრონ, მაგრამ ასეთი რამ საუბედუროდ ხშირად რომ ხდება... და შენი წასვლის შემდეგ ყველაზე მეტი სულიერი მეგობრობა გამიმძაფრდა იმ ხალხთან, ვინც ჩემსავით გაუბედურებულია.

გია, შენ ღვთისმოსავი, მორწმუნე ადამიანი იყავი. ამ ქვეყნიდან წასვლის წინ გჯეროდა და სულ იმაზე წერდი, „ზეციურად ამაღლდება ჩემი სული და იქიდან ვილოცებ თქვენზეო“. ამას არამარტო ჩვენ

გვწერდი, შენთვის საყვარელ იმ ადამიანსაც უძღვნიდი. ნუთუ მის სულსაც უნდა ერგოს ზეციური ამაღლება? ნეტა რა უნდა გიპასუხოთ? რით გაიმართლებს თავს ვერაგობის გამო? არა, შვილო, იქ, სადაც შენი უმანკო სულია, რა უნდა მას?

ჩემო გია, ყოველთვის მიჭირს შენთან წერილობითი დიალოგი, თავს მხოლოდ აზრობრივი საუბრით ვინუგეშებ, რახან კალამს მოვკიდე ხელი, სიტყვა სიტყვას მიჰყვა და ამიტომაც გამიგრძელდა ეს გასაუბრებაც... არადა, სულ სხვა რამ უნდა მეთქვა: ალბათ, სულ მალე გამოვა ჩემი მესამე წიგნი — „ჩემი ცხოვრების აღმართი“ მინდა ვუწოდო.

მას შემდეგ, რაც შენს ბინაში, ლონდონში მივაკვლიე შენს ლექსებს და პროზაულ ნაწარმოებებს, შევკრიბე და გამოვეცი ცალკე წიგნებად ქართულ და რუსულ ენებზე (მაინც ვალში ვარ შენი ხსოვნის წინაშე, ჯერჯერობით მოსამზადებელია შენი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაწერილი ინგლისურად, იმედია ღვთით, ამასაც შევძლებ... შემდეგ, შემდეგ...).

ასე რომ, შვილო, დანაპირები შევასრულე და დაგინერე ის, რაზეც სიცოცხლეში შემიპირე. დავასრულე მემუარები, აღვწერე ჩემი ბავშვობა, ჩემი ეზოს ცხოვრება, ჩემი ახალგაზრდობის წლები, როგორც შევძელი, ისე გავაცოცხლე თბილისის შორეული წლების სურათები და ამით გავასრულე ჩემი მოგონებები, ლიტერატურასთან მოკრძალებით ნაზიარები. მადლობა ღმერთს, რომ ამის საშუალება მომეცა, რადგან შენი წასვლის შემდეგ რამდენჯერმე თითქმის კლინიკური სიკვდილის წამებში ვიმყოფებოდი, შემდეგ თითქოსდა ღრმა ძილიდან მეღვიძებოდა და აი, კიდევ ცოცხალი ვარ, რათა შენი სული დავაურვო, მოყვარეს სიკეთე ვუდასტურო.

როცა თბილისში ცხოვრობდი, თუ გახსოვს, ყოველ წელს ჩამოვდიოდი შვებულებით, შემდეგ უფრო ხშირად ლონდონში ვხვდებოდი. თბილისში დღეს მხოლოდ შენი საფლავია — მე და დედამ უფრო მეტად მოვუხშირეთ აქ სიარულს. სასაფლაოზე დაგხედოთ და გესაუბროთ, ესლა დაგვრჩენია მხოლოდ... მხოლოდ ეს...

ჩვენი ბინიდან, რომლის ნახვას შენ ვერ მოესწარი და, ჩვენდა საუბედუროდ, იქიდან გავასვენეთ, შესანიშნავი ხედი იშლება მთაწმინდისა და კუს ტბის შემაერთებელი ფერდობისა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილა ერთი თუ ორსართულიანი ძველი თბილისის (ვერის და ვაკის) მობინადრეთა სახლები. ქალაქის ურბანიზაციის თანამედროვე მაჯისცემა ამ პატარა კუნძულებივით შემორჩენილ სახლებს დღეებსლა უთვლის.

ჩვენი აივნიდან მკაფიოდ ჩანს ე.წ. იტალიური (უფრო სწორად, ძველი თბილისური) ეზო, იმ ჩემი ბავშვობის ანალოგი — გარშემო ერთი და ორსართულიანი სახლებით შემოსაზღვრული ოთხკუთხედი სივრცე. მაგრამ რად გინდა? თუ გარესამყაროს შემეცნებით ამ ეზომ ჩემი ბავშვობა გამახსენა, დროთა განმავლობაში, ალბათ, მოქალაქეთა კერძო საკუთრებისაკენ მიდრეკამ თუ ტაციობამ გამოიწვია, რომ თითქმის მთელი ეზო დანაწევრებულია ხის თუ რკინის ბადეებით, ყოველი ბინისთვის რკინის ან ხის კიბე მიუშენებიათ საკუთრად, რკინის გისოსებიც შემოუყოლებიათ. გასაკვირი არაა, რომ ამ „გუბერსკის“ ციხის პატიმრების სასაფლაოს მსგავს ეზოში სამად-სამი ნაყოფიერი ხელა ხარობს; პალმაც ჩაურგავთ. ერთი ხე ლელვისაა და ორიც კარალიოკისა. აგერ უკვე ორი თვეა შესანიშნავი მსუყე ფერადოვანი კარალიოკებით დახუნძლულა ტოტები და ხელს არავინ ჰკიდებს, არავინ კრეფს...

შემანუხა ნაყოფისადმი ამგვარმა უპატივცემულობამ, გამოვიკითხე და აი რა შევიტყვე მეზობლებისგან: 4-5 წლის წინათ თურმე ეზოს მცხოვრებლებს საშინელი ჩხუბი და არეულობა მოსვლიათ კარალიოკის გამო. ამ ჩხუბში პოლიცია რომ არ ჩარეულიყო, თურმე დაკლავდნენ ერთმანეთს (თუმცა ერთი ახალგაზრდა დაუჭრიათ). იმ ამბის შემდეგ არავინ აღარ ეკარება ხეებს.

ჩაიარა ოქტომბერმა, ნოემბერმა, მოუსწრო დეკემბერმა, ყინვამაც მოუჭირა და მნიფე ფერადოვანი კარალიოკი ჯერ გაიყინა, შემდეგ ფერმკრთალი გახდა, მაგრამ ასე წარმოიდგინეთ, თითქოსდა ჯინაზე არ დალპა და ხიდან მაინც არ ცვივა. ამ ხესთან ხშირად მიფრინდებიან ჩიტები, მტრედების მსგავსნი, თავფოფორები (ჩემდა სასირცხვილოდ, მათი სახელი არ ვიცი).

არადა, ყოველივე ნაყოფი იმიტომ შექმნა მაღალმა ღმერთმა, რომ ადამიანმა იგემოს და არ დააღპოს!!!

იმ ეზოში ხშირად ვუყურებ 5-დან 10 წლამდე ასაკის მოზარდებს, არცთუ ცოტანი არიან, არც მათგან მინახავს, ხეებზე ასულიყვნენ პირის ჩასატკბარუნებლად. ეგ კი არა, რალაც უცნაურად დალასლასებენ ეს ბავშვები... არავითარი ნიშანწყალი ბავშვობისა თუ მხიარულებისა არ ეტყობათ. დილას ჩანთაგადაკიდებულნი მილასლასებენ სკოლაში და შუადღეს ასევე ღონემიხდილები ბრუნდებიან თავიანთ სახლებში. ჩემდა საუბედუროდ, ამ პატარა წლოვანების, მაგრამ სულიერად დაბერებული თაობის გამომეტყველებასა და ქცევაში სიცოცხლის სიხარული, სიმკვირცხლე და სისხარტე სრულიად ნაშლილა. ჩემს ბავშვობის ეზოში კი თითქმის ყველას ფანჯარა ღია იყო, ზამ-

თარ თუ ზაფხულ, ყველას ოთახიდან გაისმოდა სიმღერა და აჭრილი მუსიკის ჰანგები, ხალისიანი და სევდიანი მეგრული იავენანა თუ კუჩხი-ბედნიერი, კახური მრავალჟამიერი და ოსური სინდი, აზერბაიჯანული ბაიათები... ხანდახან ერთმანეთში რომ ირეოდა, გამაყრუებელიც იყო, მაგრამ ძალუმად ფეთქავდა სიცოცხლის ძარღვი; ქვევით ეზოში (სულ რაღაც ალბათ 50 კვ. მეტრ სივრცეში) ბავშვები ხან ფეხბურთს ვთამაშობდით ნაჭრის ბურთებით, ხან ფრენბურთს. იმდროისათვის ძვირადღირებული მინის შუშებიც ჩაგვიმსხვრევია, მაგრამ მთელი ეზო იყო ერთიანობით მტკიცე, ერთმანეთით ძლიერი.

იქ, იმ ეზოში გავიზარდეთ მე და ჩემი ძმა ანზორი, ჩვენი კარის მეზობელი ბიჭები. იმ ეზოდან გამოვედით ცხოვრების ასპარეზზე.

დღეს, მართალია, აღარცერთი ჩვენთაგანი იქ აღარ ცხოვრობს, მაგრამ იმ პატარა ეზოდან დიდი ცხოვრების საგზური მიიღეს: ერთმა პროფესორმა, ორმა ექიმმა, სამმა ინჟინერმა, ორმა პოლკოვნიკმა და, ასე წარმოიდგინეთ, ერთმა გენერალმა.

დღეს ყველაფერი გადასხვაფერებულია. რას ვიზამთ, ცხოვრებამ მოიტანა. გაჩირაღდებულია რუსთაველი. ძვირფასი ქვითაა მოკირწყლული რუსთაველის გამზირი, ჭადრების უმრავლესობა დაჭრეს, რაც დატოვეს, ისინიც ქვებით შემოფარგლეს, კაფე-ბარები და ძვირადღირებული ბუტიკებით (როგორც მილანშია) „დაამშვენეს“ იქაურობა, სადღესასწაულოდ „ბროლის“ ჭაღებიტაც აბრწყინებენ, გააუქმეს საფირმო მაღაზია „ლალიძის წყლები“ — ერთ დროს თბილისის ერთადერთი საბარათო ნიშანი. სად არ მოისმენდით თბილისში ნამყოფი უცხოელის აღტაცებულ სიტყვებს: როცა იხსენებდნენ ნარიყალას, გოგირდის აბანოებს, ბოტანიკურ ბაღს, მეტეხის ციხეს, იქ აუცილებლად დასძენდნენ მონატრებით: „да, а также был(а) на Руставели, выпил(а) несколько стаканов (крушонного, апельсинового, кизилового) воды Лагидзе и съел(а) хачапури. Этого я никогда не забуду“, მაგრამ რას ვიზამთ, ადრე თუ გვიან, ალბათ, ეს უნდა მომხდარიყო.

დღევანდელ მსოფლიო გლობალიზაციისა თუ ურბანიზაციის პირობებში, ალბათ, კანონზომიერიცაა. მაგრამ წარმოგიდგენიათ პარიზი ეიფელის კოშკის გარეშე? ან ლონდონი პიკადილის გარეშე, ან ბერლინი უნტერ დენ ლინდენის გარეშე, ან რომი კოლიზეუმის გარეშე? დარწმუნებული ვარ, ვერ წარმოგიდგენიათ, რადგან ეს მეგაპოლისები უამყველაფროდ დაჭრილ ფრინველებს მოგვაგონებენ, ალბათ. ისეა თბილისი, თავისი ლალიძისა და ბორჯომის წყლების მაღაზიების გარე-

შე. დიახ, შეიძლება „ლაკირებული“ რუსთაველი თუ პლექსანოვი ბევრს მოსწონს, მაგრამ მე ისევ იქა ვარ, ჩემს 50-იან-70-იანი წლების თბილისში. ფიქრებით ჩემი თაობის რუსთაველზე დავსვირნობ...

ვისხენებ ყოველ ჭადარს, ჭადართან შეკრებილ სამეგობროს — ხალისიანსა და სიცოცხლისმოყვარე ადამიანებს...

რამდენჯერ მიფიქრია მოგვიანებით, ნეტა რა გვამხიარულებდა? არცერთი ვიყავით შემოსილი კარდენისა თუ პაზოლინის კოსტიუმებით, არც ჩვენს გულისსწორებს ეცვათ გალიანოს ძვირფასი სამოსები, ჯიბეებშიც მართლა გროში გვიჩხრიალებდა, ერთ კათხა ლუდს რომ ეყოფოდა, მაგრამ ვიყავით ბედნიერები, ცხოვრება გვიხაროდა, შევხაროდით სიცოცხლეს. დღესაც ვერ გამიგია, რა ფენომენი გვანიჭებდა სიხალისეს? ალბათ ის, რომ არ ვიყავით ჩათრეული საინფორმაციო ჭაობში, რაც დღესაა: არეულია ინფორმაცია იაპონიაში მომხდარი მიწისძვრისა თუ მაღალიზის ცუნამისა, ავღანეთის თუ ერაყის ომებისა, ნიუ-იორკის 11 სექტემბერი ან ნორვეგიელი შეურაცხადის ბრევიკის ჩადენილი ტერაქტების შესახებ. არ გვალეღვებდა დოლარისა თუ ევროს კურსის ცვალებადობა. იდეოლოგია კი მძლავრობდა იმ დაკარგულ ქვეყანაში, მაგრამ არ ყოფილა ამხელა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის. არ იყო ამდენი ხელი გამონვდილი სამათხოვროდ, რაც დამთრგუნველია ყველასთვის, ვისაც ამის დანახვა და გულთან მიტანა შეუძლია...

ახლა ვინ განსაჯოს, რომელი თაობა უფრო ბედნიერი იყო თავისი ცხოვრების წესით — დღევანდელი თუ გუშინდელი?!

იქნებთან კი დღევანდელი ბავშვები საერთოდ ბედნიერნი, როცა ქუჩაში მარტონი ვერ გასულან, რადგან მანქანები არა მხოლოდ გზატკეცილებზე, არამედ უკვე ტროტუარებზე დაქრიან? ჩვენი ყმანვილები მთელი დღე ან ტელევიზორს უყურებენ, ან კომპიუტერთან არიან მიჯაჭვულნი, სკოლებში კი 4-5-ის ნაცვლად 7-8 გაკვეთილი უტარდებათ. 5 წლიდან იწყებენ სწავლას, დაარბენინებენ სხვადასხვა წრეზე თუ კერძო მასწავლებელთან ბავშვობანართმეულ ჩვენს ყმანვილებს.

ასე უგემურად გაარბენინებენ ბავშვობის წლებს, მერე ზერელე განათლებით დაბიჟინებულნი, გულგაციებულად დაეპატრონებიან ქვეყანას ეს მცირედნი, უმრავლესობა კი ნელ-ნელა და თანდათანობით ჩაიფერფლება ცხოვრების პირისპირ ჭაპანწყვეტაში, უსიყვარულოდ და უსიხარულოდ.

მაინც სადაა გამოსავალი? ვინ გვანუგეშებს?

## ჩემი ცხოვრების აღმართი

საინტერესო და შეუცნობელია ცხოვრება ადამიანისა. არანაკლებ საიდუმლოებას იტყვის მისი მეხსიერება. ვერავინ იტყვის დამტკიცებულად, როდის იზადება ადამიანი, მაშინ, როდესაც დედის მუცლიდან მოევლინება ქვეყანას, თუ მაშინ, როდესაც გონებრივად მომწიფებულის თვალებით შეხედავს ცხოვრებას. აღმოაჩენს მისთვის ათას, ჯერ კიდევ უცნობ მოვლენათა მიმდინარეობას, მათ კანონზომიერებას, უწყვეტობას...

რა არის ის პირველი ინსტინქტი, რომელიც შემდეგში ადამიანად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს? ჩვენი აზრით, ეს დედაა, მისი მკერდი, მისგან მიღებული ტკბილი დედის რძე, რომელიც ახალშობილის ცხოვრებას გარკვეულ სტიმულად ექცევა, და ასე გრძელდება დღითიდღე, დაძინებიდან გაღვიძებამდე, თვალის ახელიდან — სამუდამო მიძინებამდე...

გავა სულ ცოტა ხანი, 2-3-4 წელი, ახალი შემეცნებანი, სამყაროს ახალი შესწავლის სურვილი თავისას გაიტანს და გუშინდელი ჩვილი უკვე დაიწყებს პიროვნებად ჩამოყალიბებას... თუკი ტერმინებს გადავადგილებთ, მაშინ, ალბათ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, აი აქ, ამ დროს იზადება ადამიანი თავისი ხასიათის თვისებებით, ჩვეულებებით, განწყობით და ყოველივე ეს ხდება მისგან დამოუკიდებლად, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა თუ წარმოშობის სოციალური პირობისა.

ალბათ, ჩემი ბავშვობის პირველი აღქმა ის იყო, რომ ვცხოვრობდით ძველ თბილისში, აბანოთუბნის მე-7 აბანოსთან. მაშინდელ გოგირდის აბანოთაგან დაახლოებით ათზე მეტი იყო ამ უბანში, დაწყებული ერეკლეს აბანოდან, დამთავრებული ჩვენი, მეშვიდე აბანოთი. იქვე იწყებოდა აღმართი, მგზნებარე სომეხი ბოლშევიკის მიასნიკოვის სახელობისა. აი, ამ აღმართის ბოლოს, მარჯვენა მხარეს იყო ტიპური თბილისური ეზო (და არა „იტალიური“), მოგვიანებით რომ დაერქვა, მოდის ანგარიშგანევით, ნამდვილ დედაქალაქურ ეზოებს. იქ იდგა ციხესიმაგრესავით ოთხივე მხრიდან აგურით ნაშენები ორსარ-

თულიანი შენობა, რომელსაც მცირე, ალბათ, 50-60 კვ. მეტრის შიდა ეზო ჰქონდა. თითო სართულზე დაახლოებით 11-12 ოჯახი ცხოვრობდა, თითქმის ყოველ ოჯახს თითო ოთახი ეკავა საცხოვრებელ ფართად (ორი თუ სამი ბინა იყო ოროთახიანი ან წინ პატარა და კოხტა „შუშაბანდით“), რა თქმა უნდა, ეკონომიკურ-სოციალური სტატუსით საცხოვრებელი ფართი სხვადასხვა ოჯახს სხვადასხვანაირი ჰქონდა. ჩვენი კუთვნილი ოთახი 14-15 კვ. მეტრისა იყო, ზოგისა — 20-25. იშვიათად 30 კვ. მეტრითაც განსაზღვრული, ასე რომ, სოციალური თანაფარდობა ამ ეზოში საკმაოდ იკვეთებოდა. ერთადერთი უპირატესობა, რომელიც ჩემს ოჯახს გააჩნდა, ალბათ ის იყო, რომ პრესტიჟულად მიჩნეულ მეორე სართულზე ვცხოვრობდით, რომელსაც შუა სიგრძეზე გასდევდა აივანი და შიდა ეზოს გადმოჰყურებდა, 2 ან 2 მეტრ-ნახევარი სიგანის ე.წ. ბალკონებზე ჩამწკრივებული, ჩიტის გალიების მაგვარი ჩვენი „ბინების“ შესასვლელი კარი, ძირითადად ფანერის ან თხელი ხის მასალისგან შეკრული. მათი უსახური ერთფეროვნება დანახვისთანავე გაფიქრებინებდათ, რომ შემოდგომისა თუ ზამთრის ცივ დღეებში, დიდი სხვაობა არ იქნებოდა, შენს ოთახში (ბინაში) იყავი შეყუყული თუ გარეთ, სამეზობლო „ბალკონზე“ გეძინა. ზამთრის სუსხი დაუბრკოლებლად აღწევდა ჩვენს სასთუმლამდე. ჩვენი ბინები თუ თებოდა მხოლოდ ე.წ. „კერასინკებით“ (აგრეთვე, რა თქმა უნდა, ეს იყო საქმლის მომზადების ერთადერთი საშუალება. ძალიან ვნანობ, რომ დაუდევრად მოვიქეცი და საბჭოთა დიზაინის ეს მძიმე ნიმუში არ შემოვინახე. მგონია, ნამდვილად დაამშვენებდა ახლანდელი ჩემი ბინის ინტერიერს თუნდაც როიალ „Roinishis“ გვერდით მიდგმულიყო. დარწმუნებული ვარ, ანტიკვარული ნივთივით მოჰგვრიდა სიამოვნებას ოჯახის ნებისმიერ სტუმარს და ჩემს ნოსტალგიასაც მალამოსავით მოეცხებოდა. ერთადერთი, რაც შევინარჩუნეთ ბოლო წლებამდე, „ლამპის შუშაა“, რომელიც დაახლოებით 1947-48 წლამდე ჩვენს ბინაში ღამის წყვდიადს აფრთხობდა და სიდუხჭირეს მოფარფატე ლანდებივით დააბორიალებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ „კერასინკას“ და „ლამპის შუშას“ მეტისმეტად ვზოგავდით, რადგან ნავთი ძვირად ფასობდა. თუმცა იქვე კი იყიდებოდა, რალაც 200 მეტრში. მენავთეს მამედა ერქვა და სანამ ასეთი წერტები იყო თბილისის ძველ უბნებში მოფენილი, მამედაც სულ ამ საქმით ირჩენდა თავს. მახსოვს, როგორ ჩავმწკრივებოდით „ვედროებით“ ან „ნავთის ბიდონებით“ (ასეთი ჭურჭელი, მჭიდრო სახურავმორგებული, ყველა ოჯახს არ გააჩნდა, ძნელად იშოვებოდა და ბევრისთვის

ხელმიუწვდომელი იყო. მენავთე მამედა, რამდენადაც მახსოვს, გამჭრიახი იყო, დიდი ფსიქოლოგიური ალლოთი გამოირჩეოდა. უბანში თითქმის ყველას სცნობდა, იცოდა ვინ რითი სულდგმულობდა. მე მუდმივი კლიენტი გახლდით, რადგანაც დაუზარებლად და მკვირცხლად ვეგზავნებოდი ხშირად მეზობლებსაც ნავთის მოსატანად). სარდაფში რამდენიმე ონკანიან რკინის კასრში ინახებოდა სანვავი. ონკანიდან გადმოღვრილ ნავთს თუნუქის მოზრდილ ტოლჩებს უხვედრებდა ჩვენი მენავთე და ძირს აღარ ეღვრებოდა, პატარა-პატარა ავზებში აკავებდა. მამედასთან რომ მოხვედრილიყავი, 20 ან 30-კაციანი რიგი უნდა მოგეთმინა, არასოდეს დამავინყდება სცენები, იქ რომ თამაშდებოდა. ჩვენი მამედა თავისი საქმის დიდოსტატი და არტისტული ნიჭით დაჯილდოებული კაცი გახლდათ, აუცილებლად მოგესალმებოდა, მოიკითხავდა ოჯახის წევრებს, ბებიას, დედას, აინტერესებდა როგორ სწავლობდი და სხვა. თქვენ წარმოიდგინეთ, „ვედროთი“ თუ „ბიდონით“ ხვდებოდა, ვისი ნავთისათვის ვიყავი მისული. აკი მოგახსენეთ, ყველას ზეპირად სცნობდა-მეთქი და ასევე ჩვენს ეზოში მცხოვრებელთ თითქმის უკლებლივ ჩამოგიტოვლიდათ, იცოდა ვის უჭირდა, ვის ულხინდა. მაშინ ჩვენს ეზოში ბინადრობდნენ პურის ქარხნის დირექტორი, პურის მალაზიის დირექტორი, მკერავი და სხვა — ცხოვრებაში გამოსადეგი ხელობის ხალხი, რომლებიც ჩვენთან შედარებით როკველერები იყვნენ...

მამედა ბიძიას ყოველთვის აზერბაიჯანულად მივესალმებოდი ხოლმე, რაც ძალზე ახარებდა, ჩემი მუსლიმური სახელიც მოსწონდა, შემდეგ დახედავდა ჭურჭელს, რითაც ვიყავი მისული ნავთისათვის, თავისთვის გაელიმებოდა და მეტყოდა: „ჯემალ-ჯან, კარგი ბიჯი ხარ, კარგ კაცად გაიზრდები, ყველას ეხმარები...“ და მიაყოლებდა: „ეს ბიდონი ალბათ ვანოსია არა? (პურის მალაზიის დირექტორი) ანდა ეს ვართუშასია არა?“ (იყო ჩვენს ეზოში ერთი გაქართველებული სომხის ოჯახი). ნავთის ჭურჭლის მესაკუთრის ამოცნობის შემდეგ იწყებოდა მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება: თუ შეძლებული მეზობლის ბიდონში ასხამდა ნავთს, თავისი ერთი თუ ორლიტრიანი ტოლჩით, ისე ოსტატურად გამორწყავდა, 5-დან ნახევარლიტრს აზარალებდა და თანაც ისე, „სამეცნიერო“ გამოკვლევებითაც ვერ გაამტყუნებდნენ. აღარც ეკამათებოდნენ გაცურებულნი. ღარიბთათვის დანაკლისი 100-150 გრამით განისაზღვრებოდა. აი, ასეთი გულმონყალე და სამართლიანი იყო ჩვენი მამედა. იქვე სანავთე წერტთან ახლოს ცხოვრობდა, სარდაფში, კიბის ათიოდე საფეხუ-

რი უნდა ჩაგველო, რომ მასთან მისულიყავი. მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდა: ხუთი თუ შვიდი შვილი, მეუღლე, კეთილი და გამრჯე დეიდა ზაირა, მეზობლებთან გამორჩეულად თავაზიანი ქალი. ხშირად ყოფილა სანავთე დაკეტილი, თუნდაც უდროოდ, სამუშაო საათებში შინ თუ მიაკითხავდით, არასოდეს გეტყოდათ უარს. მოჰყვებოდა უცნაურ დუდუნ-დუდუნს: „აბა ეხლა კი მეზარება, მაგრამ ნავთი ისეთივე აუცილებელია თქვენთვის, როგორც „ბუხანკა“ პური“.

ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ ჩემი და ბიძია მამედას ურთიერთობიდან:

ერთხელ მეზობელმა, პურის ქარხნის დირექტორის მეუღლემ, ექიმმა ქალბატონმა, პროფესიული სიამაყე, გარკვეულწილად ქედმაღლობის უფლებას რომ ანიჭებდა, მთხოვა, მიმეტანა მათთვის ნავთი, თანაც ისეთი ახალი ბიდონი გამატანა — გაკრიალებული, სუფთა, უჟანგავი თუნუქისაგან დამზადებული, სიმბოლო ოჯახური უპირატესობისა. ჩვენს ჩაჟანგულ ვედროებს თუ ბიდონებს, რომ იტყვიან, აღარც შეეხედებოდა. ვალიარებ, ამ ოჯახის სურვილებს ყურმოჭრილივით არ ვითვალისწინებდი და არც ხალისით ვეგზავნებოდი, მაგრამ ქედმაღალმა ექიმმა, დეიდა ვერიჩკამ, ჩემი დასაქმება ბებიაჩემ მართას შეასახელა. ასეთ დროს უფრო ბებიის თხოვნით თუ ბრძანებით მივდიოდი, რადგან მისი განსაკუთრებული ხათრი მქონდა, უარს ვერ შეეკადრებდი.

ერთი სიტყვით, აპრიალეული თუნუქის ბიდონით მივედი მამედასთან 7-8 წლის ყმანვილი... ჩვეულად მივესალმეთ ერთმანეთს აზერბაიჯანულად, გავემუსაიფეთ, შემდეგ დავუდე წინ ახალთახალი უჟანგავი თუნუქის ბიდონი. ჯერ არც შეეხედა, მოამზადა თუნუქის ძაბრი, თუნუქისავე ტოლჩა. ვუთხარი ვისაც გავეგზავნე, რამაც საკმაოდ გაახალისა (მიზეზი ადრეც მოგახსენეთ, საკუთარი „არშინით“ უყვარდა გამოზომვა) და... ოი, საოცრებავ, რომ დაინახა ახალი ბიდონი, ძაბრი და ნავთის ტოლჩა ხელებში გაუშეშდა, მთელი მისი შემართება, მოულოდნელობისაგან გაკვირვებული და გაფართოებული თვალები „ხელოვნების“ უცნაურ ნიმუშზე იყო მიპყრობილი, შემდეგ ხელში აიღო, კიბესთან მივიდა, რათა დღის მკრთალ სინათლეზე, სარდაფში რომ აღწევდა, დაეთვალიერებინა ეს საგანი. არ დაეზარა, აირბინა კიბე და ცოლს გასძახა: ზაირა-ჯან, ჯალ ბურა, ჯალ ბურა. ზაირა, მოდი, მოდი ჩქარა, რა განახლო. მეც, რა თქმა უნდა, ავყევი მამედას ზემოთ, ამასობაში ხანუმა ზაირაც ამოვიდა სარდაფიდან გულგახეთქილი. ალბათ შეეშინდა, ხიფათი ხომ არ შეემთხვა ოჯახის მამა-მარჩენალსო. კარგა ხანს ატრი-ალეს ხელში ეს ბიდონი, გამვლელი თუ მეზობელიც ჩაერივნენ საქმეში.

ყველამ აღიარა ბიდონის ღირსება (მთავარი ის იყო, რომ ტრანსპორტირებისას ნავთი არ გადაგეღვრებოდა, რაც ვედროთი ყოვლად შეუძლებელი იყო). როგორც იქნა, ეს დისკუსია თუ აზრთა შეხლა-შემოხლა გასრულდა და მამედამ ჩამისხა 10 ლიტრი ნავთი — ამ ტევადობისა იყო — მე მოვასხენე, როგორც დამაბარეს. დიდად არ გაუხარებია ამგვარ დაზუსტებულ ინფორმაციას, რადგან მანევრირება-მოტყუების შანსი სრულიად ჩაეფუშა. ჩაასხა ათი ლიტრი, ხელით აწონა ბიდონი, რაღაც არ მოეწონა, მერე დაამატა ნახევარი ტოლჩა და პროფესიულად დაასკვნა: — ჯემალ-ჯან, აქ რაღაც შეცდომაა. ამ ბიდონში ალბათ სულ ცოტა (უყვარდა სიტყვა „მინიმუმ“) 12-14 ლიტრა ნავთი ჩადისო. დამაბარა ეს მეთქვა ქალბატონ ვერიჩკასთვის. ეს გოროზი ქალი, ჩემსავით, მამედასაც არ ეხატებოდა გულზე. სრულებითაც არ მიფიქრია, მენავთეს შევკამათებოდი, მე მხოლოდ მევალებოდა, ნავთი მიმეტანა ქალბატონ ვერიჩკასთვის.

თხრობის სისრულისათვის და მისი სიუჟეტური ხაზის განსაზღვრისათვის ერთი დეტალიც არ უნდა გამოვტოვო. უკვე, ალბათ, საღამოს შვიდი საათი იქნებოდა (სანავთე წერტი რვაზე იკეტებოდა), გამატანეს 30-მანეთიანი (იყო ასეთი კუბიურა გასული საუკუნის 40-იან წლებში, რასაც ხალხი სტალინის წითელ 30-მანეთიანს უწოდებდა). ამით იმის თქმა მიწინაა, რომ მამედა დილის რვა საათიდან უკვე გვარიანად გახლდათ დაღლილი. ისიც უნდა გავიხსენო, რომ ფული — 30 მანეთი — მანამ მივეცი, სანამ ის ჩვეულ თეატრალურ წარმოდგენას მომიწყობდა ახალი ბიდონის გამო. ერთი სიტყვით, დადგა ჩვენი დაშორების დროც და მამედა რამდენიმე წამით დაფიქრდა (ალბათ, იხსენებდა, რა მივანოდე ნავთის საფასურად). ისეთი „მეგობრობა“ გვაკავშირებდა მე და მამედას, რომ კითხვა აღარ შემომიბრუნა დასაზუსტებლად, გაალო კარადის უჯრა, სადაც ფულს ინახავდა. თვალში მომხვდა თითქმის პირთამდე ავსებული უჯრა, სადაც, რა თქმა უნდა, შეიძლება ჭარბობდა 3, 5, 10-მანეთიანები, ლითონის ფულიც, მაგრამ უფრო მეტობდა 30-მანეთიანები, 50-იანი და რამდენიმე 100-იანიც. ჩემი ბავშვური არითმეტიკული გათვლით თუ ცნობისმოყვარეობით ეს კაი გვარიანი თანხა იყო, რადგან ზედმინევენით ვიცოდი, სანყალი დედაჩემის ერთი თვის ხელფასი სულ რაღაც 79 მანეთს შეადგენდა. ამასობაში მიიღო რა გადაწყვეტილება მამედამ, იმის მაგივრად, რომ დაებრუნებინა ჩემთვის ხურდად 10 მანეთი, რაც მეკუთვნოდა (ერთი ლიტრა ნავთი 2 მანეთი ღირდა), ჯერ თვითონ გადაითვალა ხელში ერთხელ, მეორედ, მესამედაც და მომანოდა 30 მანეთი სხვადასხვა

კუპიურით. მერე მხარზე ხელიც მომითათუნა ჩვეულებისამებრ „სა-ლოლ ჯემალ-ჯან, იახში ოლილიო...“ ავიღე ბიდონი, ფული ჯიბეში ჩავიდე, მაგრამ ფეხები არ მემორჩილებოდა, თითქოსდა რალაც ზეციურმა ძალამ მიწას მიამაგრაო. არ გეგონოთ, ფეხსაცმელი მეცვა. ერთადერთი პარუსინის თეთრი ფეხსაცმელი მქონდა, მხოლოდ სკოლაში წასასვლელად და ამიტომაც თვალისჩინივით ვუვლიდი. ასე წარმოიდგინეთ, ფეხბურთსაც არასოდეს ვთამაშობდი ამ ფეხსაცმლით, რადგან მივიღე ერთხელ მწარე გამოცდილება: ვითამაშე ფეხბურთი ასეთი ფეხსაცმლით და 10-15 წუთში მარტივ მამრავლებად დაიშალა. მერე დედამ, ჩემმა საყვარელმა დედამ, ამის გამო ისე დამსაჯა, რომ ერთი საათი სკამზე ვერ ვჯდებოდი, ისე მქონდა საჯდომი განითლებული წენელისაგან. ბებია მართა რომ არა, მეგონა, დედამ სასიკვდილოდ გამიმეტა-მეთქი. სხვადასხვა დროს, დედის რისხვა რომ ამეცილებინა, ჩემთვის მრავალჯერ ნაცად ხერხს მივმართავდი-ხოლმე, ბებია მართას კოჭებამდე გრძელ კაბაში შევძვრებოდი.

ბავშვობაში ჩემი ონავრობის გამო ბევრჯერ ოჯახის ბიუჯეტი მიზარალებია, ხანდახან ვინმეს ფანჯარას ჩავამსხვრევდი, ხან ჩვენი ფანჯარა ჩამიტყდებოდა და მეც ვისჯებოდი... ბებიაჩემის კალთას ბევრჯერ გადავურჩენივარ. გავიტრუნებოდი, ხმას გავიკმენდი და გულისფანცქალით ყურს ვუგდებდი დედის და ბებუის შელაპარაკებას.

დედა: „ქომუჩი ჩიმი დიდას მავილარი ბალანაო“ (მომეცი ეგ საძაგელი დედის მკვლელი ბავშვი, ჯერ საკმაოდ ჭკუა ვერ მისწავლებიაო), რაზეც ბებია მეგრულადვე პასუხობდა (იმდენი მეგრულიც არ ვიცი, რომ ეს ზეპირსიტყვაობის ნიმუში პირწმინდად გადმოგცეთ). ბებია პასუხობდა დაახლოებით ასე: „ხომ არ გაგიჟდი, ქალო, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, არ დაგანებებ ბავშვსო“.

მანამ დედა არ დანყნარდებოდა, ბებიაც არ დათმობდა ბრძოლის ველს. მერე დედა გავიდოდა გარეთ, აივანზე, სულის მოსათქმელად, მანამდე ჩემს თავშესაფარს ვიყავი, თანაც თავზე, კაბის ზემოდან, ბებია მართას თბილი ხელები მეალერსებოდა და დამფრთხალ გულს მიამებდა.

სიტყვა გამიგრძელდა და ახლა ვიხსენებ ამას, რაც არ დამავინყდება ჩემი ცხოვრების განმავლობაში.

...მენავთე მამედაზე მოგახსენებდით. რამდენიმე წამით გასუსული რომ ვიყავი, უცბად, ჩემი ბავშვური გონებით, არითმეტიკული ანგარიშით მალევე მივხვდი, რომ საწყალ მამედას შეეშალა და ხურდა მეტი დამიბრუნა, ვიდრე მეკუთვნოდა. ძალა მოვიკრიბე და ვითომ

აუღელვებლად გამოვედი ქუჩაში. ფეხი არ ამიჩქარებია, ჩამოვიარე პატარა დაღმართი, შემდეგ სკვერში შევისვენე. დამიჯერეთ, არცთუ ისე ადვილია 7-8 წლის ბავშვისათვის 10-ლიტრიანი სავესე ბიდონის თრევა. ჩემი გონება ერთი ფიქრით იყო გაბრუნებული: რაღაცა ფული ვიშოვე ისე, რომ არ მიქურდია, არავინ გამიძარცვავს, იმ კაცმა, მართალია მოტყუვდა, მაგრამ თავისი სურვილით დამიბრუნა ხურდა, რომლის ნაწილიც უკვე მე მეკუთვნოდა, ჩემს გაჭირვებულ ოჯახს წაადგებოდა, ყოველი მანეთი და ერთი აბაზიც კი მომჭირნედ რომ იხარჯებოდა. ფიქრში გავანანილე, რომ დეიდა ვერიჩკას 10 მანეთი ეკუთვნოდა. გადავთვალე. 20 მანეთი მრჩებოდა, დედაჩემის ხელფასის ერთ მეოთხედზე მეტი. ეს კი მეტისმეტი საცდუნებელი იქნებოდა ნებისმიერი ჩემნაირი პატარა ბიჭისათვის. დავუბრუნე ხურდა ქალბატონ ვერიჩკას, მოვუყევი, თუ რა მოწონება გამოიწვია მისმა ახალმა ნავთის ბიდონმა. ისიც მახსოვს, რომ ვერიჩკამ მიმიპატიუა ჩაიზე და კარაქიან პურზე (იშვიათი ოჯახი იყო, სადაც კარაქით იკვებებოდნენ, ეზოში უმრავლესობა მარგარინს ინაცვლებდა). მაგრამ შეთავაზებაზე თავაზიანად ვუთხარი უარი, ქალბატონმა ვერიჩკამ, დიდი გაკვირვების დასტურად, ცალი წარბი აზნიქა. მიწვევა ალბათ ჩემს გასამრჯელოდ მიიჩნია, ნავთი რომ მივუტანე. მაგრამ იმისათვის სად მეცალა, ერთი სული მქონდა ბებიასთან მივსულიყავი, გამეხარებინა, ფული მიმეცა და ყველაფერი მომეყოლა დაუფარავად, გულწრფელად, რადგან ბებიას უნდა დაეჯერებინა ჩემთვის, რომ მე არ მიქურდია. მოგვიანებით, თუ ნებას მომცემთ, ბებიაზე ვრცლად მოგიყვებით, მაშინ მიხვდებით, რომ მასთან ეშმაკობა, მე კი არა, ალბათ არავის გამოუვიდოდა. მართა ჩიქოვანი, მტკიცე და შეუდრეკელი ხასიათის ქალი, ერთ დროს ამაყი, თავმომწონე, ზუგდიდში კარ-მამულის პატრონი გახლდათ, 3 ფაეტონი ემსახურებოდა და ათიოდე მოსამსახურე ჰყავდათ შინ. ახალ დროებაში თავდატეხილ სიღარიბეს არ დაუთრგუნავს. ღირსეულად თავმოყვარე და პატივმოყვარე დარჩა ბოლომდე. მახსოვს, როცა ბედის უკუღმართობით (მისი ქალიშვილისა და სიძის ქარაფშუტობით) მთელი სიმდიდრე ხელში სანთელივით შემოადნა და ძველი თბილისის აბანოთუბანში, გაუბედურებულ ქალიშვილსა და ორ შვილიშვილთან ერთადერთ 14-15 კვ. მეტრიან კოლოფივით ბინაში შეყუჟული ამთავრებდა სიცოცხლეს...

...სხაპასხუბით, მოჭარბებული ემოციებით მოვუყევი ბებიას ჩემი პატარა თავგადასავალი და ფული მის წინ, მაგიდაზე დავდე. მიხაროდა, რომ რაღაც ვიშოვე, არ მომიპარავს, არ მიქურდია და ეს მართა

ბებიასაც გაახარებდა. გახარება მინდოდა და მახსოვს, ერთი პირქუშად, მკაცრად შემომხედა. ჯერ მე გამსჭვალა თვალებით, მერე ფულს დახედა, რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შეკითხვა გამიმეორა, „ხომ არ მატყუებო?“ არა, შენ თვითონ არ გამიმოვი-მეთქი ნავთზე. თითქოსდა ბურუსში ჩაიძირა და უეცრად გამოფხიზლდაო. დინჯად, მაგრამ შეუვალი, კატეგორიული ტონით მითხრა: „...აიღე, შვილო, ეხლა ეს ფული, მის პატრონს მიუტანე და არამც და არამც არ უთხრა, რომ მე ამის შესახებ რაიმე მომიყვებო“.

ამას კი რატომღაც არ ველოდი. ბებიას შევხედე, თითქოსდა სახეზე რაღაც პირბადე აქვს ჩამოფარებულიო, მისი თვალები ერთ წერტილს, რაღაც სივრცეს მისჩერებოდნენ. ერთი წამოვიღულულე: „მე რა შუაში ვარ, თვითონ მომცა ეს ფული. რა, არ ვიცით, რომ ყოველთვის გვპარავს ნავთს-მეთქი“. სიტყვები არ დამამთავრებინა, ქეროში მწვდა, ნაშოვნი ფულით აივანზე მიბიძგა, უკან მიხედვის თავიც არ მქონდა. მომეჩვენა, თუ ეს ასეც იყო, რაღაც შინაგანი ამოძახილი, გულის გმინვა შემომესმა მისი და ერთი განწირული ფრაზა მეგრულად: „ვაი, შენ, უბედურო მართა, ამ დღესაც მოესწარიო“. რა ჩადო სანყალმა ამ გმინვაში, ვერ ამოვხსნი ვერასოდეს.

ჩუმად გამოვედი ეზოდან და ფეხათრევით მივადექი ჩემს „მეგობარ“ მამედას. ძლიერ გაუკვირდა ჩემი დანახვა: „...რა მოხდა ჯემალჯან, ვინმემ რამე ხომ არ განყენინა?“

და მოვუყევი რაც მოხდა, როგორ შეეშალა და გადმოაყოლა ხურდას ზედმეტი. სანყალმა ჯერ გამოშტერებულად შემომხედა, მერე მკითხა: „შენ რა, მეხუმრები?“

ავუხსენი: ხურდა მივუტანე ქალბატონ ვერიჩკას და ეს ოცი მანეთი დამრჩა, ახლა გიბრუნებთ-მეთქი.

ერთი კიდეც გაკვირვებით შემხედა, ისიც უფიქრია (როგორც მოგვიანებით მითხრა), ვინმემ ხომ არ მომიგზავნა ეს ბავშვი დასაჭერად ან გასამასხარავებლადო. შემდეგ ცას ახედა, ხელები ალაპყრო და შესძახა: „ო, ალაჰ, ამ ქვეყანაზეც დადის წესიერი ხალხი“, მერე მომი-ახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა, შუბლზე მაკოცა. თვალებში შევხედე. თითქოს დანამული ჰქონდა, მაგრამ თავი შეიკავა. ეს კი მითხრა: „სალოლ, სალოლ ჯემალ-ჯანო“. ნასვლა დავაპირე, რომ უკან შემაბრუნა, სკამზე დამსვა და მთხოვა: „მოდით, ჯემალ, ეს ყველაფერი ჩვენს საიდუმლოდ დარჩეს. ნუ მოუყვები მეზობლებს, თავი არ მომჭრაო“.

მართალი გითხრათ, ვერც გავიგე, რატომ იყო ეს მისთვის თავის-მოჭრა, მაგრამ არ შევეწინააღმდეგე, უსიტყვოდ დავეთანხმე... უცებ

რაღაცას დაუნყო ძებნა. საიდანღაც ამოაძვრინა 4-5 ლიტრიანი ბიდონი, ჩაასხა ნავთი და ასე მითხრა: „ჯემალ-ჯან, ეს შენია, წაიღე სახლში, გამოგადგებათ“. უარი არ გამივიდა, მოჰკიდა ბიდონს ხელი, ცალიც მე ჩამკიდა და ერთად გამოვედით ქუჩაში. იქ კი ხელი მაგრად ჩამომართვა და მადლიერებით მითხრა: „სალოლ, სალოლ ჯემალ-ჯან“.

და დაეშვა თავის სარდაფში.

ახლა ეს უბედურებალა მინდოდა? ბებიაჩემს ნაჩუქარი ნავთით მივდგომოდი სახლში, მაგრამ მეტი რა მექნა, არცკი ვიცოდი, რითი ამეხსნა მისთვის, მაგრამ ამის ფიქრის საშუალებაც არ მომეცა, სულ რაღაც 50 მეტრში ბებია მართა დავინახე, ხეს იყო ამოფარებული. რომ მივუახლოვდი, თვალცრემლიანმა ბოდიშიც კი მომიხადა და მითხრა: „რა ვქნა, ბოლომდე ვერ დავიჯერე, ფულს რომ დაუბრუნებდი, შემეშინდა, ცდუნებას არ აჰყოლოდი და ჩუმად გამოგყევი უკანო“.

რომ მოვუყევი, თუ როგორ დამაჯილდოვა მამედამ ნავთით, ხმა აღარ ამოუღია, ჩუმად გამომყვა, ნავთის ბიდონი ჩამომართვა და ხელჩაკიდებულნი დავბრუნდით შინ.

ალბათ, გამიჭიანურდა მამედას ეპიზოდი. არადა მთელი სიცოცხლის განმავლობაში დიდი სიხარულისა თუ მწუხარების ჟამს ბევრჯერ თვალწინ დამდგომია კინოკადრით, თუ როგორი გაკვეთილი ჩამიტარა ბებია იმ დროს. ამ პატარა შემთხვევამ ძლიერ დიდი გავლენა იქონია ჩემზე სხვადასხვანაირ ცხოვრებისეულ გადანყვეტილებათა მიღებისას.

მოუნყენრად მხოლოდ ერთს მიქადაგებდა ჩემი ბებია; თითქმის ყოველ წამს რომ მაფხიზლებდა და მაფხიზლებს ახლაც: „ჩემო შვილო, შენ ისეთი დედამამიშვილი ხარ, ისეთი კეთილშობილი, სახელოვანი წინაპრების შთამომავალი, რომ ბევრ რამეს, რასაც „ჩაჩნები“ (მეგრულად, დაახლოებით ბრბოს, დაბალი წარმოშობის ხალხს ნიშნავს) იკადრებენ, შენ არ უნდა იკადრო. ყოველთვის გახსოვდეს ეს ჩემი ნათქვამი. ისწავლე, იმუშავე, იბრძოლე არსებობისათვის და ყველაფერს მიაღწევ. ეს სიდუხჭირე, სიღარიბე, რომელშიც ახლა ვართ, დროებითია, შენი იმედი მაქვს, აუცილებლად აღადგენ შენი წინაპრების სახელს. იცოდე, სიღარიბე და სიმდიდრე მუდამ ერთმანეთს ენაცვლება და ადამიანზე დამოკიდებული, მისი ცხოვრების წესზე, რას მიაღწევს. გამდიდრების სხვადასხვა შესაძლებლობაა და ერთადერთი სწორი და მართალი, ცოდნის შეძენაა“.

ვერ ვიტყვი, რომ ზუსტად ამ სიტყვებით, ზუსტად ამ ფრაზებს მეუბნებოდა, მაგრამ მისი ლოგიკის მთავარი აზრი ასეთი იყო. ამასაც

გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ დიდ სიკეთესა და სიყვარულს ფანატიკურად მინერგავდა, მიზანმიმართულად...

მრავალი წლის შემდეგ, მითუმეტეს ხანში რომ შევედი (სიბერე მომეპარა), არაერთხელ მიფიქრია, ამეხსნა ბებია მართას ქმედება და ხასიათი. მგონია, რომ იმ ბავშვობის დუხჭირი წლებში ჩემს სულიერ განმტკიცებას ლამობდა, ცხოვრება კარგად შეესწავლა და სურდა, ჩემთვის მომავალისთვის ბრძოლის უნარი გამოენართო. ეშინოდა საწყალ ბებიას, რაიმე ცდუნებას არ ავყოლოდი, ცუდ გზაზე არ დავმდგარიყავი, რადგან კარგად ხედავდა და გრძნობდა, თუ რა გარემოში, რა პირობებში ვიზრდებოდით... ისეთი კი, მისი გაგებით „ჩაჩანი“ წესით ცხოვრებისა, მრავალი მაგალითი იყო ჩვენს უბანში, სულ რამდენიმე ნაბიჯზე ჩვენი ეზოდან, „ოხერ ბაღში“ მთელი დღის განმავლობაში ახალგაზრდები „ყომარს აგორებდნენ“, ტრამვაისა თუ ტროლეიბუსში გახშირებული იყო ჯიბის ქურდების „ოსტატობა“. ისიც უნდა ვთქვა, რომ „ყომარბაზები“ ხშირად აგზავნიდნენ ბავშვებს „ატანდაზე“ (მილიციის მიახლოებისას სიგნალის მისაცემად, სტვენისა ც ასწავლიდნენ „მონაფეებს“), მაგრამ ბებიას შიშით, უფრო სწორად, დამიჯერეთ, მორიდებით, ერთხელაც არ გამიხედავს მათკენ.

ბებია მართა ჩემი უახლოესი მეგობარი, ჩემი მოძღვარი გახლდათ და თავს ვერ მივცემდი უფლებას, ამ მეგობრობისთვის მეღალატა.

სიტყვამ მოიტანა და ნება მომეცით, ერთი-ორი ეპიზოდიც მოგიყვებოთ იმ ცხოვრებისეული ამბებიდან, 40-50-იანი წლების თბილისში, კერძოდ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტრამვაისა თუ ტროლეიბუსში რომ შეესწრებოდით. მახსოვს, ერთხელ ბებიამ გამგზავნა მწვანისათვის ჩვენს სახლთან ახლოს, „შაითან ბაზარში“ (ქართულად „ემმაკის ბაზარი“).

ამას ვიტყვი ხუმრობანარევად: ვისაც არ უნახავს თუ არ შეუხედავს ამ ბაზარში, ის ნუ დაიჩემებს, ძველი თბილისელი ვარო.

„შაითან ბაზარი“ ახლანდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისში იყო, მეტეხის ხიდის წინ მდებარე მოედნის მარცხენა მხარეს, პატარა თალოვან ბორცვზე, მარცხნივ ეკლესიას ემიჯნებოდა, მარჯვნივ ვიწრო აღმართოვან ქუჩას, რომელიც კომპაქტურად დასახლებულ ებრაელების უბანში იჭრებოდა. ამ თალოვანი ბორცვის შუაში რკინის ბოძზე ეკიდა მრგვალი საათი. აი, ეს სივრცე იყო ბოჰემურად ხმაურიანი, აღმოსავლურ-მუსიკალური ინსტრუმენტების ხმა წინმდებარე მოედანსაც ავსებდა. აქ იყიდებოდა ყველაფერი: ქორფა მწვანელი, ხილბოსტნეული, ხორცის ნაირსახეობა, თევზეული. აგრეთვე იშოვიდი

სამხედრო გაცვეთილ შინელსა თუ ფარაჯას, ჩექმებს, ღილებს, ერთი სიტყვით, საბაზრო საქონლის იშვიათ მრავალფეროვნებას. ყველაფერს ვერც ჩამოთვლი, რადგან აქ გამოჰქონდათ სახლიდან ის, რაც ან არ სჭირდებოდათ ან გაჭირვების გამო ჰყიდდნენ.

ერთი სიტყვით, იყო ზრიალი და ბარტერული გარიგებანი: ტელეგრეიკა — ქათამსა თუ ბადრიჯანში, ან პომიდორსა თუ კიტრში. ამბობენ და მინახავს თეატრალურ წარმოდგენებში უფრო ძველი, მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისის ბაზრობები კინტოების შეძახილებით, მათი ენამოსწრებული თბილისური იუმორით, მაგრამ ის, რაც აქ, ამ პატარა სივრცეში, „მაითან ბაზარში“ ხდებოდა, იყო დაუვინყარი, განუმეორებელი: ალებ-მიცემობა, ვაჭრობა, გასაყიდი საქონლის რეკლამირება, არცთუ ისე იშვიათად ჩხუბიც გაჩაღებულა.

ბაზრის ზედა რიგი მეღვინეებს ეკავათ, გამოდგმული ჰქონდათ ღვინის კასრები, გამვლელებს ინვევდნენ შეძახილებით: „აბა დალიეთ ენისელი“, „აბა კახური თუ ალადასტურიო“. იქვე, მეღვინეებთან ახლოს იდგნენ ქუჩის მომღერლები, თარსა და ზურნაზე დამკვრელები. საიათნოვას თუ იეთიმ გურჯის ტკბილად გაბმული ბაიათებით არ-თობდნენ მოვაჭრეებს. არცთუ ისე იშვიათად, იმავე მომღერლების რეპერტუარი გადადიოდა აზერბაიჯანული თუ სომხური სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშთა შესრულებაზე... ახლა, როდესაც მიიწურა თითქმის ექვსი ათეული წელი იმ შთაბეჭდილებებიდან, როცა მოვხედები ხოლმე თბილისის ამ ძველ უბანში, ფეხით ჩავუყვები ლესელიძის ქუჩას, მივალ ახლანდელ პატარა მოედანთან, გავჩერდები, ავხედავ მეტეხის ციხეს, რომელიც ჩემს ბავშვობაში ასე ლამაზად და მტკიცედ არ გამოიყურებოდა. ციხის გარშემო სხვადასხვა შენობა იდგა. ცოტა ქვემოთ ორი პატარა ხიდი იყო, რომელთა შორისაც, ქარვასლებთან ახლოს, უძველესი მეჩეთი. ამბობდნენ, მე-16 საუკუნისაა, შაჰ-აბასის მიერ აშენებულიო. სიმართლე უნდა ითქვას, ეს ნაგებობა მართლაც არქიტექტურული ქმნილება გახლდათ, მრავალფერადი მოზაიკით შემკული გუმბათით. მერე როცა არაერთ აზიურ თუ აფრიკულ ქვეყანაში მინახავს მეჩეთები, ჩვენი, თბილისური, ყოველთვის უკეთეს არქიტექტურულ ქმნილებად მიმიჩნევია და მიმაჩნია დღესაც. ისიც ვიცი, და არც ისე ძნელი მისახვედრია, თუ რატომ ააშენა შაჰ-აბასმა, სულ რაღაც 50 მეტრში სიონიდან, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, პირადად, როგორც თბილისელს, ის უფრო გამეხარდებოდა, მეჩეთი კომუნისტებს არ დაენგრიათ. თბილისის ეს ულამაზესი უბანი უფრო მომხიბვლელი იქნებოდა.

ერთი ლეგენდა, უფრო სინამდვილე, მსმენია ამ მეჩეთზე: როდესაც მუშებმა დაიწყეს მისი დანგრევა, მინარეთზე ასულა მოლა, უკანასკნელად წაუკითხავს ლოცვა, შემდეგ მუსლიმური გალობა შეუსრულებია და მტკვარში გადამხტარა. იმასაც ამბობდნენ ჩემი აზერბაიჯანელი მეგობრები: „ჩახტა მტკვარში და მერე არ ამოყვინთა, იქვე წყალში მოიკლა თავიო...“

აბა, ისე როგორ იქნება, მკითხველო, რომ ჩემი ჩვეულებისამებრ არ გადავუხვიო თხრობას...

დასაწყისს მივუბრუნდეთ ამ ამბისა:

ვიყიდე „შაითან ბაზარში“ ბებიასთვის მწვანილი, ჩამოვუყევი დაღმართს და ავედი №11 ტრამვაიში. აი იქ, ვაგონში, გათამაშდა ის თეატრალური სცენა, რომელიც ქურდული ნიჭისა და ფანტაზიის ნიმუშად მიმაჩნია. ტრამვაი ორი ვაგონისაგან შედგებოდა. მეორე ვაგონში ავედით, ალბათ, შვიდი თუ რვანი. მათ შორის მაშინვე ეგზოტიკურ მგზავრად მომეჩვენა ერთი აზერბაიჯანული გარეგნობის 45-55 წლის მამაკაცი, რომელსაც ომისდროინდელი ფარაჯა ეცვა. რამდენადაც ვიცი, ჩემს თავზეც მაქვს გამოცდილი, მსგავსი ფარაჯებით საბჭოთა არმიის ოფიცრები თითქმის გასული საუკუნის 70-იან წლებამდე დადიოდნენ. თვითონ ფარაჯა დიზაინის ნიმუშს წარმოადგენდა: ჰქონდა გულმკერდის არეში — მარცხნივ და მარჯვნივ — შიგნით ჩაკერებული კი არა, როგორც ახლანდელი, არამედ გარეთა ორი ჯიბე... ამოვიდა ეს კაცი ტრამვაიში, აჩქარებულად წავიდა წინ, ტრამვაის ტამბურისკენ, იყიდა ბილეთი და განმარტოებით დადგა. ჩაეჭიდა ხის მოაჯირებს, ფეხები ისე გადაგა, ტრანსპორტის რყევას არ ნაექცია, წონასწორობა არ დარღვეოდა, ორივე ხელით დოინჯი შემოეყარა ისე, რომ ფარაჯის ჯიბეები დაეფარა, თან ტრამვაის მგზავრებს რალაც უცნაური, შემინებული თუ გაბრაზებული თვალებით გადმოხედავდა ხოლმე...

აზერბაიჯანელს თავზე ეხურა თეთრი ქათქათა კრაველი. მიუხედავად ცხელი ამინდისა, ალბათ გვიანი გაზაფხული ან ზაფხული იყო. მართალი გითხრათ, ასეთი ქუდით აზერბაიჯანელი სრულებითაც არ გამკვირვებია, რადგან მაშინ მათი გარკვეული ნაწილი ფაფახებით დადიოდა თბილისში, ზამთარსა თუ ზაფხულში...

უნდა გითხრათ, ბავშვური გუმანით მივხვდი, რალაც უნდა მომხდარიყო და კულმინაციის წუთი ჯერ კიდევ მელოდა. ამიტომ დავაკვირდი მგზავრებს და მათ შორის აღმოვაჩინე (ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში) სახით ნაცნობი ჯიბის ქურდები, რომლებიც არაერთხელ

შემიმჩნევია „პროფესიული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“ ე.ი. ქურდობაზე ტრამვაისა თუ ტროლეიბუსში. თხრობა არ იქნება სრული და წარმოსახვაში ვერ აღიქვამთ ისე, როგორც იყო, თუ არ მოგახსენეთ.

ასე მახსოვს, რომ რამდენიმე წამით ტრამვაის სალონში სიჩუმემ დაისადგურა. მომეჩვენა, რომ ამ აზერბაიჯანელსა და ამ ქურდებს შორის (სამი ყმანვილი ბიჭი გახლდათ) უსიტყვო დუელი (პაექრობა) მიმდინარეობდა, რომლის გაშიფვრაც არ იყო ძნელი. „ვიცი ვინცა ხართ, ნაძირლებო, ქურდბაცაცებო, მაგრამ მე ვერაფერს დამაკლებთ“.

როგორც მოგახსენეთ, წამიერი სიჩუმის შემდეგ უცებ ერთ-ერთმა ქურდმა შეჰყვირა აზერბაიჯანულად: „დონღუზ, ვერ მანიმ ფაფახ, ფაფახ მანიმლო“ („ლორი ხარ, ფაფახი ჩემია და მომეციო“) და ეტგერა თავზე, რომ ფაფახი წაერთმია. აზერბაიჯანელმა წინააღმდეგობა მედგრად გაუნია, ჩაეხუტა თავის თეთრი ქათქათა კრაველს. შეიქნა ერთი განეგგამონევა, ორივე მოჩხუბარი იატაკზე აღმოჩნდა. ამ დროს მისცვივდნენ, ვითომდა გაშველების მიზნით, ქურდის ამხანაგები. როგორც იყო გააშველეს. უცებ რაღაც სიგნალზე სამივე გადახტა მიმავალი ტრამვაიდან, დარჩა ჩვენი აზერბაიჯანელი გამარჯვებული, რადგან ფაფახი ხელში ეკავა. ერთი წამით მის სახეზე სიამოვნების ნაპერწკალმა გაიელვა, მაგრამ ოი, საოცრებავ, გაახსენდა თავისი ფარაჯის ჯიბეები, ხელი იკრა მკერდზე, მაგრამ სადღა ჰქონდა ჯიბეები. იმიტირებული ჩხუბის დროს ქურდებს ოსტატურად მოეჭრათ ბრიტვით და წაელოთ.

ახლაც ჩამესმის გაქურდულის განმგმირავი ღმუილი თუ ბლავილი: „აი, დონღუზლარ, აი, შაითან“.

ისიც უნდა ითქვას, რომ არ უცდია იმ სანყალს ტრამვაიდან ჩახტომა, რათა ქურდებს დასწეოდა და, ალბათ, ამას ვერც შეძლებდა, რადგან გაქანებული ტრამვაიდან ჩახტომასაც თავისი ოსტატობა უნდა. ამასობაში ჩემს გაჩერებაზეც მივედი და ჩამოვედი. დროდადრო გამახსენდებოდა ხოლმე ეს ეპიზოდი, გამეცინებოდა, მაგრამ ამ ჯიბის ქურდების რეჟისურით აღფრთოვანებას ვერ ვმაღავდი. ისე მგონია, რომ იმ ყმანვილ ქურდს, მოულოდნელად რომ გაითამაშა სცენა, უნიჭოს ვერ დავარქმევდი, ოღონდ უკუღმართად იყო ნიჭიერი.

\* \* \*

...სკოლიდან გამოვედი, ალბათ დაახლოებით 12-13 წლის ვიყავი, მე-5-მე-6 კლასის მონაფე, ჩვენს ქუჩაზე უკვე ტრამვაი აღარ დადიოდა, კომფორტულმა №7-მა ტროლეიბუსმა შეცვალა.

კოლმეურნეობის მოედანზე, „კოლხოზნი ბაზართან“, რა თქმა უნდა, დიდი ხალხმრავლობა იყო. ტროლეიბუსი, როგორც ყოველთვის, მოგვიანებით გამოჩნდა... ცქციტი ყმანვილი ვიყავი და, ხალხმრავლობის მიუხედავად, ამ ჯაჯგურში, მიწვე-მონევაში ტრანსპორტში აღმოვჩნდი. სული მოვითქვი და თვალთ შედარებით ხალვათ ადგილს ვარჩევდი. აი, ამ მეცადინეობაში ვიყავი, რომ ჩემ წინ დავინახე ქალბატონი, დაახლოებით 30-35 წლისა, საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა; იმ დროისათვის, მომეჩვენა, რომ საკმაოდ მდიდრულადაც. ოღონდ სადად იყო ჩაცმული, საშუალოზე ცოტა მაღალი აღნაგობისა, ვერ დავიტრაბახებ, მაშინ რუბენსისა და გუდიაშვილის ნახატებს ვიცნობდი-მეთქი, მაგრამ ახლა ხომ მაქვს მათ შემოქმედებაზე გარკვეული წარმოდგენა, ამიტომაც დაბეჯითებით ვიტყვი, ქალბატონი მოდელად ნამდვილად გამოადგებოდათ. დიახ, იგი შეწუხებული გახლდათ, თითქოსდა რალაცის თქმა სურდაო, მაგრამ თავს იკავებდა. ისეთი შეცბუნებული იყო, მომეჩვენა, გადანყვეტილების მიღება უნდოდა, რათა ხმამაღლა გამოეხატა ემოციები. აი, წამიერ დაკვირვებაში ჩავიძირე, რომ ვილაცამ გადაულაპარაკა: „ქალბატონო, რედიკული გახსნილი გაქვთო“. ორი საკმაოდ მოზრდილი, სანოვაგით სახსვე ჩანთა იქვე ელაგა. ეტყობოდა, საკოლმეურნეო ბაზრიდან ბრუნდებოდა შინ. ამ სიტყვების გაგონებისთანავე უფრო მეტად შეცბა, თითქოს ბურანიდან გამოფხიზლდაო, დააკვირდა გახსნილ რედიკულს, შეამოწმა, ხელმეორედ დაათვალიერა, რაც უნდა ჰქონოდა. ისე იყო შიშისაგან დაზაფრული, ვერაფერი გამოხატა. როცა მივიხედე, შევამჩნიე ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა მამაკაცი. სწორედ მან გააფრთხილა. თვითონაც უხერხულად აწურულიყო, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ვილაცას სწორედ იგი უნდა დაედანაშაულებინა და ახლა დაძაბულად ფიქრობდა, როგორ დაეძვრინა თავი. ერთი სიტყვით, თვითონ ჰგავდა ზედგამოჭრილ ქურდს, თანაც ისეთს, დანაშაულზე რომ წაასწრებენ, მაგრამ ქურდული გაუტეხელობით არ აღიარებს. შევნიშნე ისიც, რომ მსხვერპლმა და იმ საეჭვო კაცმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს, წამიერად ერთმანეთი გაზომეს, მაგრამ არაფერი თქმულა. ამასობაში ტროლეიბუსიც გაჩერდა. არ მახსოვს ჭყლეტაში როგორ გაძვრა ის კაცი. შევნიშნე, ქუჩას უნდოდ გაუყვა, თავისი ორი თუ სამი „ასისტენტიც“ ახლდა. ტროლეიბუსი დაიძრა და მგზავრებმაც ენა ამოიდგეს. ერთი ხანშიშესული მამაკაცი საყვედურს გამოთქვამდა... ქალბატონო, მადლობა მაინც გეთქვა იმ კეთილმოსურნისათვის. თითქოსდა გამოფხიზლდა, გონს მოეგოო, უცებ ცრემლი ნიაღვარ-

რევით წამოუვიდა და ძლივს ამოთქვა: — რა მადლობა უნდა მეთქვა, გამქურდეს და ის კაცი თვითონ იყო მოთავეო. თანაც დასძინა: — ტროლეიბუსში ამოსვლა რომ გამიჭირდა ბარგით, ის და კიდევ ორი ახალგაზრდა თავგამოდებით დამეხმარნენ, ეტყობა, ამოსვლისას ჩემი უყურადღებობით ისარგებლესო. რა ვქნა, ფული ჭირსაც წაუღია, შემეშინდა, რადგან გუმანით მივხვდი, მარტო არ იყოო.

რა თქმა უნდა, მკითხველო, არასასიამოვნო ამბავი მოგიყვებით ქურდბაცაცობისა, მაგრამ ისინი ზედმინევენით ერკვევიან ბრბოს ფსიქოლოგიაში და მათ დაბნეულობასა და შიშს ბოროტი ზრახვებისათვის იყენებენ. დააკვირდით, ჯერ თავაზიანად გააფრთხილა მსხვერპლი და ეს ქმედება თუ შესტი უფრო თავდაცვითი იყო და, რომ იტყვიან, დაასწრო გაქურდულს. ამის შემდეგ დაზარალებული ამ ჯენტლმენს ქურდობას თუ დასწამებდა სახალხოდ, არავინ იცის, ვის სასარგებლოდ გამოიხატებოდა მგზავრთა რეაქცია. ასე რომ, მრავალი თუ არა, კიდევ რამდენიმე ქურდული სცენა შემიძლია წარმოგიდგინოთ ძველი თბილისის ცხოვრებიდან, მაგრამ ჩემი თხრობის ძირითად თემას ეს არ წარმოადგენს, უბრალოდ ერთ ეპიზოდსაც მოგიყვებით, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოხდა თბილისში, გარკვეულწილად მეც გადამხდა და მაშინ ეს ქმედება ჩემს კოლეგებთან ერთად წარმატებულად ჩატარებულ აგენტურულ-ოპერატიულ ღონისძიებად ჩამეთვალა. ერთი სიტყვით, ბრძენია ხალხი, როცა ამბობს: „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“ — ასეც დამემართა.

70-იანი წლების დასაწყისია, ტელეფონით თავის კაბინეტში მიხმო განყოფილების უფროსმა და შემატყობინა ერთ-ერთ უცხოელ ტურისტზე, რომელიც თბილისში იყო ჩამოსული. ცენტრი, მოსკოვი, შიფროდეპეშით გვატყობინებდა, რომ ეს ობიექტი იყო ცერეუს ფარული აგენტი, ჩამოსული სსრკ-ში და, კერძოდ, საქართველოში სადაზვერვო დავალებით. გვთხოვდნენ (რა თქმა უნდა, ეს იყო ბრძანება), ჩაგვეტარებინა მთელი რიგი აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებანი, რათა ფარულად დაგვეფიქსირებინა მისი სადაზვერვო ქმედებები, კავშირები და მრავალი სხვა. ძირითადად გვიბრძანებდნენ, რომ ოპერატიული ღონისძიებებით როგორმე ხელში ჩაგვეგდო (ფოტოფირზე გადაგველო) აგენტის შავი ტყავის უბის წიგნაკი, რომელსაც, მათი თქმით, ის არასოდეს, არავითარ პირობებში არ იცილებდა. წარმოიდგინეთ, რომ ტუალეტსა და საშხაპეშიც შეჰქონდა. ასე იცხოვრა მოსკოვსა და ლენინგრადში, და, როგორც ოპერატიული დამუშავების მასალებიდან ჩანდა, ასევე იქცეოდა საქართველოშიც.

პირველი, რაც თავში მოგვივიდა აგენტურული შეგონებით, იგი არსენა მარაბდელივით უნდა დაგვეპატიჟა ჭრელ აბანოში, იქ, ჩვენი სანდო პირის, მექისე იბრაგიმისათვის მიგვენდო. იმდენ მასაჟს ჩაუტარებდა ან იმდენჯერ გასაპნავდა, სანამ ოპერატიული ჯგუფი გარდერობს არ გაჩხრეკდა მისი უბის წიგნაკისათვის და ფოტოს არ გადაუღებდა. სამწუხაროდ, არავითარმა აგენტურულმა აგიტაციამ თუ პროპაგანდამ — თბილისის გოგირდის აბანოების ეგზოტიკურობისა და სამკურნალო თვისებების საოცრებაზე — ვერ გაჭრა. მან უარი განაცხადა, არასოდეს ვბანაობ ცხელი წყლით, მით უმეტეს გოგირდის ცხელი წყლითო, მხოლოდ ცივი შხაპს ვიღებო, ხოლო მასაჟი ჩემთვის არ შეიძლება, რადგან ხერხემალი დაზიანებული მაქვსო. ასე რომ, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. იგი თამამად, ყოველ დილას თუ საღამოს თავის უბის წიგნაკში რალაცებს ინერდა და მერე მოხერხებულად ინახავდა. საჭირო იყო უფრო არაორდინარული, არასტანდარტული ოპერატიული ქმედება.

გადავწყვიტეთ დასახმარებლად შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიგვემართა, რათა ჩაერთოთ ოპერაციაში ე.წ. „სპეცაგენტები“ (ჯიბის თუ სხვა პროფესიის ქურდები). აბა, რომ იტყვიან, როსკიპები და მეძავეები აგენტებად ჩვენ უკეთესი გვყავდა. „ფირმა გოგობი“ უცხოელებისათვის. ამ სპეციალური ღონისძიების ორგანიზება მე დამევალა. მივედი ჩემს ამხანაგთან, ერთ-ერთ რაიონის მილიციის უფროსთან, გრიშა შონიასთან. თხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა და ძალიან მალე ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა ორი, საკმაოდ სიმპათიური, 25-30 წლის სპეცაგენტი. ღონისძიების ჩატარებისათვის სულ რალაც დღენახევარი გვრჩებოდა, ისე რომ, დილაუთენია, რა თქმა უნდა, ფარულად სასტუმრო „ივერიაში“ ჩვენს უცხოელ სტუმარს მთელი ამაღა ვუთვალთვალვდით: მე, ორი სპეცაგენტი და ქუჩის სამეთვალყურეო ჯგუფი ორი მანქანით. რა თქმა უნდა, ეს ჯგუფი ჩემი კონტროლით, მაგრამ ამ აგენტებისაგან განცალკევებით მუშაობდა. გვემის მიხედვით, როგორც ვიცოდით, „ტურისტი“ ასე 10 საათისათვის უნდა მისულიყო საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ავტობუსით ან ტროლეიბუსით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატში, სადაც დაგვემილი ჰქონდა შეხვედრა გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანთან (ნარმოიდგინეთ, თუ რა ვერაგ მზვერავთან გვექონდა საქმე). ზუსტად 10 საათზე „ზემელის“ გაჩერებაზე ჩვენი სტუმარი, ჩემი „თანაშემწეები“ და მე, მრავალრიცხოვან მგზავრებთან ერთად, ავედით ტროლეიბუსში. ვერც კი მოვასწარი

ტრანსპორტში ასულმა სულის მოთქმა, რომ ერთ-ერთმა „ასისტენტი-მა“ ჯიბეში მოულოდნელად ჩამიცურა რაღაც ნივთი. შემომხედა და ოდნავ გამიღიმა. მომეჩვენა, პიჯაკის ჯიბეზე თითქოს ცეცხლი მომეკიდა. სული მოვითქვი, შევარჩიე ისეთი პოზიცია, რომ შემძლებოდა ამ ნივთის ამოღება და დათვალიერება. და ჩემი განზილება იყო უსაზღვრო — პირველად ხელში მეკავა ამერიკის მოქალაქის ღირსების მონობა — პასპორტი. ჩუმად ჩავჩურჩულე „ასისტენტი“, რომ ის არ აღმოჩნდა, რაც გვინდოდა, პასპორტია-მეთქი. „ასისტენტი“ ერთი კი შეიშმუშნა, თავის კოლეგას გადაულაპარაკა: „გაგიკ-ჯან, ეს ტუფტაა, მეორე ვარიანტიზე გადავიდეთო...“ სულ რამდენიმე წუთში ერთ-ერთი „ასისტენტი“ წავიდა ბარბაცით სალონში, სადაც ჩვენი „ტურისტები“ მეორე რიგში იდგა. სალონში ხალხი თანდათანობით შეთხელდა. ტროლეიბუსი მიუახლოვდა გმირთა მოედანს, დრო ძალზე მცირე რჩებოდა. „ასისტენტი“ მიიჭრა „ტურისტთან“, ცნობისმოყვარედ შეხედა და შესძახა: „Здравствуй, Саша, как живёшь!!!! Я Анзор“, ჩაეხუტა როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს. რა თქმა უნდა, ვითომ „საშამ“ მოინდომა თავიდან მოეშორებინა აბეზარი „Анзор“, ამ დროს მათთან გაჩნდა მეორე „ასისტენტი“ და შესძახა: „Извините гражданин, друг чуть-чуть выпил“ და დაიწყო მათი გაშველება. რაღაც 5-10 წამში როგორღაც აბეზარი „Анзор“ მოაშორა „ტურისტს“. ამასობაში სპორტის სასახლესთანაც მივსულვართ. ტროლეიბუსი გაჩერდა და ჩვენი „ასისტენტები“ ჩავიდნენ... „ზრდილობიანი“ მეორე ასისტენტი სულ იმეორებდა „Извините, извините, гражданин“. არ ვიცი, ვინ რა გაიგო ამ ინსცენირებისას, მაგრამ მე კი დიდი თავშეკავება დამჭირდა, არ ავხარხარებულყავი.

ერთად ჩამოვედით პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატის შენობასთან ტროლეიბუსის გაჩერებაზე მე და ჩემი „ტურისტები-მზვერავი“, სახეზე ჯერჯერობით შეშფოთება არ ეტყობოდა, გამოიყურებოდა მშვიდად. ნელი, დინჯი ნაბიჯით გაემართა ინსტიტუტის კიბისაკენ. მე იქვე დავრჩი, ვიცოდი, რომ ჩვენი ოპერატიული ჯგუფის ერთ-ერთი მანქანა მომაკითხავდა. ასეც მოხდა, 2-3 წუთი დამჭირდა ლოდინი, დავუკავშირდით რაციით მეორე მანქანას, საიდანაც შეგვატყობინეს, ჩვენი „ასისტენტები“ ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით ასულიყვნენ სასტუმრო „აჭარის“ კაფეში და ცივ ლუდს აგემოვნებდნენ. სულ რაღაც 5 წუთში მეც იქ ვიყავი. შევედი კაფეში, შევეურთდი „ასისტენტებს“, ერთ-ერთმა, „Анзор“-მა, მომანოდა შავი ტყავის უბის ნიგნაკი, რომელიც ცნობილი აღწერილობით უნდა ყოფილიყო

სწორედ ის, რისი ხელში ჩაგდებაც ასე გვსურდა და გამოვიყენეთ „კანონიერი“ თუ „უკანონო“ ხერხები. თქვენ წარმოიდგინეთ, მადლობა გადავუხადე „ასისტენტებს“ განეული დახმარებისათვის. გავეხუმრე კიდევ: „Знайте, Родина не забудет“ — და დავმორდით ერთმანეთს.

თხრობის სისრულისათვის მოგახსენებთ, რომ იმ დღენახევრის განმავლობაში „ტურისტი“ ჯერ კიდევ თბილისში რჩებოდა. ველოდებოდათ მის რეაქციას, ვვარაუდობდით, რომ განაცხადებდა მილიციაში დაკარგული თუ მოპარული ნივთის შესახებ. და ცხადია, ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. არ გაუხმაურებია დანაკარგი. როგორც ოპერატიული ჯგუფის მეთვალყურეები გვატყობინებდნენ, ინსტიტუტიდან გამოვიდა ორიოდე საათში, საკმაოდ დაბნეული, საკუთარ ფიქრებში ჩაკარგული. დაბრუნდა სასტუმროში, შემდეგ ისადილა, აღარ უვახშმია. დილას კი, მეტად უგუნებოდ მყოფი, გიდმა გააცილა აეროპორტში და გაფრინდა მოსკოვში. მეორე თუ მესამე დღეს, მოპოვებული უბის ნიგნაკი, სათანადო წერილთან ერთად, ე.წ. ფელდეგერული საიდუმლო ფოსტით, მოსკოვს, სუკის ცენტრალურ აპარატს, გადავუგზავნეთ. არ მახსოვს, ერთ თუ ორ თვეში მივიღეთ დეპეშა, რომელშიც საკავშირო ხელმძღვანელობა მადლობას გვიხდოდა წარმატებული აგენტურული ოპერატიული ღონისძიების ჩატარებისათვის და გვატყობინებდნენ, რომ საქართველოს სუკის ოპერატიული ჯგუფი დაჯილდოვდა. ხოლო საქართველოს სუკის თავმჯდომარეს ამხანაგ ინაურს უბრძანებდნენ, დაეჯილდოებინა ოპერატიული ჯგუფის სხვა წევრები, ე.ი. სამეთვალყურეო ჯგუფი, ე.წ. „семёрка“ და, რაც მთავარია, სპეცაგენტები ანუ ჯიბის ქურდები. უახლოეს ხანში ასეც მოხდა. ინაურის ბრძანებით, ეს ხალხი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა, რამდენადაც მახსოვს, სპეცაგენტებს, თითოეულს, 125 მანეთი ერგო. დაჯილდოება საზეიმოდ შედგა მილიციის უფროსის კაბინეტში, მერე „ასისტენტებმა“ მიგვიწვიეს კუს ტბის მიდამოებში, ახალგახსნილ რესტორანში, სადაც ქეიფი გაგრძელდა იმ ფულის დამღერებით.

მეგონა ეს ამბავი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ თურმე გაგრძელდა კიდევ ჰქონია. ყოველი წლის ბოლოს საქართველოს სუკ-ში იმართებოდა ოპერატიულ მუშაკთა შემაჯამებელი თათბირი, სადაც ფასდებოდა ამ სამინისტროს მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაო ოპერატიული ხაზით. ასეთ თათბირებს ხშირად ესწრებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ან პირველი, ან მეორე მდივანი (ეროვნებით რუსი), პარტიის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში და

სხვა პასუხისმგებელი პირნი: რესპუბლიკის პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა. აი, ამ თავყრილობაზე ინაურმა შემაჯამებელ მოხსენებაში დაახლოებით აღწერა ოპერაცია „ტურისტ“, პროფესიულად შეაფასა შედეგები და თითოეული მონაწილის გამჭრიანობა ქებით მოიხსენია. დასახელებულ გვარებში ჩემიც მომესმა. ამას კი აღარ მოველოდი, შემდეგ რამდენჯერ მიფიქრია, რა შუაში ვიყავით საქართველოს ჩეკისტები, როდესაც ყველაზე საპასუხისმგებლო „შავი სამუშაო“ სპეცაგენტებმა შეასრულეს.

ერთსაც მოგახსენებთ, ტროლეიბუსში იმ ჯაჯგურის დროს უბის ნიგნაკი კი „ანაპნეს“ ტურისტს, მაგრამ იმავე ოსტატობით პასპორტი ისევ ჩაუცურეს ჯიბეში...

რომ იტყვიან, „ასეთია ქურდი კაცის ბედით“... ერთ რამეში კიდეც დამარწმუნა ამ ქურდულმა ოპერატიულმა ღონისძიებამ — იმას, რაც ბავშვობაში მენახა და რაც ნაწილობრივ მოგიყევით, თურმე თავისი განვითარების პიკისათვის ჯერ არ მიეღწია. ალბათ ეს პროფესია უკვდავია და მოვლენათა შესაფერისად უფრო იხვეწება.

აქ დავამთავროთ თხრობა და, ნება მომეცით, ისევ დავუბრუნდე ჩემს ეზოს, ბავშვობის მოგონებებს.

ვერაფრით შევუქმნი მკითხველს რაიმე შთაბეჭდილებას გასული საუკუნის 40-50-იანი წლების თბილისური ეზოს შესახებ, თუკი არ გამბედავით უპირველესად ჩვენი ეზოს ეთნიკურ შემადგენლობაზე. უნდა მოგახსენოთ, ორსართულიანი აგურისა თუ ქვის ოთხკუთხედ ნაგებობას ერთადერთი შესასვლელი ჰქონდა, რომელსაც გორგასლის აღმართზე გავყავდით. ეზოდან გასასვლელი რკინის ჭიშკრით გვირგვინდებოდა, რომელზეც ცალფრთიანი კარი იყო ამოჭრილი. ამ ეზოში სულ 22 ოჯახი ცხოვრობდა, ეთნიკურად მრავალფეროვანი. აქედან 8 ოჯახი ქართული იყო, მათ შორის უმეტესი — სამეგრელოდან, ერთი კახეთიდან, ერთი რაჭიდან. იყო კიდეც ორი ოჯახი შერეული ქორწინებით — ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული. ერთიც — ოსური წარმოშობის. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული მოსახლეობა, ორი გაუთხოვარი დის გარდა, მეორე სართულზე ცხოვრობდა. იყო ერთი რუსული ოჯახიც, რომელიც ომის დროს ჩაუსახლებიათ ჩვენს ეზოში, ამბობდნენ ევაკუაციის დროსო, ორი თუ სამი — სომხური, ერთი თუ ორი ქართველი ებრაელებისა, ხოლო დანარჩენი ხუთი ოჯახი აზერბაიჯანელები იყვნენ. ამ ინტერნაციონალურ პატარა „სახელმწიფოში“ „სახელმწიფო ენა“ ქართული გახლდათ, თითქმის ყოველი ეთნოსის წარ-

მომადგენელი, ქალი, კაცი თუ ბავშვები, შესანიშნავად ფლობდნენ ქართულს. რა თქმა უნდა, ოჯახებში თავიანთ მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ და ამიტომ ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ძალიან ადვილი იყო აზერბაიჯანულისა თუ სომხურის აღქმა და სწავლა. ასე რომ, 5-6 წლისა საკმაოდ კარგად ვლაპარაკობდი ამ ენებზე. თბილისის მაშინდელ გარეუბნის (ახლა კი ცენტრის) „ვაგილონში“ დაახლოებით 70-72 მცხოვრები იყო — ბავშვები და მოზრდილი მოსახლეობა. ზაფხულობით 20-25-ოდე სტუმარიც ემატებოდათ სამეგრელოდან, რაჭიდან, კახეთიდან, განჯიდან თუ ბაქოდან. ამ მექაში ყველაზე დიდი დეფიციტი, საკვების გარდა, გახლდათ წყალი, ერთადერთი ცივი წყლის ონკანი ეზოს გასასვლელში იყო. ამიტომ წყლის ასავსებად დილიდან თადარიგს ვიჭერდით. სხვადასხვა ჭურჭელი ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩამწკრივებული. სალამოს ეს არ ხერხდებოდა, რადგან დოქებს თუ სათლებს გარედან შემოსული ქურდბაცაცები აგვნაპნიდნენ, რაც, საუბედუროდ, იშვიათი არ იყო. ეზოს შიგნით ქურდობას ვინ წარმოიდგენდა. როგორც წესი, უმრავლესობა მცხოვრებლებისა თავის შესასვლელ კარს გასაღებით ან ბოქლომით არ კეტავდა. ამის საჭიროება არ ყოფილა. დღის განმავლობაში ეზოში ქურდბაცაცები ვერ შემოებდავდნენ. თითოეული თავის ვედროს რომ აავსებდა, მეზობლისას შეუდგამდა ონკანს. ასტრონომიული სიზუსტით იმახსოვრებდნენ, როდის შეეძლოთ წყლით სავსე ჭურჭელი შინ აეტანათ. ცხელ წყალსა და გათბობაზე მაშინ ოცნება კი არა, ლაპარაკიც წარმოუდგენელი გახლდათ. წყლის გასაცხელებლად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნავთქურები გვექონდა. ხოლო დასაბანად, როგორც წესი, ჩვენ, ეზოს ბავშვები, ჯგუფ-ჯგუფად მივდიოდით ახლომდებარე გოგირდის კომუნალურ აბანოებში. სასმელი წყლის მოწოდება ხშირად ფერხდებოდა, თანაც, წინასწარაც არავინ გვაფრთხილებდა. ამიტომ ბავშვები გავეშურებოდით ხოლმე ჩაიდნებითა და სხვადასხვანაირი ჭურჭლით ამა თუ იმ ეზოში, სადაც ბუნებრივი დინებით წყალი მუდამ მოწინააღმდეგებდა. ხანდახან ნახევარ კილომეტრზეც კი გვინევდა წყლისთვის წასვლა, თანაც რამდენიმე გზობას: ჯერ ჩვენთვის მოვიტანდით, მერე რომელიმე მეზობელს დავეხმარებოდით და ასე ვამარაგებდით ეზოს უწყლობისას.

მართალი გითხრათ, მეუხერხულეა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ უნდა ითქვას, წყლის უკმარისობა იმდენად არ აწუხებდა მცხოვრებლებს, რამდენადაც კანალიზაციის მოუწყვრებლობა. სამოცდაათამდე მოსახლე სულ ორი ტუალეტით სარგებლობდა. ეს პრობლემა ყველაზე დიდ უხერხულობას ქმნიდა დილის საათებში, როდესაც

ეზოს მობინადრეთა უმეტესობა სამსახურში მიდიოდა, ბავშვებს კი-დევე — სკოლაში მიგვეჩქარებოდა. ასეთ დროს დაძაბულობის განსა-მუხტავად იუმორის მოშველიებაც არ ძნელდებოდა — უფრო ახალ-გაზრდებს შორის, აბა უფროსებს როგორ შევებდავდით: „გამოდი, შე კაცო, კინოში ხომ არა ხარო“, „გივი (სტუდენტი იყო) გამოდი, თორემ შემოგივარდები, მეტი აღარ შემიძლია“.

ერთხელ ერთ ხერხსაც მივმართე: ტუალეტის სარკმელში ანთებული ქალაღდის ჩიტი შევაფრინე, რომ ჩემი მეგობარი გივი, პოლიტექნიკურის სტუდენტი ამეჩქარებინა. ისე გამინანყენდა, ჩვენს მეგობრობას ერთი კვირის განმავლობაში შავმა კატამ გადაურბინა. ის კი არა, ისეთი გაგუ-ლისებული იყო, გვარიანდაც მიმტყეპავდა, მაგრამ ბებია მართამ შეგვა-რიგა. საერთოდ, ბებია მართა ონავრობაში ძლიერი „კრიშა“ მყავდა. მისი ხათრით თუ მორჩილებით, ხშირად დაუსჯელი გადავრჩენილვარ.

ჩვენს ეზოში ცხოვრობდა ერთ-ერთი სახელგანთქმული ექიმბაში ზინაიდა ხანუმი. მისი წყალობით ჩვენი მისამართი არა მხოლოდ თბი-ლისში იყო ცნობილი, რაიონებიდანაც ჩამოჰყავდათ სამკურნალოდ თოთო ბავშვები. არც სომეხი და აზერბაიჯანელი პანია პაციენტები აკლდა. ზინაიდა ხანუმი იყო ჯადოქარი. მეც და სხვა მეზობლებიც, პა-ტარა პაციენტების მშობლებთან ერთად, შევსწრებივართ მის რისკიან ხელმარჯვეობას და რალაცნაირ მისნობას. დიახ, 5-6 თვის ან ცოტათი უფროსი, დაახლოებით 2-დან 5-7 წლამდე ბავშვები, რომელთა მშობ-ლები შენუხებული იყვნენ, შვილებს სუნთქვა რომ უჭირდათ, თითქოს-და ცხვირში გაჩხეროდათ რალაც, რაც ხელს უშლიდა სუნთქვას. ზინა-იდა ხანუმი ჩაისვამდა ავადმყოფ ბავშვს კალთაში, დააღებინებდა პირს, მარცხენა ხელით კი ცხვირსა და პირის ღრუს დაუფარავდა. შემ-დეგ ნესტოებში ღრმად ჩაბერავდა რამდენჯერმე, საბოლოოდ გაშლი-და მარცხენა ხელის მტევანს და გაოგნებულ მშობლებს ცხვირსახოც-ში გადაუყრიდა მზესუმზირის, ლობიოსა თუ სიმინდის მარცვლებს.

ექიმბაშობის წყალობით ზინაიდა ხანუმი ყველაზე შეძლებული გახ-ლდათ ეზოში. ზამთარ-ზაფხულ ხალხის ნაკადი არ წყდებოდა მის კარ-თან. უფროსებისაგან გამიგია, მისი დღიური შემოსავალი საბჭოეთის საშუალო მოხელის (ინჟინრის, ექიმის, სამხედრო თუ სხვა) ერთი თვის ხელფასს უტოლდებოდა. ასეთი შემოსავლის პატრონს ხელს არ აძლევდა ბინის გაფართოება ან ჩვენი ეზოდან გადასვლა, რადგან პაციენტები დაეფანტებოდა. რამდენჯერმე უჩივლეს თუ დააბეზლეს, ვილაც მკაც-რი დეიდები და ბიძიებიც მოდიოდნენ, ამ საქმეში მილიციაც იყო ჩარ-თული, მაგრამ საკმარისი იყო ხანუმა ზინაიდას ისინი თავის ოთახში შე-

ეპატიჟებინა, ჩაით გამასპინძლებოდა და ოი, საოცრებავ, სულ რაღაც 15-20 წუთიანი მოლაპარაკების შემდეგ ეს ხალხი მშვიდად და წყნარად, აუჩქარებლად ტოვებდა ეზოს. არ ვიცი, რა დიპლომატიური ნიჭით იყო დაჯილდოებული ხანუმი, მაგრამ სიმშვიდე არასოდეს დაურღვევია, ყველას უხმაუროდ იგერიებდა. განსაკუთრებულს არაფერს ყიდულობდა თავისთვის, არც საჭმელს, არც ჩასაცმელს, სულ ერთი შალის „ჟაკეტი“ ემოსა, შინიდან თითქმის არასოდეს გამოდიოდა. სანოვაგესაც იქვე ახლო მცხოვრები აზერბაიჯანელი ბავშვები მიუტანდნენ ხოლმე. ერთადერთი სიხარული მისი ქალიშვილი იყო. ზაფხულობით სულ ერთი კვირით ჩამოდიოდა ხოლმე მასთან. საკმაოდ ლამაზი, სიმპათიური გარეგნობისა, იმ დროისათვის შესანიშნავად, მოდურად ჩაცმული. მეუღლე საბჭოთა ჯარის პოლკოვნიკი ჰყავდა, ზრდილობიანი, მორიდებული, თავმდაბალი აზერბაიჯანელი; ბეგების თუ ხანების შთამომავალი. ჩამოჰყავდათ სამი შვილი, ორი ვაჟი და ქალიშვილი, კარგად მოვლილი ბავშვები, ეტყობოდათ, არაფერი აკლდათ. ისე ეცვათ, ჩვენი ეზოს ბავშვებს რომ არც დაგვესიზმრებოდა. იმასაც ამბობდნენ, ხანუმის მთელი შემოსავალი ქალიშვილის ოჯახს ხმარდებაო.

60-იანი წლების დამდეგს ბაქოში გახლდით მივლინებით და ვსტუმრობდი მათ. გულითადად მიმასპინძლეს. რამდენიმე დღე დაყავი მათ ბინაში. ქალაქის ცენტრში ცხოვრობდნენ, ფირდოუსის მოედანზე, მესამე თუ მეოთხე სართულზე, მაღალჭერიან ოთხოთახიან ბინაში. მაგრამ რად გინდა, როგორც იტყვიან, არაფერია მუდმივიო.

დაახლოებით 50-იანი წლების ბოლოს ხანუმა ზინაიდასა და მის ქალიშვილს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა. ბოლო ორი წელი ბაქოდან თბილისში აღარ ჩამოსულან. ექიმბაში თითქოს თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, შინიდან აღარ გამოდიოდა. აღარაფერი ახარებდა. პაციენტებსა თუ ავადმყოფებს არცთუ ისე იშვიათად უარით ისტუმრებდა: მოვხუცდი, აღარ შემიძლიაო. იმ დროს ასე 75 წლის ან ცოტა მეტის თუ იქნებოდა. შემდეგ დაუჯერებელი რამ მოხდა ამ ქალში, გამოიხედა, თითქოსდა სიცოცხლეს დაუბრუნდაო. იშვილა ჩვენს ეზოში გაზრდილი აზერბაიჯანელი გოგონა — ვალიდა. ერთ თვეში გაათხოვა კიდევ აზერბაიჯანელ იბრაგიმზე და თავისთან დააბინავა ისინი. ავიენები იმასაც ამბობდნენ, იბრაგიმა საყვარლად ჰყავდა, ვალიდა კი მისი ავხორცობის შირმა იყოო.

ერთ მშვენიერ დილას სახლიდან გამოსულა ხანუმი. ის ხალხი, ვისაც მაშინ უნახავს, ჰყვებოდნენ, საგარეო კაბა და ჟაკეტი ეცვაო, გორგასლის დაღმართი ჩაუვლია მშვიდად და გაუჩინარებულა.

ერთი კვირა მაინც ეძებდნენ ზინაიდას, მაგრამ ვერ მიაგნეს მის გზა-კვალს. მერე მისი ნათესავები, მეზობელ ეზოში რომ ცხოვრობდნენ, პროზექტურაში წაიყვანეს გვამის ამოსაცნობად... სალამოს მოუსვენებით სუდარაში გახვეული, ხოლო მეორე დღის სამ საათზე დაუსაფლავებიათ მუსულმანური წესით (მზის ჩასვლამდე), თბილისის ბოტანიკური ბაღის სამხრეთ ფერდობზე, მუსულმანთა სასაფლაოზე.

უცნაური ქალი იყო ზინაიდა ხანუმი. თითქმის მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა, შეიძლება თბილისშიც დაიბადა, მაგრამ არც ქართული, არც რუსული არ იცოდა. არც უცდია ესწავლა, თუნდაც ყოველდღიური ურთიერთობისთვის მაინც...

ხანუმა ზინაიდას ბინის გვერდით იყო ერთი არცთუ ისე პატარა ოთახი, 20-25 კვ. მეტრისა. ყოველთვის აქირავებდნენ სტუდენტებზე. არაერთი მობინადრე მახსოვს ამ ბინისა, მაგრამ გამორჩევით დამამახსოვრდა ორი ახალგაზრდა, არაორდინარული საქციელით თუ ცხოვრების წესით.

პირველი ყმანვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ, მომეტებულად წყნარი და დინჯი, განმარტოებული, არავის ემეგობრებოდა, მაგრამ თუ გაესაუბრებოდი, ყოველთვის ზრდილობიანად და თავაზიანად გიპასუხებდა. ერთი თვისებაც შეამჩნიეს მეზობლებმა, როცა ბინიდან გადიოდა, ყოველთვის პენიანად იყო ჩაცმული, თეთრ პერანგსა და შარვალში, არასოდეს უნახავთ მანსურის ან სპორტული ტრუსების ამარა, რაც არცთუ იშვიათი დასანახავი იყო ჩვენს ეზოში, მით უმეტეს ზაფხულის ცხელ დღეებში. ის კი არა, თუ მასთან შინ სტუმრად მივიდოდა ვინმე, თუნდაც ბავშვი, მამაკაცი ან ქალი, კარების გაღებისთანავე ბოდიშს მოიხდიდა, კარადას ამოეფარებოდა, გადაიცვამდა შარვალს, პერანგის ყველა ღილს შეიკრავდა, შემდეგ მიგიწვევდათ და გთხოვდათ, დაბრძანდით, რით შემიძლია გემსახუროთო.

აი, მისი ამგვარი გამორჩეულობა ჩვენი ეზოს ბოჰემური ცხოვრებისათვის შეუსაბამო იყო და ამიტომაც ავმა ენებმა მას „პედარასტა“ დაარქვეს. მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს სიტყვა, გუმანით ვხვდებოდი, ადამიანის დამამცირებელი ზედმეტსახელი რომ იყო. შემდეგში, როცა გამახსენდებოდა ის საბრალო, მიფიქრია, ვის უფრო შეეფერებდა ეს შეურაცხმყოფელი სახელი — კეთილშობილ, ზრდილ ახალგაზრდას თუ იმ ავსიტყვას, ვინც ეს სახელი შეარქვა.

ერთხელ ეს სტუდენტი წყლისთვის ეზოში იყო ჩასული, ქილით ამოიტანა, შინ შესვლამდე უცებ შეტორტმანდა, ქილა ხელიდან გაუცურდა

და თვითონაც წამში იატაკზე აღმოჩნდა... რამდენიმე მეზობელთან ერთად შევესწარი ამას, გაცვივდით დასახმარებლად, იატაკზე ეგდო და საცოდავად იგრიხებოდა. კბილები დაკრეჭილი ჰქონდა, თითქოსდა მისი ბაგეები რალაც გმინვისმაგვარს გამოსცემდნენ. ვილაცამ იყვირა: „ექიმს, ექიმს დაუძახეთ“. მოვიყვანე ქალბატონი ვერიკა, რომელმაც იმნუთასვე ბრძანა: „ჩქარა ბალიში და ხის კოვზი მომიტანეთ“. ბალიშზე თავი დაადებინა დიდი ძალისხმევით, შემდეგ პირი გააღებინა და ხახაში ლომის მოსაზველი კოვზი ჩასჩარა... ცოტა ხანში ავადმყოფს პირიდან ქაფი და ღუჭი გადმოედინა, შემდეგ თანდათანობით დაწყნარდა, დამშვიდდა, თვალიც გაახილა, გუგები დანითლებული და შეშუპებული ჰქონდა, რამდენიმე წამი ამღვრეული, არაფრისგამომხატველი თვალებით შემოგვცქეროდა. ვერ გაერკვია, რა მოხდა, რა დემართა, ხალხი რატომ ეხვია... მერე თანდათანობით ცნობა დაუბრუნდა, სიცოცხლის ნიშანწყალი შეემჩნა, თითქმის დამოუკიდებლად უნდოდა წამოდგომა, მაგრამ არ დავანებეთ, ხელში ატატებული შევიყვანეთ თავის ბინაში და ლოგინზე დავანვინეთ. რამდენიმე წუთში ნორმალურ ფიზიკურ თუ გონებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა და ყველას მორცხვად მოგვიხადა ბოდიში შეწუხებისათვის.

როცა დეიდა ვერიკას სახლში ვაცილებდით, მახსოვს, მრავალმნიშვნელოვნად, რატომღაც რუსულ ენაზე თქვა: „Ничего особенного, это просто эпилептический эксцес“ და ქართულად დააყოლა: ამ დროს მთავარია, რომ ავადმყოფმა არაფერი მოიწიოს კონვულსიებისას და, რაც მთავარია, ენა არ გადაყლაპოსო. ამიტომ: „Я его язык вытянула со рта и опуру (ხის კოვზის სახით) поместила, чтоб ему было лучше“ — დიდმნიშვნელოვნად განაცხადა ქალბატონმა ვერიკამ და ჩვეული მედიდურობით შევიდა სახლში.

რამდენიმე დღეში ჩამოსულან ამ ყმანვილის მშობლები და ნაუყვანიათ, არ ვიცი, შინ თუ საავადმყოფოში. როცა მეზობლები ვბჭობდით, გაგვერკვია, თუ რა ბედი შეიძლება სწეოდა მას, ქალბატონმა ვერიკამ გამოგვიცხადა: „Это неизлечимое болезнь“, რითაც დაასამარა ჩვენი საიმედო ემოციები. მალე სტუდენტური ოთახი დაიკავა 22-24 წლის ვანელმა ყმანვილმა გივიმ, მეტად სიმპათიური, სანდომიანი შეხედულებისა იყო. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, გივი მიუხედავად რომ 22 წლისაა, სულ მეორე კურსის სტუდენტიაო. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საამშენებლო ფაკულტეტზე. 4 თუ 5 წელიწადია სტუდენტია, ალბათ, კიდევ ამდენივე ხანს ისტუდენტებსო, დედისერთა არისო, ესეც შეეტყოთ, მამამისი თერძია და საკ-

მაოდ კარგად ცხოვრობენო. ეს ამბავი მართლაც მალე დაუდასტურდათ მეზობლებს. თითქმის ყოველ კვირას უგზავნიდნენ მას სურსათ-სანოვაგეს: ჭყინტი ყველი, ჭადის ფქვილი, ლობიო თუ ხილი არ აკლდა. ერთი სიტყვით, ამ კაცმა ერთი ათი წლის სტუდენტობის შემდეგ მართლაც დაამთავრა პოლიტექნიკური. რახან ვმეგობრობდით, ხშირად ვიყავი მასთან. და გივის ხელში წიგნი, ფარგალი, რეიშინი ან ნახაზი არ დამინახავს. მეზობლებს რა გამოეპარებოდათ და დედების აღშფოთება ხომ უსაზღვრო იყო, გივი როგორც ქალთა გულის მპყრობელი, ხშირად ბრუნდებოდა შინ სხვადასხვა ლამაზმანთან ერთად. დედაჩემის მრისხანებამ ერთხელაც იყო და დუღილის წერტილს მიაღწია. გივის ოთახი ეზოს მხრიდან იყო მეორე სართული, თორემ გორგასლის ქუჩიდან ოდნავ ბელეტაჟი გახლდათ. პირდაპირ ქუჩას გადაჰყურებდა გივის ფანჯარა, რომელიც ღამის საათებში, საჭირო დროს და საჭირო სიგნალის შემდეგ იღებოდა. გივი მომანოდებდა ტაბურეტს. ჩემი ხელშეწყობით და გივის მოწადინებით მისი ღამის სტუმარი ფანჯრიდან ბინაში აღმოჩნდებოდა. მერე სკამს მივანოდებდი გივის და ფანჯარაც იხურებოდა. მეც შინ მივდიოდი დამაშვრალის იერით. 2-3 საათში გივი მომაკითხავდა, რალაც საქმე მაქვსო, წამიყვანდა თავისთან და ჩემი თავდადება მეგობრისადმი ასე ხორციელდებოდა, ჯერ მე გადავხტებოდი ქუჩაში, შემდეგ ტაბურეტს მომაყოლებდნენ უკან, მერე „ჯულიეტა“ გადმოდიოდა. და თვალცრემლიან რომეო-გივისთან ერთად მივაცილებდი მის ტურფას ქუჩის ბოლომდე. დავბრუნდებოდი აკრობატული ილეთებით გივის ოთახში. რომ იტყვიან, ფილოსოფიურ სჯაბაასს ვუთმობდით ძვირფას წუთებს. არაერთხელ დავფიქრებულვარ ჩვენი ასეთი დამეგობრების შესახებ, ალბათ ჩვენ შორის ათი წელი მაინც იყო სხვაობა. ეს მაშინ თვალშისაცემი ზღვარი გახლდათ — ბავშვი და მონიფული ახალგაზრდა, ცხოვრების სულ სხვადასხვა ინტერესით. ხშირად დავფიქრებულვარ, რითი მომხიბლა-მეთქი, ასე ერთგულად რომ მიმსახურა, მესაიდუმლედ ამირჩია და მენდობოდა. ამას მხოლოდ ერთი ახსნა მოვუძებნე, დიდი იუმორის ნიჭით იყო დაჯილდოებული, უყვარდა ცხოვრება ისე, როგორც ესმოდა, იყო ლალი, ხალისიანი, რაც მთავარია, დღიდან ჩვენი გაცნობისა, არასოდეს მელაპარაკებოდა ისე, როგორც ბავშვს. არასოდეს მანყვეტინებდა სიტყვას, სახეზე სულ ღიმილი უკრთოდა, რომ იტყვიან, სახე უცინოდა. შეთამამებული ვყავდი და ვეზუმრებოდი, რაც არასდროს სწყინდა. ეზოს ახალ ამბებს ვარჩევდით ხოლმე. ისეთი გულდასმით მომისმენდა, მეც გადამედო ეს ჩვევა და ბევრჯერ გამომადგა ცხოვრებაში შვილებსა და

შვილიშვილებთან, მეგობრების ბავშვებთანაც; ისე არაფერი უყვართ პატარებს, დაახლოებით 5 წლიდან, როცა უფროსები თანატოლებივით ეპყრობიან, ანგარიშს უწევენ და შენიშვნებსაც ითვალისწინებინებენ. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, მეგობრული ურთიერთობა ყოველთვის არ გვექონდა ია-ვარდით მოფენილი. შიგადაშიგ ვკამათობდით სხვადასხვა ცხოვრებისეული ინტერესების გამო, მაშინ პატარა ბიჭს ვერ ამეხსნა მისი ისეთი გატაცება ქალებით. ერთხელ თანატოლებთან ფეხბურთს ვთამაშობდი აზერბაიჯანული სკოლის ეზოში. გახურებული შეჯიბრია, ისე მახსოვს, ვაგებთ, რასაც მე ჭკუიდან გადავყავდი და ამ დროს თავზე წამომადგა ჩვენი გივი: — წამოდი ჯემალ, საქმე მაქვსო. შესანიშნავად ვიცოდი, რა საქმეც ჰქონდა — ხომ ხედავ, ფეხბურთს ვთამაშობ, თანაც ვაგებთ, ბიჭები როგორ მივატოვო-მეთქი. არ მომეშვა: შენ ვერ გამიგე, სტუმარი უკვე სახლშია, უბრალოდ პურის მიტანა დამვიწყებია და გამეგზავნეო. ამასობაში თამაშიც დავამთავრეთ და გივის სახლში გავყევი ფულისა და პურის ჩანთის გამოსართმევად. შევბაიჯე კარში თუ არა, ახალშექმაზულ ლობიოს სუნმა და ქორფა მწვანეილის სიხასხასემ შიმშილის გრძნობა გამიმძაფრა. მაგიდისკენ თვალი გამექცა და კოხტად დაჭრილი ჭყინტი ყველი, ცხელი ჭადი და წითელი კომბოსტოს წნილი ლამის ჭკუას მაკარგვინებდა. ერთი სიტყვით, თავი ველარ შევიკავე და განვაცხადე: „...პური რალად გინდათ, აგერ მშვენიერი ჭადი გაქვთ-მეთქი“. სტუმარმა გოგონამ მორცხვად განაცხადა: **„Я чади не употребляю, только с хлебом могу есть“**. ამასობაში შიმშილის გრძნობამ ისე შემიპყრო, რომ კატეგორიულად განვაცხადე: „ასე ვერსად წავალ, შიმშილისაგან გული მიმდის-მეთქი“. გივიმ სახელდახელოდ ყველაფერი წინ დამილაგა. მაღიანად დავნაყრდი, მივიხედ-მოვიხედე, ამოვიხვნეშე და ვთქვი ზარმაცად: „ეხ, ახლა პურზე არ ვიყო წასასვლელი, და თუ გინდა მომკლამეთქი“. ამის გაგონებისთანავე გივი პირდაპირ გაცეცხლდა, უცებ წამოხტა და გაბრაზებულმა მომახალა: „არ მინდა შენი პური, გადი გარეთო“. მივხვდი, რომ „გადავამლაშე“. ჩუმად ავიღე ფული, ჩანთა და მივიტანე პური. შევედი ისე, რომ მისთვის სახეზეც არ შემიხედავს. მაგიდაზე დავდე ჩანთა და ფეხაკრეფით გამოვედი.

ერთი კვირა მაინც ვერიდებოდი გივისთან შეხვედრას, მერე ფრთხილად დავეუკაკუნე და შევედი ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ ისე მეგობრულად შემხვდა, საბოდიშოდ აღარ გამიხდა საქმე. არ გასულა სულ რალაც ერთი თვე ამ ამბიდან, გივიმ ვანში დამპატიჟა: „ერთი კვირით მივიღივარ მშობლებთან და თუ გინდა წაგიყვანო“, თანაც

დასძინა: „მატარებლის ბილეთის ფულს იქით-აქეთ მე გადაგიხდით“. რა თქმა უნდა, დედა დავიყოლიე და ვანში გავემგზავრეთ. არ ვიცი, რა სიტყვებით გადმოგცეთ მისი მშობლების სიხარული შვილი რომ დაინახეს, თითქმის რამდენიმე წუთი კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, დედა ხელებსაც უკოცნიდა, ჩემთვის არავის მოუქცევია ყურადღება, მერე თითქოს გამოფიზილდნენ, „ეს უცხო ბავშვი ვისიაო“. გივიმ — ეს ბავშვი კი არა, ჩემი მეგობარი ჯემალიაო. გაკვირვება არ გამოუხატავთ, თბილი, სიყვარულიანი თვალებით შემომხედეს და ტკბილად მიმასპინძლეს. ერთმა კვირამ თითქმის რამდენიმე წუთში გაირბინა. არასოდეს დამავიწყდება მათი ჩემდამი გამოხატული მშობლიური ყურადღება. არ ვიცი, გივი რას მოუყვა ჩემზე, მაგრამ განსაკუთრებით სათუთად მექცეოდნენ, უმამოდ რახან ვიზრდებოდი. კვირის ბოლოს მე და ჩემი მეგობარი დიდი გულისწყევით გამოგვაცილეს. საკმაოდ მძიმე მოზრდილი ჩანთა გამომატანეს, მოსაკითხი დედას ჩაუტანეო. წველა ჭყინტი ყველი, 5-6 კგ ჭადის ფქვილი, ცოტაოდენი ლობიო, ხმელი სუნელები, მწვანილი და ხილი, ყოველივე ეს დიდი ძღვენი იყო ჩვენი ოჯახისათვის, რისი დავინწყებაც უმადურობა იქნებოდა.

გავიდა ალბათ ასე 2 თუ 3 წელი და, როგორც იყო, გივიმ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. ჩვენი მეზობლების ანგარიშით, სტუდენტობას მან 10-11 წელი მანაც მოანდომა. განშორების დღეც მოახლოვდა. ნასვლის წინ მასთან ვიყავი, რომ მითხრა: „ეხ, ჯემალ, ერთ კვირაში დიპლომს მაძღვევენ და შინ მივემგზავრებით“. და ეს ისეთი გულისტკივილით ამოთქვა, მეგონა, თვალებში ცრემლი მომადგება-მეთქი. მერე ჩვეული ონავრობით დაამატა: — ჩემო ჯემალ, ძალიან შევეჩვიე ჩვენს ეზოს, მეზობლებს, ჩვენს მეგობრობასაც ვაფასებ, მაგრამ გულს მაკლია, რაიმე ხრიკით დეიდა ანიჩკას თავი რომ ვერ დავამახსოვრეო. მისი რაჭველი მეზობელი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა, დაახლოებით 17-19 წლისანი, და განსაკუთრებულად განინმატებოდა ხოლმე გივის უმსგავსი სტუმრების გამო, გადმოგდებოდა ეზოში და ქოთქოთებდა: — რას ჰგავს ეს, ბავშვები ირყვნებიანო, რა მაგალითს უყურებენო. გივის ხომ მოსვენებას უკარგავდა, არცხვენდა, გულისსწორებს უფრთხობდა. გივი რევანშისტვის ემზადებოდა და მეც მითრევდა: — ჯემალ, დაძაბე გონების კუნჭულები, რაიმე იდეა თუ მოგივა, მითხარო.

მეორე დღეს გივის ასეთი სცენარი შევთავაზე: უნდა დაგვეჭიროს წრუნუნა, რაც არ გავგიძნელდებოდა ანტისანიტარიის პირობებში, ჩვენს ეზოში რომ იყო, თითოეული ჩვენგანის ბინებში პოულობდნენ

ასპარეზს. უნდა მოგვეთავსებინა ეს წრუნუნა ლამაზ კოლოფში და ამ „საჩუქრით ხელდამშვენებულ“ გივი უნდა სწვეოდა ანიჩკას. თავაზიანი და მორიდებული უნდა ყოფილიყო და დაახლოებით შემდეგნაირად მიემართა: „დეიდა ანიჩკა, აი უკვე შვიდი წელია თქვენს მეზობლად ვცხოვრობ, თქვენს დედაშვილურ ყურადღებასა და პატივისცემას ვერასოდეს დავივიწყებ. სულ მალე უნდა დავტოვო აქაურობა. დიპლომი ავიღე, ვინ იცის როდისმე თუ შევხვდებით ერთმანეთს, ამიტომ ნება მომეცით, საჩუქარი მოგიძღვნათ, ცოტა ხნით რომ გაგახსენოთ ჩემი თავიო“.

როგორც შემდეგ გივი მომიყვა, ანიჩკას გივის თხოვნა და საჩუქარი შორს დაუჭერია: „არა, შვილო, როგორ გეკადრება, ისეც ძალიან გვიყვარხარ, არ გამაგონო საჩუქარიო“. გივის მოულოდნელად აუხდია სახურავი, იქიდან გადმომხტარა დაფეთებული წრუნუნა. ცალკე ანიჩკას შემოჰყვრია გულზე. მერე ჩემივე წყალობით, რამდენიმე საათში ეს ინფორმაცია მთელ ეზოში გავრცელდა. ანიჩკას რომ არ გაეგო, ქალები ჩუმჩუმად ქირქილებდნენ.

ასეთი გახლდათ ჩემი ბავშვობის მეგობარი „ВЕЧНЫЙ СТУДЕНТ“-ი გივი.

ამ ბავშვურ გულწრფელ მეგობრობას, საუბედუროდ, კარგი დასასრული არა ჰქონდა.

ჩვენი განშორების შემდეგ ერთმანეთს თითქმის აღარ შევხვედრივართ. ერთხელაც, ასე დაახლოებით 20 თუ 25 წლის შემდეგ, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში გადავეყარე. სადღა ამშვენებდა შავი ხუჭუჭა თმა, გამელოტებულიყო. საკმაოდ ჩასუქებულს, ქართველი ბიურგერებისათვის დამახასიათებელი ღიპიც დასდებოდა, სიხარულით მივეჭერი:

— გივი, გამარჯობათ, მე ჯემალი ვარ. არ გახსოვთ, ჩვენი ეზო და თქვენი სტუდენტობის წლები-მეთქი?

საპასუხოდ არავითარი გრძნობა არ გამოუხატავს, არც გაუხარებია ჩვენს შეხვედრას. უინტერესო, გახევებული მზერა მომაპყრო, არადა ყოველთვის ხალისით იყო სავსე, და თითქმის ყოველთვის გილიმოდა იმ შორეულ ჩემს ბავშვობაში. აღარ მოვეშვი, მშობლები მოვიკითხე, დიდი ხანია გარდაიცვალნენო. სამწუხაროდ, საუბარი ვერ გამოგვივიდა, თითქოს სხვა კაცი იდგა ჩემ წინ. სასწრაფოდ დავემშვიდობე. შემდეგ რამდენჯერაც გამახსენდა ეს ჩვენი შეხვედრა, თავს ვიდანაშაულებდი, რატომ არ შევეკითხე, იქნებ რამე უჭირდა, სიცოცხლის სიყვარული რახან გაჰქრობია-მეთქი. სათანადო ყურადღება ვერ გამოვიჩინე და მონატრებულ ადამიანს უცხოსავით ცივად მოვერიდე.

ისიც ვიფიქრე, ნეტა ის კაცი ჩემი ბავშვობის მეგობარი გივი არ ყოფილიყო-მეთქი. მაგრამ როგორც უნდა იყოს, ის სტუდენტი ჩემი მეგობარი გივი 50-იანი წლების დასაწყისიდან მაინც ისეთად მემახსოვრება და მეყვარება, როგორც იყო ჩემს ბავშვობაში.

\* \* \*

ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ასე 1945 წლის დასაწყისში ეზოს დაუბრუნდა ჩვენი კარის მეზობელი, ნაომარი შ. ჭ-ია. გავიგეთ, ის ჯერ კიდევ 1942 წლის შემოდგომიდან ტყვედ ჩავარდნილიყო და თითქმის ორ წელზე მეტი გაუსაძლის პირობებში ამყოფეს. ბავშვების დაჟინებული თხოვნით, გვიყვებოდა ხოლმე ომის საშინელებებზე, განსაკუთრებით საბჭოთა ტყვეების უსასტიკეს პირობებზე: შიმშილზე, ანტისანიტარიაზე, მონურ ფიზიკურ შრომაზე, ტყვეთა გამუდმებულ დახვრეტებსა და მრავალ სხვა საშინელებაზე, რასაც გერმანელი ფაშისტები სჩადიოდნენ.

მაინც რა სათუთია ბავშვის ფსიქიკა, რა სუფთაა და ალალია ყმანვილური ფიქრები. მაშინ, იმ დღეებში, ისე მეჯავრებოდა ყოველივე გერმანული, ცოტა უფროსი რომ ვყოფილიყავი, მეგონა არაფერს შევეპუებოდი, ფრონტზე აღმოვჩნდებოდი და გერმანულ ფაშიზმს შევებრძოლებოდი ან კაციჭამია ჰიტლერს მოვკლავდი. ხშირად ჩამძინებია ამ ნატვრით. ვინ მიმიხვდება, როგორ ვნანობდი, გვიან რომ დავიბადე და პატარა ვიყავი.

უცნაურია მაინც ადამიანის ცხოვრება, გავიდა სულ რაღაც ერთი წელიწადი და საბჭოთა ხალხმა ზარზეიმით აღნიშნა გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვება, შემდეგ თბილისში გერმანელი ტყვეებიც გამოჩნდნენ. ბარათაშვილის ქუჩაზე დიდ საცხოვრებელ სახლს აშენებდნენ, ხოლო ჩვენს ქუჩაზე, გორგასლის დაღმართზე, ქვაფენილს აგებდნენ, ხშირად შემოდდიოდნენ ეზოში წყლის დასალევად და სამათხოვროდაც. ეზოს არცერთ მობინადრეს მათ მიმართ აგრესია არ გამოუხატავს. ვისაც როგორ შეეძლო, ლუკმა-პურიც მიუწოდებია და მათი შემბრალებელი ბებია მართაც იყო. სიდინჯით, უწყინარობით, სევდიანი თვალეობით ეს ხალხი სრულებითაც არ ტოვებდა მტრის შთაბეჭდილებას.

საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულმა წლებმა ძალიან შეარყია ბიძია შალვას ჯანმრთელობა, სამუდამოდ დაინვალიდდა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, პურის მაღაზიის გამგედ დაენყო მუშაობა. მისმა ოჯახმა სული მოითქვა: შეიმოსნენ, ზამთარში სახლს შეშის ღუმელით ათბობდნენ. მაშინ ეს დიდი ფუფუნება იყო. ბიძია შალვა კეთი-

ლი და გულგახსნილი ადამიანი გახლდათ, ცდილობდა, ყველასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა. სამაგიეროდ, მისი მე-  
“ულლე, დეიდა მარუსია არად დაგიდევდათ კეთილმეზობლობას. გა-  
მუდმებით ანჩხლობდა მემჩანური, ჩარჩული ხასიათის გამო, კონფ-  
ლიქტური ადამიანი იყო. განსაკუთრებით ვერ იტანდა — დედას და  
ბებიას, თავს რომ არ უყადრებდნენ. ეს პირდაპირ აცოფებდა მას.

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო, რომელმაც წარუშლელი ცხოვ-  
რებისეული გაკვეთილი მიმაღებინა, პურის გაცემის „ტალონური“  
სისტემა ჯერ კიდევ მოშლილი არ იყო. მგონი 1947 წლის შემოდგომა-  
ზე გაუქმდა ტალონები. ამ დროს მარუსიამ დაიწყო პურის ორცხოზი-  
ლების გამოშრობა მზეზე. თავისი საცხოვრებელი ოთახის წინ, აივან-  
ზე ჩამოკიდა ერთი თუ ორი აკიდო თხლად დაჭრილი თეთრი პურის  
ნაჭრები. ეს რომ ბებია მართამ დაინახა, პირჯვარი გადაინერა და  
თქვა „ფუი ეშაკსო“. დამიძახა და ჩამაგონა: — მისი ქმედება ეშაკი-  
სეულია, თუ პური ეზედმეტა, რამდენი გაჭირვებულია ეზოში და მათ-  
თვის მიეკითხა. არ დაგინახო, პურის აკიდოებთან ახლო მიხვიდე და  
ღმერთმა არა ქნას, სულმა წაგძლიოს და მოიპაროო. მაშინ დამივიწყე,  
შენი ბებია აღარ ვიქნებო.

ისე რომ, დიდი სულიერი გამოცდის წინაშე აღმოვჩნდი. დღეში  
რამდენჯერმე უნდა ჩამეველო საცდუნებელთან, თანაც კიბის თავთან  
ცხოვრობდნენ და ვერაფრით გვერდს ვერ ავუქცევდი ჩურჩხელები-  
ვით ჩამოკიდებულ თეთრი პურის აკიდოებს... და ერთხელ მოხდა ის,  
რასაც ძალისხმევის მიუხედავად ვერ ავერიდე.

ერთ დილას სკოლაში რომ მივდიოდი, ასე პირველ კლასში ვიყავი,  
წამით შევეყოვნი ჩემს საცდუნებელთან. მივიხედ-მოვიხედე, არავინ  
ჩანდა. ხელსაყრელი მომენტი იყო, რათა აკიდოებთან ერთი თუ ორი  
პურის ნაჭერი ფრთხილად მომეხსნა. ასეც მოვიქეცი, ვიფრთხილე და  
ძაფი არ გამწყვეტია. გადავადგილე პურის ნაჭრების მწკრივი, რომ  
სიცარიელე არ შემჩნეოდა. სულმოუთქმელად ჩავირბინე კიბე, გავც-  
დი ეზოს, ცოტაც გავირბინე, მერე შევჩერდი, ამოვიღე ჩემი ნადავლი,  
ტკბილად ჩავახრამუნე და გავუყევი სკოლისაკენ. მაგრამ რა ვიცოდი,  
სკოლიდან დაბრუნებულს რაც მელოდა. შევედი თუ არა შინ, ჩვეულე-  
ბისამებრ ბებიისკენ გავიწიე საკოცნელად. ცივად მომიშორა, ჩემთვის  
ხმა არ გაუცია, არც არაფერი უთქვამს, მხოლოდ გულსაკლავად ჩაი-  
ლაპარაკა თავისთვის: — ეხ, რას მოესწარი ამ სიბერეში, მართა ჩიქო-  
ვანო. უმჯობესი იყო მიწა გაგხეთქოდა ან ზეცა თავზე დაგმხობოდაო.  
დიდი გამოცნობა არ სჭირდებოდა, რაც მომხდარიყო. სანყალმა ბები-

ამ უკვე ყველაფერი იცოდა. სირცხვილის გამო ავტირდი. მუხლებზე მოვეხვიე: — ბები, ბები მაპატიე, მეტს არ ვიზამ-მეთქი.

თავიდან უნდოდა მოვეშორებინე. გახვეებული იდგა, არაფერი უთქვამს, მე კი ვეხვეოდი, ხელებს ვუკოცნიდი და პატიებას შევთხოვდი. ცრემლები თავისით მდიოდა ღაპაღუპით. მერე გული მოუღბა, თავზე ხელი გადამისვა და შემრიგებლურად მითხრა: მთლად შენი ბრალიც არ არის, რაც ჩაივინე, ამაში გარკვეული დანაშაული მიმძღვის, რიგიანად ვერ გაგზარდევ; ერთიც იცოდე, ყოველი უღირსი საქციელით შეურაცხყოფას აყენებ წინაპრების წმინდა სულებსო.

რალა გავაგრძელო და ისე მახსოვს, დაახლოებით ერთი კვირა ხერიანად ხმას არ მცემდა, დედისთვის არაფერი უთქვამს, რადგან კარგად იცოდა მისი მკაცრი ხასიათი, სამაგალითოდ დამსჯიდა ფიზიკურადაც.

ერთი უსიამოვნო ამბავიც მახსოვს ამ ოჯახთან. ვიდრე სკოლაში ვიყავი (მეორე ცვლაში), დედაჩემი წაკამათებულა დეიდა მარუსიასთან. ასე საღამოს 8-9 საათი იქნებოდა, დედა, ბებია და მე აივანზე ვისხედით. მახსოვს, დედას მუხლებს ვიყავი მიხუტებული, რაც იშვიათობა იყო ჩემთვის, რადგან მას არ უყვარდა თავისი ემოციების გამოხატვა შვილებთან. როგორც მოგვიანებით გამიმხილა, ეშინოდა, არ გავთამამებულყავით.

იმას მოგახსენებდით, ჩვენთვის ვისხედით და ვსაუბრობდით. თვალი მოვკარი, დეიდა მარუსიას ქმარი დაბრუნდა სამსახურიდან შინ. რამდენიმე წუთში გამოვიდა ბინიდან და ჩვენკენ აიღო გეზი. ჯერ ვიფიქრე, ან მეზობელთან მიდის, ან ტუალეტში-მეთქი. ყურადღებაც არ მიმიქცევია. უეცრად წინ ჩავგვიარა, დედას თვალი გაუსწორა და მეგრულად საშინელი, უნმანური სიტყვა მიახალა. გაშრა დედაჩემი და ბებიას სახეზე ალმური მოეკიდა. ისევ ბებია იმარჯვა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, დედა შინ შეეყვანა. თან ემუდარებოდა: — გთხოვ, დედაშვილობას, თავი არ გაუყადრო ამ არაკაცსო.

შეურაცხყოფილი დედა ატირდა, ბებია უფრო მხნედ იტანდა ცხოვრების უკუღმართობას. ბებია მართა აღარ შეურიგდა ანჩხლ მეზობლებს. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ხმა არ გაუცია მათთვის. სანყალი დედა ასეთი დამცირებული არასოდეს მინახავს. ერთი კი თქვა: ასეა უკაცო ოჯახი, მაგრამ ობლების შეგინებას არაფრით არ შევარჩენ მაგ გარენარსო.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, მთელი შინაგანი ბუნებით მინდოდა დამეცვა დედა, ბებია, შეურაცხყოფილი ოჯახი, მაგრამ რა შემეძლო, რა უნდა გამეკეთებინა, ვერ ვხვდებოდი, არც ვიცოდი...

მაინც რა ყოფილა ბავშვის მეხსიერება და აღქმის უნარი. წლების განმავლობაში არ დამვიწყებია ეს შემთხვევა. როდესაც ამ ხალხს ვხედავდი, სულ ზიზღისა და ამბოხის გრძნობა მეუფლებოდა.

გავიდა 10 თუ 12 წელი. მე უკვე პირველი თუ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. იმ ცოდვილს ავადმყოფობა მოერია, 3 წელი საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნამ ალბათ თავისი შედეგი გამოიღო, უკურნებელი სენით დაავადდა. საავადმყოფოდან სულ რაღაც ერთ კვირაში გამოწერეს. მეზობლები ჰყვებოდნენ, საავადმყოფოში არ უნდოდათ მომკვდარიყო. მართალი გითხრათ, ადამიანურად შემეცოდა, დამენანა სიკვდილისათვის. უფრო სწორად, უნდა ვაღიარო, მინდოდა ერთ მშვენიერ დღეს გამოვლაპარაკებოდი, გამეხსენებინა მისთვის, გული რომ გვატკინა. ჩემი შელახული თავმოყვარეობისათვის ეს საჭიროდ მიმაჩნდა... ამიტომ მე ეს კაცი ცოცხალი მჭირდებოდა...

მოხდა ის, რაც ალბათ, მხოლოდ ბედისწერას და ღვთიურ ძალებს შეიძლება მივაწეროთ... ერთ დღეს მე და ჩემმა უფროსმა ძმამ გადავწყვიტეთ სადღაც ერთად წასვლა. ჩავიცვით და გამოვედით ბინიდან, რომელიც თითქმის ემიჯნებოდა ამ ოჯახის ბინას. კარები ღია ჰქონდათ. ჩავიარეთ და მოგვესმა ბიძია შალვას, დასნეულებული ადამიანის, აკანკალებული, ყრუ ხმა: — ჯემალ, ანზორ, ბიჭებო, შემოდით ჩემთანო.

ჯერ გვეგონა, ხომ არ გვეჩვენებო, მაგრამ ავადმყოფი ნამდვილად გვეძახდა. ჩუმად და მორიდებით შევედით. მარტო იყო, ლოგინში იწვა. არასოდეს დამავინწყდება მისი ფერმკრთალი, მიტკალივით სახე. შემოგვხედა, გაგვიღიმა და ისეთი ძალისხმევა დასჭირდა ამ ღიმილისათვის, სიბრალული ვიგრძენი. შემდეგ თითქოსდა ძალას იკრებსო, ჩუმად, მაგრამ გარკვეულად გვითხრა: — ხომ ხედავთ, ვკვდები. ქურთულად გაზრდილი უღვაშით არ მინდა ამ ქვეყნიდან წავიდეთ. ერთსა გთხოვთ, მანდ პატარა სარკე და მაკრატელია, უღვაში შემისწორეთო.

მართალი გითხრათ, ყველაფერს ველოდი, მაგრამ ასეთ უცნაურ თხოვნას არანაირად. მე და ჩემი ძმა ანზორი თითქოსდა ბურუსიდან გამოვედით, სინათლე ავანთეთ, პატარა მაკრატელი ავიღე და დავუწყე უღვაშის შესწორება. ამ საქმეში საერთოდ გამოუცდელი ვიყავი. მაკრატელი ძნელად მოვიმარჯვე, თითქოსდა ისევ ბურანში აღმოვჩნდი. თვალწინ დამიდგა ის დღე, ის საათი, როცა ამ კაცმა შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს საყვარელ ბებიას, დედას... თითქოსდა თვალელებში დამიბნელდაო, ვცდილობდი მოგონებებისთვის თავი დამეღწინა. უცებ ხელი ამიკანკალდა, მაკრატელი გამივარდა... — ანზორ,

მოდი, შენ გააგრძელე-მეთქი, გადავუღაპარაკე ძმას და ოთახის სიღრმეში გადავინაცვლე, რათა მათთვის დამემალა, თვალბზე ცრემლი რომ მომადგა. ავცახცახდი, ტანში გამცრა...

ანზორმა, როგორც იყო, დაასრულა საქმე, ბიძია შალვას სარკე მივანოდეთ. იმას თავიც არ ჰქონდა თვითონ დაეჭირა, ჩვენ მივეშველეთ. გაგვიღიმა: — გმადლობთ, ბიჭებო, თქვენ ნამდვილი პარიკმახერები ყოფილხართო.

ის იყო, უნდა გამოვსულიყავით ოთახიდან, ბიძია შალვას ყრუ ძახილმა შემაჩერა: — ჯემალ, მოდი ჩემთანო. მივუახლოვდი. თვალეზით და ხელების სუსტი მოძრაობით მანიშნა, რომ დავხრილიყავი, დავიხარე... შუბლზე მაკოცა... „...დამილოცნიხართ შვილებო“, შემდეგ თითქოსდა თავს ძალა დაატანა, თვალი თვალში გამიყარა და ორი სიტყვა მითხრა: „მაპატიე შვილო“.

გაოგნებული გამოვედი, დიდხანს დამუნჯებულებით მივდევდი ძმას, კიდეც კარგი ანზორს ზედმეტი კითხვა არ დაუსვამს...

ღმერთმა გაპატიოს და შეგინდოს ბიძია შალვა. მე დიდიხანია გაპატიე, ღმერთმა აცხონოს თქვენი სული.

შემდეგში, როცა ვიხსენებდი ამ ეპიზოდს ჩემი ცხოვრებიდან, დავრწმუნდი, რომ ადამიანი, რომელიც აღიარებს შეცდომას, ძლიერია, იმიტომ, რომ ცოდვის და შეცდომების აღიარების უნარი ყველას არ გააჩნია.

ჩვენს სართულზე დაბინავდა მილიციის თანამშრომელი ლევან ნძე და მისი მეუღლე, აზერბაიჯანელი ახალგაზრდა ქალი, მამინ სულ რაღაც 18-19 წლისა, ლეილა. მისი მშობლების მრავალრიცხოვანი ოჯახი იქვე, კიბის ქვევით, ნახევარსარდაფში ცხოვრობდა. ერთხელ მილიციაში დაუკავებიათ ლეილას დისშვილი წვრილმანი ქურდობისათუ ხულიგნობისათვის. გოგონა მისულა მილიციაში დისშვილის გამო. იქ გაუცნია ლევანი. იმ დროს უკვე შუახნისა. ასე 40-42 წლის მამაკაცი გახლდათ, ცოლშვილიანი. სომეხი ქალისაგან სამი შვილი ჰყავდა. უფროსი გოგონა ლეილას წლოვანების. ისე მოხიბლულა ლევანი ლეილათი, ცოლ-შვილი მიუტოვებია და სულ რაღაც ორ-სამ თვეში აქ, ჩვენ გვერდით გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

ლეილა მართლაც თვალწარმტაცი იყო. ტანადი, შავი, გიშრისფერი თვალეზით, წაბლისფერი ხშირი მბზინავი თმით, მუჭის სიმსხო ნაწნავებს დაატარებდა. გუდიაშვილის ან რუბენის ნახატივით ქალი იყო, აღმოსავლური სინატიფისა. ხასიათითაც გამორჩეულს, უაღრესად თბილი, სიცოცხლისმოყვარე თვალეზი სულ უბრწყინავდა, სახეზე სულ ღიმილი უთამაშებდა.

არავითარი კლასიკური მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ კარგად მღეროდა, შესანიშნავად ცეკვავდა, უკრავდა თარსა თუ პატარა საესტრადო ჟინჯილებით მორთულ დოლზე. გათხოვებამდე, და მას შემდეგაც, იყო წევრი აზერბაიჯანული მუსიკისა და ხალხური ცეკვის ანსამბლის, რომელიც ლესელიძის ქუჩის ერთ პატარა შესახვევში, მაშინდელ პირველი მაისის ქუჩაზე, ბერიას სახელობის კულტურის სახლში ედო ბინა. ჰქონდა სოლო ნომრები, როგორც ცეკვის, ისე სიმღერისა. ქმარმა საბჭოთა ელექტრონული რადიომიმღები უყიდა, ოცდაოთხი საათი ჩართული რომ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ბაქოს რადიოტალღაზე, აუცილებლად მაღალ ხმაზე და მათი ღია ფანჯრიდან თითქმის გაუთავებლად ისმოდა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები, მაშინდელი მათი ესტრადის ვარსკვლავების რაშიდ ბეიზუთოვის თუ ზეინაბ ხანუმის გაუთავებელი ვოკალი. ამ დროს მე და ჩემს ძმას ანზორს გაკვეთილები უნდა გვესწავლა, მაგრამ ვინ მიუთითებდა მილიციის მუშაკის ცოლს. მერეც ბევრჯერ გამიხსენებია ჩვენი მეზობელი ლეილა, რომელიც თავისი სილალით, სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი სიყვარულით, ლეონკავალოს ოპერის „კარმენის“ პერსონაჟს მაგონებდა, მათი გაცნობის სიუჟეტიც მსგავსი იყო, მაგრამ ლეილას ქმარი ლევანი დონ ხოსეს არაფრით ჰგავდა. არ არის გამორიცხული, რომ ცხოველური ჟინით, ჯალათური კომპლექსებით ძლიერ უყვარდა ცოლი, მაგრამ მისმა სადისტიურმა ბუნებამ და ეჭვიანობამ თანდათან ჩაკლა ლეილას ხალასი სული. მახსოვს მათი გაუთავებელი ჩხუბი, ერთი დავიდარაბა — ქმარი არავის ერიდებოდა, ფიზიკურადაც უსწორდებოდა (მილიციაში ალბათ დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული ადამიანების ფიზიკური დასჯისა თუ წამებისა). ძლივს უსხლტებოდა ლეილა, ხანდახან მოახერხებდა ბინიდან გამოღწევას, ხშირად იმალებოდა მეზობლებთან. სადისტი ქმარი მას სამხედრო ტყავის ქამრით სცემდა. რამდენჯერმე საერთოდ გაექცა, მაგრამ შემდეგში მაინც ბრუნდებოდა. სად? სად წასულიყო სანყალი ლეილა. ამ კაცისა ყველას ეშინოდა. ერთადერთი, რაც არ დაუთმო ლეილამ, ანსამბლი არ მიატოვა. კატეგორიულად უთქვამს თავისი მწვალებლისათვის: — თუკი ანსამბლში არ გამიშვებ, თავს ჩამოვიხრჩობო. აკი გითხარით, უყვარდა ამ ცხოველს თავისი მსხვერპლი და დათანხმებულია. ეჭვიანობის გასაქარწყლებლად ლეილამ გამოსავალი მოიგონა, ხშირად მთხოვდა წაცელოდი კლუბში, რეპეტიციასა თუ კონცერტზე. ასე დავეყვებოდი ლეილას 7-8 წლის ბავშვი ბერიას კლუბში. გარკვეულწილად გავთვითცნობიერდი ხალხურ ფოლკლორში, ამ კლუბში იყო სომხური, ქართული და რა თქმა უნდა, ქურთული ცეკვისა და სიმღერის ან-

სამბლები, ყველა კონცერტს ვესწრებოდით მე და ლეილა, ამ კლუბში მქონდა ბედნიერება, მენახა და მომესმინა მრავალი ცნობილი მუსიკოსისათვის. იმართებოდა სოლო კონცერტები, მონაწილეობდნენ საესტრადო ჯგუფები ფილარმონიიდან, ამშვენებდა ჩხიკვაძისა და ძაგნიძის განუმეორებელი გიტარა და სიმღერები, გამოდიოდნენ დები ომხნელები, სპი-ს საესტრადო ანსამბლი ტულუშის ხელმძღვანელობით, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა საესტრადო ჯგუფები; ძმები ნინუები (ერთი ძმა პატარა ტანის, მეორე კი ყველამ იცის, რა სიმალლის). აქ მოვისმინე პიერ კობახიძის, სალარაძე (მამის), გიორგი შავგულიძის და სხვათა მიერ შესანიშნავად ნაკითხული ქართული პოეზიისა თუ პროზის ნიმუშები. სანდრო ჟორჟოლიანისა და აკაკი კვანტალიანის მოუწყინარი სკეჩები. ისე, რომ ამ ლეილას ხელოვნების უნივერსიტეტებმა დააჩქარა ჩემი გადანაცვლება სახელგანთქმულ თუ ნაკლებად ცნობილი თეატრების დარბაზებში: რუსთაველის, მარჯანიშვილის, მუსკომედიის და, ასე წარმოიდგინეთ, სანიტარული კულტურის სახლში არსებულ თეატრში, რომელიც მაშინ პლენხანოვის გამზირზე იყო, ახლანდელ რკინიგზელთა კულტურის სახლთან ახლოს.

მილიციის მუშაკი ლევანი სამსახურშიც ასეთი მკაცრი და უსამართლო ყოფილა. დაახლოებით 1948 წელს, შემოდგომის გვიან საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, ჩასაფრებიან, ამტყდარა სროლა და ლევანი მუცლის არეში მძიმედ დაუჭრიათ. არამიანცის საავადმყოფოში გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია, ორი ტყვია ამოაცალეს, არავინ ელოდა მის გადარჩენას, მაგრამ გადარჩა. ორიოდ თვე ინვა საავადმყოფოში, შემდეგ ამდენივე სახლში, ვიდრე ფეხზე წამოდგებოდა. მეზობლები გაკვირვებული იყვნენ იმ ყურადღებით, რომელსაც ლეილა იჩენდა მის მიმართ, თითქმის ყოველდღე აკითხავდა საავადმყოფოში, ყოველთვის ახალი კერძით და ხილით. მეც არაერთხელ გავყოლივარ ლეილას. ამით არ დასრულებულა მილიციელის უბედურება. 1945 წლის ზაფხულში ოპერატიული ჯგუფი ჩასაფრებია მძარცველებს რომელიღაც სავაჭრო ობიექტთან. გათენებისას ამტყდარ ორმხრივ სროლაში ლევანი ხელში დაჭრეს... ისევ ოპერაცია, ისევ საავადმყოფო, და ისევ და ისევ ლეილას მზრუნველობით ფეხზე დადგა. დაახლოებით 1956-1957 წლებში ოფიციალურადაც დაქორწინდნენ, ერთი წლის თავზე შეეძინათ ქალიშვილი ზეინაბი.

ამ ჯვალათმა თუ სადისტმა ერთხელ თავისი ბრიყვეული ქცევით დედაჩემს ძლიერ აწყენინა. იმ ზაფხულს, დაახლოებით 1954-1955 წლებში, მამიდასთან ვიყავი სტუმრად ქუთაისში. შემდეგ მამიდამ და ბიძიამ ბინა იქირავეს ქობულეთში და იქ გავემგზავრეთ დასასვენებლად.

თბილისში აგვისტოს ბოლოს ჩამოვედი. შევამჩნიე, რომ დედა არ ელაპარაკებოდა ლევანსა და ლეილას. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათად იყო ჩვენს ეზოში. ეს გაჭირვებული, ლუკმაპურის მოპოვებით შეწუხებული ხალხი, თანაც გაუსაძლის პირობებში მყოფნი, ხშირად უმნიშვნელო რამეზე წაეკიდებოდნენ ერთმანეთს. არ მესიამოვნა მათი ამბავი, მითუმეტეს, ვიცოდი, რომ ლეილა დიდ პატივს სცემდა დედას, ანგარიშს უწევდა მის აზრს. დედა ამეცადინებდა ხოლმე მუსიკაში, ასწავლა გიტარაზე დაკვრა. აბა რა ჯემალი ვიყავი, არ გამერკვია, თუ რა მოხდა. მალევე მეზობლებმა ჩამიკაკლეს:

ერთ დღეს დედას სამსახურიდან სტუმრები სწვევიან ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი და პატარძლის მშობლებიც. დედას, როგორც შეეძლო, ისეთი სუფრა გაუშლია; გიტარაც აუღია და ხმაშენყობით უმღერიათ სტუმრებსაც. საერთოდ დედა შესანიშნავად მღეროდა, აბსოლუტური სმენა ჰქონდა. სიმღერას სიმღერა მიჰყოლია და ხალისიც ჩამოვარდნილა. ერთი ფარღალა კედელი გვყოფდა ლეილას ოჯახთან. დედას და მის სტუმრებს გაუგონიათ მამაკაცის ყვირილი და უნმანური სიტყვები: „...როდემდის უნდა შემანუხოს ამ...“ ქალის ხვეწნა-მუდარა არ ჭრიდა — ნუ იგინებო, სულ რაღაც 10 საათია და ხალხი თავის სახლში ერთობაო. „ერთი შენიცო“ და უცებ გაღებულა ჩვენი ბინის კარი, შემოვარდნილა მილიციელი ლევანა, გაშიშვლებული პისტოლეტით ხელში. თან იგინებოდა, ილანძლებოდა, თვალებს ავად აბრიალებდა: — აბა, ჩქარა, დაცალეთ აქაურობაო, სამსახურიდან დაღლილი მოვედი და ძილის საშუალებას არ მაძლევთო. რამდენიმე წამში ლეილა შემოჰყოლია, გვერდით მცხოვრები მეზობლებიც შემოლაგებულან და დიდი ხვეწნის შემდეგ ლევანი გაუყვანიათ ჩვენი ოთახიდან.

აი, ასე თავისი სადისტური ჯალათური კომპლექსებით ჩაუშხამა თურმე დედას სტუმარმასპინძლობა.

რახან მე ეს ამბავი შევიტყე, საშინლად აღელდა დედაჩემი. თვალბეზე ცრემლი მოადგა, მერე ხმამაღლა ატირდა და ალერსსმოუჩვენელი შვილი გულში ჩამიხუტა, ერთსა მთხოვდა, ის არაკაცია, თავი არ გაუყადრო, თავი არ დაიღუპოო. ის ყველაფერზე წავა, ცრუ მონმეებსაც იშოვის მილიციაში და შენ კი გაუბედურდებიო. გახევებული და გაყინული სახით შევცქეროდი. შურისძიების გრძნობა დამეუფლა. იცოდა დედამ ჩემი სიფიცხე და მემუდარებოდა, ხმა არ გასცე მაგ არაკაცსო. მე დავამშვიდე, მაგრამ სრულებითაც არ ვაპირებდი სიტყვის შესრულებას, ვფიქრობდი მხოლოდ ერთზე — შურისძიებაზე. ძალები არათანაბარი იყო. სად 14-15 წლის ყმანვილი და სად საბჭოთა მილი-

ციის ჯურღმულებში აღზრდილი ჯალათი. თითქოსდა გუმანით მიმიხვდა დედა, რომ ჩემი პირობა ზერელე და არაფრისმთქმელი იყო და აქ გამოიყენა დედური სიმტკიცე და სიბეჯითე: — ახლავე საწყალი ბები-აშენის, მართას სული დაიფიცე, რომ არაფერს მოიმოქმედებო.

ეს კი მეტისმეტი იყო.

არ ვიცი, მკითხველო, შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ იმ ყმანვილ-კაცობის წლებში ეს ფიცი, პირადად ჩემთვის, ყველაფერზე მტკიცე იყო. იცოდა დედამ და არაერთხელ დავუმტკიცე, რომ თუ ბებია მართას სულს დავიფიცებდი, მაშინ მართალი ვიყავი. რა მექნა, მეტი გამოსავალი არ დამრჩენოდა და დედაც დაიმედდა. მართალი გითხრათ, 7-8 წელი ფიცი არ დამირღვევია...

დაახლოებით 60-იანი წლების დასაწყისია. მე უკვე სპი-ის მე-2-მე-3 კურსის სტუდენტი ვარ. სალამოს 9-10 საათია, შინ დავბრუნდი. მახსოვს იმ დღეს თანაჯგუფელებმა პატარა პურმარილით აღვნიშნეთ სესიის დამთავრება. ცოტათი შეზარხოშებულიც ვიყავი. ეზოში მეზობლები დამხვდნენ: ლევანი, ლეილა და კიდევ რამდენიმე ქალი და კაცი. ზოგი მასლაათობდა, ორნი წარდს აგორებდნენ.

შევედი სახლში, წამოვწეი, მინდა ძილს მივცე თავი. აქა-იქ კანტიკუნტად მესმის მეზობლების სჯა-ბაასი. ამ დროს მკვეთრად გავარკვიე ლევანის ხმა. თქვა: — ყოჩაღ, არიადნა, რა კარგი შვილები გაზარდა ამ ომისა და გაჭირვების დროს. ორივე უმაღლესში სწავლობს, ზრდილობიანები არიანო. აი, ეს სიტყვები მეტისმეტად დამამცირებლად აღვიქვი. არ მახსოვს, როგორ წამოვხტი, გარეთ გავვარდი, ხელში წყლით სავსე დოქი მეკავა (კარგი იარაღია არა, მოჩხუბრისათვის?) და გულიდან ამოვიღე ის ბოღმა, წლების განმავლობაში რომ ვატარებდი:

— ახლა გავხდი კარგი ბიჭი შე... შე... მაშინ რას ფიქრობდი, პისტოლეტით რომ შემოვარდი ჩვენს სახლში და სტუმრები გაგვიყარე, სადაა ის შენი პისტოლეთი, ერთ ადგილას უნდა შეგ...-მეთქი.

არავინ ელოდა ჩემს ასეთ აფეთქებას, შემდეგ მიყვებოდნენ, რომ სახეზე ფერი არ მედო, გაფითრებული ვყოფილვარ. ის კი მახსოვს, მეზობლები ჩადგნენ ჩვენ შორის. აქამდე ვერ ამიხსნია ერთი რამ, რაც იქ მოხდა... ამ მრავალჯერ ცეცხლის სროლაში მყოფ ჯალათს, სადისტური მიდრეკილებებით, არა მგონია, ვინმესი ან რამესი შეშინებოდა, მაგრამ იმ დღეს, იმ სიტუაციაში ხმა არ ამოუღია. ჩუმად გაცალა იქაურობას, შევიდა სახლში...

სულ რაღაც რამდენიმე თვეში ჩვენ ახალი ბინა მივიღეთ და საცხორებლად სხვაგან გადავედით.

გავიდა დაახლოებით 25 წელი... უკვე მოსკოვში ვმუშაობდი, თითქმის ყოველ წელს ჩამოვდიოდი თბილისში.

ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა, ვასიკომ, ქალაქის პროკურორის მოადგილემ დამპატიჟა რესტორან „ქალაქურში“ ბარათშვილის ქუჩაზე. ისიც მითხრა, ვინც შენ გინდა, ის მოინვიეო. მეც არ დავაყოვნე და დავპატიჟე შოთა გორგოძე, შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი მოადგილე თემურ სიღამონიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე და ზურაბ აბაშიძე. მაღლიერების გრძნობით ვიხსენებ, რომ მიუხედავად სამსახურებრივი მოუცლელობისა, მიწვევაზე დამთანხმდნენ.

ასე საღამოს 8-9 საათზე შევიკრიბეთ. ამ რესტორანში ადრეც ვყოფილვარ. ყოველთვის გამოირჩეოდა სანიმუშო წესრიგით და გემრიელი კერძებით, მაგრამ იმ დღეს ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. როდესაც დირექტორს გაუგია სტუმრად ვინც უნდა სწევოდა, დილიდან შედგომიან თადარიგს. კრიალებდა ყველაფერი, შიდა პატარა ეზოს რწყავდნენ, რომ სიგრილე შენარჩუნებულიყო. იმ დღეს რესტორანი სხვებისთვის დაიხურა, უფიქრიათ, რაიმე შარს არ გადავეკიდოთო.

ყველაზე დიდი ოთახი „ოჯახი“ დაგვითმეს მეორე სართულზე. დიდებული სუფრაც გაგვიშალეს. ალბათ, ერთი საათი იქნებოდა გასული, რაც ვისხედით, ბოდიში მოვიხადე და სიგარეტის მოსანევად აივანზე გავედი, თან ეზოს გადავყურებდი. დავინახე ერთი მოხუცი, შლანგით ეზოს რწყავდა; რალაც მეცნაურა ეს ადამიანი, თითქოს ადრე სადღაც მენახა. დაუუკვირდი მის მიხრა-მოხრას, სახეს... საკმაოდ მოხუცებული იყო, ალბათ 80 წელს მიღწეული იქნებოდა. თითქოს „დაჩიავებული“, ლოყებჩაცვენილი მომეჩვენა. უცებ ამომხედა, თითქოს ისიც დაინტერესდა, ნეტა ამ კაცს აქ რა უნდაო?

— გამარჯობა ლევან ბიძია, ვერ მიცანი-მეთქი? — ჩავძახე. ერთი გაკვირვებით შემომხედა, შემათვალისწინა. მის მზერაში ვერაფერი ინტერესი ამოვიკითხე, თითქოს თვალი თვალშიც გამიყარა, დამაკვირდა.

— ვერა, ვერ გიცანითო, — იუარა.

— ლევან ბიძია, ჯემალი ვარ, თქვენი ყოფილი მეზობელი.

არაფერი არ უპასუხია, არც აღტაცება, ან შეხვედრის სიხარული გამოუხატავს. წყლის ჭავლი შეწყვიტა, იდგა ასე გახევებული და შემომცქეროდა... მართალი გითხრათ, დავიბენი, რა მეთქვა, არ ვიცოდი, ცნობისმოყვარედ გამოვკითხე: როგორ არიან ლეილა, ზეინაბი, მოკითხვა გადაეცით-მეთქი. მაინც არ მოინდომა გამოლაპარაკება. რამდენიმე წამი ასე ვიდექით და შევყურებდით ერთმანეთს, შემდეგ დავემშვიდობე, კიბეს ავუყევი, როცა მე-2 სართულზე ავედი, გად-

მოხვდეთ ეზოს, იქ უკვე აღარავინ იყო, მხოლოდ რეზინის მილი გველივით იკლაკნებოდა წყლის ჩქარი გადინებით.

როცა მახსენდება ეს მოულოდნელი შეხვედრა, ყოველთვის თავს ვიტყუქსავ, რატომ ან რისთვის მოვიკითხე, ან უფრო უკეთ რატომ არ გამოვეცნაურე?

ამ ამბიდან ერთი ცხოვრებისეული დასკვნა გავაკეთე და ამაში ჩემი ცხოვრების უკვე 70 წლის გამოცდილებამაც დამარწმუნა: ისე უნდა იცხოვრო, არ შეგრცხვეს ძველ ნაცნობებთან შეხვედრა, ხელის ჩამორთმევა თუ მისალმება. ურთიერთობაში არ უნდა მოგივიდეს ისეთი გამოუსწორებელი შეცდომა, რომ გარკვეული წლების შემდეგ, მოულოდნელი შეხვედრის გამო შეგრცხვეს. თუკი მეტყვიით, ასეთი წესით ცხოვრება ძნელიაო, არ დაგეთანხმებით, სავსებით შესაძლებელია. მთავარია დროებითმა წარმატებამ თუ დანინაურებამ თავბრუ არ დაგახვიოს, თანამდებობამ თავგზა არ აგირიოს და დარჩე ადამიანად!!!

ბერიკატთან შეხვედრამ იმის თქმის სურვილიც გამიჩინა, რომ გავიხსენო, ამ ჩვენი თბილისური ეზოს „ბოჰემამიც“ იყო ხალხი, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით, სიმშვიდით, სიკეთით, ოჯახური, ცოლქმრული მყუდროებით ნამდვილ ოაზისს ქმნიდნენ.

ასეთი იყო ვანო და მარიამ ლომიძეების ოჯახი, რომლებიც ჩემს მესხიერებაში დარჩნენ, როგორც მაშინდელი ქართული ინტელიგენციის მოჰიკანები. ისე ვიცხოვრეთ ერთმანეთის გვერდით, არასოდეს გამიგია მათი ბინიდან ჩხუბი თუ ხმაური, არასოდეს აუშაღლებიათ ერთმანეთის მიმართ ხმა. იმ დრომ, საკმაოდ დაძაბულმა და დინამიკურმა ცხოვრებამ, საკმაო დაღი დაასვა მათ ხასიათს, მაგრამ მეზობლებთან ურთიერთობაში ყოველთვის განონასწორებულნი, დინჯი და წყნარი იყვნენ, როგორც შეეძლოთ აწყნარებდნენ და ამშვიდებდნენ სხვებს, არცთუ ისე იშვიათ მეზობლურ შეხლა-შემოხლას. როგორც შემდეგ, ყმანვილკაცობაში გავიგე მათი მონაყოლიდან, არცთუ ტკბილი ახალგაზრდობა ჰქონიათ. სულ რაღაც 18-20 წლისანი იყვნენ, რომ „მოესწრნენ“ ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებს, შემდეგ საქართველოს ბოლშევიზაციას. რა ცხოვრებაც ჰქონდათ საბჭოთა ხალხს, კარგად მოგეხსენებათ და ამის ანალიზს არ შევუდგები... ერთი ვიცი, რომ დეიდა მარიამის მამა მღვდელი ყოფილა, წინამძღვარი სოფელ გავაზის (ყვარლის რაიონი) ეკლესიისა. გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტებს რამდენჯერმე უბრძანებიათ, ეკლესია დაეკეტა და წირვა შეენწყვიტა, მაგრამ ფარულად მაინც აღასრულებდა წირვა-ლოცვას, ნათლობას: „რა ექნაო, მრევლის თხოვნას ვერ ეწინააღმდე-

გებოდაო“. მუქარით მაინც გამოაკეტინეს ეკლესია. თავისი ხელით მოუხსნია ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები, ისტორიული ღირებულებისა, და ჩაუბარებია ყვარლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. შემდეგ დიდხანს ლოცულობდა თურმე ეკლესიაში (თითქმის მთელი საღამო), დაბრუნებულა შინ (პატარა, მაგრამ საკმაოდ კოხტა სახლი ჰქონია, თავისი ვენახით, ხეხილის პატარა ბაღით, ეზოში გამდინარე ცივი ანკარა წყაროთი, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლებულა), ანაფორა გაუხდია, წვერი გაუპარსავს, ეკლესიაში რაც წიგნები ჰქონდა, გადმოუტანია, თავისი ბიბლიოთეკის წიგნებიც დაუმატებია და პატარა სახლის ორ ოთახში ბიბლიოთეკა გაუხსნია. იმდენი „იბრძოლა“ რაიონის ხელმძღვანელობის შეუმდგომლობით, რომ ამ ბიბლიოთეკისათვის სახელმწიფო სტატუსი მიანიჭებინა. შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი, სიცოცხლის ბოლომდე, თავდადებულად იღვანა, რომ სოფლის ახალგაზრდობას ევლო ამ ბიბლიოთეკაშიო.

მეორე დიდი პასუხისმგებლობა, რაც ამ კეთილშობილმა კაცმა ითავა, ის იყო, რომ ეკლესიის დაცვა სახელმწიფოს საზრუნავი გაუხდია, რადგან ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიულ ძეგლს წარმოადგენდა და მისი აშენება თითქმის მე-7-8 საუკუნით თარიღდებოდა. რამდენადაც ვიცი, და მე იქ ორჯერ მაინც ვიყავი სტუმრად ვანო ზიძის მიწვევით, ამ ეკლესიაში არავითარი საერო ორგანიზაცია არ მოუთავსებიათ, კოლმეურნეობა იყენებდა საწყობად და ისიც მანამდე, სანამ სახურავი გაჟონავდა. ამ ეკლესიას ედგა ნახუცარი დარაჯად და როგორც შეეძლო იცავდა გაპარტახებისგან. ეს ღვთისნიერი კაცი 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტესო, გულისტკივილით მომიყვა დეიდა მარიაში.

დეიდა მარიაში დაწყებითი კლასების პედაგოგი გახლდათ, დაახლოებით 1955 წლამდე საბავშვო ბაღის დირექტორად მუშაობდა ორთაჭალის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის საბავშვო ბაღში, შემდეგ სკოლაში გადავიდა დაწყებითი კლასების პედაგოგად, თავისი საქმის ერთგული იყო. საშუალოზე ცოტა მაღალი აღნაგობის, მიმზიდველი ევროპული იერით, ყოველთვის სადად, სუფთად და გემოვნებით შემოსილი, ისე, როგორც უნდა ეცვათ პედაგოგებს. ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ბავშვებთან ურთიერთობაში ხმის ტემბრს არასოდეს აუნევდა, მშვიდად გესაუბრებოდა, ლოგიკურად ცდილობდა დაერწმუნებინე თავისი ნათქვამის სისწორეში.

დეიდა მარიამს გამოსაზამთრებლად ჩამოჰყავდა თბილისში თავისი დედა. მხოლოდ ძველ ფოტოსურათებზე თუ მინახავს ასეთი ქალ-

ბატონები აღბეჭდილი: საშუალო სიმაღლის, ხანშიშესული, ყოველთვის გრძელ შავ ქვედაკაბაში, იმ დროისთვის მიღებული შავი კოფთა ეცვა, გრძელი სახელობით, შუაში მრავალი ღილი დაჰყვებოდა, თბილი ქურქი წელამდე სწვდებოდა და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს „გვირგვინდებოდა“ ჩიხტიკოპით, რომელსაც გარშემო თეთრი ამოქარგული ქსოვილი ამშვენებდა. ჩვენი ეზოს უღიმღამოდ შემოსილი ქალების ფონზე მისი გამორჩევა ძნელი არ იყო. მერე, როცა ქართული ფილმი, რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტე“ ვნახე, ასე მეგონა, დეიდა მარიამის დედა თამაშობდა ქეთოს ბებიის როლს და არა ჩვენი სახელგანთქმული მხცოვანი მსახიობი — ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ამ ორ მანდილოსანს შორის მსგავსება ტანადობით, მიხრა-მოხრით, თბილი საუბრებით გაოცებდა.

ჩვენთვის, ეზოს ბავშვებისათვის, მარო დეიდას დედის სტუმრობა დიდ სიხარულს უკავშირდებოდა, რადგან ჩამოსვლის მეორე ან მესამე დღეს მოინახულებდა დისშვილი, სახელგანთქმული მეცნიერი, ფსიქიატრი ავლიპ ზურაბიშვილი, რომელიც იმ ორი თუ სამი თვის განმავლობაში რეგულარულად, ორ კვირაში ერთხელ მაინც მოდიოდა დეიდის სანახავად.

არ მახსოვს ისე მოსულიყო, ჩვენთვის, ბავშვებისათვის არ მოეტანა „ფორებიანი“ კანფეტები, რომლის განაწილებასაც პირდაპირ ჭიშკრიდან იწყებდა. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს შემხვედრია ასეთი თავმდაბალი, ყოველთვის მომღიმარი, სიცოცხლით სავსე, უშუალო, ყველასადმი ყურადღებიანი.

რა დამავინყებს მის კეთილშობილურ, პატივისცემით გამსჭვალულ ურთიერთობას მართა ბებიასთან, დედასთან, მეზობლებთან... მაგრამ ყველაზე კარგად ჩვენთან, ბავშვებთან იყო. გაგვიღიმებდა, თავზე ხელს გადაგვისვამდა, აუცილებლად სწავლით დაინტერესდებოდა და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თუკი ეტყოდი, ხუთოსანი ვარო. ახლაც მახსოვს მისი თბილი სიტყვები: „უნდა ისწავლოთ, შვილებო, საქართველოს ძალიან სჭირდება ნასწავლი, განათლებული ხალხი“.

რამდენადაც სასიხარულო იყო ბატონი ავლიპის სტუმრობა, იმდენად მხიარულების მიზეზი იყო მისი გაცილება ჩვენი ეზოდან. როგორც მოგახსენეთ, აღმართზე ვცხოვრობდით, სიგრძე, დაახლოებით, 80-100 მეტრი რომ ჰქონდა. თოვლიან ზამთარში ყინვებიც რომ დაიჭერდა, ეს აღმართი საციგურაოს მოგაგონებდა, ისე ლაპლაპებდა. ამიტომ უბნის ყველა ბავშვს გვქონდა ჩვენი ხელით ნაკეთები ცივა და დღე და ღამე ვსრიალებდით თოვლზე.

ერთხელ ეზოდან გამოვიდა ავლიპი ბიძია, შემოგვხედა მოციგურავე ბავშვებს და რადგან მე პირადად მიცნობდა, ხალისიანად მთხოვა: — მოდი აქ, ჯემალ, და შენი ციგა მათხოვეო.

მარო დეიდა მიუხვდა განზრახვას და ჩუმად შეეხვეწა: — არა ქნა ეს, ავლიპ, მეზობლები რას იტყვიანო.

დეიდაშვილის თხოვნამ პირიქით გაახალისა, მხიარულად უპასუხა: — აბა კიდევ როდის მექნება საშუალება, ბავშვობა გავიხსენოო. გამომართვა ციგა, დაჯდა ზედ, მე სასწრაფოდ ამხანაგის ციგა ვინათხოვრე და სულ რაღაც რამდენიმე წამში, მეზობლების მხიარული შეძახილებით, ბავშვების ჟრიამულში მე და ავლიპი ბიძიამ აღმართი უსწრაფესად ჩავისრიალეთ...

კმაყოფილი და მხიარული იყო ბიძია ავლიპი, ციგა დამიბრუნა, ხელი ჩამომართვა, ტრამვაიში ჩაჯდა, კიდევ ერთხელ დამიქნია ხელი და...

მეზობლებსაც სალაპარაკო-საჭორაო მიეცათ. ვის მოსწონდა, ვინ გმობდა სახელოვანი მეცნიერის ამ ბავშვურ ატაცებას. პატარებს კი არა-ერთხელ გვინატრია, თოვლი მოსულიყო და ჩვენი „მეგობარი“ ავლიპი ბიძია გვსტუმრებოდა... პირველ ხანებში ბიძია ავლიპის ეს ქმედება რაღაც აჟიოტაჟს იწვევდა, შემდეგში კი ყველა შეეწვია და მიმბაძველებიც კი გაუჩნდა ჩვენს უბანში, ძირითადად სტუდენტები, რომლებიც როგორც ჩვენთან, ისე მიმდებარე ეზოებში ქირობდნენ ბინებს: ყოველ შემთხვევაში, ჩემს მეგობარ სტუდენტ გივის ყოველთვის ვაცილებდი ციგით.

რამდენადაც სიხარულის მომნიჭებელი იყო ბიძია ავლიპის სტუმრობა, იმდენად არ გვსიამოვნებდა დეიდა მაროს დედის ნათესავეების, ორი ქალბატონის გამოჩენა. წარმოიდგინეთ მედიდური დედა-შვილი. დედა 60 წელს იქნებოდა მიღწეული, ქალიშვილი ასე — 30-35 წლისა, გამხდარი აღნაგობისანი, საკმაოდ მაღალი ტანადობის, ყოველთვის სუფთად ჩაცმულნი, მაგრამ ისეთ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ჩვენი ეზოს ქალებსაც რომ აღარ ეცვათ. ეს იყო საუკუნის დასაწყისში შექმნილი, საკმაოდ გახუნებულ-გაცრეცილი, აქა-იქ საგულდაგულოდ დაკერებული, მრავალი შესაკრავი ღილით განწყობილი პერანგები. ყველაფერ ამას აგვირგვინებდა შლაპები (ასეთივე გახუნებული, აქა-იქ დაცხრილული, ალბათ ჩრჩილის გამო), ქალიშვილს ყოველთვის ეცვა მოკლე ბენვის ქურთუკი ასეთივე გახუნებული, ფერნასული, ადგილ-ადგილ ბენვი ატკეჩილიყო და ტყავის სარჩული ჩანდა და, რაც მთავარია, ორივენი ხელთათმანებში, საიდანაც თითები უჩანდათ, ისე იყო გაცვეთილი. არავის მიესალმებოდნენ ხოლმე, არც დიდსა და არც პატარას არ უყადრებდნენ თავს. ქედმაღლურად ჩაგვივლიდნენ გვერდით. ერთი, რაც კიდევ თვალ-

შისაცემი გახლდათ, განსაკუთრებით ქალიშვილის სახე დაფარული იყო ფერუშმარილით, „პუდროვანი“ ფხვნილით, რაც ფერთა გარკვეულ აურას ქმნიდა ყვითელი თუ წითელბურთოვანი ლაქების სახით.

როგორც შემდეგ მომიყვა ვანო ბიძია, ეს ხალხი ოდესღაც უზრუნველად და მდიდრულად ცხოვრობდა. ოჯახის მამა, გენერალი თუ პოლკოვნიკი თავადი ვახვახიშვილი ბოლშევიკებს დაუხვრეტიათ 1921 წელს. შემდეგ ქონება ნაურთმევიათ, სოფელ გავაზში არსებულ სახლში კოლმეურნეობის გამგეობა განუთავსებიათ, ხოლო თბილისის ბინაში სხვები შეუსახლებიათ. მხოლოდ ერთი ოთახი, ისიც 15 კვ. მეტრისა, შერჩენიათ კუთვნილი სახლიდან. ეს ქალიშვილი ერთადერთი შვილი გახლდათ თავადისა. ანებივრებდნენ და, რომ იტყვიან, ჩიტის რძესაც არ აკლებდნენ ბავშვობაშიო. შესანიშნავი განათლებაც მიუციათ, თბილისის ქალთა გიმნაზია დაუმთავრებია, კარგად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს. მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ბრძოლისათვის, სიცოცხლისათვის გამოუცდელნი და უსუსურნი აღმოჩნდნენ. არცერთი არ მუშაობდა. პირველ ხანებში მათი რამდენიმე ცდა — ცოდნით თავი გაეტანათ, უშედეგო აღმოჩენილა, დახვრეტილი თავადის ოჯახის შვილებს არავინ იღებდა სამუშაოდ, ხოლო „შავ“ სამუშაოს თავილობდნენ. შიმშილით ცხოვრება ერჩივნათ ასეთ დამცირებასო. ისიც შევამჩნიე, რომ ამ სტუმრებს დეიდა მარო და ბიძია ვანოც ძალიან მონივნებით ექცეოდნენ, თითქოსდა ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათთვის ესიამოვნებინათ.

შემდეგში, როცა ჩვენმა სახელოვანმა კინორეჟისორმა თენგიზ აბულაძემ გადაიღო „ნატვრის ხე“ და ვნახე ამ ფილმში სოფიკო ჭიაურელის მიერ გენიალურად შესრულებული როლი ფუფალასი, იმ წუთშივე გამახსენდა ჩვენი მეზობლის სტუმარი, ის ახალგაზრდა ქალი. მეჩვენებოდა, თითქოს სოფიკომ მისგან გამოძერწა თავისი გმირი. თუმცა რა არის ამაში გასაკვირი, ადვილი საფიქრებელია, რომ მასაც ბავშვობაში ენახოს ეს ქალბატონი. თბილისი მაშინ, გასული საუკუნის 50-იან წლებში, საკმაოდ პატარა ქალაქი გახლდათ და სრულებითაც არ არის გამორიცხული, ჭიაურელებს და ანჯაფარიძეებს სცნობოდათ თავად ვახვახიშვილის ოჯახი. იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი, როგორც გახსოვთ, სოფიკოს ფუფალა თავის აღსარების სიტყვაში ცრემლმორეული ტირილით ჰყვება: — არასოდეს მქონია ბედნიერი და უზრუნველი ბავშვობა... ეული ვიყავი და ეული დავრჩიო.

ის, ის ჩემი ბავშვობის „ფუფალა“ კი რეალური იყო თავისი საცოდავი და უბადრუკი ცხოვრებით. მაშინ სრულიად ბავშვისთვის ეს ხალხი

უსიმპატიო მოჩანდა. როგორ შევძლებდი მათ ტრაგედიაში გარკვევას, შემდეგ, როცა კი გამახსენდებოდნენ, ყოველთვის მეცოდებოდნენ უსუსურობის გამო. ალბათ იმიტომაც, რომ მხოლოდ მერე გავავლე პარალელი ბებია მართას, დედაჩემის, ამ ქალბატონისა და მისი ქალიშვილის უუღმართ ბედს შორის. განსხვავება ის იყო, რომ დედას და ბებიას ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, შეეჭიდნენ ყოფას, რომ მთავარი მისია შეესრულებინათ, ალეზარდათ შვილები და შვილიშვილები. ალბათ ჩვენდამი ამ პასუხისმგებლობამ სულიერი გამძლეობა მიანიჭათ მათ.

ასე დაახლოებით 50-იანი წლების შუალედში ცივი და სუსხიანი ზამთარი დადგა თბილისში. ვანო ბიძიამ ჩამოიყვანა სოფლიდან მოხუცი, რომელიც ისე დასუსტებულიყო ავადმყოფობით, რომ მე და ჩემი ძმა დავეხმარეთ კიბეზე ამოყვანასა და ლოგინში ჩანვენაში.

მეორე დღესვე მოვიდა დეიდას მოსანახულებლად ავლიპი ბიძია. ალბათ ორი თუ საამი საათი დაჰყო, ეფერებოდა, ხელებს უკოცნიდა, ცდილობდა, რაღაც ეხუმრა, ისეთი ეთქვა, ცოტათი მაინც გაეხალისებინა. შემდეგ მოხუცს თითქოსდა ჩაეძინაო... მე და ავლიპი ბიძია ჩუმად გამოვედით სახლიდან, აღმართის ბოლომდე გავაცილე, ისე, რომ არცერთს ხმა არ ამოგვიღია. აღმართის ბოლოს შევჩერდით, ხელი ჩამომართვა, თავზე ხელი გადამისვა და: ნახვამდისო. ავხედე უნებურად, სახეზე ცრემლი უთამაშებდა, მომეჩვენა, თავს იკავებდა, რომ არ ეტირა.

დაახლოებით ორი თუ სამი დღის შემდეგ, დილაადრიან, მარო დეიდამ გამაღვიძა, ნამტირალევი ხმით მითხრა: „ნუხელ დედა გარდაიცვალაო“, მთხოვა, წავსულიყავი ავლიპ ბიძიასთან და შემეტყობინებინა (მაშინ, იმ წლებში ჩვენს უბანში ტელეფონი საერთოდ არ არსებობდა). მივედი ზურაბიშვილებთან, კარი მოსამსახურემ გამიღო (ორსართულიან აგურით ნაშენებ ბინაში ცხოვრობდნენ ვაკეში). გააღვიძეს ბიძია ავლიპი. გამოვიდა ჩემთან, „კაბინეტში“ შემიპატიჟა, ჩუმად მომისმინა. ოთახში მისი ცნობილი „ავჩარკა“ შემოვიდა, თითქოსდა ძალღმაც იგრძნო პატრონის უგუნებობა და მორჩილად, ჩუმად ჩაჯდა იატაკზე (რამდენადაც ვიცოდი, ეს ძალი მრავალი გამოფენის მონაწილე გახლდათ და პრიზიორიც — ოქროს მედალოსანი). ბიძია ავლიპმა: ახლავე ჩავიცვამ, მანქანას გამოვიძახებ და ერთად წავიდეთო. ბოდიში მომიხადა და დამტოვა ოთახში. მეტი რა საქმე მქონდა, მივიხედ-მოვიხედე და, ალბათ, პირველად ცხოვრებაში, ვნახე ამდენი წიგნი ერთად... ოთახის თითქმის ოთხივე კედელი ქერამდე წიგნის თაროებს ეკავა, პირველად ვნახე ბროკჰაუსის და ეფრონის ენციკლოპედიები, სსრკ-ის დიდი ენციკლოპედია, ქართველ თუ რუს ავტორთა წიგნები და მრავალი სხვა.

მართალი გითხრათ, მაშინ უკვე გატაცებული ვიყავი ნიგნებით (შემდეგში ეს ჩემი ოცნება ავისრულე კიდეც და დღეს მაქვს ნიგნების კოლექცია 3-დან 5 ათასამდე, მაგრამ ამაზე შემდეგ მოგიყვებით).

ახლა კი იმ რეალობას დავუბრუნდეთ, სადაც აღმოვჩნდი: როგორც კი მოვინდომე სავარძლიდან ადგომა და თაროებთან მისვლა, ძალიერ წამოდგა. შევატყე, უნდობლად მიყურებდა. ისევ დავჯექი. ისიც რამდენიმე ხანში, 10-15 წამში დაჯდა. შემდეგი ჩემი წამოდგომა უშედეგო აღმოჩნდა, ნიგნებთან მისვლა, და ღმერთმა დაიფაროს, მათი ხელში აღება-დათვალიერებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. მივხვდი, რომ ამ ძაღლთან კუკუდამალობანას თამაში წამდვილად არ შეიძლებოდა... და არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა. ასე მიჯაჭვული, გახევებული ვიჯექი სავარძელში და ველოდებოდი ბიძია ავლიპს.

მიცვალებული გადასვენეს სოფელ გავაზში. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბიძია ვანოს, რომ გავაზის ეკლესიის ეზოში დაეკრძალათ იგი. ეს იმ ეზოში, რომელსაც ერთი ღობე ჰყოფდა მისივე საცხოვრებელი სახლიდან და სადაც თითქმის 30 წელი წირვა-ლოცვას აღავლენდა მისი მეუღლე.

ერთი წლის შემდეგ ბიძია ვანომ და მარიამ დეიდამ სოფელში დამპატიყეს. არასოდეს დამავინწყდება იქაური შესანიშნავი ბუნება, მთები, მათი სახლის ეზოში ანკარა წყარო თუ ნაკადული. ეკლესია და მისი შემოგარენი, ძველი სასაფლაო, სადაც სამუდამო განსასვენებელი უპოვიათ თავად ვახვახიშვილებს. რამდენიმე საფლავი იყო მაშინ იქ, მაგრამ ეტყობა ავ ხელს ისინი უკვე მოეშალა, გრანიტის უზარმაზარი ქვები მინიდან ამოეგლიჯათ და თითქოსდა წასაღებად დაენყოთ მოსაპარად მომზადებული. ეს ჩემი ვარაუდი, საუბედუროდ, მართალი აღმოჩნდა. ბიძია ვანომ მითხრა, მოიპარეს ის ქვებიო. აბა ახლა მითხარით, ქვებს, საფლავის ქვებს რომ გაჰყიდი და ფულს შინ მიიტან, ნუთუ შვილებს სასიკეთოდ გამოადგებათ? ეს ისე ვთქვი, თორემ მოგვიანებით ცხოვრებაში იმდენი უმსგავსობა ვნახე, ეს ეპიზოდი სასაცილოა მათთან შედარებით.

ამ ტკბილ ცოლ-ქმარს, ვანო ბიძიასა და მარო დეიდას, სამწუხაროდ, შვილი არ მიეცათ, მთელი ცხოვრება სხვისი შვილების აღზრდას შეაღიეს. მათ ოჯახში აღიზარდნენ სოფლიდან სასწავლებლად ჩამოსული მრავალრიცხოვანი დისშვილები თუ ძმისშვილები.

1975 წელს ხანგრძლივი მივლინებით გახლდით გერმანიაში. რომ ჩამოვედი, დეიდამ მითხრა: ვანო ბიძია გარდაიცვალაო. მივაკითხე მარო დეიდას, ნავედით პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, სანთლები და-

ვუნთეთ ვანო ბიძიას, შემდეგ სახლში დავბრუნდით. მარო დეიდამ, თითქოსდა რალაცა გაახსენდაო, კარადა გამიღო და წინ დამიდო მო-ოქროვილი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.

„სიკვდილის წინ ვანომ დამიბარა, ვიცი, აუცილებლად მოვა შენ-თან ჯემალი სამიძმარზე და ეს გადაეცი. მას ვუტოვებ სახსოვრად“.

თვალეზე ცრემლი მომადგა. მივედი მარო დეიდასთან, ვაკოცე, ჩავეხუტეთ ერთმანეთს და ასე ჩუმად და უხმოდ ვტიროდით.

ეს ხანჯალი ჩემი ბავშვობის, ყმანვილკაცობის ოცნება იყო. ხშირად მჭერია ხელში. ვერასოდეს აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი ორნამენტებით დამშვენებული ნამდვილი ხელოვნების ნიმუშის მიმართ.

წამოსვლისას ერთ ამბავსაც მომიყვა მარო დეიდა:

„გახსოვს, ჩემო შვილო, დედა რომ ავად გაგიხდაო?“

მართლაც მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ დედა ძლიერ ავად შეგვექნა, სიკვდილის პირას იყო და მეზობლებმა რამდენჯერმე შეგვიყვანეს მასთან გამოსამშვიდობებლად მე და ჩემი ძმა. ამის შესახებ უფრო დანვრილებით მოყოლილი მაქვს ჩემს წიგნში („შავი სათვალე ეკეთა“, გვ. 25-35). მაშინ, შენთვის იმ მძიმე დღეებში, გადავწყვიტეთ მე და ვანომ, შვილად აგვეყვანო.

სულ რალაც 3-4 წელიწადში დეიდა მაროც მიიცვალა. როგორც ვიცი, მისი ნამდვილი პატრონი და მომვლელი ბოლო წლებში ჩვენი კეთილი ლეილა ყოფილა. მას დაუხუჭავს მისთვის უკანასკნელად თვალეები.

ვანო და მარო ლომიძეების გასწვრივ, 6-7 საფეხურიანი კიბის ბოლოს განთავსებული იყო მეორე სართულის ტუალეტი, რომელსაც ემიჯნებოდა პატარა, მომცრო საკუჭნაო. ეს სათავსო ეკუთვნოდა ოსი ეროვნების ოჯახს — დეიდა ბარბარე, მისი ორი ქალიშვილი — ნატო და მარო, ვაჟიშვილი ნოდარი. ქალიშვილები, ჩვენთან შედარებით, უკვე საკმაოდ მოზრდილები იყვნენ, ალბათ ასე 20-25 წლისანი, ნოდარი კი ჩემი ძმის კლასში სწავლობდა. მათი ოჯახის მამა საერთოდ არ მახსოვს, როცა უკვე გავაცნობიერე გარე სამყარო, ის უკვე ცოცხალი არ იყო. ოჯახში ოსურად და ქართულად საუბრობდნენ. პირველად მათგან გავიგე, რომ ოსური პოეზიის და პროზის ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი იყო კოსტა ხეთაგუროვი. მათ ჰქონდათ ოჯახში რუსულ და ქართულ ენაზე შესანიშნავად გამოცემული ამ პოეტის წიგნი, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობაში გავეცანი. ყველაზე დასამახსოვრებელი ის იყო, რომ მათთან ინახებოდა, ალბათ საგანგებოდ ყდაშემოხეული, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ და ნოველების წიგნები. ეტყობა, 1937 წელს მწერლის დაპატიმრების შემდეგ, მისი გამოცემები

მთლად არ გაუნადგურებიათ (ყდები მოაცილეს) და ასე ინახავდნენ. საიდუმლოება ნოდარმა გამანდო და მათხოვა კიდეც აკრძალული წიგნები. ერთი სულისმოთქმით წავიკითხე. გაფრთხილებული ვიყავი, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ შექმნახა. მეც სიტყვა არ გამიტყვავს.

ნოდარი ჩვენს ეზოში, ჩვენს ქართულ წრეში იზრდებოდა. ჩვენთან ერთად ერთობოდა და ხალისობდა სხვადასხვა სპორტული თამაშებით. არ მახსოვს რა თვისებათა გამო, „ფშიკა“ დავარქვით. ისევე, როგორც ჩვენი ეზოს ყველა ახალგაზრდამ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), მანაც უმაღლესი განათლება მიიღო.

ამ ოსური ოჯახის გვერდით ცხოვრობდა ვერიჩკა ექიმი, მეუღლით და მაშინ ორი მცირეწლოვანი ბავშვით. ჩვენს ეზოში თითქმის ყველაზე კარგი ბინა ეკავათ, ორი მოზრდილი ოთახი. მათი აივანი აღმართს გადაჰყურებდა. მეუღლე, თბილპურტრესტის მმართველი, მეზობლებისგან თანამდებობრივადაც გამოირჩეოდა. ამ ოჯახთან რომ ნავთის ისტორია მაკავშირებდა, ხომ მოგიყვებით. იმასაც შეგახსენებთ, გადაჭარბებული მედიდურობით რომ გამოირჩეოდა ეს ქალბატონი. აი, იმ მედიდურობამ და ქედმაღლობამ დალუბა ისიც და მისი ოჯახიც...

ერთხელ, ღამის ორი თუ სამი საათი იქნებოდა, არ მეძინა, წიგნის კითხვამ გამიტაცა. ამ დროს კარებზე მორიდებულად დააკაკუნეს. ქალბატონი ვერიჩკა იყო. მკითხა: „გრელკა“ ხომ არ გაქეთო. ძველი, ბებიასდროინდელი გვქონდა შემორჩენილი და მივანოდე.

დილას გამაყრუებელმა ტირილმა და მეგრულმა მოთქმამ გააღვიძა მთელი ეზო. გამთენიისას ქალბატონი ვერიჩკას ქმარი გარდაიცვალა. სასწრაფო დახმარების მანქანას ვერაფერი უშველია. როგორც შემდეგ გაირკვა, ვახტანგს, 50-55 წლის თუ იქნებოდა, ინფარქტი მოსვლია. წინა საღამოს კუჭის არეში ტკივილებს შეუწუხებია, ქალბატონ ვერიჩკას საბედისწეროდ გამოჰპარვია, რომ ინფარქტმა შეიძლება კუჭის ან თირკმლის არეში გამოიწვიოს ტკივილები. და ის ჩვენი „გრელკა“, ცხელი წყლით, დაადო კუჭზე და უნებურად მოუსწრაფა სიცოცხლე. სამგლოვიარო დღეებიდან მახსოვს ის, რამაც ჩემი გაოცება გამოიწვია. იმის მაგივრად, რომ შესაფერისად ეჭირისუფლათ, პანაშვიდების წინ მთელი ოჯახი, სრული შემადგენლობით, გარდაცვლილის დედის, 75-80 წლის ქალბატონის ხელმძღვანელობით, ასუფთავებდნენ ეზოს, აივნებს, დაგავეს, გარეცხეს იატაკი, განწმინდეს და გაასუფთავეს ტუალეტი. სკამები ჩაამწკრივეს აივანზე. ვერ მოვითმინე და ვანო ბიძიას ვკითხე: რა ხდება, ნუთუ ახლა, ამ უბედურების დროს ამისთვის მოიცალეს-მეთქი? მიპასუხა: — ალბათ პანაშვიდზე ბევრ ხალხს ელოდებიან, თანამდებო-

ბის პირებსაც, რაიონებიდანაც ჩამოვლენ და არ უნდათ, რომ შერცხვენო. ისე, ერთსაც გეტყვიო, — ბიძია ვანომ, — დასავლეთს ხალხს, გურულებსა და მეგრელებს, კუდი ყავარზე აქვთ გადებული. ეს ჩვენა ვართ, კახელები, უშუალონი და უბრალონიო. ვანო თავისი მშობლიური კუთხის, კახეთის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ.

აღბათ მიმიხვდი, მკითხველო, არავითარი წინასწარი გათვლა არა მქონია, როცა წერა დავიწყე. კომპოზიციაზეც ვერ ვიფიქრე, ანუ იმაზე, რითი დავიწყებდი და რომელი პერსონაჟით დავამთავრებდი ჩემს მოგონებებს მეზობლების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ეზოს მე-2 სართულის მცხოვრებლებზე მოგიყევით, ახლა იმ ოჯახებზე მინდა მოგითხროთ, რომლებიც იყვნენ და დარჩნენ ჩემი შორეული ბავშვობის მეგობრებად. ესენი არიან ძმები კოდუები — ნოდარი (ბუ-ცუ) და გურამი. ისინი უფროსები იყვნენ ჩემზე. ნოდარი 1934 წელს დაიბადა, გურამი — 1937-ში. ჩემს თანატოლებში ყველაზე უმცროსი ვიყავი, მაგრამ არავის არაფერს ვუთმობდი. მინდოდა ყოველთვის მათთან ვყოფილიყავი, მათი საიდუმლოებანი მცოდნოდა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. ხშირად გამიგია, ანზორისთვის რომ უთქვამთ: „ჯემალი არ წამოიყვანო, ბავშვებთან სიარული სირცხვილიაო“, ე.ი. ისინი უკვე ყმანვილკაცობდნენ, მაგრამ არაერთხელ დამიმტკიცებია მათთვის, რომ ჩემი ჩამოშორება არც ისე ადვილი იყო და ამიტომ თანდათან შეეგუვნენ იმას, რომ თავიდან ვერ მომიშორებდნენ.

ნოდარის და გურამის მამა 1940 წელს დაუპატიმრებიათ, მეფის არმიის ოფიცერი ყოფილა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, მაიორის ჩინით. შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი, გენერალ მაზნიაშვილთან დაახლოებული, მისი დივიზიის შტაბის უფროსად უმუშავია. სამხედრო სამსახურიდან დაუთხოვიათ და 1924 წელს დააპატიმრესო, შემდეგ ამნისტიით გაუთავისუფლებიათ, როგორც მეზობლები ამბობდნენ, საკმაოდ გვიან, დაახლოებით 50 წელს მიღწეული. გვიან უთხოვია ცოლი. გადარჩენილა 1937 წლის რეპრესიებს, ხოლო 1940 წელს დაუპატიმრებიათ და ერთ თვეში დაუხვრეტიათ კიდეც. იმ დილით, როცა ჩეკისტები შემოსულან ეზოში ბიძია პავლეს დასაპატიმრებლად, დეიდა მარო შეხვედრიათ, რომელიც სამსახურში მიდიოდა თურმე. მოსულებს უკითხავთ: კოდუები სად ცხოვრობენო? საწყალ დეიდა მაროს მიუსწავლებია. პავლე ბიძია რომ დაიჭირეს, ერთ-ერთ მეზობელს ნოდარისა და გურამის დედისთვის, დეიდა ჟენიასთვის მიუტანია ამბავი დეიდა მარიამისა და ჩეკისტების შეხვედრისა. დეიდა ჟენია სამუდამოდ დაემდურა ლომიძეების ოჯახს, მეუღლის დაპატიმრებას გარკვეულწილად ამ სათ-

ნო ქალს აბრალებდა, რაც, რა თქმა უნდა, დიდი გულუბრყვილობა იყო მისი მხრიდან. არ გაუჭირდებოდათ ჩეკისტებს, დეიდა მაროს გარემეც მიეკვლიათ, სად ცხოვრობდა პავლე კოდუა. ასე რომ, მათ შეხვედრას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონოდა. მაგრამ დაქვრივებულ ქალსა და ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად დარჩენილს და გამწარებულს, ადვილად შეიძლებოდა ეჭვი სიმართლედ მოსჩვენებოდა. ის კი არა, ხშირად უშლიდა უკვე საკმაოდ მოზრდილ შვილებს ლომიძეების ოჯახთან ურთიერთობას. სანყალი დეიდა ყენია, დღე და ღამე მუშაობდა ორ სამსახურში მოლარედ. სიცოცხლე და ჯანმრთელობა შვილების აღზრდას შეაღია. მაღალი, სიმპათიური ქალბატონი გახლდათ დეიდა ყენია. ისევე, როგორც ჩვენი ეზოს ბევრ დაჩაგრულ ქალს, მასაც წერჯული სისტემა მთლად მოშლილი ჰქონდა. თუმცა არასოდეს შემიმჩნევია ნოდარი დაესაჯოს, ეცემოს, მაგრამ აი, უმცროსი შვილი, გურამი კი რამდენჯერმე სასტიკად სცემა მთელი ეზოს დასანახად. ერთხელ ასეთი დასჯის მიზეზი თუ თანამონაწილე მეც გახლდით.

გურამი მე-3-4 კლასის მოწაფე იქნებოდა, მე კი მე-2 კლასში ვსწავლობდი. ერთ დილას გურამის ნაქეზებით სკოლა გავაცდინეთ და „შატალოზე“ წავედით. შემომთავაზა ტრამვით გაგვესიერნა. 2 თუ 3 საათი დავყავით, სხვადასხვა მარშრუტზე ვიმგზავრეთ. ასე, 12 საათზე მოგვწყინდა ამგვარი გართობა და შინ გადავწყვიტეთ დაბრუნება. აღმართზე რომ ამოვდიოდით, „ბირჟაზე“ ჩვენი ამხანაგები იდგნენ და პაპიროსს ენეოდნენ, ასე 10-12 წლის ბიჭები. ცოტა ხანი მათთან შევეყოვნდით. გურამმა მკითხა: „პაპიროსი მოგინევიო?“ „არა-მეთქი“, ვიუარე. „გინდა მონიო?“ დამაინტერესა. მოწევა ისე ვაჟაკურად მიმაჩნდა, იმნუთასვე დავეთანხმე. წავედით პატარა ფარდულთან, პაპიროსები და სიგარეტები სადაც იყიდებოდა. შეიძინა ერთი თუ ორი კოლოფი, „ნამომყევიო“ მანიშნა და ჩუმად ავიპარეთ კიბეზე, რომ ბებიაჩემს არ დავენახეთ. შევედით მასთან, ჩვენი ეზოს პირობებში კარგი ბინა ჰქონდათ. ორი ოთახიდან ერთს დეიდა ყენია აქირავებდა სტუდენტებზე, შემოსავალი რომ ჰქონოდათ. ჩვენდა საუბედუროდ, შინ არავინ დავგვხვდა. ჩავკეტეთ კარი, დარაბებიც და დავინწყეთ პაპიროსის მოწევა. ახლაც მახსოვს, ვისხედით და „სერიოზული სახით“ ვენეოდით. ლამის მთელი კოლოფი დავცალეთ.

არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ჩვენი „დავაჟაკების“ იდილია, რომ თავზე წამოგვადგა დეიდა ყენია. იმ დღეს ცოტა ადრე მოუწია სამსახურიდან დაბრუნება. გაალო თუ არა კარი, ჰგონებია (შემდეგში ჰყვებოდა), სახლს ცეცხლი ეკიდა, ოთახი მთლიანად კვამლში ყოფილა გახ-

ვეული. ის კი მასხოვს, შეშინებულმა მეგრულად შეჰკვივლა: „ვაი, ჩემს თავსო“, მაგრამ ცოტა ხანში გაერკვა, როცა ორი „ვაჟკაცი“ კვამლში გახვეული დაგვიანა... სულ რაღაც წამები დამჭირდა, რომ „პლეთი ამელო“ და ოთახიდან გარეთ გამოვვარდი. შინ შესვლა ვერ შევბედე, თვალი კი მოვკარი, სანყალი გურამი გაცეცხლებულ დედას ეჭირა ხელში, საშინელი ეგზოკუცია მზადდებოდა მის დასასჯელად. სად წავსულიყავი და მეზობელ ეზოში გადავედი ოთარ კობრეიძესთან. ცოტა ხნით წავითამაშეთ, შემდეგ დედამისის, დეიდა ლიზას გული რომ მომეგო, ოთარი მათემატიკაში წავამეცადინე, დეიდა ლიზამ, მეტად ნასიამოვნებმა ჩვენი სიბეჯითით, მე და ოთარი გემრიელად დაგვაპურა.

მოსალამოვდა... შინ დაბრუნების დროც დამიდგა, მაგრამ როგორ მივსულიყავი, დედა უკვე დაბრუნებული იქნებოდა სამსახურიდან. ჟენია დეიდაზე არანაკლებ შეეძლო ჩემი დასჯა. რამე უნდა მომეფიქრებინა შინ მშვიდობიანად დაბრუნებისათვის. ოთარს მოვუყევი, რაც გადაგვხდა მე და გურამს. ოთარმა მთელი თავისი მოხერხებულობა და არტისტიზმი მოიშველია. შევიდა ჩვენს ეზოში და ვითომ მე მეძახდა. დედამ გამოხედა და სთხოვა, ასულიყო მასთან. ოთარის მონაყოლიდან გავიგე, რომ დეიდა ჟენიას გურამი ბანრით კიბის თავზე დაუბამს, მანამდე ალბათ გვარიანად წაუთაქა. დედაჩემს რომ უკითხავს: „ჯემალი ხომ არ იცი, სად არისო“, დამაჯერებლად უპასუხია, არ ვიციო. „ასე გადაეცი მაგ ვაჟბატონს, რომ გურამზე ნაკლებად არ დაეხჯი, სად წავა, ადრე თუ გვიან ხომ მაინც მოვა სახლშიო“.

ასე რომ, ოთარს სანუგეშო არაფერი უთქვამს, ნამდვილად კარგი არაფერი მელოდა. ისევ ოთარმა იპოვა გამოსავალი. წამიყვანა თავის ეზოში, ჩუმად შემაპარა თავიანთ სარდაფში, ცოტა ხანში წყალი, ყველი და პური მომიტანა. გადავწყვიტე ამ თავშესაფარში გამეთენებინა ღამე...

დაღამდა... გურამი როგორც იქნა მეზობლების აქტიური შუამდგომლობითა და თხოვნა-მუდარით გაუთავისუფლებიათ „პატიმრობიდან“...

ამის შემდეგ დანყებულა, მაგრამ რა დანყებულა — ჩემზე მოთაყვანე ბებია მართას მოთქმა და გოდება, „ბავშვი დაღუპე, რა იცი რას მოიმოქმედებს ახლა შენი შიშით. ცემა-ტყეპით ჯერ არავინ გაზრდილა კარგ კაცადო“ — და ტიროდა თურმე ცრემლშეუშრობლად.

სანყალი დედა ჯერ გულმაგრად და შეუპოვრად იცავდა თავის გადანყვეტილებას, შემდეგ როცა საათის ისარმა უკვე ღამის 12-ს თუ პირველს მიაღწია, საშინელ პანიკაში ჩავარდნილა, გაუღვიძებია ანზორი (რკინის ნერვების მქონე ჩემი ძმა) და დამინყეს ძებნა უბანში. სანყალი დედა ჩემს ორ მეგობართანაც მისულა შუალამით, მაგრამ იქ

ვერ მიმაგნეს. მერე უფიქრია, ისევ ოთარი დაგვეხმარებაო. ყველა მეგობარს იცნობსო, თანაც დედის გუმანით გრძნობდა, რომ ოთარმა რაღაც იცოდა. ასე ნაშუალამევს, ორ თუ სამ საათზე გაულვიძებათ კობრეიძეები, ოთარის მშობლები — ბიძია აკაკი და დეიდა ლიზა, მისი ორი ძმა — ჯემალი და თამაზი, და ამ სამსჯავროს წინ „დაუკითხავთ“ ოთარი, რომელიც კარგა ხანს უარყოფდა თურმე რაიმეს ცოდნას ჩემ შესახებ. როგორც ეტყობა სანყალ დედაჩემს იმედი გადასწურვია, ეს რა ჩავიდინეო, გამწარებულს უთქვამს: — ოღონდ ჩემი შვილი ცოცხალი იყოს და ანი არასოდეს დავსჯიო.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ოთარს ყურები უცქვევტია და ნამოცდენია: — დეიდა, მომეციო პირობა, რომ არ დასჯით ჩემს მეგობარს, დაიფიცეთ მისი და ანზორის სიცოცხლეო.

დედაჩემსაც რა გზა ჰქონდა, დაუფიცია. მაშინ ოთარი გამოუძღვა მათ სარდაფისკენ, სადაც მე უკვე მშვიდად ჩამძინებოდა ოთარის მოტანილ პლედში გახვეულს.

გამალვიძეს... რომ დამინახავს ეს ამდენი ხალხი ერთად, დავბნეულვარ. ერთი პირობა თურმე გაქცევაც დამიპირებია, მაგრამ ოი უცნაურობავ, ამას კი არ ველოდებოდი, სანყალმა დედამ გულში ჩამიხუტა, დამკოცნა, ატირდა. მაგრამ ცოტახანში გულჩვილობა მოთოკა, სახე ისევ გაიმიკაცრა. თუმცა დედას ფიცი არ დაურღვევია. საერთოდ, აღზრდის შედეგიც იყო, თუკი რაიმეს იტყოდა, აუცილებლად შეასრულებდა.

ისიც უნდა ითქვას, ფარულად მორწმუნე გახლდათ და ფიცის გატეხა ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნდა... აი, ასე დავბრუნდი სახლში. დეიდა ჟენია გაებუტა კარგახანს დედაჩემს, რადგან სათანადოდ არ დამსაჯა. ხოლო მე საჯაროდ ეზოში აკრძალული მქონდა გურამთან ურთიერთობა. ეს ხალხის დასანახად, თორემ ჩვენს მეგობრობას რა მოშლიდა.

სანყალი დეიდა ჟენია... აბა რა სიმშვიდე უნდა ჰქონოდა ამ ადამიანს. საბჭოთა მთავრობამ სულ რაღაც 6-7 წელიწადში დააქვრივა. 35-37 წლისას ორი მცირენლოვანი ბავშვი აღსაზრდელი ჰყავდა. დედაჩემივით სულ იმისი ემინოდა, შვილები გზას არ ასცდენოდნენ, უბედურებას არ გადაჰყროდნენ, რადგან ჩვენი უბანი, ბოჰემური ცხოვრებით, ბავშვებისათვის დიდ საცდუნებელს წარმოადგენდა (როგორც მოგიყევით, ყომარბაზობის, ჯიბის ქურდობის თუ დაყაჩაღების უამრავი შემთხვევა იყო).

ერთი თვისებაც უნდა გამოვარჩიო დეიდა ჟენიასი მეზობლებთან ურთიერთობისას. ყოველთვის თავშეკავებული იყო, არავისთან ქორაობდა, აყალმაყალს თუ აურზაურს ერიდებოდა. დიდი იუმორის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ხანდახან სარკაზმსაც მოიშველიებდა, გან-

საკუთრებით მათთან, უსამართლოდ რომ უყვარდათ სხვების გაკილეა. ამნაირებს ისე გალანძლავდა, ისე აჩვენებდა მათ ნამდვილ სახეს, განცვიფრებაში მოჰყავდა ხალხი. თუკი მისი ეს „მეთოდიც“ არ გაჭრიდა, უხმაუროდ მოიკვეთდა ასეთ ადამიანებს და ახლოს არ გაიკარებდა. ამ ოჯახზე, ჩემს მეგობრებზე, ნოდარსა და გურამზე თხრობას ვერ დავასრულებ, თუ არ მოგიყვებით დეიდა ჟენიას დაზე, ბოლშევიკების მიერ კიდევ ერთ გაუბედურებულ ქალზე, ლიდია პაპასკირზე, რომელიც ჩვენს ეზოში, დაახლოებით, 1954 წელს გამოჩნდა, პატიმრობისა და გადასახლების 17-18 წლის შემდეგ. მანამდე არავისაგან, რა თქმა უნდა, ამ ოჯახის წევრებთაგან არ გამიგია მისი არსებობის შესახებ... თუ რატომ იყო ასე, ჩემთვის გასაგები გახდა, როცა ვავიზარდე და ცხოვრების ფერხულში ჩავუბიძგე. დეიდა ჟენიასთვის უმთავრესი იყო მცირეწლოვანი შვილების გაზრდა და ფეხზე დაყენება. მათ ის ყოფნიდათ სასჯელად, რომ „ქვეყნის მტრის“ შვილებად იყვნენ მიჩნეულნი და მამის გარდა, დეიდაც ამ ბრალდებით დასახელებული, სიცრუითა და შიშით აზანზარებულ საბჭოთა წყობაში მეტად სახიფათო იყო. მოგვიანებით, დიქტატორის სიკვდილმა გამოიწვია ოდნავ შესამჩნევი განახლება. დეიდა ლიდია პაპასკირი იმ იშვიათ პიროვნებებს ეკუთვნოდა, რომლებმაც გაუძლეს სტალინური „ლაგერების“ ტანჯვა-წამებას, გაუძლეს მორალურად, ფიზიკურად და, რაც მთავარია, სულიერად. ამ (Гулаг-ის) ლაგერების საშინელებათა მონმე იყო მთელი ჩემი ოჯახი, მახსენდებოდა მაგადანში ცხოვრების დრო. ამიტომ ცოტად თუ მეტად, ალბათ ერთადერთი ვიყავი ჩემს თანატოლებს შორის, ვისაც წარმომედგინა დეიდა ლიდიას მიერ 20 წლის განმავლობაში გადატანილი ტანჯვა-წამება. ბოლშევიკებმა წაუშალეს ცხოვრების ყველაზე აქტიური წლები, 36-37 წლის, დააპატიმრეს და 18-19 წლის შემდეგ გაათავისუფლეს.

ერთი სიტყვით, ამ ოცი წლის განმავლობაში თითქმის ცოცხლად დამარხეს. დეიდა ლიდია შესანიშნავი აღნაგობის, მაღალი, გამხდარი, წელში გამართული, ევროპული შესახედაობის, საკმაოდ სათნო და ლამაზი ქალბატონი გახლდათ. მაშინ ალბათ სულ რაღაც 56-57 წლისა იქნებოდა. თავისი ცხოვრების წესით, განათლებით, ფსიქოლოგიისა და ხელოვნების ღრმა ცოდნით და სიყვარულით სულ სხვა სამყაროს წარმომადგენლად მიმაჩნდა. მიუხედავად ამდენი გადატანილი ტანჯვისა თუ სულიერი გვემისა, არასოდეს გამიგია მისგან წუწუნი, ანდა არსებული უსამართლობის გმობა და კრიტიკა. როგორც ადრე მოგახსენეთ, ასე იქცეოდა ჩვენი უფროსი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი — დედები, ბებიები, დეიდები და სხვები, რადგან ეშინოდათ, მოზარ-

დებს ფსიქიკა არ დაგვზიანებოდა. ამიტომაც დავდიოდით ჩვენი ეზოს ბავშვები ჯერ პიონერებად, მერე კომკავშირლებად (თუმცა ძმები კოდუები, როგორც „ხალხის მტრის“ შვილები, კომკავშირში არ მიუღიანთ). სიცოცხლის მოპოვებით და ახლობლებთან ყოფნით გახარებულ ლიდია დეიდას სულ ეჩქარებოდა, თითქოს სურდა ციხეში და გადასახლებაში დაკარგული წლები აენაზღაურებინა... რალაც 2 წელიწადში თბილისის თითქმის ყველა თეატრის სპექტაკლი ნახა, ხოლო საოპერო ხელოვნება ზედმინევენით კარგად იცოდა და უყვარდა. არც იქ გამორჩენია წარმოდგენები. მოიარა მუზეუმები, მოინახულა სამეგრელო, აჭარა, სვანეთი, კახეთი... ერთხელაც სიხარულით ამოირბინა ჩვენი ეზოს კიბე, შეგვეკრიბა ბავშვები, თავისი დისშვილების გარდა, და ყველა დაგვასაჩუქრა ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოთი. ჩვენთან, ეზოში სტუმრობისას ხშირად შეუწყვეტია საუბარი. მიაყურადებდა რადიოში მუსიკას და გამოგვიცხადებდა: — ყმანვილებო, გამოიცანით რომელი ოპერიდანაა არია, ვისი კომპოზიციააო. თანაც უფრო დაგვანტერესებდა: — ვინც გამოიცნობს, 5 მანეთი ჯილდოდ ჩემგანო. ჩვენ კი პირდაღებული ვუსმენდით მუსიკას. რისი გამოცნობა შეგვეძლო, როდესაც ჯერ კარგად ვერ ვაგვეგო, რა იყო არია, მერე ოპერა და რას წარმოადგენდა სიტყვა კომპოზიცია ან კომპოზიტორი. მახსოვს, ერთხელ ვაგბედე და ამის შესახებ პირდაპირ ვუთხარი. ნეტა გენახათ, როგორ ეწყინა და განიცადა ჩვენი უვიცობა, მაგრამ დაგვამშვიდა, თუ მოინადინებთ, ყველაფერს ისწავლითო. სადღაც უყიდა და მოგვიტანა წიგნი ცნობილი კომპოზიტორების შესახებ. ნაგვიყვანა ოპერის თეატრში, რა თქმა უნდა, ვინც მოვისურვეთ, მოგვასმენინა „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“...

ამასობაში „ეშმაკობაც“ ვისწავლე — ვუსმენდი ხოლმე რადიოს, ვიმახსოვრებდი თუ ვინ მღეროდა, რა არია შეასრულა და რომელი ოპერიდან. ჩემდა საბედნიეროდ, ერთხელ თუ ორჯერ დავიმსახურე დეიდა ლიდას ჯილდო — 5 მანეთი და მთელი ეზოს ბიჭები დავპატიჟე კინოში და ნაყინზე.

მე და დეიდა ლიდა თანდათანობით დავმეგობრდით. მიყვარდა მისი საუბრის ყურისგდება, სხვებისგან გამორჩევით, ყველაფერს ვუჯერებდი.

მომიყვა, რომ ის იყო იმ 80 ქართველ ახალგაზრდას შორის, რომლებიც შეარჩია საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ და 1918-1919 წ.წ. გაგზავნა ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად. დეიდა ლიდა, მაშინ 17-18 წლისა, იენის უნივერსიტეტში გაუმწესებიათ.

ერთი წელი გერმანულ ენას გვასწავლიდნენო. შემდეგ კი იენის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაუბარებია გამოცდები. 1921 წლის მარტამდე საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გვიხდოდა სტეპენდიას, რომელიც ასე თუ ისე გვყოფნიდა საარსებოდო.

დაახლოებით, 1921 წლის მაისში შეგვატყობინა ბოლშევიკურმა მთავრობამ: — ვინც აღიარებს ჩვენს ხელისუფლებას, ბაკალავრიატის დამთავრებამდე სტიპენდიას შეეუწარჩუნებთო. ვინც არ აღიარებს, ყოველგვარი მატერიალური დახმარება შეუწყდებაო“.

— მე არ შემეძლო, ჩემი ყოფილი კეთილიმსურველებისათვის უნდობლობის გამოცხადება და შემინყვიტეს სტიპენდიასო.

უსახსროდ დარჩენილი დეიდა ლიდა და მისი ამხანაგები სალამოობით მორიგე სანიტრებად მუშაობდნენ საავადმყოფოებში და დილას თითქმის გამოუძინებელი მიდიოდნენ ლექციებზე.

1924 წელს დაუმთავრებია იენის უნივერსიტეტი, აგრეთვე — იმავე სასწავლებლის მაგისტრატურა, იქვე 1927 წლის თებერვალში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წლის აპრილში დაბრუნდა სამშობლოში. ერთი წუთითაც არ მიფიქრია გერმანიაში ან დასავლეთში დარჩენა, იქ მოღვაწეობა და ცხოვრებაო. ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებდი, რადგან მე საქართველომ, ჩემმა ხალხმა გამიშვა დასავლეთში სწავლის მისაღებად და უპირველეს მოვალეობად მიმაჩნდა სამშობლოში დაბრუნება და ხალხის სამსახურიო. თუმცა ისიც აღიარა, რომ ბევრი ურჩევდა გერმანიაში დარჩენილიყო, სადაც გარანტირებულ სამსახურს ჰპირდებოდნენ. მაგრამ მისმა პატრიოტულმა შემართებამ თავისი გაიტანა და ჩამოვიდა.

ბოლშევიკური მთავრობა ცივად შეხვდა ახალგაზრდა სწავლულს, უარი უთხრეს თბილისის უნივერსიტეტში მუშაობაზე, ის კი არა, საშუალო სკოლის პედაგოგადაც არ მიიღეს. სადოქტორო ხარისხი საბჭოეთის სამეცნიერო ხარისხად არ ჩაუთვალეს. იძულებული გამხდარა მთარგმნელად ემუშავა სხვადასხვა დანესებულებაში და ეს სამუშაოც ხშირად დროებითი იყო.

1937 წელს დააპატიმრეს, ბრალად დასდეს გერმანიის ჯაშუშობა (კიდევ კარგი მაშინ შრი-ლანკა არ არსებობდა და ამიტომ გერმანია აკმარეს)...

მართალი გითხრათ, მეტი არ მოუყოლია და არც უყვარდა გადასახლების ამბებზე საუბარი.

როგორც მოგახსენეთ, 1954-1955 წწ. დაბრუნდა გადასახლებიდან, მაგრამ რად გინდა, ისევ არ მისცეს საშუალება თავისი სპეციალობით

ემუშავა, და ეს მაშინ, როდესაც ასეთი პროფესიონალი გერმანისტი, გერმანული ენისა და ლიტერატურის მცოდნე საქართველოში თითქმის არ არსებობდა. იძულებული გახდა მთარგმნელობისთვის მოეკიდა ხელი. გერმანულ საბავშვო პროზას და პოეზიას თარგმნიდა ქართულად. გერმანულად თარგმნა ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“, ქართული ზღაპრები, იაკობ გოგებაშვილის „ივანანა რა ჰქმნა?“ და სხვა. სულ გამოსცა თარგმანების 3 თუ 4 წიგნი. რამდენადაც მახსოვს, გათავისუფლებიდან 10-12 წელი იცოცხლა.

ახლა, როდესაც მახსენდება ეს ღვთისნიერი ქალბატონი, გული მწყდება, რომ უფრო ღრმად არ შევიმეცნე მისი სიცოცხლის სიყვარულის აურა, რამდენი რამე არ ვკითხე, არ დავაზუსტე, არ გავიგე მისი აზრი და შეხედულება მთელ რიგ საკითხებზე. არადა, მე და ჩემს მეგობრებს ღმერთმა გვარგუნა ასეთი უნიკალური ადამიანის სიახლოვეს ვყოფილიყავით, გადაჭარბებდად თუ არ ჩამითვლით, ის „ცოცხალი ენციკლოპედია“ იყო. დეიდა ლიდიას მოგონებისას ერთი გრძნობა მეუფლება, რა დააშავა ამ სათნო, კეთილშობილმა, განათლებულმა ადამიანმა, ან ბევრმა მისნაირმა, რომ ბოლშევიკებმა არა მარტო ასპარეზი მოუსპეს, გაუნადგურეს პირადი ცხოვრება... ხანდახან ამაზეც მიფიქრია, იმ ჯოჯოხეთის გამოვლახე მეტად ეგებ დახვრეტა იყო უფრო ჰუმანური. რაც მას დაატყვევს, სიკვდილი (დახვრეტა) ხომ არ აჯობებდა. ახლა თქვენ განსაჯეთ, რომელი ქმედება იქნებოდა უფრო „ჰუმანური“...

ასე ნელ-ნელა, ჩემი არაპროფესიული კალმითა და თხრობის სტილით ჩვენი ეზოს მობინადრეთა მეორე სართული გაგაცანით. დროა პირველზე გადავინაცვლოთ და თქვენი ყურადღება მივაპყრო ოჯახებს, რომლებიც კოლორიტულობით არ ჩამოუვარდებოდნენ „ამფითეატრში“ მცხოვრებთ. კიბის 5-6 საფეხურს აივლიდით და მიადგებოდით ჩემი ბავშვობის მეგობრის (აზერბაიჯანელი ეროვნების) ფოლადას და მისი ბებიის ოროთახიან ბინას, ერთ პატარა ოთახს, სულ რაღაც 8-10 კვ. მეტრის ფართით. ფოლადას ბებია, ზაირა, რაც თავი მახსოვს, სულ აქირავებდა.

ჩემი ბავშვური მოგონების მიღმა დარჩა ფოლადას დედის სახე, რადგან ის ძალიან ადრე, 25-27 წლისა გარდაცვლილა ქლექით. რახან ბავშვის მესხიერება 4-5 წლიდან იღებს ალბათ სათავეს, მაგრამ რაღაც ეპიზოდები, სიზმარივით ხილვები მაინც იწყება სამიოდე წლიდან.

მკაფიოდ მახსოვს ის დღე, ეზოში ვიყავი. ფოლადა ჩემზე ორიოდ წლით უფროსი იყო. უცებ ჩემთან მოდის და მეუბნება, დედა გარდამეცვალაო. ვკითხე, რას ნიშნავს გარდაცვალება-მეთქი. მახსოვს, წამიერად

დაფიქრდა და მიპასუხა: — ბებია ამ ასე მითხრა, ცუდად იყო და ახლა ძინავს, ცოტა ხანი არ უნდა შევანუხობთ და შემდეგ თვითონ გაიღვიძებსო.

მასხოვს, თუ რა სევდიანი სახით მიყვებოდა ამას. მერე უცებ შემომხედა და მკითხა: — გინდა დედა განახლო?

არ მასხოვს, რა მიუზე და გავყევი ფოლადას სახლში. კარები ღია დაგვხვდა, ოთახის შუაგულში ტახტზე ესვენა მეგობრის გარდაცვლილი დედა... ვერ ვიხსენებ, იყო თუ არა იმ დროს ოთახში ვინმე. შევედი მე და ფოლადა, რამდენიმე წამს ჩუმად ვუყურებდით მიცვალეზულის სახეს. სიჩუმეში ფოლადამ ამოთქვა: „ნიჯასან ანნა... მან იახში იამ, მანსანა სოიურამ“ (როგორ ხარ დედა? მე კარგად ვარ, მე შენ მიყვარხარ...). ცოტა ხნის შემდეგ ასევე დინჯად გამოვედით. არავითარი შიშის გრძობა არ გამჩენია. იმდენად პატარა ვიყავი, სიკვდილი ვერ განვიცადა.

ფოლადას მამა აზერბაიჯანული სკოლის დირექტორი ყოფილა, 1940 წელს დაუპატიმრებიათ, სპარსეთის უწინდელი მოქალაქეობა გაუხსენეს და არ აპატიეს.

საგანგებო სამეულის განჩინებით, გადაასახლეს. დაახლოებით 1954-1955 წლებში დაბრუნდა, როცა ფოლადა 17-18 წლის ყმანვილი იყო. აი ასეთ ბედუკულმართობაში გაზარდა დეიდა ზაირამ პატარა შვილიშვილი. დღე და ღამეს ასწორებდა, რომ ფოლადა აღეზარდა. ხან რით და ხან რით ვაჭრობდა. ბოლოს მიაგნო „სარფიან“ ბიზნესს, აცხოვდა შავი ფქვილის თხელ ლავაშებს და გაჰქონდა ბაზარზე. სამაგიეროდ ყიდულობდა შაქრის ნატეხებს, ჩემი წლოვანების ხალხს ალბათ ემასხოვრება, რომ ომის დროს და ასე 50-იანი წლების ბოლომდე, იყიდებოდა რუხი ფერის შაქრის ნატეხები. თითოეული 100 ან 200 გრამს იწონიდა. ჩვენ, ოჯახში, სპეციალური საკვანეტებით ვამტვრევდით ზომებად, პატარ-პატარად ვაქუცმაცებდით. ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ყოველთვის ოჯახის უფროსს ევალეობდა, რათა ამ დიდი ნატეხების დაქუცმაცებისას რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგი ყოფილიყო.

რახან სიტყვამ მოიტანა, გავიხსენებ, ასანთის დეფიციტის გამო სახლში ყოველთვის გვქონდა კაჟის ქვები. ჩემი ძმა ქვების სწრაფი ხახუნით ნაპერწკალს იწვევდა, მეც იქვე ვიყავი ჩასაფრებული, გაზეთის ხვეულით, რათა ნაპერწკლიდან ალი ამენთო და „კერასინკაზე“ გადამეტანა. ამაში ძლიერ დაოსტატებული გახლდით.

დავუბრუნდით ისევ ფოლადას ოჯახს.

დეიდა ზაირა ყიდულობდა შაქრის დიდ ნატეხებს, ადნობდა წყალში, მიღებულ სიროფს უმატებდა ცოტა სახამებელს და ნელ ცეცხლზე შედ-

გმულ ტაფაში აქცევდა მათ თხელ 2-3 მილიმეტრიან ფილებად. რუხი ფერის ფილებისგან მჭრელი დანის სწრაფი მოძრაობით გამოჰყავდა მცირე ზომის, 10-15 სმ-ის ფილები. ამათ ყიდდა ჩვენს „შაითანბაზარზე“. ასე თუ ისე ამით თავიც გადაირჩინა და შვილიშვილიც გამოზარდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ფოლადას ჩვენთვის გამოუტანია ლავაშები და პატარა შაქრის ფილები. მართალი გითხრათ, იპარავდა თუ ბებიის ნებართვით იღებდა, არ ვიცი. ანდა რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას?

მთელი ბავშვობა ერთად გავატარეთ მე და ფოლადამ, შემდეგ სხვადასხვა სკოლაში შევედით. ფოლადა ბებია აზერბაიჯანულ სკოლაში გაამწესა, რამდენადაც ვიცი, წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ყმანვილკაცობაში იშვიათად ვხვდებოდით, მე ახალი სამეგობრო გამიჩნდა, მასაც აგრეთვე და ამაში ალბათ არაფერია გასაკვირი. შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას...

ახალ სახლში გადასვლის შემდეგ გავიგე, რომ დაცოლშვილებულა. დეიდა ზაირას შრომა დაუფასდა, შეჭხაროდა შვილიშვილს და შვილთაშვილებს...

ისიც უნდა ითქვას, რომ ფოლადა ზედმინევნით პატიოსანი, დინჯი, წყნარი ახალგაზრდა იყო. არასოდეს შეუწუხებია ბებია.

დაახლოებით 60-იანი წლების ბოლოს გავიგე, ფოლადა გარდაცვლილა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ისევე, როგორც დედამისი — ქლექით. ყველაზე დიდი უბედურება გახლდათ ის, რომ დეიდა ზაირა შეესწრო ამ უბედურებას. ფოლადას დასაფლავების შემდეგ რამდენიმე თვეში აჩრდილს დამსგავსებია, თითქმის ყოველდღე შვილიშვილის საფლავზე დადიოდა. ერთ დღესაც წასულა საფლავზე, ბინდი ჩამონოლილა, მარადიულ სიჩუმეს დაუსადგურებია. მერე მესაფლავებებს შეუმჩნევიათ სანყალი დეიდა ზარია საფლავზე დამხობილი...

პირველ სართულზე, ჩასასვლელი კიბის თავში რუსი ეროვნების ოჯახი ცხოვრობდა. აგაფონოვები დაახლოებით 1941-1942 წწ. დაბინავებულან ჩვენთან; რუსი მოსახლეობის სამხრეთ რეგიონში ევაკუაციის შედეგად. ოჯახის მამა, სპეციალობით ავიამშენებელი ინჟინერი, თბილისის ავიამშენებელ ქარხანაში მუშაობდა, ხოლო მისი მეუღლე — სამხედრო ჰოსპიტალში მედდად. ჰყავდათ ორი შვილი. გოგონა დაახლოებით 2-3 წლით ჩემზე უფროსი, და ვაჟი — ერთი ან ორი წლით ჩემზე უმცროსი.

საუბედუროდ, ეს ბიჭი განუკურნებელი სენით დაავადდა და 7-8 წლისა გარდაიცვალა.

არასოდეს დამავინწყდება მამის გლოვა და გოდება შვილის გამო. დედა უფრო თავშეკავებული მომეჩვენა იმ მწარე დღეებში.

ამ უბედურებამ დიდი დალი დაასვა მათ ცხოვრებას. ჩაიკეტნენ. მეზობლებთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ. თითქოსდა საერთოდ მოწყდნენ გარე სამყაროსო, განსაკუთრებით ოჯახის თავკაცი, ისედაც სიტყვაძვირი და უთქმელი კაცი, მთლად თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა. ისიც კი მეგონა, მისთვის ცხოვრებამ საერთოდ დაკარგა აზრი. მაგრამ წლებმა მაინც თავისი გაიტანა. დაახლოებით 50-იანი წლების ბოლოს მოსკოვიდან დაბრუნდა მათი ქალიშვილი ალა, რომელმაც იქ დაამთავრა მორის ტორუზის სახელგანთქმული უცხო ენათა ინსტიტუტი. თბილისში საკმაოდ პრესტიჟული სამსახური შესთავაზეს „ინტურისტში“. მაშინ ამის შესახებ არა გამეგებოდა რა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ „ინტურისტში“ (სუკ-ის ფილიალში) სამსახურში ყველას არ იღებდნენ.

ერთი თავისებურებითაც იყო ეს ოჯახი გამორჩეული. არცერთს არ უცდია მცირეოდენი ქართული მაინც შეესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მეზობლებთან დიდი კავშირი არა ჰქონდათ, მაინც ახლო ვიყავი მათთან. რადგან ალა ფრიად განათლებული და იმ დროისათვის თანამედროვე ქალბატონი გახლდათ. ჰქონდათ, მაშინდელი პირობებისათვის, ჩინებული ბიბლიოთეკა. გამოწერილი იმ წლების „ჰიტი“ ჟურნალი „Иностранная литература“, სადაც ნავიკითხე სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, ჟურნალ „Новый мир“-ში სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“, ამ ოჯახში პირველად გავიგონე ისეთი კლასიკოსების შესახებ, როგორებიც იყვნენ ჰაინრიხ ბიოლი, ჰოინტვანგერი, ცვაიგი და მრავალი სხვა. მათგან გავიგე რუსეთის სინამდვილეში ახალი ტალღის პოეტების — რობერტ როჟდესტვენსკის, ანდრეი ვოზნესენსკის, ევგენი ევტუშენკოს, ბელა ახმადულინას, რიმა კაზაკოვას და სხვათა შესახებ, ახალი სტილის პროზაიკოსების — რასპუტინის, ბოლშევიკების მიერ ჩრდილში მყოფი პლატონოვის შემოქმედებაზე, მოსკოვში მანეჟზე ავანგარდული სახვითი ხელოვნების გამოფენის დარბევა, და მრავალი სხვა იმდროისათვის საინტერესო და ძნელად შესატყობი ამბები. ამიტომაც ყოველთვის მაღლიერებით მახსენდება ეს ოჯახი.

აიკვიატეს მისმა მშობლებმა, სურდათ როგორმე ქალიშვილი გაეთხოვებინათ ქართველ ვაჟზე. ასეთ კანდიდატთა შორის, როგორც მახსოვს, უპირველესი ჩემი უფროსი მეგობარი ნოდარი (ბუცუ) ითვლებოდა, შემდეგ კი ჩემი ძმა ანზორი. ნოდარმა, როგორც სჩვეოდა, ყველაფერი იუმორში გაატარა, ხოლო ანზორი ისე დაშინდა მოსალოდნელი პერსპექტივით, კიბეზე უჩუმრად აღიჩადიოდა. მათი ბინი-

საკენ საერთოდ არ იყურებოდა. ასე რომ, ჩემმა „სოლომან მორბელა-ძეობამ ჭამა ნიახური.

აღბათ 10 ან 15 წელი იყო გასული და ქუჩაში შემხვდა ჩემი ახალგაზრდობის „განმანათლებელი“ ალა. გვერდით წარმოსადეგი მამაკაცი ედგა. მომეჩვენა ალას ხმის ინტონაციით, რომ სიამოვნებით გამაცნო თავისი ქმარი ამირან ამილახვარი. ასე რომ, თავისი ოცნება ალას არა მარტო აღუსრულებია, გადაუჭარბებია კიდევ. დედა გამხდარა ქართული სახელოვანი გვარის შვილებისა.

აგაფონოვების მეზობელი გახლდათ ჩემ მიერ უკვე თქვენთვის გაცნობილი ლეილას და თავისი ოთხი შვილით, რომლებიც 1951 წელს გაასახლეს ყაზახეთში, როგორც სპარსეთის ჯაშუშები. ამ წლის მერე ლეილა მარტოდმარტო დარჩა უნათესაოდ. მათი საცხოვრებელი ფართი ნამდვილი სარდაფი იყო, გარე სამყაროსთან სარკმელიც არ აკავშირებდათ. იღებოდა მხოლოდ კარი, მუდამ სინათლე ენთოთ ან ნავთის ლამპა.

ეს ცხოვრება რომ პარადოქსებით და მოულოდნელობებით სავსეა, ჩემზე არანაკლებად მოგეხსენებათ... 1951 წლის გაზაფხულზე დილას სკოლაში მივდიოდი და ჩემი თვალთ დავინახე თუ რა არეულობა იყო მათ და ნაყინის გამყიდველ ასადულას ბინებში. კარები ჩამოეგლიჯათ, ნივთები ზოგი გარეთ ეყარა, ზოგი — კიბეზე. ეზოში მეზობელი შემხვდა, დეიდა მარუსა, და აღელვებულმა ვკითხე, რა ხდება-მეთქი? ჩუმი ხმით, თითქოსდა ეშინოდა, არავის გაეგო, ყურში ჩამჩურჩულა, შუალამისას НКВД-ს მუშაკები შევიდნენ მათთანო. 2 საათის განმავლობაში ბარგი შეაკვრევენ და გაასახლეს ლეილას დის მთელი ოჯახი — ოთხი შვილით, მათ შორის უმცროსი, ჩემი ხნისა, ელდარი, ასე 10-11 წლის თუ იქნებოდა. იგივე ბედი გაიზიარა. თურმე ლეილას დის ოჯახი და ნაყინის გამყიდველი ასადულა აზერბაიჯანელები კი არა „Поданные Персии“ ყოფილან და აღბათ აქტიური ჯაშუშები. სანყალი ლეილა გადასახლებას იმით გადაურჩა, რომ ქართველი მილიციელის, ლევანის მეუღლე თუ ხარჭა გახლდათ. ისე გაუსახლებიათ ლეილას დის ოჯახი, არც უხსენებიათ მისი დედამამიშვილი, იქვე მეორე სართულზე რომ ცხოვრობდა. კარგად მახსოვს სანყალი ლეილას შეშინებული და დამფრთხალი სახე, აქაოდა მეც არ მომაკითხონო. ყოველი უცხო კაცის ეზოში შემოსვლისას ან ჩვენთან, ან დეიდა მაროსთან იმალებოდა. ასე გაგრძელდა თითქმის 1953 წლის მარტამდე, ვიდრე დიქტატორი და ბელადი არ ჩაბარდა ეშმაკს. უცნაური ის იყო, ტირანის სიკვდილი რომ გავიგეთ, ცხარე ცრემლებით დავიტირეთ მე, ლეილამ და ზოგიერთმა მეზობელმა. გვეგონა, ქვეყანა დაილუპებოდა. როგორც მახსოვს, ამ

„ტრაგიკულ“ დღეებში სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ დეიდა ჟენია, ვანო ბიძია, დედაჩემი, რომლის თვალელებში ცრემლიც არ შემიმჩნევია, არც არავითარი აზრი გამოუხატავს. ერთადერთი, რისაც ეშინოდა და ამოიხრებდა: „ღმერთო ჩემო, ოღონდ ომი არ იყოს“... საერთოდ, ეს ლოცვასავით ნათქვამი ბევრჯერ მსმენია დედაჩემისგან. სიცოცხლის ბოლომდე მისი მთავარი სალოცავი შვილების ბედნიერება იყო. ამიტომაც ყველაზე დიდ საფრთხედ ახალი ომი მიაჩნდა.

სიტყვა გამექცა და დავუბრუნდეთ თხრობას...

მივედი რა სკოლაში და იქაც შევიტყე სამწუხარო ამბავი, წინა სალამოს გაუსახლებით ჩვენი თანაკლასელის, გივი გიგაურის ოჯახი, იმ საბაბით, რომ მისი მამა ომის დროს ტყვეობაში ყოფილა. ასე რომ, თითქმის 2 წელიწადზე მეტი ყაზახეთის ტრამალებზე ამუშავეს ჩემი მეგობარი და მისი ოჯახი. სამ დედმამიშვილს შორის ყველაზე უფროსი გივი იყო. 1954 წლის ზაფხულში გიგაურების ოჯახი დაბრუნდა საქართველოში. გივი შესანიშნავი მოცეკვავე გახდა, სუბიშვილებში ცეკვავდა, მოიარა თითქმის მთელი მსოფლიო. საუბედუროდ, როგორც მითხრეს, შეჰყვარებია ანსამბლის წევრი, ქალს თანაგრძნობით არ უპასუხია. წარუმატებელ სიყვარულზე დარდით თუ სხვა მიზეზის გამო გივი სულ რაღაც 38-40 წლისა გარდაიცვალა.

სპარსეთის დაზვერვის ჯაშუშად მიჩნეულმა ნაყინის გამყიდველმა ასადულამ თურმე წერა-კითხვაც არ იცოდა, ამიტომ ჩხრეკის ოქმს ჯვარი დაუსვა ხელმონერის მაგივრად. ასე იყო მიღებული წერა-კითხვის უცოდინართათვის, მაგრამ ყველაზე დიდი მკრეხელობა და აბუჩად აგდება ის იყო, რომ მუსლიმ აზერბაიჯანელებს აიძულებდნენ, ჯვარი დაესვათ ხელმონერის მაგივრად. აბა ესლა აკლდათ მუსულმანური სიმბოლიკის ნახევარმთვარე გამოესახათ. ასადულას გვერდით ცხოვრობდა ღვამიჩავების ოჯახი. ღვამიჩავა ბიძია აექსენტი იყო, თორემ მისი მეუღლე მერი ქალიშვილობის გვარს ვერ თმობდა. ფალავა ერჩივნა ღვამიჩავას. საშუალო ასაკს გადაცილებულნი იყვნენ, ასე 50-55 წლისანი. ბიძია აექსენტი საშუალო ტანის, გამხდარი, მელოტი, და როგორც მახსოვს, ავადმყოფური შეხედულებისა. კისერი ზამთარ-ზაფხულ მუდამ შეხვეული ჰქონდა. ჩუმი, სიტყვაძუნწი კაცი იყო. უსაღმოდ არა, მაგრამ არასოდეს მინახავს ეზოში გამოსული და მეზობელთან მოლაპარაკე. ჩუმად, ფეხაკრეფით დაბაჩუნობდა. ისეთი უწყინარი იყო, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა. ეცვა სარჩულგადაბრუნებული კოსტიუმი. ასეთი კოსტიუმები მაშინ თითქმის ყველა მამაკაცის სამოსი იყო. რამდენიმე წელიწადის განმავლობაში ეცვათ, მერე სულ რომ გახუნდებოდა, სამკერვალოში (იყ-

ვენენ სპეციალურად ასეთი თერძები) გადააბრუნებდნენ და ახალს დაამგვანებდნენ. ასევე ახლებდნენ პალტოებსაც. 40-50-იან წლებში პალტო ყველასთვის ხელმისაწვდომი არ გახლდათ. როგორც კი შეხედავდი მამაკაცს და დააკვირდებოდი მის ჩაცმულობას, ადვილად მიხვდებოდი, სარჩულგადაბრუნებული კოსტიუმი რომ ეცვა. გარე ჯიბე მარცხენა მხარეს კი არ იყო მიკერებული, არამედ მარჯვნივ გადანაცვლებული. აი, ასეთ მუქ ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი, ზამთარში კიდეც რუხი ფერის საკმაოდ გახუნებულ ლაბადაში, შლიაპით თავზე, გაცვეთილი ტყავის ჩანთით გამოდიოდა შინიდან ბიძია ავქსენტი დილის 6 სთ-სა და 30 წუთზე, და მიდიოდა სამსახურში, ასევე გერმანული პუნქტუალობით ბრუნდებოდა შინ საღამოს 7 სთ-სა და 30 წუთზე. არ მახსოვს როდისმე აკურატულობა დაერღვიოს, მთელმა ეზომ იცოდა, ავქსენტის ნასვლა-მოსვლაზე საათის გასწორება შეიძლებოდა, დიდი-დიდი ერთი ან ორი წუთით შემცდარიყვნენ. ვიცოდი, ბიძია ავქსენტი თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში ბუღალტრად მუშაობდა. მისი მეუღლე, ქალბატონი მერი ფალავა, ქმრისაგან განსხვავებით, სულ სხვა განზომილებაში ცხოვრობდა...

ომისა და ომის შემდგომ ნახევრად მშვიერ ეზოში თვალშისაცემად გამოირჩეოდა თავისი ექსტრავაგანტურობით: ტანმალალს ყოველთვის ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა ან საკმაოდ მდიდრული ქოშები. ზაფხულობით მოდურად შეკერილი კრედიშინისა თუ კრებჟორჟეტის კაბები, მუხლებს ოდნავ რომ უფარავდა. მოკლე კაბაში გამოწყობილი მაშინ იშვიათად დადიოდნენ. თმა მუდამ შეღებილი ჰქონდა ნითლად, ამიტომ არავინ იცოდა მისი თმის ნამდვილი ფერი. სახის ნაკვთებით უფრო ევროპული იერის ქალბატონს ჰგავდა. ღაჟღაჟა ნითელი პომადა უყვარდა, ლოყებს ფერუმარლით იმშვენებდა, არც ზამთრობით იკლებდა სიკოხტავეს. ჩვენი ეზოს ღარიბ ქალებს კი არ ჰგავდა, შალის კაბაში, თბილ ფეხსაცმელში, მოკლე ქურქში რომ დაინახავდით, ვერ იფიქრებდით, რომ აბანოთუბნის ღარიბული, მივინყებულ ეზოს ბინადარი გახლდათ. თავს არავის უყადრებდა. ცხოვრობდა თავის მიერ გამოგონილ სამყაროში... არც არავის შეაწუხებდა და არც არავისგან შეინუხებდა თავს. ზაფხულობით თავის პატარა აივანზე დაჯდებოდა, ძველებურ სავარძელში, რომელიც საკმაოდ შელახულიყო, ხელში წიგნს დაიჭერდა და ისე გატაცებით კითხულობდა, გარე სამყარო მისთვის თითქმის აღარ არსებობდა. ეს მაშინ, როდესაც ამ პატარა ეზოს ბინადართა თითქმის ყველა კარი და ფანჯარა ღია იყო და ყველა თავის ეთნოსის (თუ გემოვნების) მუსიკით ტკებობდა. ლეილას ჩართული ჰქონდა თავის საყვარელი აზერბაიჯა-

ნული მუსიკა. გაუთავებლად ისმოდა ბაიათები თუ რაშიდ ბებუთოვის ხმა. ლომიძეები დები იშხნელების სიმღერებს უსმენდნენ. ქალბატონ ვერიჩკას ხშირად მეგრული ხალხური სიმღერების კვირეული ჰქონდა. და ამ კაკაფონიაში ჩვენი მერი იჯდა აივანზე და ვითომ არაფერი იყო, ჩაჰკირკიტებდა წიგნს. მალე ზედმეტსახელიც მოვუგონეთ ბავშვებმა „подумаешь“ ანდა „тоже мне“, რადგან რამე თუ არ მოეწონებოდა, ეს ორი სიტყვა ეკერა მუდამ პირზე. წარბებს შეიკრავდა, მედიდურად გადმოგხედავდა და მოგაყოლებდა „тоже мне“.

ასეთი „იდეალური“ ცოლქმრობის მონმენი ვიყავით მეზობლები, მაგრამ იყო ერთი რამ, რომელიც მართლაც განასხვავებდა ამ ოჯახს სხვა მობინადრეთაგან.

როგორც მოგახსენეთ, დილას 6 სთ-სა და 30 წუთზე მიდიოდა ბიძია ავქსენტი სამსახურში, ხოლო დილის 6 საათზე, ისე, რომ არავითარი მალვიძარა არ იყო საჭირო, გვაფხიზლებდა მერის გამყინავი ხმა თითქმის მთელ ეზოს: „ადექი, ავქსენტი, შე ბედოვლათო, დურაკო, დაადგი ჩაიო“. შემდეგ უფრო მეტი: „დალიე ჩაი, ჭამე საჭმელი, ჩაიცვი თბილად, ყელი შეიხვიე, არ გაცივდე, შე იდიოტო, კარები ფრთხილად მიიხურეო“.

არ გეგონოთ, ეს ამბავი მოვიგონე და ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. ნამდვილად ასე გახლდათ. ასეთნაირად თენდებოდა დილა ჩვენს ეზოში თითქმის ყოველდღე, სანამ ქალბატონი მერი დაავადდებოდა რალაც განუკურნებელი სენით. და, რა თქმა უნდა, დილაუთენია ვეღარ გაჰკიოდა.

ერთ ჩვეულებრივ დილას, როცა ეზოს მცხოვრებნი ჯერ კიდევ არ იყვნენ გადაჩვეულნი დეიდა მერის შეგონებებს ქმრისადმი, უზომოდ დამწუხრებულმა ავქსენტიმ მეზობლებს გააგებინა: „წუხელ მერი გარდაიცვალაო“. იმ დღეს მეც ვნახე საცოდავი კაცი, სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ შერჩენოდა. მთლად დამდნარიყო, დაფერფლილიყო. მისი თვალები სადღაც სივრცეში იყურებოდნენ, თითქოსდა იქ ეძებდნენ ვიღაცას თუ რაღაცას. ისედაც ნელი სიარული იცოდა ავქსენტიმ და მომეჩვენა, რომ მილასლასებდა უზომოდ დათრგუნული. გარდაცვალების მეხუთე დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს მერი. როგორც მახსოვს, 1959-60 წლის 21 აპრილი იყო. ეზო მომდევნო დილას პირველად შეხვდებოდა მერის გარეშე...

გახდა დილის 6 საათი... რომ იტყვიან, ეზოს „სალათას“ ძილით ეძინა... ამ დროს უეცრად გამომეღვიძა, ვხედავ დედაც მღვიძარია. ანზორმა ისეთი ძილი იცოდა, „ზარბაზანი“ რომ დაგეცალათ მის ყურებთან, ვერ გააღვიძებდით, მითუმეტეს მაშინ ქარხანაში მუშაობდა ცეცხლფა-

რეშად და ძალიან ილღებოდა. მე და დედამ გადავხედეთ ერთმანეთს გაკვირვებულად. მასსოვს, პირჯვარიც გადაინერა: „ღმერთო, შენ მიშველეო“ ... გარკვევით გრძელდებოდა მერი დეიდას გამყინავი ხმა: „ადექი, შე გაჭირვებულოო, რატომ არ დაინვა ის დღე, შენ რომ გამოგყვიო, დაადგი ჩაი, შე უბედუროო...“ „აჯილდოებდა“ მერი დილას მის ქმარს. ცოტა ხანში დაბნეულობა თუ შიში დაეძლიეთ მე და დედამ. გამოვედით აივანზე, სადაც თითქმის მთელ მეზობლობას მოეყარა თავი. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ხომ არ მოგვეჩვენაო. ისეთი დაშინებული იყვნენ, ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ამასობაში ავქსენტი ბიძიაც გამოვიდა თავისი ბინიდან. საფეხურები ჩაიარა, ეზოში ჩავიდა, უკანმოუხედავად, ლასლასით გავიდა ჭიშკარში და ატყდა გნისი მეზობლებს შორის: ზოგმა თქვა, მერის აჩრდილი დარჩა „სახლშიო“, ზოგმა — ალბათ მოგვეჩვენაო. ასეთი რამ მეცნიერებაშიცაა ცნობილიო, ისე ჩაგვებეჭდა მერის ხმა, დილის 6 საათზე გამომუშავებულ ჩვევად გვექცა (აკადემიკოსი პავლოვიც მოიშველიეს), ჩვენმა ყურთასმენამ უკვე არაერთხელ გაგონილი და აღქმული მერის ნივილი გაიმეორაო.

სალამოს, 7 სთ-სა და 30 წუთზე დაბრუნდა ავქსენტი ბიძია სამსახურიდან. არავის მოგვსალმებია. შელასლასდა სახლში. ალბათ იმ ღამით არავის ჩასძინებია ღრმად. ყველა ელოდებოდა გათენებას, დილის 6 საათის მოახლოებას. ეს დროც დადგა და ისევ განმეორდა წინანდელი დილის განცდა. ხმა ისმოდა ისე, თითქოს მერი ცოცხალი იყო... გამოვეცვივდით, ისევ გადავიხედეთ ეზოში. მერე ბიძია ავქსენტიმ ლასლასით გადაკვეთა ეზო და გავიდა ქუჩაში. აი, აქ კი ველარ მოითმინეს და თითქმის ყველა მეზობელი ეზოში აღმოჩნდა. მოითათბირეს, „სახალხო საბჭომ“ გადაწყვიტა ავქსენტის ბინაში შესვლა. ეს ძნელი არ იყო, რადგან ბოქლომის გასაღები — როგორც წესი, ყველა ასე იქცეოდა — კარის წინ, ფეხსანმენდის ტილოს ქვეშ იდო. ყველაზე გამბედავები აღმოვჩნდით მე და გურამი, გავაღეთ კარი, სინათლე ავანთეთ, თვალწინ წარმოგვიდგა მომცრო ოთახი, მოკრძალებული ავეჯით განწყობილი. ორი რკინის სანოლი, მაგიდა, სკამები. რაკი დარწმუნდნენ, ცოცხლები ვიყავით, მეზობლებიც შემოლაგდნენ. ამ დროს გურამმა შენიშნა კომოდის თავზე რალაც ელექტრონული ტიპის დანადგარი, სადენი შეაერთა ჩამრთველში, დააჭირა კლავიშს ხელი და ოთახში გაისმა ქალბატონი მერის გამყინავი ხმა: „ადექი, შე უბედურ დღეზე გაჩენილო...“

დიდი მიხვედრა აღარ სჭირდებოდა, რომ მაშინდელი ტექნიკის იშვიათობა, ლენტური ტიპის მაგნიტოფონი ჩვენ წინაშე იდო. მაშინ დიდი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა, როგორც ლინზური 20-30 სმ-

ის ეკრანიანი ტელევიზორი, იქვე საწოლებს შორის მიმალულად რომ იდო პატარა დაბალ მაგიდაზე.

სალამოს ბიძია აქსენტი რომ დაბრუნდა სამსახურიდან, ეზოს მიერ არჩეულმა დელეგატებმა მიაკითხეს. მორჩილად, ჩუმად მოუსმენია მათი მოთხოვნა, თითქმის საერთოდ არ ამოუღია ხმა. საუბრის ბოლოს თვალეზზე ცრემლები მოადგა და ძლივს ამოთქვაო: „რა ვქნა, იმისი ხმის გარეშე რა მაცხოვრებსო“. ფრთხილად ამოუღია კასეტა მაგნიტოფონიდან და დეიდა მაროსთვის გადაუცია. თანაც დაუმატებია: „ნაიღეთ, თორემ ვერ მოგცემთ პირობას, რომ აღარ ჩავრთავო“.

მეუღლის გარდაცვალებიდან ორმოციც არ იყო გასული, სამსახურიდან ბრუნდებოდა ავქსენტი, რის ვაივაგლახით ჩამოსულა ტრამვაიდან, ქუჩა უნდა გადმოეკვეთა, ჩვენს აღმართს რომ ამოჰყოლოდა. ამასობაში ტრამვაი დაიძრა. ვატმანმა დაინახა ლიანდაგზე ლასლასით გადამავალი კაცი, თავის ფიქრებში გართული, ტრამვას გამაყრუებელმა ზარმაც ვერ გამოაფხიზლა. ვერც გარშემო მყოფთა შეძახილებმა თუ ქალის სასონარკვეთილმა კივილმა უშველა. როცა ტრამვას დაუმუხრუჭებია, დაგვიანებული იყო. გვამი თითქმის მეორე ვაგონამდე იყო ნათრევი... მთელმა ეზომ (ასეთი ერთსულოვნება არასოდეს გამოვლენილა ჩვენთან) გაავაცილეთ ბიძია ავქსენტი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, საყვარელი მეუღლის, მერის გვერდით მივუჩინეთ სამუდამო განსასვენებელი. ერთმა მეზობელმა თანაგრძნობით ჩაილაპარაკა: „მერმ ნაიყვანა ავქსენტიო“...

მათი ბინის გასწვრივ აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ, გვარად მამედოვები, დედა ოთხი შვილით, სამი ვაჟითა და ერთი ქალიშვილით. მათი მამა საერთოდ არ მახსოვს, ადრე გარდაცვლილა. ერთ-ერთი ვაჟი, სახელად კაკუშა, ჩემი ტოლი გახლდათ, ბავშვობაში ჩემი სპარინგ პარტნიორი კოჭაობასა თუ ავჭალურში. ცხოვრებამ დამარწმუნა, თუ სიკვდილი არ გინერია, იქ, სადაც შეიძლება დაიღუპო, გადარჩებიო. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ამ კაკუშამ ცურვა იცოდა და მთელი დღე მტკვარში ცურავდა. ერთხელაც ამიყოლია, ნამიყვანა, მანახა, რა კარგად ცურავდა, თათრის მოედანთან მტკვარი გადაცურა და გადმოცურა. ეს კი ჩემთვის ოლიმპიური ჩემპიონის წარმატებას უდრიდა.

ერთხელაც შემომთავაზა, თუ გინდა ცურვას გასწავლიო. მე, რა თქმა უნდა, აღვფრთოვანდი.

როგორც მოგახსენეთ, მეტეხის ციხესთან ორი პატარა ხიდი იყო. კაკუშამ წამაქება, თუ არ გეშინიაო, ერთ-ერთ ხიდზე მიმითითა, ჯერ მე გადავხტები და შენ გადმომიგდე მანქანის გაბერილი „კამერაო“. როცა

დაინახავ, კამერა დავიჭირე, გადმოხტი, წყალში რომ ჩახტები, სუნთქვა შეიკარი, ამოდრავე ხელ-ფეხი და წყალი ამოგაგდებს ზევეითო. ამ დროს მე „კამერას“ მოგაშველებ, შენც ჩანექი შიგნით და დინებას გაყვებითო. რამდენჯერმე გამიმართლა. როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ და ახლა ამ ბავშვურ დაუდევრობაზეც გიყვებით. ვფიქრობ, რა იოლად ვეთამამებოდით სიკვდილს. მითუმეტეს, ცურვა საერთოდ არ ვიცოდი. თანაც ძლიერ სწრაფი დინება რაღაც 10-15 მეტრში ქმნიდა წყალბორბალებს, რასაც ჩვენ „კრუტელებს“ ვეძახდით, სადაც მოხვედრილი კარგი მოცურავეც შეიძლება დამხრჩვალყო. და აგრეთვე, „კამერაზე“ წამონოლილი და ხელების ქნევით მოცურავე დიდ სამიშროებაში ვიკვებდი თავს. აკი გითხარით, მტკვარი მაშინ ძალიან სწრაფად მიედინებოდა (მოგვიანებით, ორთაჭალჰესის აშენების შემდეგ დააგუბეს), მოჰქონდა ათასი ეკალ-ბარდი, ხე, ნაგავი, აქა-იქ ქვებიც. საკმარისი იყო ჩემს სატრანსპორტო გადაადგილების საშუალებას, „კამერას“, რაღაცა შერჭობოდა, ან საპნის ბუშტივით გასკდებოდა, ან ჩაიჩუტებოდა და ეგებ კაკუშას, ცურვის ოსტატი რომ მეგონა, ველარ ეშველა ჩემთვის. შემთხვევით ერთხელ მეზობელს დაჟუნახივართ მოცურავე ბიჭები და, ღმერთმა ააშენა მისი ოჯახი, დედაჩემისთვის უთქვამს. შინ რომ მივედი, ისე სასტიკად დამსაჯა, ჩემმა სანყალმა ბებიამაც ველარ დამიცვა. ბებია მართაც გამებუტა, ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა: „არა ხარ ჩემი შვილიშვილიო, შენც იგივე „ჩაჩანი“ ხარ, რაც ისინი არიანო“...

როცა შევრიგდით, ბებიამ პირობა ჩამომართვა, მამა დამაფიცა, რომ მტკვარზე აღარ გავიპარებოდი. როგორც ხედავთ, პირობა შევასრულე.

კაკუშას ძმა მამედა ალბათ, ასე 9-10 წლით უფროსი იქნებოდა ჩვენზე. საკმაოდ სასიამოვნო, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა გახლდათ, მეტად სიმპათიური, თქვენ წარმოიდგინეთ, ცისფერი თვალებით (რაც აზერბაიჯანელებში საერთოდ იშვიათობაა), ლაზათიანად იცვამდა, კარგად ლაპარაკობდა ქართულად და რუსულადაც. არ მახსოვს, რა განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ ზედმიწევნით ზრდილობიანი, თავშეკავებული იყო. არასოდეს მსმენია მისი პირიდან ლანძღვა-გინება, უნმანური სიტყვები. არც ის მახსოვს, როდის მიდიოდა, ან როდის ბრუნდებოდა შინ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, ხანდახან საერთოდაც არ გამოდიოდა გარეთ.

როგორც შემდეგში გავიგე, მამედა თბილისში საკმაოდ ცნობილი ყომარბაზი გახლდათ. იმის მიხედვით, თუ როგორ ეცვა, მდიდრულად თუ საშუალოდ, ანდა რა იყო გამოფენილი მისი ბინის წინ თოკზე, კოსტიუმი, პერანგები, შარვლები, ლაბადები და სხვა, მიხედვით, რა

პერიოდი ჰქონდა მის თამაშს. ე.წ. „полоса удачи“ თუ „невезения“ და ეს ისე თვალშისაცემი იყო, გაკვირვებასაც იწვევდა, მითუმეტეს, ჩვენს ეზოში ცნობილი მილიციელი ცხოვრობდა. ალბათ, მაშინაც იყიდებოდა ყველაფერი, როგორც დღეს. მამედას ყომარბაზობაშიც არაფერი იყო გასაკვირი, რადგან, როგორც ადრე მოგახსენეთ, იქვე, თითქმის ყოველ ბუჩქთან ყომარბაზობდნენ. მაგრამ ის იყო საინტერესო, რომ მამედა უბნის ყომარბაზებთან არასოდეს დამინახავს.

ასე მე-9-10 კლასში ვსწავლობდი, სკოლის კომკავშირის პირველი მდივანიც ვიყავი. ახლოვდებოდა კომკავშირული არჩევნები. კიროვის რაიონის (მაშინ კიროვის სახელს ატარებდა ორთაჭალა) კომკავშირის კონფერენციის დელეგატად მიმინვიეს. თვალეხს ვერ დავუჯერე, ყრილობაზე მამედა შემხვდა: „აქ რას აკეთებ-მეთქი?“ გაეცინა და მიპასუხა: „ბამბის ქუჩაზე, ფეხსაცმელების ფაბრიკაში ვმუშაობ. იქა ვარ კომკავშირის მდივანად“.

არ გასულა სამიოდე კვირა და, როგორც თბილისის კომკავშირული კონფერენციის დელეგატი, ვესწრები სხდომას. შესვენებისას ბუფეტში ისევ მამედა შემხვდა, ისიც კონფერენციის დელეგატი. დასასრულს გამოაცხადეს ყრილობის დელეგატები და მათ შორის ფეხსაცმელების ფაბრიკის ოსტატი, კომკავშირის მდივანი, მამედა. ესეც არ აკმარეს და თბილისის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. მართალი გითხრათ, ამის შესახებ არავისთვის მითქვამს, ჩემს რწმენასა და აზროვნებაში დიდი ბზარი გაჩნდა. თანდათან ვხვდებოდი, როგორი სიყალბე და ფლიდობა იყო გამეფებული.

მოგვიანებით შევიტყე, ამხანაგი მამედა თბილისის უნივერსიტეტის რომელიღაც პროფესორის ბინაში აუყვანიათ ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებისას. ყველაფერი გამჟღავნებულა და პარტიიდან გაურიცხავთ. ამის გამო სინანული არასოდეს დამჩნევია. დაახლოებით 20 წელიწადი იქნებოდა გასული, მამედა შემხვდა ერთ-ერთ სუფრაზე, თბილისში საკმაოდ ცნობილ ოჯახში. გამოვეცნაურეთ და მოვიკითხეთ ერთმანეთი. შემდეგ გამილიმა და ყასიდად მითხრა: „ეხ, ჩემო ჯემალ, ჩემი მავნე თვისებების გამო რა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კარიერა დავიღუპეო“ — და უდარდელად გადაიხარხარა...

მამედა 50-იანი წლების დასაწყისში დაქორწინდა, ცოლად შეირთო ქართველი გოგონა, რომელიც, ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გაჰყვა. რამდენჯერმე მინახავს ის ქალბატონი, ჩვენს ეზოს როცა ვსტუმრებდით. შესანიშნავი, ლამაზი ბიჭუნაც ჰყავდათ. უზომოდ უყვარდა ქმარი და თურმე ყველაფერს პატიობდა.

საბრალო, სრულებით ახალგაზრდა, 27-28 წლისა გარდაცვლილა ჭლეკით.

2010 წლის ივლისს მოსკოვში არნახული სიცხე დაიჭირა. ერთ დღეს შინ ვბრუნდებოდი, ვიქირავე ტაქსი, მძლოლი ჩვენებურს მივამსგავსე, ვკითხე: „სადაური ხარ-მეთქი“, „თბილისელი აზერბაიჯანელი ვარო“. ჩინებული ქართულით მიპასუხა, გამოვეცნაურეთ ერთმანეთს. მამედას და კაკუშას ძმის, იბრაგიმის სიძე აღმოჩნდა. გავიხსენეთ თბილისი, მოვიკითხე ნაცნობები. მითხრა, რომ სამივე ძმა გარდაცვლილა, მხოლოდ და, ვალიდაა ცოცხალი. ეს შეხვედრა უცნობ მძლოლთან მოსკოვში, 12-13 მილიონიან მეგაპოლისში, თანაც მაშინ, როდესაც ზუსტად ამ ოჯახის შესახებ ვინცები მოგონების დანერას, აბა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა განგების, ღვთიური ძალების შენევა...

კაკუშას გვერდით ცხოვრობდა არამარტო ჩვენი ეზოს, არამედ ძველი თბილისის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი მეარლნე გიჟოა. ის იყო 65 წლამდე, პატარა, ჩია კაცი. სულ კინტოს ტანსაცმელში გამონყობილი (სხვა სამოსი მის ტანზე არ მინახავს). ინვედენენ გიჟოას ქორწილებსა და ქეიფებში. გამოენყობოდა ტრადიციულ ტანსაცმელში, გამოვიდოდა ეზოში არლნით და შესძახებდა: „გამარჯობათ, მეზობლებო, აბა ერთი შევამონმოთო“, და დაუკრავდა არლანს, ერთიორი მელოდით გაახალისებდა ეზოს და ნავიდოდა ფულის საშოვნელად. შინ დაბრუნებული გვარიანად შეჟინჟილებული იყო ხოლმე და დასძახებდა: „კარგი იყო არ გამეცან თავიდან, შუა ზღვაში გადამაგდე ნავიდანო“.

ანდა: „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო... ხუთ წელიწადს პოლის ციხემ მმალაო“ — თან არლნის ხმას შეუნყობდა. ვერ გეტყვით, რომ დიდი მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული ჩვენი გიჟოა, მაგრამ ბავშვებს მაინც ძალიან მოგვწონდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუკი ნებას დაგვრთავდა, რიგრიგობით დაგვეტრიანლებინა არლნის ბორბალი.

ჩვენს ეზოში აზერბაიჯანელთა კიდევ ერთი ოჯახი ცხოვრობდა. საკმაოდ წყნარი და მშვიდი, უჩუმარი ხალხი იყო. ერთხელაც მოუვიდათ დიდი შეხლა-შემოხლა ცოლ-ქმარს. მიზეზი ის იყო, რომ ერთი დაორი წლით ოჯახის უფროსი შამილა (ტრამეაის ვატიმანი) დაიჭირეს. გამოვიდა ციხიდან, ავმა ენებმა ამბავი დაახვედრეს, ცოლი გლალატობდაო. დათვრა შამილა, მივიდა შინ და გვარიანად მიბეგვა ცოლი. მეზობლებმა ძლივძლივობით გამოსტაცეს ხელიდან. ამ აურზაურის შემდეგ ჩვენს ეზოში სხარტული გამოთქმაც გაჩნდა; თურმე მოლალა-

ტე ცოლს მიუხვლია ეჭვიანი ქმრისათვის: „რა გადამაყოლე ამ ღალატს, სულ ერთხელ იყო და ერთხელო“. აბა რა გითხრათ, თვითონ განსაჯეთ, არის თუ არა ღალატი ერთხელ...

ეზოში წყნარი და მშვიდი სომხური ოჯახიც მახსოვს. დედა, ვაჟიშვილი და რძალი, მათი სადარდებელი ის იყო, რომ შვილი არ ჰყავდათ. მერე იშვილეს აზერბაიჯანელი გოგონა. ეზოდან გასახლებული ნაყინის გამყიდველის, ირანის ჯაშუშად მიჩნეული ასადულას ქალიშვილი. ამ ოჯახის დედა, როცა შინიდან გავდიოდი ან ვბრუნდებოდი, ონკანთან იდგა და ყოველთვის რალაცას რეცხავდა. არ მახსოვს, ჩამეველოს მისთვის და უცებ თავი არ აენიოს. შემომხედავდა და, როგორც წესი, მეტყოდა: „ვახ, ჯემალ-ჯან, ცავატანემ, შენა ხარ, ვერ გიცანი, ალბათ გამდიდრდებიო“. ასეთი მისალმება იცოდა.

ერთხელ მოხერხებულად ჩავუსაფრდი, მაინტერესებდა, სხვებსაც თუ ასე ეგებებოდა, მაგალითად, ჩემს ძმას ანზორს, ან კოდუებს. იმავე სიტყვებს იშველიებდა თუ არა. ყველას ესალმებოდა, მაგრამ რიტუალური შეხვედრა ჩემ გარდა დედა მაროს არავისთვის ემეტებოდა. ამიხდა კი მისი ლოცვები? ასე თუ ისე ცხოვრების გზა განვვლე, წარმატებაც მხვდა და დაბრკოლებებიც მქონია, მთელი მსოფლიო თუ არა, ევროპისა და აზიის უამრავი ქვეყანა შემოვიარე. ზოგან ვმუშაობდი, ზოგან ვისვენებდი. რომ იტყვიან, მაქვს საკუთარი ქერი, ოჯახი. მეც ვიყავი ბედნიერი, ვიდრე გია ცოცხალი მყავდა...

მეზობლად კიდევ ერთი დედა მარუსა გვყავდა, ისიც სომეხი გახლდათ გრიქუროვების ოჯახიდან. დეიდა მარუსა მკერავი იყო, დღე-დაღამე შრომობდა და ისე გაზარდა ერთადერთი შვილი ოსიკო, კბილის ტექნიკოსობა შეასწავლა. 50-იანი წლების დასაწყისში ოსიკო იყო ალბათ, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თბილისში ავტომანქანა „მოსკვიჩი“ შეიძინა, რამდენჯერ დაგვხმარებია ოსიკო თავისი მანქანით, სანყალი, ავადმყოფი დედაჩემი იქვე, ბალნეოლოგიურ კურორტზე სამკურნალოდ ჩაუყვანია. აბა ეს სიკეთე როგორ უნდა დავივინყო, ვიდრე მანქანა არ იყო, ჩემს ძმასა და მე ხელში ატატებული მიგვყავდა დედა გოგირდის აბაზანების მისაღებად.

50-იანი წლების დასაწყისშივე დაქორწინდა ოსიკო ქართველ გოგონაზე. ისიც ექიმი-სტომატოლოგი იყო და ეს განსაკუთრებულ სიამაყეს გვრიდა დედა მარუსისას. გაუჩნდათ შვილები, გოგონა და ბიჭი, დეიდა მარუსიამ კერვას თავი მიანება, შვილიშვილების აღზრდაზე გადაერთო და დასდევდა მთელი დღე ხან გოგლი-მოგლით, ხან „რიბი ჟირის“ კოვზით ხელში.

დაახლოებით 50-იანი წლების შუალედში გადავიდნენ საბურთალოზე, კომფორტულ საბჭოთა ბინაში.

ახლა, როცა ვუფიქრდები ჩემი ბავშვობის წლებს, მგონია, რომ სწორედ განგებას შეეძლო ასე ერთად და ერთდროულად შეეკრიბა სხვადასხვა ეროვნებისა და, შესაბამისად, ცხოვრების წესის ადამიანები. მიეჩინა მათთვის ერთი პატარა საარსებო სივრცე, ჩვენი ეზო რომ ერქვა. ასე მგონია, ურთიერთობებს თვით ღმერთიც ვეღარ აღადგენს, რადგან გამწვავდა სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა. ხალხი მაშინდელი მრავალფეროვნებით ახლა რომ შეკრიბოთ, ალბათ, სულ ცოტა ხანში დაჭამენ ერთმანეთს. თუ ჩემი არ გჯერათ, მიადევნეთ თვალი ჩვენს პრესასა და ტელევიზიებს, პირდაპირ ღვთის რისხვას, გაუგონარს გაიგონებთ.

მამამ შვილი მოკლაო, შვილმა — მამაო, ცოლმა ქმრის მოკვლა შეუკვეთაო, მამამ ქალიშვილი გააუბატიურაო და მრავალი სხვა. საშინელება ისმინება და ეს მარტო ჩვენი უბედურება არაა, „განათლებული და ცივილიზებულ ევროპა თუ ამერიკაც“ ცოდვის მორევში ტრიალებს: მკვლევლობები, მანიაკალური შემთხვევები, ჩვილი ბავშვებით ბიზნესი.

მახსოვს, თავის დროზე რუსთაველის თეატრმა დადგა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. მაშინ თეატრის მოტრფიალე გახლდით და არცერთ სპექტაკლს არ ვაკლდებოდი. ამ წარმოდგენაში ოთხი გენიოსი ქართველი მსახიობი მონაწილეობდა: სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. ყველაზე კულმინაციურ ეპიზოდში, როცა ოიდიპოსი თვალებს ითხრის, იმ ცოდვის გამო, უნებლიეთ რომ ჩაიდინა (დედასთან სარეცელი გაინანილა და დედისგან შვილები გაუჩნდა), მაშინაც და ახლაც გამართლებულად მიმაჩნდა ოიდიპოსის სასჯელი. ჩადენილი ცოდვის სიმძიმე შეუმსუბუქებელია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ კოლხი მეფის ასულს მედეას — კი არავითარი გამართლება არ მოეძებნება. ქალი, რომელმაც ჯერ მამას უღალატა, მერე ძმაც განირა, რომ შემდეგ ამბიციებს აყოლილმა და ეჭვებით დაღრღნილმა საკუთარი შვილებიც მოაკვდინა. ასეთი ქმედების ახსნა მხოლოდ ფსიქიატრიულად შეიძლება. ეს პარალელები იმიტომ მოვიხმე, რომ მეჩვენებინა თითქმის ყველა მობინადრე ანგელოზები იყვნენ. დიახ, მეზობლური კონფლიქტები, განევ-გამონევა მძულვარებაში არასოდეს გადაზრდილა, გაჭირვების დროს ყველა ერთმანეთს გვერდით ედგა.

ომის დროს თითქმის არ იყო ელექტრონათურა, „ლამპის შუშის“ სინათლეზე ვსწავლობდით გაკვეთილებს. ჭირდა სისუფთავის დაცვა. მახსენდება, რომ ხელ-ფეხს მშობლები მხოლოდ ძილის წინ გვბან-

დნენ, რადგან საპონი არ იშოვებოდა. გაერთიანებული ძალებით ვებრძოდით ანტისანიტარიას, ბაღლინჯოების შემოტევას ერთად ვიგერიებდით, ურთიერთშეთანხმებით გამოვიტანდით აივნებზე ჩვენს მწირ ავეჯს, სკამებს, მაგიდებს, რკინის საწოლებს და ცეცხლმოკიდებული გაზეთის ალით მუსრს ვავლებდით, შემდეგ ავეჯის ნაპრალებში ნავთს ვაპკურებდით და თითქმის ერთი კვირა მაინც მშვიდად გვეძინა...

უბნის მილიციის ინსპექტორი, ომგამოვლილი ბიძია პავლე იყო ჩვენი ეზოს დამშოშმინებელი. შემოვიდოდა ეზოში, რომელიმე მეზობელი გამოუტანდა სკამს და მაგიდას, მაგიდაზე აუცილებლად წყლის სურა და ჭიქა იდო. პავლე ბიძია მოკალათდებოდა და შეუდგებოდა „საქმის“ გარჩევას, ეს კი ბავშვებისათვის კარგი სანახაობა იყო. დაპირისპირებულთაგან ყველას თავისი სიმართლე ჰქონდა, ამიტომაც საკმაოდ ხმამაღლა, ემოციებით იმართლებდნენ თავს. „მსაჯული“ პავლე ჯერ მხარეებს მოუსმენდა, მერე დაუყვავებდა მათ, მისთვის ჩვეული კეთილმოსურნეობით ჩააწყნარებდა და ჩაამშვიდებდა ვნებათაღელვას, პავლე ბიძიას არცერთი „საგამომძიებლო“ საქმე არ „ნაუგია“. შეარიგებდა დაპირისპირებულ ოჯახებს და დამაშვრალი, ღიმილით იტყოდა: „...აბა, ახლა კარგად იყავით, მე ნავალ, სხვა საქმეებსაც მივხედავო“.

ჩვენს ეზოს დრო და დრო, უფრო გაზაფხულზე და გვიან შემოდგომისას ბიძია აკაკი ჩამოაკითხავდა ძახილით: „...ყვავილების მიწა... ყვავილების მიწა...“ უფრო ხშირად გაიგონებდით: „...სინკა ლილა... სინკა ლილაო“ ანდა „სოდა, სოდა, **пищевая сода**“.

ზაფხულობით, ხილის შემოსვლა რომ იწყებოდა, გვესტუმრებოდა ბიძია სულეიმანი, თავზე ჩალმით. ამ მრგვალ ჩალმაზე საკმაოდ დიდი ხის გობს შემოიდებდა თუთით სავსეს. საოცრად ტკბილი და მჟღერი ხმა ჰქონდა და დამღერებით, განელილად შემოსძახებდა: „ხართუთ ხართუთ, შირინ ხართუთ“, რაც ქართულად ნიშნავდა: „...ტკბილი თუთა, ტკბილი თუთაო“. აზერბაიჯანულში კარგად ვიყავი განაფული და ერთ მშვენიერ დღეს გავრითმე მისი შეძახილი, როგორც კი „შეუბერა“ „...ხართუთ, ხართუთო“ სახლის სახურავიდან ჩამოვძახე იმავე ტონალობაში: „ტამალუნა ბართუთო“, რაც ქართულად უწმანურობას ნიშნავს.

პირველად ამის გაგონებამ თითქოსდა დაზაფრა სულეიმანი, მიიხედ-მოიხედა, გაკვირვებულმა ახედა ცას, ხომ არ მომეჩვენაო. შემსწრე ხალხმა სიცილი რომ დააყარა, დარცხვენილი გავიდა ეზოდან, თან „დონღუზლარ, დონღუზლარ“ დუდღუნებდა. კარგა ხანს აღარ შემოუხედავს ჩვენთან.

ერთხელაც ფოლადამ მითხრა, შენს არყოფნაში ორჯერ იყო ბიძია სულეიმანი, თავისი საყვარელი ბაიათები ჩამოგვიმლერა თუთის შესახებო.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ჩავუსაფრდი. სულეიმანი შემოვიდა ეზოში, ხის გობი მინაზე დადო და შესძახა თავისი ბაიათი. მეც არ დავაყოვნე და გავიმეორე ზემოთნახსენები ზეპირსიტყვიერების ნიმუში. ჯერ იწყინა, მერე სახე გაებადრა, სახურავს ამოხედა და დინჯად შემომძახა აზერბაიჯანულად: „ჯემალ ჯან აიფდი (სირცხვილია), სან იახში (კარგი) ოლლანსან (ბიჭი ხარ) ჯალ ბურა იახში სოზდეაჯამ (მოდის აქ კარგ სიტყვას გეტყვიო)“. აკრიფა გობიდან ერთი მოზრდილი ქიქა თუთა (ქიქობით ყიდდა) და გამომინოდა — ეს ჩვენი შერიგებისა იყოსო. მართალი გითხრათ, იმ დღის მერე სულეიმანი აღარ გამიჯავრებია. ის კი არა, მოგვიანებით მის „შირინთუთას“ სხვებს ვანონებდი, რათა ხელი მალე დაეცალა.

ეს ამბავი დედაჩემის ან ბებიას ყურამდე რომ მისულიყო, აუცილებლად დამსჯიდნენ, უფრო ამ კაცის გაბრაზება-დაცინვისათვის.

მართალი გითხრათ, ჩემს ბავშვობაში რამდენიმე კანონზომიერებაც აღმოვაჩინე:

პირველი: როგორც ეზოში, ისე მთელ ჩვენს უბანში, სადაც მეგობრები გვყავდნენ, თანატოლთა უმრავლესობას მამები არ ჰყავდათ. ზოგს ომში დაეღუპა (შუბლაძეებს), ფოლადას, ნოდარ და გურამ კოდუების მამები რეპრესირებული იყვნენ, მამაჩემი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა მაგადანში. ნოდარს (ფუნიკას) მამა ომში დაეღუპა, კაკუშა, მამედა და იბრაგიმაც უმამოდ იზრდებოდნენ. ერთადერთი, ჩვენი სამეგობროდან, მამა თავზე რომ ედგათ, ძმები კოხრეიძეები იყვნენ.

მეორე: თითქმის ყველას — დედები და ბებიები, ქურჩა და გარესამყარო გვზრდიდა.

მესამე: არასოდეს გვექონია რაიმე სათამაშო, რომელიც ალბათ, მაღაზიებში მაშინაც იყიდებოდა.

ახლა რომ დავეძებთ ჩვენი შვილიშვილებისათვის ბაბუები ათასნაირ სათამაშოს, თანაც მათი ნლოვანების შესაფერისს, რათა აზროვნების განვითარებაში შეეწყოს ხელი, აბა მაშინ სად იყო ამნაირი ზრუნვა, ლუკმაპური გახლდათ სანატრელი. ამიტომაც ჩვენვე ვიყავით სათამაშოების „გამომგონებლები“, „კონსტრუქტორები“ და საერთოდ, „შემქმნელებიც“.

ზამთარში მოხერხებული ხის ციგები გვექონდა. ღმერთმა აცხონოს აკაკი ბიძია (კოხრეიძეების მამა), რომელიც ყოველთვის იმარაგებდა

ზამთრისათვის მშრალ შეშას, რაც სასურველ მასალას წარმოადგენდა ცივისათვის. ზაფხულში, აბა, ფეხით სიარულს როგორ ვიკადრებდით, უმრავლესობას გვექონდა „სამოკატკა“. ჩვენი ამ ტრანსპორტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარდგინება იყო (ოთარ კოხრეიძის ნაქეზებით), არ მახსოვს, პირველი მაისს თუ 7 ნოემბერს, რუსთაველზე გამართულ სახალხო აღლუმზე (პარადის დამთავრების შემდეგ) 5 თუ 6 ბიჭმა დიდი ზარზემით და სიამაყით ჩავიქროლეთ ტრიბუნის წინ ისე, რომ იქ ჯერ კიდევ იდგნენ მთავრობის წევრები. რა ვიცოდი, სულ რაღაც ოციოდე წელიწადში ამ ტრიბუნის გვერდით მომიწევდა დგომა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის, და არცთუ მცირე ხნით.

ომისდროინდელი ბავშვების გასართობი თამაშების დაწვრილებით აღწერა შორს ნაგვიყვანდა, მაინც მოვიწოდებთ გავიხსენო ისინი: გრძელი ვირი, ლახტი, ჩილკა ჯოხი, ავჭალული, კამფეტობანა, ფოლაქობანა, სიპი ქვა, კოჭობანა და რა თქმა უნდა, ფეხბურთი — ფეხშიშველა და ნაჭრის ბურთით. მისი შეკერვის დიდოსტატი ჩემი ძმა, ანზორი გახლდათ. ჭინჭებისაგან აკონინებდა რაღაც სფეროსმაგვარ ბურთს, რითაც ვთამაშობდით თითქმის 50-იანი წლების დასაწყისამდე. ვისაც როდისმე უთამაშია ნაჭრის ფეხბურთი, დარწმუნდება, თუ რა სახიფათო იყო ეს გასართობი. ხშირად ბურთი დაგვიცდებოდა და მოქნეული ფეხი მინას ხვდებოდა თითებით. ამას ისეთი გაუსაძლისი ტკივილი ახლდა, ხანდახან ცრემლებსაც ვერ ვიკავებდით. მაგრამ ჩქარა გვაგინებოდა ეს ტკივილი და კვლავ ფეხბურთს მივუბრუნდებოდით. უკვე მოზრდილი გახლდით, ალბათ 16-17 წლისა, როდესაც ჩვენს საფეხბურთო მოედანზე გაჩნდა ნამდვილი ბურთი.

საერთოდ, იმ წლებში ფეხბურთით იყო ყველა „დაავადებული“. გათავდა ომი და ფეხბურთის საკავშირო გათამაშებაც დაიწყო. ყველანი ჭკუას ვკარგავდით იმდროინდელ ფეხბურთის ვარსკვლავებზე.

1947 წელს მეგობრის ბიძამ პირველად წამიყვანა ფეხბურთზე. ეს ის მატჩი იყო, თბილისის „დინამოს“ კაპიტანმა, ბორის ჰაიჭაძემ ტრავმის შემდეგ პირველად რომ გამოიყვანა გუნდი მოედანზე. აი, იმ დღიდან დავავადდი ფეხბურთით. რამ დამავინყოს 40-იანი წლების ფეხბურთელები: ჰაიჭაძე, ჯეჯელავა, ძიაშვა, შავგულიძე, კიკნაძე, გაგუა, ანთაძე და რა თქმა უნდა, განუუმეორებელი მეკარე ვლადიმერ მარლანია. მახსოვს მისი დებიუტი თბილისის „დინამოში“, ის ლეგენდარული მატჩი, როდესაც „დინამომ“ სსრკ-ის ჩემპიონს „ცსკ“-ს 1:0 მოუგო. მთელი მეორე ნახევარი თითქმის ერთ კარში იყო თამაში. „ცსკ“-ს მეკარე აკიმოვი მოედნის ცენტრში იდგა და იქიდან ეხმარე-

ბოად გუნდს. ასეთი შეტევები არასოდეს მინახავს და არც ასეთი თავგანწირული თამაში. ხოლო ვლადიმერ მარლანიამ იმ დღეს შეძლო შეუძლებელი, რამდენიმე ათეული თითქმის „მკვდარი“ ბურთი მოუხსნა ბობროვს და სხვებსაც.

როგორც იქნა დამთავრდა ეს მატჩი. ხალხი მოედანზე გაცვივდა, რა თქმა უნდა, მეც მათ შორის. მივცვივდით ფეხბურთელებს და ხელში ატატებულები მივაცივით გასახდელამდე.

საერთოდ, ჩემს ბავშვობაში რამდენიმე ჩვენ მიერ ნაცადი „მეთოდი“ გვექონდა ფეხბურთზე დასასწრებად: გეყიდა ბილეთი და შებრძანებულიყავ მატჩზე, რა თქმა უნდა, ჩვენთვის შეუძლებელი იყო უფულობის გამო; თანაც, თბილისის „დინამოს“ სტადიონი გარშემორტყმული იყო სამმეტრიანი რკინის გისოსებით, სადაც რამდენჯერმე წავარჯიშებით ვისწავლეთ აცოცება ისე, რომ ციყვსაც შეშურდებოდა, მაგრამ რად გინდა, ეს მეთოდიც სარისკო იყო. ხშირად დროში ვერ ვეტოდი, აცოცდებოდი კი, მაგრამ ჩამოცოცების დროს მილიცია მოგვისწრებდა, და საუბედუროდ, ხელს არ დაგაკლებდა.

რკინის გისოსებს შორის ჩატანებული ბეტონის სვეტებში სალაროები იყო. ფრთხილად გადავლახე გისოსები და მოვკალათდი ბეტონის სახურავზე. რამდენი არ მეხვეწნენ, ჩამოდი და არაფერს გიზამთო, მაგრამ აბა რას დავუჯერებდი. მეტი რა გზა ჰქონდათ და პირველი ტაიმი მილიციამ სიმაღლეზე წამოსკუპებული მამყოფა, შემდეგ, როგორც წესი, მეორე ტაიმის დასაწყისში გარე დაცვა იხსნებოდა და სახელოვანი ქართული მილიცია სტადიონზე შეჰყავდათ წესრიგის დასაცავად. აი, მაშინ ვიხელთებდი ხოლმე დროს და სტადიონზე შევდიოდი, თუმცა მუდამ გულს მაკლდა, პირველი ტაიმი უნახავი რომ მრჩებოდა, კომენტატორის ხმა სტადიონის გუგუნში ძლივს აღწევდა.

ერთ საინტერესო მეთოდს გურამმა მიაგნო. ერთხელაც მითხრა: ვიცი ადგილი სტადიონზე, სადაც რკინის გისოსებს შორის თავისუფლად გავეტევითო, მთავარია, თავი გაჰყო და ტანს გაიტანო. წინასწარ წავედით და შევამოწმეთ, თანაც ცარცით მოვიწმინეთ ის ორი გისოსი, სადაც თავისუფლად გადავძვერით. დადგა მატჩის დღეც, მე და გურამს სანახაობა თითქმის გარანტირებული გვექონდა...

მივედით ადგილზე და დავინახეთ, რომ ერთი ძია მილიციელი გულმოდგინედ დასტრიალებდა დაახლოებით 15-20 მეტრ მონაკვეთზე გისოსებს, ეტყობოდა დაცვა ევალებოდა. ნუ დაგავინწყებათ, მაშინ წესრიგის დამცველები დავალებებს პირნათლად და მთელი ფანატიზმით ასრულებდნენ. მივუახლოვდით მილიციელს ღრტიტინით: ცო-

ტა გაიწიე, ბიძია, გადათვალე 10 ნაბიჯი და ფოკუსს განახებთ, სულ რაღაც 5 წამში სტადიონზე ვიქნებითო — ვუთხარით. იმდენი ველრიტინეთ, იმდენჯერ სცადა ჩვენი მოშორება ხან დაყვავებით, ხანაც გინებით, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში „ქომაგებიც“ გამოგვიჩინდნენ; ხომ იცით, როგორ უყვართ საქართველოში სეირის ცქერა, ერთი-ორი შეჩერდა და სთხოვდა: გაიწიე შენც, გადათვალე ეს ჯანდაბა ათი ნაბიჯი და ეს ბიჭებიც შეგჩრება გასალახადო.

ის თავისას ცდილობდა, მოვეშორებინეთ ჩვენც და მაქეზებელნიც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე უცებ, აზარტულად და დემონსტრაციულად გადათვალა 10 ნაბიჯი და სულ რაღაც 3 თუ 5 წამში გისოსებს მიღმა ვიყავი და იქიდან გამოჯავრებით დავეჭყანე. ატყდა, მაგრამ რა ატყდა, ტაში დამაყარეს ქომაგებმა, მე კი ამაყად დაველოდე გურამს, რომელსაც „საბავშვო ბილეთი“ ჰქონდა (იყო ასეთი იაფფასიანი ბილეთი).

ვსარგებლოდით მეტად ორიგინალური მეთოდითაც. „დინამოს“ სტადიონს ძველის რეკონსტრუქციამდე, არქიტექტორ ქურდიანის პროექტში, ჰქონდა ნახევრად ოვალური დიდი თალი. მოჩუქურთმებული რკინის ალყაფითურთ. ეს ადგილი სტადიონისა და თალიც შესანიშნავად გამოიყენა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა ფილმში „გიორგი სააკაძე“. ეპიზოდში, როდესაც ცხენზე ამხედრებული გიორგი სააკაძე (დიდებული ხორავა) დგას რომელიღაც გრანდიზული სასახლის თაღთან და ემშვიდობება მძევლად დატოვებულ შვილს, პაატას, ჩონგურზე „ლალეს“ რომ მღერის. აი ის არის „დინამოს“ სტადიონის თალი.

როგორც მოგახსენეთ, თალი ლამაზი და გრანდიოზული იყო, ალბათ მისი სფერული დიამეტრი 20 ან 25 მეტრი იქნებოდა. ეს თალი სამხრეთ ტრიბუნებს უერთდებოდა, ამიტომ თალის თავში განთავსებული იყო სტადიონის უსარკმლო სათავსოები, რომელსაც ტრიბუნაზე გასასვლელი ხის კარი ჰქონდა.

შევიტყეთ, რომ ამ სათავსოებში თამაშის წინ შეიძლებოდა დამალვა და შემდეგ სტადიონზე მოხვედრაც. შევიკრიბებოდით ასე 30-40 ბავშვი თამაშის დაწყებამდე, 4 საათით ადრე, შვიდოდით სტადიონზე (რადგან 2 საათით ადრე სტადიონი იკეტებოდა და გულშემატკივარიც ნელ-ნელა ავსებდა სკამებს), ამ დაბნელებულ ქვის გვირაბსა თუ გოდოლში დავყოფდით ორ საათს ან ცოტა მეტს. როგორც კი სტადიონის რადიო ჩაირთვებოდა ყოველთვის დები იმხნელების სიმღერებით (სხვათა შორის, გასართობი პროგრამა მეტად მწირი იყო), მესამე თუ მეოთხე სიმღერის დასრულების შემდეგ, მივაყურადებდით ხის

კარს, შევაფასებდით სიტუაციას, შემდეგ ბრტყელტუჩით, რომელიც თან გვქონდა, ამოვადრობდით ჩვენ მიერ შიგნიდან ჩაჭედებულ ლურსმნებს და გამარჯვებული ყიჟინით ვიხუვლებდით სამალავიდან. ჩვენი მოულოდნელი სიმრავლე მაყურებლებს შორის შეშფოთებას იწვევდა. გვეშინოდა, ვინმეს გული არ წასვლოდა. რკინისა და ბეტონის ქვაბულში ხანგრძლივად ლოდინი არ მოგვწონდა და ამიტომ ვეძებდით უფრო იოლ მეთოდს სტადიონზე შესაპარავად. ბავშვური ფანტაზია და ალლო ხომ ამოუნურავია. მე და ჩემმა მეგობარმა ოთარმა ახალი მეთოდი განვამტკიცეთ. წინასწარ განერილი სცენარით იმ დღეს დავიტკიცინებდით შარვლებს, გავინმენდით კბილის ფხვნილით თეთრი „პარუსინის“ ფეხსაცმელს, ჩავიცვამდით შეიძლება ერთადერთ გაქათქათებულ და გახამებულ თეთრ პერანგებს და ასე: „ლონდონელი დენდებივით“ გამონყობილები (რა თქმა უნდა, თმაც საგანგებოდ გვქონდა დავარცხნილი და დავაზელინებული) წავიდოდით სტადიონზე. ამ დროს ტრამვაის ძარაზე ჩამოკიდებული ან ტროლეიბუსის უკანა კბეზე შესკუპებული მგზავრობა არახელსაყრელი იყო, რადგან შეიძლებოდა დავსვრილიყავით და „დედიკოს შვილებს“ პენიანობით ველარ დავემგვანებოდით.

ამ ამბავმა გამახსენა, დედა საუცხოოდ ახამებდა ჩვენს პერანგებს და ეს ჩვევაც შემორჩა. ჩემი დაოჯახების შემდეგაც, როგორც კი დავბრუნდებოდი შინ, ვერავინ მოასწრებდა ჩემი საგარეო სამოსის მოწესრიგებას, გააქათქათებდა და დააუთოვებდა.

დიახ, იმას გიყვებოდით, გამონყობილ-გამონკეპილები როგორ მივდიოდით სტადიონზე. პირველ კორდონს კინოსტუდიასთან გადავლახავდით, მეორე კორდონზე, რკინის მოაჯირებით შემოფარგულთან, შევჩერდებოდით, დავათვალიერებდით „პუბლიკას“, ჩვენთვის საინტერესო საზოგადოებას. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა თამაშის დაწყებამდე 30-35 წთ რჩებოდა და ხალხი ნაკადად მიედინებოდა შესასვლელისკენ.

ამოვირჩევდით ორ ან სამ ბიძას, მამებად რომ შეგვეფერებოდნენ და მასლაათით მიჰყვებოდნენ ნელ-ნელა ნაკადს, წავუძღვებოდით და მივდიოდით მათთან ერთად, მილიციის „ფზიზელ“ თვალში ამოვიკითხავდით, ამ ხალხთან ერთად რომ მიგვათვალეს, გავუყვებოდით კორდონს, რკინის მილებიან გასასვლელებთან, სადაც იდგნენ კონტროლიორი „დეიდები“. ისინი ხელით გვიკეტავდნენ გზას ბილეთების წარდგენამდე. როგორც კი მივუახლოვდებოდით ამ დეიდებს, დამაჯერებელი სიმშვიდით თვლებით ვანიშნებდით, თანაც ომახიანადაც ვეტყოდით „У ОЦА“. ხელს გასწევდნენ და ჩვენც ეს გვინდოდა, უმაღლა-

ვშპებოდით წინ. ღიმილით ვაკვირდებოდით შორიდან გათამაშებულ „ცირკს“. უცნობ ბიძიებს სთხოვდნენ ჩვენს ბილეთებს. ისინი ჯერ შეცბუნდებოდნენ, მერე კი უხსნიდნენ ვითარებას. მოდავე ქალბატონები ბოროტ მზერას გამოგვაყოლებდნენ, მაგრამ აბა რაღას დაგვაკლებდნენ, თუ სამუშაო ადგილს მიატოვებდნენ, დაისჯებოდნენ.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხი ისე იყო შეყვარებული ფეხბურთზე, სტადიონზე მაშინაც დავდიოდით, მატჩი რომ არ იყო. იქვე, ცენტრალურ შესასვლელთან სტენდებზე სატურნირო ცხრილებს, ვათვალიერებდით, ფეხბურთელების სურათებს ვიმახსოვრებდით, ვესწრებოდით „დინამოს“ წვრთნის პროცესს, იქვე სკვერში გულშემატკივრები მსჯელობდნენ, კამათობდნენ.

ყოველი სეზონის წინ იბეჭდებოდა ბუკლეტები საკავშირო ფეხბურთის გათამაშების შესახებ, აგრეთვე ცხრილები, და რაც მეტად სახალისო იყო, იქვე ნახავდით კარიკატურებს ფეხბურთელებზე, სხარტი და კვიმატი ეპიგრამებით დამშვენებულს.

როგორ მწყდება გული დაუდევრობის გამო, რომ ასეთი ბუკლეტები არ შემოვიწინახე.

იმდენად დიდ პატივსა სცემდნენ ფეხბურთელები თავიანთ ქომაგებს, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ხშირად შემოგვიერთდებოდნენ და იწყებოდა დიალოგი ფეხბურთზე. გვპასუხობდნენ სხვადასხვა შეკითხვაზე, ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღებით გვეპყრობოდნენ.

იმ წლებში ხშირად მინახავს გულშემატკივართა გარემოცვაში ფეხბურთელები: გაგუა, ანთაძე, კიკნაძე, ბერძენიშვილი, ბასა ლოლობერიძე... ძიაშპა (რომელიც უფრო ხშირად რუსულად ლაპარაკობდა). ბევრს ვიგებდით მათგან ფეხბურთელთა ცხოვრების შესახებ. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ხალხი, ლამის კერპებად აღიარებულნი, სრულებითაც არ იყვნენ განებივრებულნი დიდი ხელფასებით, კეთილმოწყობილი ბინებით ან მანქანებით. ეგ კი არა, გუნდს ჰყავდა შტატიანი მენაღე, რომელიც ყოველი თამაშის შემდეგ ფეხბურთელების ბუცებს კემსავდა. თითო მოთამაშეს მხოლოდ ერთი წყვილი ბუცი ჰქონდა. ისიც ვიცოდით, რომ დასვრილ მაისურებსა და წინდებს შინ ურეცხავდნენ და უუთოვებდნენ.

აი, ასე ცხოვრობდა ეს ხალხი, რომლებიც მოედანზე ნამდვილ გმირობას იჩენდა თავგანწირული თამაშით, ყოველ შემთხვევაში ასე მახსოვს 40-იანი წლების ბოლოს „თბილისის დინამო“. იგი საკავშირო გათამაშების პირველ ხუთეულში ყოველთვის შედიოდა, ტოლს არ

უდებდნენ ისეთ სახელგანთქმულ გუნდებს, როგორებიც იყვნენ მოსკოვის „ცსკ“, „დინამო“, „სპარტაკი“, „ტოროპედო“, „ლოკომოტივი“ და საკავშირო გათამაშების სხვა „გრანდები“. როგორც წესი, თბილისში მათ არასოდეს ჰქონდათ გარანტირებული მოგება ან ფეხბურთის მოედანზე „გასეირნება“. უფრო ხშირად თავჩაქინდრულნი და გამწარებულიები ტოვებდნენ მიწდორს. ახლანდელეები კი ალბათ, ჯერ ხელფასს გაინაღდებენ და შემდეგ თუ გუნებაზე მოვლენ, „ხოში“ თუ ექნებათ, ითამაშებენ და თავსაც დაგამადლიან.

განა სამაგალითო არ არის, რომ მწირი ხელფასით, მატერიალურად შევიწროებულმა დიდმა „დინამომ“ ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის პირველობა, ორჯერ საბჭოთა კავშირის თასი, და ევროპის თასი.

ახლანდელ ქართულ ფეხბურთზე მე ნულარ მაღაპარაკებთ...

ახალგაზრდობაში ჩვენი თაობა, ე.წ. „ომის შვილები“ ქართული სპორტის სხვა სახეობებსაც ვქომაგობდით. დავდიოდით „კიროვის ბაღში“ კალათბურთის მოედანზე. იმ დროს კალათბურთის დარბაზები არ იყო, ღია სტადიონებზე უწევდათ თამაში, აგურის დაღერლილ მოედანზე. ასე გავიცანით ლეგენდარული კალათბურთელები, ქორქია, ჯორჯიკია, კილაძე... მახსოვს, რა აჟიოტაჟი გამოიწვია თბილისში 50-იანი წლების ყველაზე ტანმალალი კალათბურთელის (2 მეტრისა და 30 სმ) ალტაბაევის ჩამოსვლამ ყაზახეთის საკალათბურთო გუნდის შემადგენლობაში.

მაყურებელთა სიმრავლის გამო თამაში ჩოგბურთის მოზრდილ მოედანზე ჩაატარეს, ღია ცის ქვეშ. აბა მაშინ ბილეთს ვინ „მოგვართმევდა“ და ამხანაგებითურთ იქვე, სანაპიროს სკვერის ალვის ხეებზე ატოტებული ვუყურებდით ამ თამაშს. ქორქიას გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა და მოიგო. ვერ უშველა მონინაალმდეგეს ალტაბაევის სიმაღლემ.

მართალი გითხრათ, მაშინდელი კალათბურთი სწრაფი არ ყოფილა, თანაც, დინამიკურობა აკლდა. ეს ახლაა დარბაზში შესაძლებელი სამ წამში ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს (ვგულისხმობ საბჭოთა კავშირის ნაკრების თამაშს ამერიკელებთან, 1972 წლის ოლიმპიადაზე). მაშინ არ იყო არავითარი 20 წამის ტარების უფლება, სამწამიანი ზონა, სამქულიანი სროლა 6 მეტრის დაშორებიდან. გუნდი ასპარეზობას იწყებდა თავისი ფარიდან, ნელა და მშვიდად ათამაშებდა ბურთს, ვიდრე ნაკლებად მოძრავი მაღალი ტანის მოთამაშეები მიაღწევდნენ მონინაალმდეგის კალათს. მაშინ მიაწოდებდნენ მათ მაღალ ბურთს, რომელსაც თავისუფლად ეუფლებოდნენ ეს გიგანტები (ალტაბაევი, კრუმინში, ან-

ზორ ლეჟავა და ქალებიდან სემიონოვა — (2 მეტრი და 12 სმ) და ასევე დაუბრკოლებლად ათავსებდნენ ბურთს მოწინააღმდეგის კალათში.

იმ წლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი ტანმაღალი კალათბურთელი: კრუმინში და ქალებში — სემიონოვა. მათი წყალობით ლატვიის გუნდები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ. ხოლო იმ წესებით, რაც ფიბამ მოგვიანებით მიიღო, კალათბურთის ასეთი „დინოზავრები“ თითქმის გადაშენდნენ. გაიხსენეთ სულ ახლახან თამაშობდა ამერიკის „ენბიაიში“ ერთი ჩინელი, 2 და 42 სმ-ის სიმაღლისა, რომელმაც ვერაფერი განსაკუთრებული სარგებელი ვერ მოუტანა თავის გუნდს.

ჩემი თაობის ახალგაზრდები დავდიოდით და ვესწრებოდით თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა თამაშს, მაშინ წყალბურთის საცურაო აუზი ახლანდელი „ლაგუნას“ პირდაპირ ღია ცის ქვეშ იყო, სანაპიროზე. იქ, სადაც შემდეგში რესტორანი „არაგვი“ ააშენეს. ბრწყინვალე გუნდი გვყავდა. აქ ვნახეთ პირველად ქართული წყალბურთის ლეგენდების პეტრე მშვენიერაძის და გივი ჩიქვანიას ზღაპრული თამაში. იმის შემდეგ, რაც საბურთალოზე სპორტის სასახლე აშენდა, პირადად ჩვენი თაობა მომსწრე იყო ქართული ხელბურთის ჩასახვისა. ნათლად მახსოვს პირველი ქართველი ხელბურთელები: კარტოზია, ფხაკაძე, მეკარე აბაიშვილი, ჯანო ბაგრატიონი და სხვა, რომლებმაც სულ ჩქარა წამყვანი პოზიციები დაიკავეს საკავშირო ხელბურთში და რამდენიმეჯერ სსრკ-ის ჩემპიონებიც გახდნენ.

ვისაც ერთხელ უნახავს მოედანზე ლეგენდარული ხელბურთელი ჯემალ ფხაკაძე, არ შეიძლება დაავიწყდეს მისი ფილიგრანული ტექნიკა, ბურთის ფლობის ჟინი და გამარჯვებისათვის ბრძოლის წყურვილი.

ამ პატარა სპორტული ექსკურსიდანაც ჩანს, რომ მაშინდელ თბილისში სპორტული ცხოვრება „დულდა“ და „გადადულდა“ და ჩვენც ამის მონაწილე ვიყავით, როგორც ქართული სპორტის დაუცხრომელი ქომაგები.

და საერთოდაც, გასართობს თვითონვე ვპოულობდით, როგორც შეგვეძლო: ვცურავდით მტკვარში, ლისისა და კუს ტბებზე, თბილისის ზღვაზე. აბა ხელს ვინ „შეგვიშლიდა“. სანყალი ჩვენი დედები დილას რომ მიდიოდნენ სამსახურში, სალამოს 7-8 საათზე ბრუნდებოდნენ. ასე რომ, „უკონტროლო“ დრო ბევრი გვქონდა „ქუჩის ბიჭებს“. თუ ავდარი იყო, ჩვენი ეზოს ბავშვების ლიდერი, ყოველ ჩვენგანზე უფროსი ნოდარ (ბუცუ) კოდუა, შეგვკრებდა და ატარებდა ეზოს ტურნირებს ნარდში, ჭადრაკში, კარტსა თუ შაშში.

ის წლები თანდათანობით ეძლევა დავინწყებას, ჟამთა სვლას ველარ უძლებენ, ფერმკრთალდებიან, უჩინარდებიან. აკი მოგახსენეთ, გულგრილად ვერ დავთმე, ვერ შეველიე დასავინწყებლად, და თუ მკითხველო, გულნაკლული დაგტოვე ჩემი მოგონებებით, ვითხოვ პატიებას.

არადა მენანება ბევრი ამბავი, ჩემს მესხიერებას მშვენიერ სილუეტებად შემორჩენილი და შორეული ლანდებივით მოციალე მშვენიერი ადამიანები. ამიტომაც ეს მონაკვეთი მოგონებებისა მინდა დავასრულო ბიცოლა ვალიას პორტრეტით.

იმ ჩემი ცხოვრების ბედნიერ თუ ავბედით ბავშვობის აღმართზე, თუმცა იშვიათად შემიმჩნევია, წლებმა ნათელ მოგონებად დამიტოვა ერთი მშვენიერი ქალბატონის სახე. ის იყო ნამდვილი არისტოკრატი, თანაბრად რომ ასხივებდა ჰაეროვნებასა და შინაგანი სიმტკიცის ხიბლს: მოზომილი, ნელი ნაბიჯით ამოუყვებოდა ხოლმე აღმართს მოსამსახურე ქალთან ერთად, ორივეს სანოვავით დატვირთული ჩანთები ამოჰქონდა. დამერწმუნეთ, ეს სურათი დამამახსოვრდა, როგორც დიდებული სანახაობა: მე, ჯერ კიდევ ბავშვს, არ გამომპარვია ის აღტაცება და გამოცოცხლება, რაც შეემჩნეოდა უბანში მცხოვრებ მამაკაცთა მზერას. ასე ვთქვათ, თითქმის ყოველი ფანჯრიდან მიაცილებდა ქალბატონს მისი სილამაზით მონუსხული თვალები. როგორც პოეტი ამბობს: ის იყო საესე სიცოცხლით, მშვენებით, გრძნობით; და გიშრისფერი თმა მზის სინათლეზე არაჩვეულებრივ ყავისფრად უბრწყინავდა, ხოლო მუჭის სიმსხო გრძელი ნანავეები ზღაპრულ იერს სძენდა. მართალია მის შემხედვარე მამაკაცებს აღტაცებისგან ელეთმეღეთი მოსდიოდათ, მაგრამ არ მახსოვს ვინმე გაკადნიერებულიყოს და ამ ქალბატონისათვის რაიმე შეუფერებელი სიტყვა შეეხედოს. თვით ქალებიც კი იყვნენ მოხიბლულნი მისი დიდებულებით, დახვეწილობით. მისი გამოჩენა ისე აჯადოებდა ყველას, მონუსხულებივით გადმოსცქეროდნენ აღმართს, სადაც ეს ქალბატონი ამოვილიდა და ჩაივლიდა ზუსტად ერთსა და იმავე დროს და ქმნიდა განცდას — რალაც არამინიერს... მითუმეტეს, ომისშემდგომი თბილისის გამოხუნებული და ფერგადასული აივნების, ფარღალალა ფანჯრებისა და უსახო, ქვაფენილყაროლ გზაზე მომავალი ქალი სიცოცხლის ხალისს აფენდა.

ეს ულამაზესი ქალბატონი გახლდათ ვალია სტროევა... ჩემი ბავშვობის პირველი აღთქმიდან, ალბათ, 30-35 წლისა, ცხოვრობდა ჩვენი სახლიდან ცოტათი მოშორებით, და მეუღლე იყო ბიძაჩემის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისა.

უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ეს ქალბატონი აქ, ჩვენს მეზობლად, მოხუცებულ მშობლებსა და პატარა ქალიშვილთან, ნათელა ამირანაშვილთან ერთად ცხოვრობდა და არა თავისი ქმრის ბინაში. ამის ახსნა ჩემთვის, ბავშვისთვის, მაშინ ძნელი იყო, მაგრამ მოგვიანებით კი, ყველაფერი როცა გაირკვა, მივხვდი, ჯერ ერთი, მოხუც მშობლებს ვერ მიატოვებდა, და მეორეც, ბიძაჩემის ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო: ორი შვილით, და-ძმებით და მათი შვილებით, რაც მთავარია, საკმაოდ მკაცრი, კონსერვატორული შეხედულების ბებია ასინეთის შეუვალობას წინ ვერავინ აღუდგებოდა.

ასეთი დამაბრკოლებელი ოჯახური გარემოების გამო, ბიძაჩემი, შალვა ამირანაშვილი, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ბიცოლა ვალიას ოჯახს სტუმრობდა, ხანდახან ჩვენს ქუჩაზეც (გრიშაშვილის) გამოისეირნებდა, სადაც მას ხშირად ვხვდებოდი და საშუალება მეძლეოდა გავსაუბრებოდი ხოლმე.

ბიცოლა ვალიას კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და მშვენიერი პიანისტი გახლდათ.

არცთუ ისე იშვიათად მისი ბინის ღია ფანჯრებიდან მოისმოდა შესანიშნავი მელოდიები, რატომღაც მეტად სევდიანი. ამ დროს ბავშვები ყოველნაირ თამაშს თავს ვანებებდით და სულგანაბულნი ვუსმენდით ჯადოსნურ მუსიკას. ხანდახან გავუთამამდებოდი ბიცოლას და შევეკითხებოდი, რას უკრავთ-მეთქი. ის კი ღიმილით მიპასუხებდა და ახსენებდა შტრაუსს, ვივალდის, შოპენს, ჩაიკოვსკის... მრავალი წლის შემდეგ, როდესაც კლასიკური მუსიკა სულ სხვანაირად შევიცანი, მივხვდი, სიყვარული ამ დიდებული ხელოვნებისადმი გაჩნდა ჩემს ღარიბულ უბანში და მომყვებოდა შორეული ბავშვობიდან მშვენიერი ქალბატონის ხილვასთან ერთად.

## რუსთაველის პროსპექტი

მსოფლიოს თითქმის ყოველი სახელმწიფოს დედაქალაქს ან ქალაქს თავის განუმეორებელ კოლორიტს უქმნის მთავარი გამზირი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ გულმა როგორ მომითმინოს, არ ვახსენო პარიზი — თავისი ბულონის ტყით, სადაც არა მხოლოდ ფრანგები, მსოფლიოს ბომონდი სეირნობდა და დასეირნობს. უნინ — ცხენებით, ეტლებით, შემდეგ, მე-19 საუკუნის ბოლოდან — ახალი შიდაწვის „ფორდის“, „მერსედესისა“ თუ „ალფა-რომეოს“ მანქანებით. დღევანდელი ხომ ზღაპარია... ანდა დიდებული ვენეცია თავისი მთავარი არხით, სადაც ე.წ. „ტაქსისტი“ ნავეები და პატარა სასეირნო ხომალდები დაცურავენ, ხოლო მცირე, თითქმის 3-4 მეტრის სიგანის არხებზე მიიწნევა გონდოლები. ვინ არ დამტკბარა ამ სილამაზით, ამ ჰარმონიით.

რომი — თავისი ძველი ხიბლით, ვატიკანით, გნებავთ, ესპანეთის მოედანი, სენატის მთა თუ მრავალი სხვა.

ლონდონი — ერთ დროს ძლევამოსილი ბრიტანეთის იმპერიის დედაქალაქი... თავისი ჩელსით, განუმეორებელი კინგისტონის ქუჩით, ჰაიდპარკით, თაიმსკვერით, ოქსფორდსტრიტით, პიკადილით და მრავალი სხვა ღირსშესანიშნაობით.

მადრიდი — თავისი მეფეთა მოედნით, განუმეორებელი „პრადო-თი“... აკი გითხარით, მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს-მეთქი, მითუმეტეს, სიტყვამ მოიტანა, თორემ არ წარმოადგენს ჩემს მთავარ სათქმელს... ჩვენ საყვარელ თბილისზე, მის მთავარ გამზირზე, „გოლოვინსკზე“ — ანუ რუსთაველის პროსპექტზე მინდა გელაპარაკოთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ პროსპექტს განსაკუთრებული, განუმეორებელი ადგილი უკავია ჩვენი, ომის დროს დაბადებული, 60-იან წლებში დაყმანვილკაცებულ-დაქალიშვილებული თაობის ცხოვრებაში.

ხშირად მიფიქრია, რამ განსაზღვრა ამ პროსპექტის უზომო სიყვარული? ალბათ იმანაც, რომ ამ წლებში ტელემაუნყებლობა მხოლოდ

ფეხს იდგამდა. ჩვენ ან საერთოდ არ გვექონდა შინ იმდროისთვის ასეთი ფუფუნების ნივთი, ანდა ჯერ კიდევ არ ვიყავით დატყვევებული ამ ოთხკუთხა საოცრებით. მაგნიტოფონებზე ხომ წარმოდგენაც არ გვექონდა. მოგვიანებით, სუხიშვილების მთელ მსოფლიოში ხშირი გასტროლების შემდეგ აქა-იქ შეიძინეს გერმანული „გრუნტიკები“ თუ ჰოლანდიური „სიმენსები“. საბჭოთა მაგნიტოფონები კი ისეთი უბადრუკი ხარისხისა გახლდათ, თითქმის ერთ თვეში სამუდამოდ გვემშვიდობებოდნენ.

ჩვენი თაობის ახალგაზრდები აგრეთვე მოკლებული ვიყავით ე.წ. „სალონურ“ სალამოებს ვინრო წრეში, თუმცა ეს ყველაზე არ ვრცელდებოდა. მაშინაც იყვნენ უზრუნველყოფილი ოჯახები, ძირითადად პარტიული, სახელმწიფო ჩინოვნიკთა და წითელი ინტელიგენციის შვილები. მათ ადვილად მიუწვდებოდათ ხელი ასეთ ფუფუნებაზე. სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა რუსთაველის პროსპექტი? ეგებ ფიქრობთ, „ერევნის მოედნიდან“ (შემდეგში ლენინის მოედნიდან) რუსთაველის ძეგლამდეო. არა, ბატონებო. რუსთაველი ჩვენთვის ყოფილი კიროვის ქუჩის დასაწყისთან, კუთხეში მდებარე სანაყინედან მეცნიერებათა აკადემიის ახალაშენებულ შენობამდე გრძელდებოდა.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ამხანაგების პირველი შეხვედრის ადგილი სანაყინე იყო, ეს „ბირჟა“ ჩვენამდე უფროსი თაობის ახალგაზრდებს ჰქონდათ ამოჩემებული. ანზორ ლაღუა (სანაყინის თავზე ცხოვრობდა) ჩვენს უბნელ თენგიზ გოგიტიძესთან მეგობრობდა. სანყალი თენგიზი და ანზორი დაახლოებით 60-იანი წლების დასაწყისში ტრაგიკულად დაიღუპნენ მცხეთასთან ავტოკატასტროფაში. იყვნენ აგრეთვე იმტარა (ჩემი მეგობრის, ალიკა კანდელაკის უბნელი), ნოდარა, ლერი ნამგალაძე და მისი ძმა — რომელიც ჩემი თანაკლასელი გახლდათ. რა თქმა უნდა, იყვნენ სხვებიც, რომელთა სახელები ან გვარები ჩემმა მეხსიერებამ მივიწყებას მისცა.

როგორც გითხარით, „სტარტი“ სანაყინესთან იყო (თუკი წვიმა წამოვიდოდა, თავს შევაფარებდით მთავრობის სასახლესა და პირველ სკოლას შორის მდებარე გრძელ (ასე 50-70 მეტრის) ერთსართულიან მაღაზიას (უნივერმალს), შემდეგ, ალბათ იმავე წლებში, აიღეს ეს უშნო ნაგებობა და სკვერი გააშენეს პირველი სკოლის წინ, სადაც დალილებს შეგვეძლო სკამებზე ჩამოსხდომა).

მერე შევისიერნებდით „ბორჯომის“ წყლების მაღაზიაში, სადაც ერთი ქიქა მინერალური წყალი 2 კაპიკად იყიდებოდა. დასანანია, ამ კოლორიტული მაღაზიის გაუქმება რომ დასჭირდათ.

მეორე ბირჟა მუდმივი „წევრებით“: ამირან დუმბაძე, რეზო ჯორჯაძე, ვოვა (რუსი ყმანვილი გახლდათ, გვარი არ მახსოვს). თუ ცოტა მეტი ფული აღმოგვაჩნდებოდა, ლალიძის წყლებს ვაგემოვნებდით, 5 კაპიკი ღირდა.

ხანდახან თავს უფლებას ვაძლევდით, კოქტეილად შეგვეკვეთა.

ღმერთმა აცხონა და გაანათლა ნათელი სული ლალიძისა, რომელმაც ჩვენს თაობას დაამახსოვრა სურნელოვანი სასმელი და ჩვენი ეროვნული სიამაყეც. მოგვიანებით, თუკი ვინმე შემხვედრია სამშობლოდან შორს, რუსეთსა თუ ევროპაში, არაერთხელ მსმენია „ბორჯომის“ მაღაზიისა და ლალიძის წყლის ქებათა-ქება და მონატრება. მაშინდელ ტურისტებში თბილისი და ლალიძის წყლები თითქმის გაიგივებული იყო, ისევე, როგორც მეტეხის ციხე, ნარიყალა, აბანოთუბანი თუ სხვა. სიცოცხლის ბოლომდე დამრჩება იმ წლების სურნელება და გემო.

ჩვენ, ქართველები, „კოკა-კოლას“ თუ სხვა უცხოურ უაღკოპოლო სასმელებს რატომ უნდა ვეტანებოდეთ, ეს „კოკა-კოლა“ მეორეხარისხოვნად მიჩნეულ „კრუშონსაც“ ვერ შეედრება.

ეგებ ჩვენგან „ანაპნული“ მდარე ხარისხის ვარდის სიროფით დამზადებული სასმელი წყალია, მისი მფლობელები მილიარდერები რომ გახდნენ.

ისე, სიტყვამ მოიტანა და ჩემი ეჭვიც უნდა გამოვთქვა, რომ ესოდენ გავრცელებული რძის ნანარმი „იოგურტი“ თუ „დანონი“ ჩვენი მანვნის ანალოგი უნდა იყოს, რასაც ათასი ქიმიური მინარევი დაუმატეს და მთელ მსოფლიოშიც გაავრცელეს.

აკი მოგახსენეთ, ადრე ჩვენს ეზოში წყნეთელ მემანვნეს რომ მოჰქონდა დილით მანონი, იმას ეს ქიმიური პროდუქტები შეედრება?

ლალიძის წყლებთან „ბირჟა“ დაკავებული იყო უფრო მეტად ახალგაზრდა ხელოვანთა მიერ: თეატრალური ინსტიტუტის, კონსერვატორიის სტუდენტებით თუ დამწყები პოეტებითა და პროზაიკოსებით, ახალგაზრდა თაობით. აქ ხშირად მინახავს მეგობრების გარემოცვაში: ეროსი მანჯგალაძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიორგი გეგეჭკორი, კახი კავსაძე, ნუგზარ შარია, ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდლულაძე... ეს ჩამონათვალი სრული ვერასოდეს იქნება ნიაზ დიასამიძის გარეშე, სრულ ხიბლს ვერ დაგანახებთ.

აკი გითხარით, „ბირჟებს“ ჩვენი უფროსი თაობის წარმომადგენლები „აკონტროლებდნენ“, მაგრამ რუსთაველის პროსპექტი პრივატიზებული არ იყო და ყველას გვეყოფნიდა. ჯერ რომ ლალიძის წყალს დავაგემოვნებდით, მერე ჭადრის ხის ჩრდილში მოვიხდომებდით შე-

ფარებას. შესაძლებლობაც გვეძლეოდა ცხოვრებაში გვენახა ჩვენი „კუმირები“: ლეგენდარული მსახიობი და ფეხბურთის კომენტატორი ეროსი მანჯავალაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდლულაძე და კიდევ მრავალი კოლორიტული ადამიანი, თბილისის რომ უხდებოდნენ.

მათ შორის, რა თქმა უნდა, ჯერ შეუმჩნეველი იყო ნიაზ დიასამიძე, მაგრამ თავისი ორიგინალური ცხოვრების წესით, განუმეორებელი იუმორით, თბილისელობით, რუსთაველის პროსპექტის, როგორც სულიერისადმი ერთგულებით, ყველასგან გამორჩეული იყო. ამბობდნენ მაშინ, დამწყები და პერსპექტიული პოეტიად, შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე, და იმასაც ამბობდნენ, არანაკლებ ფლობს ვოკალსო. კომპოზიციის ნიჭით დაჯილდოებული თავისი ლექსების მუსიკის ავტორიც გახლდათ.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი გადმოცემით ვიცოდი, რადგან ის სხვა „კომპანიის“ წევრი იყო. მაშინ ჩემი სოციალური სტატუსით თუ გაღლეთილი ჯიბით იმ წრისგან შორს ვიდექი. მოგვიანებით „დავძმაცადით“ მე, ოთარ კოხრეიძე და ნიაზი. საწყალი ნიაზი უკვე დაავადებული იყო ალკოჰოლის ზედმეტი მიღების გამო. ყველა ეპატიუებოდა, ყველა „სალონური“ თუ „ოჯახური“ ქეიფის სასურველი სტუმარი გახლდათ და იმდენი ქნეს, მანამ არ მოეშვნენ, სანამ არ გაალოთესო, — ამბობდნენ გულშემატკივრულად. შეიძლება ესეც სწორია, მაგრამ, მე მგონი, ბედს ვერ გაექცევი. მინახავს, და არც მე გახლდით მთლად ანგელოზი, მთელი კვირაობით თუ თვეობით ქეიფობდნენ, ავდარში სარეცხი რომ არ შრება, ისე იყვნენ სულ „გასაშრობი“.

მაგრამ ასეთ დროს არსებობს რაღაც კრიტერიუმი, დამცველი გონებრივი კლიტე, რომლის ზღვარს რომ გადააბიჯებ, ჩერდები... მაგრამ არამართო ერთი ადამიანი, მრავალი სიცოცხლე შეინირა ამ სენმა, რომელიც იმორჩილებს ფაქიზ, მეტისმეტად სათუთი მგრძნობელობის (ранимый) ადამიანებს და ისინი განიარაღებულებივით ეწირებიან...

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულებში ხშირად წარმატებას მარცხი მოჰყვება ხოლმე. მარცხს, სულიერი განწყობის სიცარიელეს ყველა ვერ უძლებს. სამწუხაროდ, გამოსავალს სმაში ეძებენ. მიჩვევა თანდათანობით თვისებად ექცევათ, თვისება — ავადმყოფობად, ავადმყოფობა, საუბედუროდ, ქრონიკული ხდება, და იწყება ტრაგედია — სულიერი სამყაროს დეგრადაცია. საწყალი ნიაზი თითქმის ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც მე და ოთარი დავუმეგობრდით. ოთარმა მოინდომა, თავისებურად უყვარდა ნიაზი, რომელიც იმ დროს თითქმის მიტოვებული იყო ყოფილი მეგობრებისგან. ხშირად

დაინახავდით განმარტოებულს, ფიქრებში გართულს, ლალიძის წყლებთან, ჭადრის ქვეშ მდგომს...

ჩემი თანაკლასელი ოთარი კეთილი, ძალიან გულღია, ხელგაშლილი ახალგაზრდა იყო, როცა შეეძლო, და როგორც შეეძლო, ყველა „გაჭირვებულის“ დახმარება და ხელშეწყობა უყვარდა.

დაახლოებით 60-იანი წლების დასასრული იყო, სამსახურში დამირეკა ოთარმა და მთხოვა, როგორმე მომეხერხებინა და ლალიძის წყლების წინ, სარდაფში, რესტორან „ყაზბეგში“ ჩავსულიყავი. იქ დამხვდნენ ერთი ჩვენი თანაკლასელი, იმდროისათვის რუსთაველის თეატრის მსახიობი, უკვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნუგზარ შარია. ერთ თუ ორ ქართულ ფილმში უკვე გადაღებული იყო, თანაც მთავარ როლებში...

როგორც კი მივედი, ამიხსნეს თავშეყრის მიზეზი. რუსთაველზე მოსეირნე ოთარს შეხვედრიან შეზარხოშებული ნუგზარი და ნიაზი, მოქეიფე, ხელგაშლილი კაცი, და მითუმეტეს ოთარ კოხრეიძე რომ გახლდათ, „დასველების“ საბაბს ადვილად იშოვიდა და აი ისიც: საკავშირო იუმორისტულ ჟურნალში „КРОКОДИЛ“ დაიბეჭდა ფელეტონი თბილისის „სტილიაგებზე“, კერძოდ რუსთაველის პროსპექტზე უსაქმურად მოსეირნე და „ბირჟებზე“ დღედაღამე მდგომ ახალგაზრდებზე, ანუ „დასავლეთის პროპაგანდის მიერ მონამულ თაობაზე“, რომლებმაც დაივიწყეს ძირითადი ცხოვრების არსი, სოციალიზმის და კომუნიზმის აშენების იდეალები. ნათქვამი იყო, რომ ამ „უსაქმურებში“ სჭარბობდნენ ე.წ. „ბობოლა ხალხის“ შვილები, რომლებიც გაურბოდნენ კეთილსინდისიერ შრომას და ასე ფუქსავატურად გაჰყავდათ დრო.

აი, ნახეთ, ბიჭებო, როგორი გამოგვაჭენეს რუსებმა თავიანთ „КРОКОДИЛ“-შიო. მიზეზმა ქეიფისათვის გაამართლა. და ჩვენც „ღირსეულად“ დაეუდასტურეთ საკავშირო პრესას. ნაბახუსევზე ჩეხოვის შესანიშნავი ნოველა გამახსენდა: ღამის სამ საათზე რომ გააღვიძა მშობლები მთვრალმა შვილმა და ახარა, აი ნახეთ, რა წერია ჩემზე გაზეთშიო და წაუკითხა მათ სტატია, სადაც ეწერა, ამა და ამ პოეტმა თავისი ნიჭი არაყში ჩაახრჩოო. ცოტა არ იყოს, ეს ჩვენი „ქეიფიც და დასველება“ ჩეხოვის ამ პერსონაჟის საქციელს ჰგავდა, მაგრამ ეს დაუდევრობა ჩვენი ახალგაზრდული, ხალისიანი, სიცოცხლისმოყვარე ხასიათიდან გამოდიოდა და გთხოვთ, მკაცრად ნუ განგვსჯით...

როგორც მახსოვს, სულ რაღაც ერთ თვეში საკმაოდ ხანგრძლივი მივლინებით (ერთი წლით) გავემგზავრე საზღვარგარეთ. რა თქმა უნ-

და, ოთარმა შინაურული პურმარილით აღნიშნა ჩემი შინ მშვიდობიანი დაბრუნება. ახალ-ახალი ამბებიც შემატყობინა. ერთი საინტერესო ეპიზოდი მომიყვა, ნიაზს რომ გადახდომოდა თავს:

ერთ ღამეს, ასე გათენებისას, მისულა ნიაზი მაშინდელი ქალაქის აღმასკომის შენობასთან, №1 აფთიაქში, რომელიც ერთადერთი იყო 24 საათის განმავლობაში რომ მუშაობდა. მაშინდელი აფთიაქი საღამოს 11 საათის შემდეგ იყო ერთი კაცის ამარა და თითქმის ყოველდღე საღამოს მორიგეობდა პროვიზორი ბიძია პავლე. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, გაჭალარავებული კაცი, რაც იმ ნუთას მოგხვდებოდა თვალში, ეცვა, თითქმის მუხლებს რომ მთლიანად უფარავდა, თეთრი, გატყვიცინებულ-გაქათქათებული ხალათი, შავი შარვალი და თეთრი პარუსინის დიდი ფეხსაცმელი. საღამოს საათებში, როცა დედა ავადობდა, მეც ბევრჯერ მივჭრილვარ მასთან ნამლისათვის. კართან იყო პატარა ელექტრონული ლილაკი, ზარის ხმისთანავე აფთიაქში სინათლე აინთებოდა, რაღაც ორიოდ ნუთში გამოჩნდებოდა ბიძია პავლე, მუდამ თავაზიანი, ყურადღებიანი. გაგიღებდა კარს და შეგეკითხებოდა: „რამ შეგანუხათ, ყმანვილო, რამ მოგიყვანათ ასე გვიან აფთიაქშიო“? ყურადღებით მოვისმენდა, აუცილებლად მოინადინებდა დახმარებას და სულ რამდენიმე ნუთში გამოგატანდა საჭირო ნამალს (რა თქმა უნდა, თუკი ექნებოდათ აფთიაქში). ფულსაც იქვე გადაგახდევინებდა, ხურდას გერმანული სიზუსტით დაგიბრუნებდა. ყველაზე მთავარი კინალამ დამავიწყდა: არასოდეს მინახავს ნამძინარევი, ბურუსიანი თვალებით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ამ კაცს საერთოდ არ ეძინა ღამით. ეს იმისათვის მოგიყვებით დანვრისლებით, რომ მეთქვა, როგორი მშვიდი იყო თბილისი, ღამის საათებში ბავშვიც კი უშიშრად გაიგზავნებოდა ნამალზე და ერთადერთ მორიგე აფთიაქში უშიშრად გაულებდნენ კარებს. ჩვენს დროში ხომ ამის წარმოდგენა შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ეს აფთიაქარი თითქმის მთელმა თბილისმა იცოდა, ყველას ეიმედებოდა ბიძია პავლე. საბედნიეროდ, ასეთი დიდებული ადამიანები ნამდვილად უხდებოდნენ თბილისს, სამწუხაროდ, მისი მსგავსი, კეთილშობილი, თავის პროფესიაზე შეყვარებული ხალხი თბილისის სინამდვილიდან დინოზავრებივით გადაშენდნენ.

ახლა ერთი პატარა სააფთიაქო ჯიხურიც კი გისოსებით, დაცვის პოლიციისა და ათასი ტექნიკური საშუალებით არის გამყარებული.

ერთხელ, დაახლოებით ღამის 5-6 საათზე მიაკითხა თურმე აფთიაქს ნიაზმა. ჩვეულებისამებრ გამოეგება ბიძია პავლე და თავაზიანად

შეეკითხა: „რამ შეგანუხათ, ყმანვილოო“. „ბიძია, დიდი ბოდში შენუხებისთვის, მელანი არა გაქვთო?“ — უკითხავს ნიაზს. ბიძია პავლეს გაკვირვებია, თუ რას სთხოვდა ყმანვილი, თანაც ეტყობოდა, ნასვამი რომ იყო. ალბათ, პირველად, თავის სიცოცხლეში განყრომია და უთქვამს: „არა გრცხვენიათ? აქ, აფთიაქში მელანს რა უნდაო“. და კარი მიუხურავს. ვითომ გულდანყვეტილ ნიაზს მიუდევნებია: „კარგი რა, ბიძია, ისეთი რა გთხოვე, მელანი მინდოდაო“.

დაახლოებით ერთ საათში კვლავ მოესმა ზარის ხმა ბიძია პავლეს. იგივე ახალგაზრდა რომ შერჩენია ხელში, მოუბოდიშებლად უთქვამს: „ახლა რალა გინდა, კიდევ რა უცნაურობა მოიფიქრეო?“ „ბიძია, მელანი მოგიტანეთო. თქვენ ხომ თქვით, არა გვაქვსო“, და გადაუცია სტალინის დროინდელი შუშის მოზრდილი სამელნე, მელნით სავსე.

მაშინ ეს მოარულ ამბად ვრცელდებოდა ქალაქში, სუფრიდან სუფრაზე გადაჰქონდათ, ვისაც ეცინებოდა, ალბათ იცინოდა.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით: ერთხელ დილით, ასე 10-11 საათზე ნიაზი თავის ბიძაშვილთან ერთად, საშინლად ნაბახუსევი, ჭადრებთან მდგარა ლალიძის წყლების სიახლოვეს. იქნებ ვინმე მაღლიანმა გამოიაროს და ამ გაჭირვებიდან გამოგვიხსნასო, — ფიქრობდნენ. ლოდინი გახანგრძლივებიათ, სანატრელი და საინტერესო კაცი არ გამოუჩნდათ. ამ დროს ბიძაშვილს უკითხავს:

— ნიაზ, შეხედე ამ ჭადრის ხეს რამდენი ფოთოლი ასხია, ყველა ასმანეთიანებად რომ იქცეს და თავზე დაგვეყაროს, რამდენს მომცემდიო.

ნიაზს ღიმილით შეუხედავს ბიძაშვილისთვის და უთქვამს: „არცერთ მანეთსაც არ მოგცემდიო“.

გულდანყვეტილ ბიძაშვილს საყვედური გამოუთქვამს. ნიაზს კი ღიმილითვე მიუგია: „რას ჩააცვივდი, ადამიანო, ამ ჩემს ჭადრის ხეს და ნილში მიდგები, ვერ ხედავ, აქ რამდენი ჭადარია, და შენც იქით გადაინაცვლე და მთელი ფულიც (ფოთოლიც) შენი იყოსო“.

დიאלოგი სხვანაირად გავრცობილა:

- ნიაზ, აი, წარმოიდგინე, მგელი რომ დაგვესხას, რას იზამდი?
- ქვას ავიღებდი და თავში ჩავცხებდი.
- ქვა რომ არ ყოფილიყო?
- ხედავ მეეზოვის ჯოხს? იმით მოვიგერიებდი.
- ხის ჯოხიც რომ არ ყოფილიყო?
- კაცო, რას გადამეკიდე, შენ იმ მგლის ბიძაშვილი ხარ თუ ჩემი? ასეთ ანეკდოტსაც მრავლად ყვებოდნენ, თითქოსდა ნიაზს ეთქვას:

ერთხელ სახლში ნასვამი მივდიოდი და დედამ სასწრაფოდ ლოგინი გამიშალაო. ჯიბეში არყის ბოთლი მქონდა, დაძინებამდე დოქიდან წყალი გადავასხი და არაყი შევუნაცვლეო. დილისთვის დავიჭირე თადარიგო. გათენდა, ვეცი და მოვიყუდე დოქი, მაგრამ ვაი ჩემს თავს, რაც მე დამემართაო, გულის რევით გავიქეცი ტუალეტისკენო. დედაჩემს დოქში არყის მაგივრად რძე ჩაუსხამს, უფიქრია, არაყი შეჯავრდებაო. როცა ეკითხებოდნენ ნიაზს, მერე რა მოხდაო, ღიმილით პასუხობდა: დედას გეფიცებით, იმ დღის შემდეგ რძე არასოდეს დამილევიანო.

როცა ნიაზი გარდაიცვალა, თბილისში აღარ ვცხოვრობდი. ოთარი მომიყვა, მთელი ქალაქი აცილებდა უკანასკნელ გზაზეო: მთელი მთაწმინდა, ვერა, ვაკე, პლესხანოვი და, რა თქმა უნდა, მისი საყვარელი რუსთაველის გამზირის მეგობრები თუ ამხანაგებო...

ჩემი სიყრმის მეგობრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. ოთარ კოხრეიძე გასული საუკუნის 90-იანი წლების ძნელად გადასატანმა დღეებმა დეპრესიაში ჩააგდო. სასმელს მისძალებია, მაგრამ თავისი რაინდული ბუნებისათვის არ უღალატია. იმ შიშველ ხანს, გაუსაძლის მატერი-ალურ და სულიერ გარემოცვაში, თავის ბინაში მოსავლელად გადმო-უყვანია ახალგაზრდობისდროინდელი მეგობარი ალექსანდრე (ალი-კა) ჭ-ძე. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე თავს დასტრიალებდა ავადმყოფს, გარდაცვალების შემდეგ დიდი პატივით თავისი სახლიდან გაუსვენებია. ცოტა ხანში თვითონაც იმქვეყნად გადავიდა.

თავდაპირველად განზრახული მქონდა და მოწადინებული გახლ-დით სრულად და კონკრეტულად დამეხატა ჩემი თაობის დამოკიდებულება რუსთაველის პროსპექტისადმი. მეჩვენებინა და მეგრძნობინებინა ის საყვარელი და ჰარმონია, რაც იმ წლებში სუფევდა ახალგაზრდებს შორის: ურთიერთგატანა და მხარში ამოდგომა. კაცურ სიტყვაზე ნდობა. ჩვენს დედაქალაქს უჩვეულო ხიბლს სძენდა, გასაცარი სიმშვიდე.

აღწერო, ან შეეცადო მაინც, ეს ყველაფერი დეტალურად წარმოაჩინო, ალბათ, პროფესიონალი მწერლის კალამია საჭირო. მე მხოლოდ ჩემი გულის ამოძახილის აღბეჭდვა გამომივიდა. ის, რასაც ვგრძნობდი და ჩამრჩა ყმანვილკაცობიდან მეხსიერებაში.

რუსთაველზე მოგიყვით და არ გავიხსენოთ თბილისის ორი ე.წ. „საზოგადოებრივი კვების დანესებულება“ — სახინკლე „ველიამინოვზე“ (ახლანდელი ტაბიძის ქუჩა) და რესტორანი „გემო“, რომელიც მდებარეობდა „ზემელზე“, რუსთაველის ძეგლთან ახლოს რომ სკვე-რია გაშენებული.

თამამად განვაცხადებ, ვისაც ეს „დანესებულებები“ ახალგაზრდობაში არ „აგითვისებიათ“, იგულისხმეთ, რომ თბილისში არ გიცხოვრიათ, მთელი სუნთქვით არ ჩაგიყლაპავთ რუსთაველის გამზირის მათრობელა სურნელება და არ გიგრძენიათ მისი ეშბი. ნეტა როგორ იტევდა ეს პატარა სარდაფის ტიპის სახინკლე ამდენ ხალხს, როცა უნდა მისულიყავი, რა თქმა უნდა, „კომპანიით“, სახინკლე ყოველთვის გადაჭედილი დაგხვდებოდა. მთავარი იყო, როგორმე მოგეხერხებინა შეგეკვეთა, თუ რამდენი ხინკალი გინდოდა. როგორც ნესი, 50-ზე ნაკლებს არავინ ითხოვდა, ხანდახან კი 100-საც აჭარბებდა, მეხინკლეებს ხომ ფოტოგრაფიული ნიჭი ჰქონდათ, ისე იმახსოვრებდნენ კლიენტებს: უცბად შეგხედავდნენ და ჩაინერდნენ ფურცელზე: ჯემალი — 50, ანზორი — 70, თენგიზი — 100 და გასძახებდნენ იქვე, სამზარეულოს სარკმელში რაოდენობას და გაისმოდა შემდეგ გადმოდახილი: ჯემალს — 50, ანზორს — 70, თენგიზს — 100 და სხვა. ასე წარმოიდგინეთ, არასოდეს ეშლებოდათ სხვისთვის მიეტანათ შენი ულუფა. ვიდრე ხინკალი იხარშებოდა, ქაბაბსა და ცივ ლუდს ვაგემოვნებდით. ეს ყველაფერი: ამდენი ხალხის ზუზუნის, ხინკლის თბილი ოხშივარი, არეული ორთქლითა და სიგარეტის კვამლით აჭრილი ბურუსი, მითუმეტეს ისეთ დროს, თბილისში ტემპერატურა ხშირად 30 გრადუსზე მეტი რომ იყო, ისე მადიანად მივირთმევდით ქაბაბს თუ ხინკალს, ვსვამდით ლუდს, თანაც ვსაუბრობდით, ვბჭობდით, ვხალისობდით...

ერთი სიტყვით, ჩვენზე ბედნიერი მაშინ არავინ გვეგონა ქვეყანაზე. ამას კიდევ ემატებოდა ჩვენი ამოჩემებული შეხუმრება ლუდის ჭიქების შემგროვებელთან, ბიძია კოლიასთან, რომელიც რაღაცნაირად ეგზოტიკური კაცი იყო: ტანდაბალი, ჯმუხი, შეუვალი და ბასრი გამოხედვა იცოდა. არასოდეს შემიმჩნევია მის სახეზე ღიმილი. ცალი ხელის მტევანი მოკვეთილი ჰქონდა, მაგრამ რა გინდა, ისე მოხერხებულად, განვრთნილი ფეხბურთელივით იპოვიდა გასასვლელს მაღალ სასაუზმე მაგიდებს შორის, თანაც ხელში ეკავა დაახლოებით 6-7 ან მეტი ლუდის კათხა; ასე მხოლოდ პროფესიონალს შეეძლო. ამ დროს თუ ყურადღებით არ იყავი, ცხვირწინ ისე „აგანაპნიდა“ კათხას, რომელშიც ჯერ კიდევ იდგა ლუდი, ვერაფერს გაიგებდი. მერე თუ გინდა უყარე კაკალი, ველარ გამოსტაცებდი ხელიდან შენს კათხას. ასე იმიტომ ჩქარობდა, რომ საკმარისი არ გააჩნდათ, ყველასთვის არ ყოფნიდათ. ეს ბიძია კოლია უბრალო დამხმარე და ლუდის კათხების შემგროვებელი კი არ იყო, სახინკლის მეპატრონეებ-

თან იდგა წილში. ამიტომაც იყო, ალბათ, ჯმუხი და დაბღვერილი და სრულებითაც არ ჰგავდა მამებლად მომლიმარ მოსამსახურე პერსონალს. მდიდარიც რომ იქნებოდა, სახინკლის ერთი დღის შემოსავალიც მიანიშნებდა.

ერთხელ ხმა გავარდა, კოლიას ბინა გაქურდესო. წაუღიათ ქურდებს ყველაფერი, რაც დაუგროვებია. ალბათ, იმდენი არ უდარდია დანაკარგზე, რამდენადაც ჩვენ გავუწყალეთ გული შეკითხვებით: — კოლია ბიძია, რა წაიღეს, გვითხარი, ქურდებს ვიცნობთ, დაგეხმარებითო.

ამის გაგონებისთანავე კუშტად შემოგხედავდა და ნაიბუტბუტებდა: „თქვენ თავს მიხედეთ, ეგ არაა თქვენი საქმეო“.

ვერ ვიტყვი, რომ გვეჯავრებოდა, მაგრამ გულზეც არ გვეხატებოდა. ამიტომაც აგდებული დამოკიდებულება მისადმი ცოტა გადაჭარბებული გამოგვიოდა. 2009 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში მომიწია ყოფნა. გავიარეთ რუსთაველზე. აბა, ახლა გასეირნებას ვერ დაარქმევ, რადგან ხანდახან ისეთი უკაცრიელი გეჩვენება გამოიჩინა, ისეთი უცხო, შენიანს რომ ვერ გადაეყრები და შეაჩერებ... რამდენიმე მეგობარმა გადავწყვიტეთ, ხინკალზე წავსულიყავით, ოღონდ არა ქალაქგარეთ.

ერთმა „ველიამინოვი“ გაიხსენა, თუმცა დაამატა, იქაურობა სულ შეიცვალაო. ნელი ნაბიჯით მივუახლოვდით ჩვენი ყმანვილკაცობის საყვარელ სამყოფელს, ერთ დროს რომ ხმაურით, ხალისით ვავსებდით მის დარბაზს...

ნახევარსარდაფის უწინდელი ქვის საფეხურები მარმარილოს შავი ფილებით შეუცვლიათ; პატარა, ვინრო სარკმლები, რითაც „სუნთქავდა“ სახინკლე, გერმანულ თუ ჰოლანდიურ თანამედროვე მოდურ მინებში ჩაუსვამთ; დარბაზი ევროპული რემონტით შეუმკიათ; მოურთავთ ახალი ქალებით, კონდიციონერულ დარბაზში, ფეხზე სადგომი მაგიდების მაგივრად, თანამედროვე დიზაინის მაგიდები და სკამები განულაგებიათ; ხოლო იქ, სადაც ჩვენი მასპინძელი მეხინკლეები იყვნენ ჩამწკრივებულნი, მინის მაცივარ-ვიტრაჟები დაუწყვიათ, ბუტაფორიული კერძების მენიუთი... ერთი სიტყვით, იქაურობას ადგილმდებარეობით თუ მიაგნებდით, თორემ ეს უკვე სულ სხვა, თანამედროვე ყაიდის რესტორანი გახლდათ და არა ის, ოდესღაც თავი რომ დაგამახსოვრათ თავისი ოხშივარით, ლუდის არომატით, თამბაქოს ბოლით და, რა თქმა უნდა, მომთენთავი ზუზუნით, დაახლოებით 70-100 კაცი რომ წარმოქმნიდა თავისშექცევისას.

არ ვიცი ვისია ეს დაწესებულება ახლა, მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, ის ადამიანი არ უნდა იყოს, ძველის ფასი რომ იცის. ასეთი უგემოვნებო დიზაინი და მეშჩანური გარემო არსად მინახავს. ქალაქის ცენტრში ამ კოლორიტულ დარბაზში, სადაც თბილისელთა არაერთი თაობა ჩადიოდა, ნუთუ იმის ჭკუა არ ეყო, რაღაცა მაინც დაეტოვებინა ძველი ინტერიერიდან. ევროპასა თუ სხვაგან, უცხოეთში, საგანგებოდ ანიჭებენ ძველ ელფერს, ცდილობენ კედლის ან აგურის ფენის გამოჩენას, მაგრამ რას იზამ, თუკი კაცმა არ იცის, ფული ყველაფერი რომ არ არის და ფულიანობა გემოვნებას ვერ აყალიბებს.

სამეგობრო ქეიფი მაინც მოხერხდა, მაგრამ ამხანაგების რომ არ მომრიდებოდა, იმნამსვე დავტოვებდი იქაურობას. რა თქმა უნდა, დავრჩი. რაღაცას ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით, მაგრამ მაინც არ ვითვლებოდი სუფრის ნევრად, ფიქრები ნამომეშალა, მეხსიერებაში ჩემს ამხანაგებს, მეგობრებს ვეძებდი, მათ სახეებს ვპოულობდი, თითქოსდა ყურში ჩამესმოდა ოხმივარით დატენილი დარბაზიდან ხმა...

რახან ქეიფები ვახსენე, ერთი უცნაურობაც უნდა მოვიგონო ჩვენი ყმანვილკაცობის დროინდელი მოლხენებისა. როგორც წესი, ქორნილები, დღეობები თუ სხვა დღესასწაულები რატომღაც, ტრადიციულად, ღამის 11-12 საათზე იწყებოდა და გამთენიამდე გრძელდებოდა. ელიტარულ ოჯახებში კი ისეთ თამადას აირჩევდნენ, მთელი ღამის განმავლობაში ერთ ან ორ შესვენებას რომ გამოაცხადებდა ცეკვისა და დასვენებისთვის. მაშინ ახალი შემოსული იყო „როკენროლი“ და ჩვენც იმიტაცია გამოგვიდოდა ამ ცეკვისა.

ამასობაში მოცეკვავე „დიდოსტატებიც“ გამოჩნდებოდნენ და როგორც შეგვეძლო, ისე ავყვებოდით მათ რიტმს. ჩვენი ახალგაზრდული ნლოვანების გამო, ალბათ, უფრო „ტანგო“ ან „ფოქსტროტი“ შეგვეფერებოდა, სადაც ოდნავ მაინც იახლოვებდი შეყვარებულ გოგონას. ახლა რომ ვიხსენებ, რა მაძლებინებდა ასე დროში განელილ სუფრაზე, ალბათ ახალგაზრდული ჯანი და ენერგია, ის, რომ სიცოცხლევ გიყვარს ამ დროს, ცა ქუდად არ მიგაჩნია, დედამინა ქალამნად.

აბა ქეიფი რა ქეიფია, თუკი არ დაავგირგვინე ხაშით, ლავაშითა და ერთი 100 ან 200 გრამი არყის გადაკვრით, უამისოდ ლექციებზე დაჯდომის და კონსპექტების შედგენის ძალას საიდან მოიკრებდი, მითუმეტეს, რომ დილას 5-6 საათზე მოქეიფე კაცი იმდენად ნასვამი არ არის, რამდენადაც მოთენთილია, დაღლილია. ამ დროს ძილია წამალი და არა ლექცია, ამიტომ ლოგინს უნდა ეძებდეს კაცი გამოსაძინებლად.

მაგრამ ეს ხომ „ნორმალურ“ ადამიანს შეეფერებოდა და ჩვენზე, გადარეულეებზე, არ ჭრიდა. იმ დროს თბილისში აბა სახაშეებს რა გამოლევდა, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე სასურველი რესტორანი „გემო“ იყო. ზედ „ზემელზე“, რუსთაველის ძეგლთან, ორსართულიანი შენობის ნახევარსარდაფში უნდა ჩასულიყავი. იქ ვინ არ დაგხვდებოდა, იყო ერთმანეთის მოკითხვა, ახსნა-განმარტება, ვინ სად იქეიფა, ვინ იყო თამადა და ათასი ამბავი. ხაში ხომ ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმდროინდელ თბილისში, თანაც ძალზე იაფად, თითქმის უფასოდ. ასე რომ, რესტორან „გემოში“ კარგად გავითენებდით და სულ „ჰერი-ჰერით“ მივაშურებდით ინსტიტუტებს.

ოთარ კობრეიძე მომიყვა: ერთხელ მე და ნიაზი ერთად ვიყავით „გემოში“. უქმე დღე გათენდა და არსად გვეჩქარებოდა. გავუყევით რუსთაველის პროსპექტსო. ჯერ ლალიძემი ამოვისუნთქეთ, მერე ბორჯომიც არ დავიკელით, ასე საუბარ-საუბარში ტელეგრაფის („დომსვიაზის“) შენობას მივუახლოვდითო (ეს ის ავბედითი ადგილია, სადაც 1956 წელს, თბილისის 9 მარტის საღამოს, გულუბრყვილო მომიტინგეების დელეგაცია აპირებდა დეპუტის გაგზავნას „ნამდვილ სტალინელთან“, ვიანესლავ მოლოტოვთან: „ჩამოდი და გვიპატრონეო“. მხოლოდ რამდენიმე საფეხურის ავლა მოასწრეს და შენობაში ჩასაფრებულმა მერვე პოლკის ჯარისკაცებმა, მთავრობის ბრძანებით, იქვე ჩაცხრილეს ისინი და მერე გააგრძელეს მომიტინგეთა სადისტური დაცხრილვა (იმ ავბედითი 9 მარტის დღეების შესახებ უფრო ვრცლად აღწერილი მაქვს ჩემს წიგნში „შავი სათვალე ეკეთა“ — თბილისი 2008 წ. გვ. 19-80).

მაპატიეთ, იმას გიყვებოდით, ოთარი და ნიაზი „დომსვიაზს“ მიუახლოვდნენ-მეთქი. ოთარს შეუთავაზებია მეგობრისათვის, მოდი, თმა შევიკრიჭოთ და წვერიც გავიპარსოთო. ნიაზი რალაცნაირად ხათრიანი, „ხოშის“ გამსწორებელი გახლდათ და დათანხმებია ოთარს. სასწაულად, სადალაქოში ჯერ სხვა კლიენტი არ ყოფილა. ასეთი რამ იშვიათობა იყო იმიტომ, რომ დალაქი არამარტო თავისი პროფესიონალიზმით იყო ცნობილი, არამედ თავისი კოლორიტულობითაც — წარმოსადეგი, დინჯი, დარბაისლური გარეგნობის, ჭალარა თმით, ჭალარა უღვაშით, მისი მსგავსნი მხოლოდ ბებიჩემის ალბომში მყავდა ნანახი.

ეს ადამიანი დალაქი კი არ გეგონებოდათ, არამედ მე-19 საუკუნის ვინმე დიდგვაროვან თავადს. მუშაობისას ისეთი თავაზიანი იყო, ისეთი დახვეწილი მანერებით გამორჩეული, რომ მასთან მისვლა უფრო რი-

ტუალურ, თეატრალიზებულ სანახაობას წარმოადგენდა, ვიდრე ჩვეულებრივი დალაქის მომსახურება. არასოდეს გვინახავს ეს კაცი გაბრაზებული, წონასწორობადარღვეული, კონფლიქტური. დღიდან ამ შენობის აშენებისა იქ მუშაობდა (გერმანელმა ტყვეებმა ააშენეს. ე.ი. დაახლოებით 1946-1947 წლიდან). ჰქონდა ერთი დავთარი და იწერდა კლიენტების მიღების თანამიმდევრობას. ედგა ტელეფონი (რაც თბილისში მაშინ დიდი იშვიათობა იყო, ალბათ გავლენიანი კლიენტი დაეხმარა, ანდა ვინ არ იყო მისი კლიენტი, იქვე მთავრობის შენობა, იქვე შინაგან საქმეთა სამინისტრო, სუკი და სხვა სამთავრობო დაწესებულება, ისე, რომ მასთან ჩაწერას დიდი რეკომენდაცია ანუ გავლენა სჭირდებოდა). ოთარს, როგორც ხელგაშლილ კაცს, ფულადი წახალისება მუდამ ემარჯვებოდა, ამიტომაც რიგში დგომა არსად უზღებოდა.

რა თქმა უნდა, ოთარმა მეგობარს დაუთმო პირველობა. ჩამჯდარა ნიაზი სავარძელში და ჩვენს დალაქს იმნუთასვე მიეფრქვა ალკოჰოლ-ნივრიანი ოხშივარი, ნაბახუსევს რომ ახასიათებს. ოდნავ შემუშნულა ჩვენი სანაქებო დალაქი, მერე პატარა კოლბა გაუხსნია, ბამბა დაუსველებია შიგ და ცხვირთან მიუტანია ნიაზისათვის. შენუხებული სავარძლიდან ლამის წამოჭრილა და შეუყვირია: „ეს რა მასუნთქეთ, თავში ამივარდაო“. „არაფერი ისეთი, ყმანვილო, თქვენ ცოტა ნასმი ბრძანდებით და ნიშადური გამოგაფხიზლებთო“.

ნიაზს გულითადად გაუღიმიო, მერე დემონსტრაციულად წამომართულა სავარძლიდან, პირსაფარი ლამაზად დაუქეცავს, ხელი ჩამოურთმევია დალაქისათვის და დაახლოებით შემდეგი უთქვამს: „...აი, ხომ ხედავ ამ ჩემს მეგობარს, თითქმის ორი დღის განმავლობაში ქეიფისთვის, დროსტარებისთვის 200 მანეთი მაინც დახარჯა, რომ დავმთვრალიყავი, და ახლა ამ ნიშადურის სპირტით არ ვაპირებ ორსამ წუთში გამოფხიზლებასო“.

ოთარს ჩუმად გადაუხდია ფული დალაქისათვის და გაუგრძელე-ბიათ გზა რუსთაველზე...

## მარპით ფეხშიშველა

ყმანვილკაცებისათვის ბუნებრივი ჩვევაა სხვების გამოწვევა, ყურადღების მიპყრობა. მინდა გავიხსენო რუსთაველზე როგორ ავიყოლიეთ სხვები...

ასე 17-18 წლის ყმანვილები ვიყავით, გამოსაშვები კლასის მონაფეები. თანაკლასელმა ჟორა ზონენაშვილმა, თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად, პუშკინის ქუჩის ბოლოს საქაბაბეში დაგვპატიჟა. შევიკრიბეთ, ალბათ, 10-12 ახალგაზრდა, არ მოვიკელით ქაბაბი თუ ხინკალი, არაყი რომ ზედმეტი მოგვივიდა, დიდი მხიარულებითა და ჟრიამულით გამოვედით ქუჩაში.

ადრეული შემოდგომის თბილი სალამო იდგა. მივუახლოვდით თუ არა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, უცებ ეს ჩვენი პროცესია შეძახილმა შეაჩერა. ჩვენმა თანაკლასელმა ლერი გამრეკლიძემ. (პირველი სკოლიდან გადმოვიდა. მე-9 კლასში რომ იყო, თავის ყოფილ თანაკლასელებთან კვლავ მეგობრობდა, ისინიც ხშირად აკითხავდნენ ჩვენს სკოლაში. ამიტომ ძალიან თბილი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა განგვიმტკიცდა).

უცებ წამოიძახა: „ვინც ახლა არ ამყვება, იცოდეს, დაგინებული მაქვს“. სასწრაფოდ წაიძრო ფეხსაცმელი, წინდებიც ამოიჩარა ილიაში და მივუხვდით; აბა ჩვენ შორის ვინ უღალატებდა, უმალ მივბაძეთ. სასწრაფოდ გავიხადეთ ფეხსაცმელები (წინდები ჯერ კიდევ ფუფუნება რომ გახლდათ და ბევრ ჩვენგანს უბადრუკი ფეხსაცმელი შიშველ ფეხზე ეცვა).

ერთი სიტყვით, ჩვენი „ბელადის“ წინამძღოლობით ქუჩა გადაკვეთეთ და რუსთაველის პროსპექტზე გავედით სიცილ-ხარხარით, ზოგიც სერიოზული გამომეტყველებით. ფეხშიშველნი ავუყვით რუსთაველს. ვერ წარმოიდგენთ, რა გამოცოცხლება გამოვინვიეთ. ჩვენი ამხანაგები თუ ნაცნობები დანახვისთანავე წაიძრობდნენ ფეხსაცმელს და გვიერთდებოდნენ — ისე, რომ პირველი დემონსტრაცია რუსთაველზე ჩვენ გავმართეთ.

ასე მხიარულ ნაკადად ჯერ ბორჯომის წყლების მაღაზიას, შემდეგ ლალიძეს მივადექით. პროცესია ზემელზე დავამთავრეთ. დასაწყისში

10-12 ფეხშიშველს „ზემელზე“, ალბათ, 100 კაცზე მეტი „მიმდევარი“ გაგვჩენოდა. რატომღაც შეგვგრჩა და არც მახსოვს, სკოლას რაიმე გადამწყვეტი ზომებისთვის მიემართა.

იმ მარშის ყველა მონაწილეს ველარც ვიხსენებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი გმირი ჟორა ზონენაშვილი გახლდათ, ვისი დაბადების დღეც ასე ორიგინალურად გადავიხადეთ. სეირობის მოთავე — ლერი გამრეკლიძე, მისი მეგობრები პირველი სკოლიდან: სიმონიშვილი, ფედია გურგენიძე (ჩორტკა), ჩვენი თანაკლასელები: ოთარ კობრეიძე, ანზორ კაჭახიძე, ანზორ მარგალიტაძე და სხვები! ესეც უნდა დავამატო, იმ ბიჭების უმრავლესობამ, თითქმის ყველამ, ასე თუ ისე გაიკაფა თავისი ცხოვრების გზა, ოჯახები შექმნეს და კარიერის მნიშვნელოვან საფეხურსაც მიაღწიეს.

სულ ახლახან სოციალური ქსელით ნიუ-იორკში მოვინახე ჩემი ყმანვილობის დროინდელი მეგობარი ჟორა ზონენაშვილი (უკვე აშშ-ს მოქალაქე ჯორჯ ზონენი). პირველი, რაც გავიხსენეთ, ჩვენი რუსთაველი იყო და იმდროინდელი სითამამე. ყველაფერი ტკბილად მოვიგონეთ, ცრემლიც მოგვადგა. განა ასე არ არის? ცრემლი სიამემაც იცის.

ბარემ ერთ ეპიზოდსაც მოგიყვებით ჩვენი ყმანვილკაცობიდან და თვითვე განსაზღვრეთ, თუ რა დიდი განსხვავებაა მაშინდელი ჩვენი ცხოვრების წესსა და დღევანდელი ყმანვილკაცობის ქმედებებს შორის.

ჯერ ერთი, მაშინ თითქმის საერთოდ არ ვიცოდით ნარკოტიკების შესახებ. მარიხუანა თუ ჰაშიში ჩვენს ლექსიკონში საერთოდ არ იყო. ჩემი თაობის არცერთი ახალგაზრდა ამ სენით თუ მიდრეკილებით არ დაავადებულა.

ჩვენს დროსაც იყო ჩხუბი, გარჩევები, როგორც სკოლაში, ისე ქუჩისა თუ უბნისა, მაგრამ ამ დროს არასოდეს არავის გამოუყენებია ცივი ან ცხელი იარაღი. ჩხუბი იწყებოდა და პირველი პირობა იყო — არავითარ შემთხვევაში, თუნდ თავდაცვისას, თუნდ შეტევისას, დანა არ დაეძროთ. ეს სირცხვილად ითვლებოდა. თანაც ასეთ ადამიანს, ვინც დანას გამოიყენებდა, საერთო განდგომა ან მეგობრობიდან მოკვეთა ელოდა.

მახსოვს, ერთხელ ბიჭებმა გამაგებინეს სკოლის ტუალეტში ურთიერთშეთანხმებით უნდა ეჩხუბათ ჩვენს ამხანაგებს, პარალელურ კლასელებს, ანზორ მარგალიტაძესა და რაულ ნამგალაძეს, რომლებიც სკოლაში ყოჩობით გამოირჩეოდნენ. ჩხუბის მთავარი მიზანი გახლდათ — დადგენილიყო, ვინ იყო მათ შორის უფრო ძლიერი, ვის ეკუთვნოდა პირველობა.

კონსპირაციის მეთოდების სრული დაცვით, მეთვალყურეების დანიშნებით შევიკრიბეთ ასე 10-15 მოწაფე ანუ „მსაჯების ბრიგადა“. დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა ჩხუბი, გვარიანად ურტყეს ერთმანეთს, რადგან სასტიკად აკრძალული იყო ნაქცეულის ცემა, როგორც კი ერთ-ერთი დავარდებოდა, მეორე ელოდებოდა მის წამოდგომას, რათა ბრძოლა გაგრძელებულიყო.

იმ დღეს მსგავსი არაფერი მომხდარა... ურტყეს ერთმანეთს, ვიდრე „სიქა“ გამოეღოდათ. მაყურებლების ანუ „მსაჯების“ საერთო აზრით, არცერთ მხარეს ამკარა გამარჯვება არ მიეკუთვნა. თანაც ჩვენ, ანუ მაყურებლები, არცერთის ქომაგი არ გახლდით. მხოლოდ ვაკვირდებოდით, რათა უფრო ძლიერი გველიარებინა. შემდეგ, როგორც იქნა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. გავბანეთ დასისხლიანებული მოქიშპეები, ცოტათი სული მოვითქვით, უხმაუროდ გამოვედით ტუალეტიდან და იქვე, პუმკინის ქუჩაზე, „საქაბაბეში“ ლუდით, ქაბაბით, ხინკლით და ცოტაოდენი არყით აღვნიშნეთ ეს ორთაბრძოლა.

ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. მოჩხუბრები, ანზორი და რაული, ერთმანეთს მეგობრებად დასცილდნენ და ეს დამოკიდებულება შეინარჩუნეს ბოლომდე.

ეს ერთი ეპიზოდი მოგიყვით მხოლოდ. არაერთი „ჩხუბის“ შემსწრე გახლავართ, როდესაც დიდი ბაგაბუგი მოწინააღმდეგეთა „შერიგებით“ მთავრდებოდა და აღინიშნებოდა რესტორანსა ან სახინკლეში, გააჩნდა ფინანსურ შესაძლებლობას. ასეთი იყო ჩემ თაობელთა პაექრობათა ფინალები სკოლებში, „ალექსანდროვის ბაღსა“ თუ თბილისის სხვადასხვა უბანში: დადგენილი წესისათვის ახალგაზრდებს პატივი უნდა ეცათ.

## პოლიტიკური პორტრეტი ჭრილში

ჩვენში მომეტებულ სხვადასხვა ჟანრის ტელემოუებს არაფრით ჩამოუვარდებიან ე.წ. პოლიტიკური შოუმენები, რომლებიც საკმაოდ მომრავლდნენ და, იმედია, კიდევ დიდხანს გვეყოლებიან ამ დალოცვილ საქართველოში. ასე რომ, ჩვენი მტრები აქამდე თუ გვიკიჟინებდნენ: ქართველებმა მხოლოდ ტაშ-ფანდური, ცეკვა, სიმღერა ან გაუთავებელი ღრეობა იცითო — ნურას უკაცრავად. ამ 20 წლის დამოუკიდებლობის ხანაში ისეთი პოლიტიკური სპექტაკლები დავდგით, რომ აღიარებულ კინოსა თუ თეატრის რეჟისორებს არც დაესიზმრებოდათ. ის კი არა, დამერწმუნეთ, ფელინიც დიდ სიამოვნებას მიიღებდა ასეთი სანახაობით, ტონინო გუერაც მოარგებდა სცენარისტის ნიჭს აქაურ ამბებს.

ერთადერთი ქართველი მწერალი და სცენარისტი, რეზო გაბრიაძე არ ჩადგა, სხვა „პატრიოტ“ პროზაიკოსთა და პოეტთა მსგავსად, პრეზიდენტისა და მთავრობის მაგინებელთა შორის, რაც დიდი დანაკლისა ე.წ. „ოპოზიციისათვის“.

ერთი სავალალო სურათიც გამოიკვეთა: ისეთმა მწვავე კალმონებმა, როგორებიც არიან: თ. ნივნივაძე, ე. ჯაველიძე, რ. ამაშუკელი, ლ. ჯაფარიძე, ლ. ნადარეიშვილი, გ. გიგაური — და მათი დიდი მცდელობის მიუხედავად სხვებმაც — ვერაფერი დააკლეს ამ „სალი კლდესავით“ შემართულ სამთავრობო ჯგუფს. შეიმჩნევა კიდევ, რომ ამ ხალხმა თითქმის ამონურა პუბლიცისტური თუ ლიტერატურული ნიჭი და უკვე, დიდი ხანია, გადავიდნენ მდაბიურ ლანძღვა-გინებაზე.

თუნდაც რას დააკლებდა ეს ლანძღვა-გინება ისეთ მთავრობას, რომლის ხერხემალიც შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილია. საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება დამიგროვდა, 32 წელი სახელმწიფო უშიშროების სისტემაში (დაზვერვა-კონტრდაზვერვა) ვიმუშავე და ვაღიარებ, ვანო მერაბიშვილმა თავისი საქმე კარგად იცის... როგორც იტყვიან, შრომითა და გულმოდგინებით დაიხვეწა, ოსტატობა აიმაღლა... და მოერგო იმ სისტემას, რომლის პირმშოც თვითონაა.

მოკლედ, შინაგან საქმეთა მინისტრი თავის საქმეს აკეთებს... ერთია, რომ მრავალთავის მიუღებელია, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით...

ალბათ, როგორც ყოველთვის, იჩქარა პრეზიდენტმა, როდესაც მას სისტემის (მთავრობის) ხერხემალი უწოდა, რადგან ასეთი წარმოჩენა მას სრულებითაც არ სჭირდებოდა — ყოველივე დროთა განმავლობაში გამჟღავნდა. ამიტომაცაა, რომ არასაპარლამენტო რადიკალურმა ოპოზიციამ მთელი თავისი ენერგია ამ მინისტრთან ბრძოლას შეაღწია, რადგან თავი დაიწმენეს, რომ ამ მთავრობის დამხობა თუ დამარცხება მხოლოდ ამ ადამიანის კომპრომეტირებით შეიძლება. არა მგონია, რომ ოდესმე ასეთი კაცი პრეზიდენტმა დათმოს, ისე, როგორც დათმო და გაანადგურა ერთ დროს მისი „მეგობარი“ და თანამებრძოლი ირაკლი ოქრუაშვილი. უფლებაყრილი შემდეგში „მგზნებარე ოპოზიციონერად გადაიქცა“. ი. ოქრუაშვილი პიროვნულად და მისი მრწამსით, ინტელექტით, პოლიტიკური შეხედულებებით, ისეთივე ოპოზიციონერია, როგორც მე ვარ ჩანკაიძის შთამომავალი. ეს ადამიანი ე.წ. „ბონაპარტიზმმა“ დაღუპა, ისევე როგორც თავის დროზე მარშალი ტუხაჩევსკი და მისი მიმდევრები.

დაეოკებინა ამბიციები და შეიძლება, ყოველ შემთხვევაში 2008 წლის „ომობანას“ ავანტიურამდე, ეკეთებინა თავისი ესოდენ საყვარელი საქმე, თანაც საკუთარი „ბიუჯეტის“ შევსება გაეხანგრძლივებინა.

თუმცა საკმაოდ ოსტატურად დაიძვრინა თავი (თუ დააძვრენინეს). დღეს არა მგონია ნანობდეს, რომ ქართული კომფორტაბელური ციხის საკნის ნაცვლად, ბულონის ტყეში ან მონმარტზე სეირნობს. ი. ოქრუაშვილის ბედუკუდმართი კარიერის დასასრული კარგ მაგალითად გამოადგა ბევრს სამთავრობო გუნდში. განსაკუთრებით იმათ, ვისაც ამბიციური ბონაპარტის სული მოელანდა.

იტყვიან, პოლიტიკური ლიდერები დღევანდელ საქართველოში, უფრო სწორად, მთავრობაში არ მოიძებნებაო. ამბიციას თავი ვერ დააღწია ერთმა სიმპათიურმა ქალბატონმა, უკვე ოპოზიციაში მყოფმა ნინო ბურჯანაძემ. მას საკმაოდ გვიან გაახსენდა ბონაპარტისტული ამბიციები. ხელების კატეგორიულად ქნევა და ოპოზიციონერობა მაშინ დაუფასდებოდა, როცა მთავრობაში გახლდათ. ახლა, როგორც იტყვიან, „მატარებელი გავიდა სადგურიდან“, მაგრამ ლოგიკური დასკვნა ამის შესახებ ჯერ კიდევ ვერ გამოუტანია. ამიტომაც ებრძვის „ქვეყნის დამღუპველ მთავრობას“, რომელიც თვითონაც შექმნა და რომლის წიაღიდანაც იშვა.

ერთი რამ კი უდავოა, დღევანდელ პოლიტიკურ სარბიელზე იგი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა, ფაქტობრივად უსახური ოპოზიციის ფონზე.

ამ თავში მინდოდა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის პიროვნებაზე მესაუბრა. როგორადაც უნდა დასწამონ მას ოპოზიციის ქორემა ცილი — რომ იბრძვის ან მოქმედებს იმისათვის, გახდეს ქვეყნის პირველი პირი — დაუჯერებელია, ვინაიდან საქმე გვაქვს ფრთხილ, პრაგმატულად და ანალიტიკურად მოაზროვნე პიროვნებასთან.

სავარაუდოა, რომ მას საკმაოდ კარგად აქვს გათვლილი და გააზრებული თავისი ადგილი დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში და საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს ისეთი ქარიზმატული, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პრეზიდენტის გვერდით, როგორც მიხეილ სააკაშვილია. აი, მის ჩრდილში ყოფნა უფრო ხელსაყრელია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის. ამბიციების გამომჟღავნება მას დალუპვას უქადის...

დამერწმუნეთ, ჩვენზე კარგად იცის, რომ თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიით ქვეყნის პირველი პირი ვერ გახდება. წარმოიდგინეთ ბატონი ვანო ორატორის როლში, დიდი აუდიტორიის წინაშე, ასეთ გარემოცვაში უბრალოდ დაიკარგება, დაიჩრდილება. თანაც არსებულ ძალთა გადანაწილებისას, გნებავთ ურთიერთდაპირისპირებისას, აღმოვაჩენთ ფორმულას, რომ ბატონი ვანო მარტოდმარტო სრულებითაც არ არის დღევანდელი მთავრობის ბურჯი. მის გვერდით გავლენებით ყოველთვის მოიაზრება ზურაბ ადეიშვილი. დანამდვილებით არავინ იცის, ვინ უფრო გავლენიანია მათ შორის. სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ ისინი გარკვეულ საკონტროლო ფუნქციებსაც ფლობენ ერთმანეთის მიმართ. რაც, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია პრეზიდენტისათვის.

რალაც ფანტაზიები იმის შესახებ, რომ ისინი შეხმატკბილებულად, მეგობრულად ინანილებენ, ქვეყნის მართვის სადავეებს, დაუჯერებელია, ჩემი აზრით, ვინაიდან იქ, სადაც ფული და პოლიტიკა მძლავრობს, ყოველგვარ მეგობრობაზე საუბარი ზედმეტია. ასე თუ ისე, ბატონი ვანო მისი პირადი ცხოვრების წესით, მუშაობის (მართვის) სისტემით, არ არის დღევანდელ პოლიტიკაში ხმაურიანი ფიგურა, მაგრამ ხანდახან მაინც გამოკვეთს თავის შეხედულებებს, როგორც ტელევიზიაში, ისე პრესასთან ინტერვიუებში.

არ ვიცი, რა შთაბეჭდილება დატოვა საერთოდ მისმა მონაწილეობამ „ვანო ჯავახიშვილის“ შოუში, მაგრამ ერთი რამ კი შეიმჩნეოდა — ამ ადამიანს საკმაოდ მდიდარი იუმორის გრძნობა აქვს. შეიძლება მისი ეს ნიჭი არა ჰგავს რაფინირებული ინტელიგენტის იუმორს, მაგრამ ამას ნუ მოვთხოვთ (არც თვითონ ცდილობს), მოირგოს დიდი ინტე-

ლექტულის ნილაბი, ალბათ იმიტომ, რომ კარგად აქვს ანონილ-და-ნონილი — ასეთი როლით წააგებს, სახელს გაიუფასურებს.

ისე, ტელეშოუს მსვლელობისას შოუმენს მინისტრი არ ჩამორჩა მოსწრებული სიტყვა-პასუხით, პირიქით, გაუსწრო და, რომ იტყვიან, თითიც მოაკაკვინა.

ამას წინათ შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერვიუს რუსულ ვაზეთში — „კომერსანტი“ — ოპოზიციის მხრიდან დიდი ხმაური მოჰყვა: „ეს რა თქვაო“, „ევროპას არ ვუჯერებთო“, „ჩვენ ჩვენს გადანყვეტილებებში დამოუკიდებელნი ვართო“, „ისე მსჯელობს, როგორც პრეზიდენტიო“, „გამოვიდა პრეზიდენტის ჩრდილიდანო“, „თავის გადარჩენა უნდაო“ და რომელი ერთი ჩამოვთვალო... ეს ვერ მოახერხეს, ეიფელის კოშკის აფეთქება ე.ი. ტერორისტობა დაებრალეზინათ, თორემ აღარაფერი დააკლეს. პერიფრაზი რომ მოვიშველიო, „კარგად დაწერილს კარგი მკითხველიც უნდა“... თუკი ჩაუკვირდებით კორესპონდენტის კითხვებზე მის პასუხებს და შევეცდებით ობიექტურნი ვიყოთ, აღმოვაჩინოთ, რესპონდენტის ყოველი სიტყვა გააანალიზებული და გონივრული იყო, თანაც გათვლილი — ქვეყნის (საქართველოს მოქალაქეთა) შიდააუდიტორიის გასაგონად. მის პასუხებში ადვილად იკითხება ტაქტიანი პროტესტი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისადმი; აგრეთვე საფრანგეთის მუდამ თვითკმაყოფილი პრეზიდენტ სარკოზის, გერმანელი მერკელის თუ ინგლისელი ბრაუნის შემრიგებლური, თვალთმაქცური პოლიტიკური ხაზის მხილებაც გამოუვიდა.

შესაბამისად გამოიკვეთა თავის თავზე შეყვარებული, თვითდაჯერებული ამერიკელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოლიტიკური ხაზი საქართველოში არსებული პრობლემების მიმართ.

სხვა საკითხია, მოუტანა თუ არა რაიმე სარგებელი მისმა მხილებამ საქართველოს? რა თქმა უნდა, არა! რადგან თავისი პირადი კეთილდღეობისათვის თავგადაკლულ ევროპელ ბიურგერებს (სარკოზის, მერკელს, ბრაუნს ან, თუ გნებავთ, ბერლუსკონის) საუბედუროდ, სულ ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოს პრობლემები — გაუთავებელი შინაური კინკლაობითა თუ დაკარგული ტერიტორიებით.

უმთავრესი თვითონ ვერ შეგვიგნია, ვერავითარმა ისტორიულმა გამოცდილებამ თუ შეცდომებმა ვერ გვასწავლა და ვერ შეგვისისხლხორცა, ჩვენი პრობლემები ჩვენვე რომ უნდა გადავწყვიტოთ ერთიანობით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთთანადგომით. სხვები ჩვენს პრობლემებს ვერ გადაწყვეტენ და არც გადაწყვეტენ. საფრთხეს არ შეუქმნიან საკუთარ კეთილდღეობას: არ გააღიზიანებენ იმ ძალას, რომლისაც თვითონ უფრო ეშინიათ...

კი ბატონო, სიამოვნებით ჩამოვლენ საქართველოში ე.წ. ევროსაბჭოდან, ევროკავშირიდან, გაეროდან პრივილეგირებული ჩინოვნიკისტუმრები, იცხოვრებენ „რედისონ მარიოტში“, დაათვალიერებენ მცხეთას, სილნალს, ნახავენ ჩვენს ცეკვა-თამაშს, დატკბებიან სიმღერით, ალტაცებით დააგემოვნებენ ხინკალს, ხაჭაპურს, საცივსა თუ ღომს, დააყოლებენ სურნელოვან კახურ ღვინოს, მხარზე მოგვითათუნებენ თანაგრძნობით ხელებს, ცრუიმედებით დაგვანწყნარებენ და ლაინერებით გადასერავენ ცას თავიანთი მსუყე ქვეყნებისაკენ.

ასეთები იყვნენ ისინი XX საუკუნის გარიჟრაჟზე და იმავეს სჩადიან დღესაც. და ეს ხდება ჩვენი ისტორიული მეხსიერების დადამბლავებით.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთ-ერთ დისიდენტურ ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა სტატია, რომლის ავტორი ამტკიცებდა: „...საქართველო რომ დამოუკიდებელი ქვეყანა იყოს, ეკონომიკის აყვავებისათვის ის ფულიც ეყოფა, რასაც ქვეყანა მიიღებს მარტო ბორჯომის წყლის და ქართული ღვინის გაყიდვით“. იმითაც გვაიმედებდნენ, როგორ გადაიქცეოდა ქვეყანა მსოფლიოს მეორე შვეიცარიად ანუ ტურისტულ მექად.

ეს პოლიტიკური დილეთანტობა და თვითდაჯერება ძვირად დაუჯდა ხალხს. ისე, ადამიანის, ქართველის ფანტაზია უსასრულოა. გვეგონა, როგორც კი სახელმწიფოებრივ თავისუფლებას (დამოუკიდებლობას) მოვიპოვებდით, მსოფლიოს მდიდარი ქვეყნები მოგვცვივებოდნენ: „არიქა, მიმიშვით, საქართველო ავაყვავო, ეს ისტორიული სამოთხე შვეიცარიად ვაქციო“...

ეს ყველაფერი ზღაპრად დარჩა, ხოლო მწარე სინამდვილემ, საუბედუროდ, მოლოდინს გადააჭარბა და მოვიმკეთ ის, რაც დავთესეთ, გარკვეულწილად ჩვენი გულუბრყვილობის საფასურად.

დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში სამი პრეზიდენტი გამოვიცვალეთ: ვერ გაუგეთ, თუ არ ვინებეთ გაგვეგო, პირველი პრეზიდენტისათვის, ვინც იყო დიდი პატრიოტი, სამშობლოს უზომოდ ერთგული, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, პოლიტიკურ ბატალიებში გამოუნვრთნელი, ლამანჩელივით მეოცნებე. მან მთელი თავისი სიცოცხლე, ღრმა განათლება შეაღია საბჭოთა სისტემასთან ბრძოლას, გახდა მთელ საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი გამორჩეული დისიდენტი, გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა მსოფლიოს დემოკრატიულ თუ ლიბერალურ წრეებში, მაგრამ რად გინდა: როცა ქვეყნის მმართველი გახდა, არაერთი პოლიტიკურად გაუმართლებელი სტრატეგიული შეცდომა მოუვიდა. თვითონ იქცა მსხვერპლად. დაგეშილი ნადი-

რევით დასდევდნენ სოფელ-სოფელ... სანამ არ მოკლეს, თუ არ აიძულეს, თავი მოეკლა. დღეს იმის რკვევას (საპარლამენტო კომისიის მიერ, რომელსაც მისი შვილი მეთაურობს), მოკლეს თუ იძულებული გახადეს, სასონარკვეთილს თავი მოეკლა, მხოლოდ მორალურ-ეთიკური მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე პოლიტიკური; და თუ დაამტკიცებენ, რომ იძულებით არის მოკვდინებული, ძირითადად მისი ოჯახის წევრებისათვის იქნება მორალური მხარდაჭერა, რამეთუ სინამდვილეს ახლა უკვე ველარასოდეს გაიგებენ.

ეს მაშინ, ცხელ ფაქტებზე, გარდაცვალების დღეებში იყო საჭირო. გამოძიება თუ საგამომძიებლო კომისიის შექმნა არავის აძლევდა ხელს და მითუმეტეს ხელისუფლებაში ამბოხების (აჯანყების) გზით მოსულ არალეგიტიმურ მთავრობას. ახლა ამ ტრაგიკულ ფაქტს, პრეზიდენტის სიკვდილს, ყოველი პოლიტიკური ძალა თავისი მიზნებისათვის იყენებს. ამ ტრაგედიის აღმსრულებელნი თუ შემკვეთნი უსირცხვილოდ აცხადებენ საკუთარ უდანაშაულობას. არადა მთელი სპეცსამსახურები მათ მიუსიეს, სოფელ-სოფელ დასდევდნენ დაგეშილი ნადირებივით და ახლა თავს იმართლებენ.

ამ ადამიანმა ისიც შეიძლება განაცხადოს, გულუას და იოსელიანის სპეცრაზმები იმიტომ მივაველინე სამეგრელოში, ქვეყნის ლეგიტიმური პრეზიდენტის უსაფრთხოება დამეცვაო.

ასეთი უტიფარი განცხადება რომ გაერცვლდეს, არც გამიკვირდება, რადგან პოლიტიკურ ფლიდობას (სიცრუეს) საერთოდ საზღვარი არა აქვს.

ერთხელ უკვე მოგახსენეთ, თუ როგორ მოიგო ჯერ კიდევ დამწყებმა იურისტმა (ადვოკატმა) ციციერონმა რომში სასამართლო პროცესი ერთ-ერთი პატრიცის მკვლელობის გარშემო. ბრალს მის ახლო ნათესავს სდებდნენ, ციციერონი მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში დაეყრდნო ერთ ძირითად პოსტულატს თუ იურიდიულ ცნებას: „...ვისთვის უფრო ხელსაყრელი იყო ამ კაცის სიკვდილი და ვინ უფრო იყო დაინტერესებული მისი მოკვდინებით“.

აი, ეს ფორმულა ატრიალა მთელი სასამართლოს მსვლელობის დროს, ამ ფორმულაზე აანყო ეჭვიმიტანილის ცხოვრებისეული როლი და მისი ურთიერთობა მკვლელთან. ამავე დროს უშიშრად წარმოაჩინა ის პირები, და განსაკუთრებით ერთი, ვინც უფრო მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მკვლელობით...

საბოლოოდ ეჭვიმიტანილი გაამართლა, ხოლო ის, რომელიც ადვოკატმა გამოააშკარავა როგორც მკვლელი — სიკვდილით დასაჯეს...

ისტორიკოსები გვაუწყებენ, თურმე აქედან დაიწყო ციციერონის, როგორც იურისტისა და ადვოკატის, შემდგომ კი სენატორის, თავბრუსხვევი კარიერა...

ამ მაგალითის კვალთაზე — ვინ უფრო იყო დაინტერესებული კანონიერი, ლეგიტიმური, მაგრამ დევნილი პრეზიდენტის მოკვდინებით?!

საუბედუროდ, რიგითი პოლიტიკოსები თუ დიპლომატები ასეთ ტვირთს არ სწევენ, ყველაზე მეტად ქვეყნის მმართველი პირები სცოდავენ. ასე იყო დასაბამიდან. ასე იყო მიჩქმალული და სიცრუის „კამუფლიაჟში“ შეფუთული კატინის ტრაგედია, სტალინისა თუ ლენინის დროინდელი რეპრესიები და მრავალი სხვა...

ამიტომაც არ არის გამორიცხული, რა დასკვნაც უნდა მიიღოს კომისიამ, ხალხის გარკვეულ ნაწილს თავისი აზრი მანც დარჩება ამ ფაქტის გარშემო.

ათწლეულის შემდეგ ქვეყნის რომელიმე მმართველი შესაძლებელია ისევ მიუბრუნდეს ამ თემას — თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე — და არც ის არის გამორიცხული, რომ მაშინაც იმ უამის შესაფერისი სიმართლე გამოიძიონ. ასე რომ, ეს ტრაგიკული ფაქტი — პრეზიდენტის სიკვდილი — ხალხში დარჩება მრავალი სხვადასხვა ვერსიით. შემდეგ ლეგენდასავით შემოინახება ისე, როგორც დღეს ამტკიცებენ: ესენინმა და მაიაკოვსკიმ თავი კი არ მოიკლეს, ბოლშევიკებმა მოკლესო. ანდა როგორც ხრუშჩოვი ამტკიცებდა, მაქსიმ გორკი და სერგეი კიროვი სტალინმა მოწამლაო...

აი, დახეთ, საუბარმა როგორ გამიტყუა, სჯობს დავუბრუნდეთ ჩვენი თხრობის გმირს ბატონ ვანო მერაბიშვილს.

ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რევოლუციის („ამბოხების“) შემდეგ მთავრობაში ე.წ. „ქუჩიდან“ მისული, საკმაოდ ნიჭიერი ხალხის კარიერა გამობრწყინდება; ასე იყო საფრანგეთის 1893 წლის რევოლუციის მერე, როცა ძირმომპალი ბურბონების მმართველობის შემდეგ ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა მსოფლიო მასშტაბის ფიგურა ნაპოლეონ ბონაპარტი (მისი სახელგანთქმული მარშლების დახასიათება საკმაოდ შორს წავიყვანს). მის გვერდით აღმოჩნდა ორი გამოკვეთილი სახე მინისტრებისა: საგარეო საქმეთა მინისტრი — ტალეირანი და შინაგან საქმეთა მინისტრი — ფუშე.

ზემოთ კი მოგახსენეთ, ე.წ. „ქუჩიდან“ მოსული ლიდერების შესაძლებლობაზე, მაგრამ ნაპოლეონის გვერდით მდგომნი მთლად ქუჩიდან არ იყვნენ. ჰქონდათ კეთილშობილური წარმოშობა, მაგრამ მანც სავარაუდოა, რომ ბურბონების მმართველობაში ისინი მხოლოდ რელიგიუ-

რი კარიერისათვის იყვნენ მომზადებულნი, ხოლო რევილუციის ქარ-  
ცეცხლმა და ნაპოლეონ ბონაპარტის საკადრო პოლიტიკამ ისინი ქვეყ-  
ნის სათავეში მოაქცია. ბონაპარტის ძლევამოსილი ომები, მისი გენიო-  
სური ნიჭი მხედართმთავრობისა შეესიტყვება მის სახელმწიფოებრივ  
მმართველობას. ბრწყინვალე, ბრძნული საკადრო გადაწყვეტილებების  
მიღება რომ შეეძლო, ორი ადამიანის კარიერითაც საცნაურდება.

ნაპოლეონის ომები თუ ასოცირდება მის მარშლებთან, მისი მმართ-  
ველობის სისტემა ასოცირდება მხოლოდ ტალეირანსა და ფუშესთან.  
მართალია, თავისი მასშტაბურობით ფუშეს პიროვნება აღემატება  
ჩვენი გმირის, ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ სარბიელს, მაგრამ რას  
ვიზამთ. ის კაცი, ფუშე, საფრანგეთის დიდი პოლიტიკური მოთამაშის  
ნიაღში მოღვაწეობდა, ჩვენი გმირი კი პატარა (მცირე) ხალხის შვილია  
და მისი ასპარეზიც ამიტომ შეზღუდულია. ეს ადამიანი (მერაბიშვილი)  
რომელიმე დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწე რომ ყოფილი-  
ყო, მისი პოლიტიკური სახე სულ სხვანაირად წარმოჩნდებოდა და, რო-  
გორც უკვე მოგახსენეთ, ფუშესი არ იყოს, იგი არასოდეს იბრძოლებს  
პოლიტიკური წინამძღოლობისათვის (ლიდერობისათვის). მას ეს არ  
სჭირდება. ქარიზმატული ლიდერის ჩრდილქვეშ ამჯობინებს ყოფნას.  
მიჰყვება მშვიდად ცხოვრებისეულ წესს. ამით ნიღბავს ნაკლს, მაგალი-  
თად, ორატორული ნიჭის უქონლობას, ხალხში ემოციების გაღვივებას,  
ალტკინება არ შეუძლია, სამაგიეროდ, სხვა ნიჭითა და უნარით, გასაო-  
ცარი შრომისმოყვარეობით აღწევს მიზანს. არც ის არის გამორიცხუ-  
ლი, რომ გარკვეული წლების შემდეგ, თუნდაც 2013 წლის საპრეზი-  
დენტო არჩევნებში, ჩვენი გმირი ერთგულად ემსახუროს ახალ პრეზი-  
დენტს მიხეილ მეორეს (უგულავას) ან თეიმურაზ მესამეს (ალასანიას)  
ან ვინმე სხვას, ვინაიდან ასეთი ნიჭიერი, თავისი საქმის პროფესიონა-  
ლები, დამერწმუნეთ, ყველა ხელისუფალს სჭირდება.

არ ვიცი, უფლის ნებაა, მე სად ვიქნები და თქვენ კი, მკითხველო,  
ამ დროს ნამდვილად შეესწრებით.

არადა როგორ განვითარდა მოვლენები: ე.წ. „ვარდების რევოლუ-  
ციის“ შემდეგ, რა სამთავრობო კარუსელიც მოაწყო პრეზიდენტმა?!  
თითქმის 3 კაცი შეცვალა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, სა-  
ნამ, რომ იტყვიან, მიზანში არ მოარტყა და ვანო მერაბიშვილი არ და-  
ნიშნა ამ თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, ამ დანიშვნით მერაბიშვილს  
დაუფასა ერთგულება, მაგრამ ერთგულება და შრომისმოყვარეობა  
ერთია, პროფესიონალიზმის დახვეწა და თანამდებობის პასუხისმ-  
გებლობა სულ სხვა. დარწმუნებული ვარ, იმ წლებში, როცა ვანო მე-

რაბიშვილი მინისტრად დაინიშნა, არც საზოგადოებას და არც ე.წ. ოპოზიციას მისი დანიშნაობა სერიოზულად არ აღუქვამს...

დღეს მერაბიშვილია, გუშინ ოქრუაშვილი იყო, გუშინწინ ბარამიძე და როგორც ისინი მოულოდნელად გადაადგილა, ისე ამასაც მოიშორებსო. და აკი შეცდნენ კიდეც, ოპოზიციამ რომ გაიღვიძა და მიხვდნენ, ვინ დაუნიშნეს მეთვალყურედ, რა თქმა უნდა, აყვირდნენ და აბლავლდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რას იტყვიან, ვანო მერაბიშვილმა საქმით და მუყაითობით დაუმტკიცა პრეზიდენტს არამართო ერთგულება, არამედ პროფესიულად ისე ააწყო სამინისტროში აგენტურულ-ოპერატიულობა, რომ პირველი პირის თვალად და ყურად იქცა. ეს თვალსაჩინო გახდა 2007 წლის ნოემბერს, 2009-ის აპრილ-მაისში და, რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც პროფესიული თვალსაზრისით (არ ვგულისხმობ მორალის საკითხებს, თუმცა ასეთ საქმეში მორალს არასოდეს ითვალისწინებდნენ, უბრალოდ მისთვის არ სცალიათ) უნაკლოდ ჩაატარა ე.წ. აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიება პრეზიდენტის ოპონენტის, ჭკვიანი, დაკვირვებული, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ.

ასეთი ღონისძიებანი ერთ საათში ან ერთ დღეში ვერ მზადდება. ამას (ოპერატიულ თამაშს) დიდი შრომა სჭირდება. ჯერ ერთი, შენი კაცი გადანერგო ე.წ. მტრის ბანაკში, შეუქმნა მას უცილობელი ალიბი, რომ ენდონ. მერე შეარჩიო ამ საქმისათვის, რომ იტყვიან, სათანადო კადრი თავისი პირადი და პროფესიული მონაცემებით. შემდეგში ყველაფერი ეს შენი კონტროლის ქვეშ ჩაატარო (ჩაინერო, გადაილო) და დააგვირგვინო იმით, რომ საჭირო დროს გაახმაურო.

ნურც გულუბრყვილოდ იფიქრებთ, რომ ამ ღონისძიების ოპერატიულად და ბრწყინვალედ ჩატარებაში მხოლოდ ორი პიროვნება — მერაბიშვილი და კოდუა — მონაწილეობდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას აგენტურული ფარი სჭირდებოდა ბადრი პატარკაციშვილის გარემოცვიდან.

აი, ასეთი აგენტურის შექმნას და გადმობირებას კი, დამერწმუნეთ, დიდი ოპერატიული და კონსპირაციული დისციპლინა ესაჭიროება. ამას გარდა, პატარკაციშვილის გარემოცვაში ზოგიერთ პირს, დაზვერვის ტერმინოლოგიით რომ მოგახსენოთ, ბრმად იყენებდნენ (ისე, რომ არ გაუშიფრავთ მათთვის ოპერაციის მიზანი). შეიძლება ეს ხალხი ახლა კი ხვდება თუ როგორ გამოიყენეს, მაგრამ უკვე გვიანაა და ვერავის ვერაფერს დაუმტკიცებენ, პირიქით, საკუთარ ავტორიტეტს შეიბღალავენ და ჩუმად არიან. განა სხვა რა გზა აქვთ... ამიტომაცაა მიმართული რადიკალური ოპოზიციის კრიტიკის ქარ-

ცეცხლი მერაბიშვილის წინააღმდეგ, რამეთუ ოპოზიციური ძალები-სათვის გასაგები გახდა, რომ ე.წ. „სააკაშვილის რეჟიმის“ დამხობა ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელია ასეთი ფხიზელი შინაგან საქმეთა მინისტრის ხელში, რომელიც როცა უნდა და სადაც უნდა იქ უთვალთვალეს მათ, იქ უსმენს და იწერს მათ მაკომპრომეტირებელ მასალას. მერე რა, რომ ამგვარი ქმედება კანონის დარღვევაა, თვალთვალი და სატელეფონო საუბრების მოსმენა მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით შეიძლება.

მითუმეტეს, სატელეფონო საუბრების ასე მოსმენა და გახმაურება ადამიანის უფლებათა სასტიკი დარღვევაა, მაგრამ ახლა ამისათვის ვისა სცალა. საქმე ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნას ეხება და ე.წ. დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისათვის ვინღამ იზრუნოს.

ერთი სიტყვით, ბატონი ვანო მერაბიშვილი მართლაც იქცა, პრეზიდენტის ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს, დღევანდელი მთავრობის არსებობის და მდგრადობის ხერხემლად. სასურველია თუ არა ვინმესთვის ასეთი ძლიერი პროფესიონალი, არა მხოლოდ ოპოზიციისთვის, სამთავრობო გუნდიდანაც ბევრისთვის საკითხავია.

ვინ დააიმედოს ისინი, რომ მათაც არ უთვალთვალევენ და იწერენ სატელეფონო საუბრებს და გრძნეული მერაბიშვილის უწყება, ვინ იცის, როდის გამოიყენებს კომპრომატებს მათ წინააღმდეგ...

რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება. დღეს ერთ გუნდში ხარ, ხვალ ეგებ გამოვარდე მჭიდრიდან. ასე რომ, ოპოზიციაც და პოზიციაც ერთ დღეში უნდა იყოს, გამუდმებული შიშისა და ეჭვის ბურუსში, ეს კი ნამდვილად მომგებიანია, როგორც პრეზიდენტის, ისე ძალოვანი მინისტრისთვისაც.

ისიც ფაქტია, ერთადერთი პიროვნება, რომელიც ძალაუფლებით გაუტოლდება ვანო მერაბიშვილს, არის ზურაბ ადვიშვილი. ეს პოლიტიკოსი იმდენად ჩაკეტილია სამსახურებრივი თუ პირადი ცხოვრებით, რაიმეს თქმა კონკრეტულად მის ძალაუფლებაზე თითქმის შეუძლებელია.

ასე რომ, ქვეყანაში შეიქმნა საინტერესო, უნიკალური პრეცედენტი. ქვეყნის მმართველობაში ორი რუხი კარდინალი აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევები მრავლად იცის ისტორიამ. განსაკუთრებით საფრანგეთმა. მაგრამ მათი რუხი კარდინალები — რიშელიე და მაზარინი — სხვადასხვა ეპოქასა და მმართველობაში ცხოვრობდნენ. ძნელი წარმოსადგენია, ერთ დროში თუ შეძლებდნენ ეცხოვრათ ან ეთანამშრომლათ?!

ისე, მართალი რომ გითხრათ, რიშელიე ალბათ იმიტომ იყო ძლიერი, ქარაფშუტა და ფანტაზიებს აყოლილი მეფე ლუდოვიკო XIII ჰყავდა გვერ-

დით. ამიტომ მეფეს უფრო სჭირდებოდა იგი, ვიდრე მეფე — კარდინალს. მაზარინი, თავისი გამჭირახობისა და ნიჭის მიუხედავად, მაინც დედოფალ მედიჩის სარეცელიდან გახდა მმართველი. საფრანგეთის გამოცდილება და პარალელები საქართველოსთან, ცოტა არ იყოს, შეუძლებელია და როგორადაც უნდა ავინოს და ლანძღოს ოპოზიციამ პრეზიდენტი, იგი ნამდვილად სჭარბობს ლუდოვიკო XIII-ს თავისი ინტელექტით და ხელისუფლების შენარჩუნების დაუოკებელი ჟინით, რამეთუ ლუდოვიკოებს ეგონათ, ძალაუფლება ღმერთის მიერ კურთხეული სახელით ჰქონდათ ბოძებული და არა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ძალით (მონაპოვართ).

ისე, ნამდვილად შოუს ემსგავსება ოპონენტების მიერ ბატონი მინისტრის ლანძღვა-გინება, ხანდახან უშვერი სიტყვები, ხანდახან ისეთი ქმედებების მიწერა, აბსურდამდეც რომ მიდის. რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, ყოველივე ამას გაუძლოს, აი, რკინის ნერვები რომ აქვს — ეს აშკარაა.

ლანძღვის და გინების კორიანტელი, გადმოფრქვეული მასმედიიდან, ფსიქონერვული კლინიკის სინდრომს იძენს. ცნობილია, რაც უფრო დუმს ოპონენტი, მონინაალმდევე მხარე უფრო ღიზიანდება, უარესად ილანძღება და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სიტყვიერი შეურაცხყოფის დაუსჯელობამ გასავალი ჰპოვა ქვეყანაში.

გაკვირვებას იწვევს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არცერთ შეურაცხყოფილ მხარეს სასამართლოსთვის არ მიუმართავს. პოლიტიკური ლანძღვა-გინების ლიდერებიც გამოჩნდნენ. ფოლკლორული ლანძღვის იშვიათ ნიმუშებს დაუბრკოლებლად ბეჭდავენ ე.წ. ბულვარულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“, ისმის მხოლოდ ერთი კითხვა — როდემდის? ნუთუ ამას დასასრული არა აქვს. ოპონენტი გინებასა და ლანძღვაზე რომ გადადის, მიანიშნებს, რომ მას ოპონირების, დიალოგის, დისკუსიის ინტელექტუალური არეალი შემოეღია, ამოენურა და გამოსავალს ვეღარ ხედავს, გარდა სიტყვიერი შეურაცხყოფისა.

თუ ჩვენ ოდნავ მაინც დემოკრატიულ საზოგადოებაში გვინდა ცხოვრება, ალბათ, უნდა შევეჩვიოთ ერთმანეთის მოსმენას, შევითვისოთ პოლიტიკური დიალოგის დისციპლინა. და თუ ავ სენს არ გადავეჩვევით, თავი მაინც დავანებოთ ჩვენი ისტორიული წარსულით ტკბობას და წინაპართა კეთილშობილი სულები მოვასვენოთ, ვინაიდან ასეთი ქცევით სრულებითაც არა გვაქვს უფლება მათ ღირსეულ შთამომავლებად მივიჩნეოდეთ.

## **შინაარსი**

თბილისური აღმართი *(როსტომ ჩხეიძე)*

3

**წინასიტყვა**

5

**დედის მოლოდინი**

7

**შვილს...**

12

**ჩემი ცხოვრების აღმართი**

17

**რუსთაველის პროსპექტი**

97

**მარშით ფეხშიშველა**

110

**პოლიტიკური პორტრეტი ჭრილში**

113

